

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი


საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:

ბატონი გაიოზ გოგუა - დირექტორი

ბატონი გიორგი თხელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ჩვენ, გაიოზ გოგუა და გიორგი თხელიძე ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე:

ხელმოწერები:


დირექტორი, გაიოზ გოგუა




სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი თხელიძე


განთავსების აგენტის დირექტორი, მერი ჩაჩანიძე

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი:

შპს „თიბისი კაპიტალი“

მის: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

ტელ: (+995 32) 227 27 27

ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

ვებ-გვერდი: www.tbccapital.ge

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1, თბილისი 0114, საქართველო

ტელ: (995 32) 240 6120

ფაქსი: (995 32) 240 6577

ელფოსტა: info@nbg.ge

ვებგვერდი: www.nbg.ge

შეთავაზების პირობების დოკუმენტი

1. შესავალი

1.1. მითითება იმის შესახებ, შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის წინასწარ თუ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს;

წინამდებარე შეთავაზების პირობები წარმოადგენს საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს. საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს მისი წარდგენის თარიღისთვის არსებული ინფორმაციის ან სავარაუდო ინფორმაციის გამჟღავნებით შეთავაზების პირობებს და წარმოადგენს ობლიგაციების ემისიის პროსპექტის პირობების დოკუმენტს.

1.2. ფასიანი ქაღალდის, ემიტენტის, განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, პროსპექტზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება, დამტკიცების თარიღი, ISIN

| | |
|--|---|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება: | ლარის სასესხო პორტფელით უზრუნველყოფილი არა-სუბორდინირებული ობლიგაცია |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია: | სს „თიბისი ლიზინგი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205016560) მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №76მ ელ. ფოსტა: info@tbcleasing.ge ტელ.: (+995 32) 2 212 27 77 |
| განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge ტელ.: (+995 32) 227 27 33 |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ: (995 32) 240 6120 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელფოსტა: info@nbg.ge ვებგვერდი: www.nbg.ge |
| დამტკიცების თარიღი: | 17 მაისი, 2023 წელი |
| ISIN | GE 2700604293 |
| ფასიანი ქაღალდის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი | GE 2700604293 -1 -05 |

დამტკიცებულია ეროვნული ბანკის მიერ:



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

1.3. მითითება, რომ შეთავაზების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს და რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ“.

შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

2. ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ინფორმაცია

2.1. ფასიანი ქალაქის ძირითადი მახასიათებლები

2.1.1. ფასიანი ქალაქების გამოშვების თარიღი

ობლიგაციების გამოშვების საორიენტაციო თარიღია 2023 წლის 20 მარტი

2.1.2. შეთავაზებული ფასიანი ქალაქების ტიპისა და კლასი

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის უზრუნველყოფილ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.

2.1.3. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქალაქი;

„ობლიგაციები“ ნომინირებულია ლარში.

2.1.4. შესათავაზებელი ფასიანი ქალაქების მთლიანი ოდენობა; თუ ოდენობა ფიქსირებული არ არის, მისი მაქსიმალური ოდენობის (თუ შესაძლებელია) მითითება. ასევე, იმ პირობის აღწერა და იმ თარიღის მითითება, როდესაც მოხდება საბოლოო ოდენობის გასაჯაროვება;

„ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 100,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 300 საბაზისო პუნქტი (სპრედი) დამატებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთზე და რომლებიც ვადამოსული ხდება 20.03.2026. „ობლიგაციების“ საბოლოო მაქსიმალური ოდენობა იქნება 100,000,000 ლარი. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 ლარს.

2.1.5. ობლიგაციის შემდეგი მახასიათებლები:

ა) ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და გადასახდელ პროცენტთან დაკავშირებული პირობები:

- თარიღი, საიდანაც პროცენტი ხდება გადასახდელი და გადახდის დადგენილი ვადები;
- გადასახდელ პროცენტზე და ძირზე მოთხოვნის დაფიქსირების დროის ლიმიტები;

ბ) თუ განაკვეთი არ არის ფიქსირებული, უნდა მიეთითოს ცვლადი, რაზეც არის მიბმული პროცენტი, ასევე პროცენტის ფიქსირებული ნაწილი, გაანგარიშების მეთოდი და პერიოდულობა;

- მითითება, თუ სად შეიძლება ცვლადი კომპონენტის ფასის ისტორიის მოძიება ელექტრონულად;
- ნებისმიერი მოვლენის აღწერა, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ცვალეზად პროცენტზე

(ა) პროცენტის კალკულაცია და დარიცხვის თარიღები

„ობლიგაციებს“ პროცენტი დაერიცხება 20.03.2023-დან 20.03.2026-მდე (ბოლო თარიღის გამოკლებით), რომელიც გადახდილ უნდა იქნას კვარტალურად - თითოეული წლის 20 მარტს, 20 ივნისს, 20 სექტემბერს და 20 დეკემბერს. წინამდებარე 2.1.5 პუნქტში მოცემული პროცენტის გადახდის თითოეული თარიღი შემდგომში მოიხსენება როგორც „პროცენტის გადახდის თარიღი“, ხოლო 2026 წლის 20 მარტი - როგორც „გამოსყიდვის თარიღი“.

ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, გარემოებების შესაბამისად, „რეგისტრირებულ მფლობელთა“ სიის მიხედვით, რომელიც რეგისტრირებულია სს „კავკასრეესტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211369115) („რეესტრატორი“) „ობლიგაციების“ მფლობელთა რეესტრში („რეესტრი“) ან „ნომინალური მფლობელის“ (აღრიცხვის ადმინისტრატორი) მიერ წარმოებულ ჩანაწერებში, სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე სამუშაო დღის დასრულებამდე („სააღრიცხვო თარიღი“), გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს საქართველოში, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პირველივე „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის, „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა „ობლიგაციების“ მფლობელის ანგარიშზე.

(ბ) პროცენტის დარიცხვა

პროცენტის დაანგარიშება მოხდება შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების შესაბამისად, შემდეგი წესის საფუძველზე: 30/360 ISMA, ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევროზონდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC)“ = მრიცხველი / 360

მრიცხველის ფორმულა:

1. თუ $D1=31$, მაშინ $D1=30$
2. თუ $D2=31$, მაშინ $D2=30$
3. თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება
4. მრიცხველი = $(D2-D1)+30*(M2-M1)+360*(Y2-Y1)$,
სადაც „D“ ნიშნავს დღეს, „M“ - თვეს და „Y“ - წელს.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთი ცვლადია და დამოკიდებულია 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე არსებულ საპროცენტო განაკვეთზე (რომელიც განთავსებულია შესაბამის ბმულზე: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy/tibr>), შესაბამის განაკვეთს, თითოეული „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ განსაზღვრავს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე. პროცენტის დარიცხვა და გადახდა ხდება „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“ არსებული მონაცემების საფუძველზე. „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთად აიღებს „პროცენტის განსაზღვრის თარიღისთვის“ გამოქვეყნებულ უკანასკნელ 3-თვიან

თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს, „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ (თითოეული კვარტლისთვის), აღნიშნული პერიოდის პირველ „სამუშაო დღემდე“ ორი „სამუშაო დღით“ ადრე არსებულ „სამუშაო დღეს“.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღარ მოხდება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ ყველა შემდგომი საპროცენტო პერიოდისთვის სარგებლის საპროცენტო განაკვეთს ერთჯერადად განსაზღვრავს შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღიდან“ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე პერიოდში „ემიტენტის“ მიერ სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოყენებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი; და (ii) [300] საბაზისო პუნქტი. ზემოთ მითითებული წესით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღდგება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ თითოეული შემდგომი საპროცენტო პერიოდისათვის ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთს კვლავ განსაზღვრავს 3-თვიან თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე არსებული წესით.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „ანგარიშსწორების თარიღიდან“ (წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როცა „ობლიგაციის“ თითოეული მფლობელი ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ გადაიწევეს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე მეტი. რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული) „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე ნაკლები, თუ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღი“ დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„ობლიგაციებზე“ პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირითადი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისთვის“ გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „რეგისტრირებული მფლობელებისათვის“ გაგზავნამდე.

„პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს 90-დღიან პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, პირველი პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, და ასევე ბოლო პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ბოლოს წინა დღეს და სრულდება „გამოსყიდვის თარიღზე“ (ამ თარიღის გამოკლებით).

2.1.6. ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული უფლებებისა და არსებობის შემთხვევაში, მასთან დაკავშირებული შეზღუდვების აღწერა; ფასიანი ქალაქების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა;

ფასიანი ქალაქების თავისუფალი მიმოქცევა შეზღუდული არ არის.

2.1.7. ფასიანი ქალაქების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუნარობის / გაკოტრების შემთხვევაში;

ემიტენტის გადახდისუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება უზრუნველყოფილ ვალდებულებად, განთავსდება პირველ რიგში და რადგან კომპანიის ფასიანი ქალაქების ყველა მფლობელის მოთხოვნები უზრუნველყოფილია პირველი რიგის გირავნობის, იმ მოთხოვნებთან მიმართებაში რომელიც ვერ დაიფარა ფასიანი ქალაქების უზრუნველყოფის საშუალებით, მთლიანი პორტფელის არაუზრუნველყოფილი ნაწილიდან ფასიანი ქალაქების მფლობელები pari passu დაკმაყოფილდებიან.

2.1.8. არსებობის შემთხვევაში, სარეიტინგო კომპანიების მიერ მინიჭებული ობლიგაციის რეიტინგები;

ობლიგაციებს არ გააჩნიათ საკრედიტო რეიტინგი.

2.1.9. დივიდენდების გაცემის პოლიტიკის აღწერა.

დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე.

3. შეთავაზების შესახებ ინფორმაცია

3.1. შეთავაზების პირობები და ვადები

შეთავაზება განხორციელდება ამ პროსპექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შეთავაზება დაიწყება პროსპექტის დამტკიცების შემდეგ და დასრულება ქვემოთ ჩამოთვლილი სამი შემთხვევიდან პირველივეს დადგომის შემთხვევაში:

- ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლისას;
- ბ)) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქალაქების სრულად განთავსებისას;
- გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტისას.

3.2. არსებობის შემთხვევაში, შესყიდვის განაცხადის მინიმალური ან / და მაქსიმალური თანხის ოდენობა (ფასიანი ქალაქების რაოდენობა ან ინვესტიციის ჯამური თანხა);

მინიმალური განაცხადი წარმოადგენს 1 (ერთ) ობლიგაციას. მაქსიმალურ რაოდენობაზე შეზღუდვა არ არის.

3.3. სავაჭროდ დაშვება და შემდგომი ვაჭრობა

3.3.1. ინფორმაცია იმის შესახებ, იგეგმება თუ არა შეთავაზებული ფასიანი ქალაქების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე პროსპექტის ძალაში ყოფნის პერიოდში. აგრეთვე ინფორმაცია ყველა იმ ბაზრის შესახებ, სადაც ემიტენტის სხვა ფასიანი ქალაქები ივაჭრება;

„ემიტენტი“ გეგმავს „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ მათ ლისტინგს საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

3.3.2. არსებობის შემთხვევაში, ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების პირობები

საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვება მოხდება ბირჟის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულების შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

შემდეგ ბმულზე - <https://gse.ge/upload/309ef15d.pdf> - შესაძლებელია „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების პირობების გაცნობა.

3.3.3. არსებობის შემთხვევაში, იმ პირთა დეტალები და მათი ვალდებულების ძირითადი პირობების აღწერა, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, იმოქმედონ შუამავლებად მეორად ვაჭრობაში და უზრუნველყონ შეთავაზების ლიკვიდურობა.

ასეთი არ არსებობს.

3.3.4. თუ პროსპექტით განსახორციელებელი საჯარო შეთავაზების პარალელურად ან ახლო პერიოდში იგეგმება იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების კერძო განთავსება, ან, თუ იგეგმება სხვა კლასის ფასიანი ქაღალდების საჯარო ან კერძო განთავსება, უნდა მიეთითოს ასეთი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, მახასიათებლები და ფასი;

ემიტენტი პარალელურად განიხილავს საჯარო ობლიგაციების გამოშვებას არაუმეტეს 20 მილიონი ლარის მოცულობით. ფასიანი ქაღალდების სხვა მახასიათებლები ამ ეტაპზე არ არის დაზუსტებული.

3.4. შეთავაზებასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯები, ინვესტორზე დაკისრებული დანახარჯების შეფასების ჩათვლით

გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციის განთავსებიდან მიღებული წმინდა სახსრები არ იქნება 98,000,000 ლარზე ნაკლები. „განთავსების“ საფასური/დანახარჯები არ დაეკისრება ინვესტორებს.

3.5. ემისიით/შეთავაზების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლისა და ჯამური ხარჯების ან მათი სავარაუდო ოდენობის მითითება; ხარჯები უნდა მოიცავდეს ინვესტორზე დაკისრებული დანახარჯებსაც

გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციის განთავსებიდან მიღებული წმინდა სახსრები არ იქნება 98,000,000 ლარზე ნაკლები. „განთავსების“ საფასური/დანახარჯები არ იქნება დაკისრებული ინვესტორებზე.

3.6. ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება;

სამეთვალყურეო საბჭოს 2023 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება

1 მაისი 2023

არაარსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ ცვლილების ამსახველი ოფიციალური წერილი სს „თიბისი ლიზინგი“

სს „თიბისი ლიზინგი“ (ს/ნ 205016560) 100,000,000 (ას მილიონ) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ობლიგაციების ემისიის პროსპექტში, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2023 წლის 17 მარტს N113 განკარგულებით, შედის 8 არაარსებითი ხასიათის ცვლილება.

ცვლილებების მიზეზი:

ცვლილებების მიზეზს წარმოადგენს (1) აუდიტორის დასახელების, (2) აუდიტორის მოსაზრების ტექსტის ფორმულირებისა და (3,4,5,6,7) ფინანსური მონაცემების, ასევე (8) შპს თიბისი კაპიტალსა და სს თიბისი ლიზინგს შორის შეთანხმების წერილის გაფორმების თარიღთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზის კორექტირება.

ცვლილებების შინაარსი:

ცვლილება 1: ობლიგაციის პროსპექტის მე-9 და 52-ე გვერდებზე აუდიტორის დასახელება:

"2019, 2020 და 2021 წლებში ემიტენტის ფინანსური აუდიტორი იყო „PricewaterhouseCoopers“-ის წევრი შპს „ფრანსუოთერჰაუსკუპერს საქართველო“."

შეიცვალოს შემდეგნაირად:

"ემიტენტის ფინანსური აუდიტორი იყო „PricewaterhouseCoopers International Limited“ ქსელის წევრი შპს „ფრანსუოთერჰაუსკუპერს საქართველო“."

ცვლილება 2: ობლიგაციის პროსპექტის მე-11 გვერდზე 2.2.3 პუნქტი:

"2021 და 2020 წლების აუდიტის დასკვნები არამოდიფიცირებულია და აუდიტორის აზრით ემიტენტის ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად, ყველა არსებით ასპექტში, წარმოაჩენს სს თიბისი ლიზინგის ფინანსურ პოზიციას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს ხსენებული თარიღისათვის დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად."

შეიცვალოს შემდეგნაირად:

"2021 და 2020 წლების აუდიტის დასკვნები არამოდიფიცირებულია და აუდიტორის აზრით ემიტენტის ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად, ყველა არსებით ასპექტში, წარმოაჩენს სს თიბისი ლიზინგის ფინანსურ მდგომარეობას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად."

ცვლილება 3: ობლიგაციის პროსპექტის 34-ე გვერდზე 2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ჭარბად უზრუნველყოფილი აქტივების მოცულობა შეიცვალოს და გახდეს 213,306,000, ნაცვლად 213,305,000-სა.

ცვლილება 4: ობლიგაციის პროსპექტში 70-ე გვერდზე თიბისი ჯგუფის აქციონერთა ჯგუფის შესახებ ინფორმაცია:

"თიბისი ბანკის ჯგუფის აქციონერთა შორისაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), Deutsche Investitions- und Entwicklungsgesellschaft (DEG) და Nederlandse Financierings-Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V. (FMO). სხვა საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორები, როგორებიცაა J.P. Morgan Chase Bank, N.A., London Branch („JPMorgan“) და Ashmore Cayman SPC No. 2 Ltd. („Ashmore“)."

შეიცვალოს შემდეგნაირად:

"თიბისი ბანკის ჯგუფის აქციონერთა შორისაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), Black Rock Inc., Dunross&Co და Allan Gray Investment. სხვა საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორები, როგორებიცაა J.P. Morgan Chase Bank, N.A., London Branch („JPMorgan“)."

ცვლილება 5: ობლიგაციის პროსპექტის მე-11, 73-ე და 86-ე გვერდებზე მოგება-ზარალის უწყის დაემატოს "შემოსულობა/ზარალი ფულადი ნაკადის ჰეჯირებიდან" (მე-11 გვერდზე ასევე დამატებულია "წლის სრული შემოსავალი". ასევე, დაკორექტირდეს "სხვა შემოსავალი", "მოგება დაბეგვრამდე", "წმინდა მოგება" და "სულ წლის სრული შემოსავალი", შემდეგნაირად:

| | | | | |
|--|---------------|---------------|----------------|--------------|
| სხვა შემოსავალი | 4,068 | 3,110 | 3,311 | 1,269 |
| მოგება დაბეგვრამდე | 13,331 | 12,141 | (3,158) | 8,166 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | - | - | - | - |
| წმინდა მოგება | 13,331 | 12,141 | (3,158) | 8,166 |
| შემოსულობა/ზარალი ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან | -32 | 264 | -394 | 162 |
| სულ წლის სრული შემოსავალი | 13,299 | 12,405 | (3,552) | 8,328 |

დაკორექტირებული ინფორმაცია ცვლილებამდე:

წმინდა მოგება, ემისიის პროსპექტის 73-ე და 86-ე გვერდები:

| | | | | |
|---------------|----------|----------|-------|---------|
| წმინდა მოგება | (13,331) | (12,140) | 3,158 | (8,166) |
|---------------|----------|----------|-------|---------|

სხვა შემოსავალი, ემისიის პროსპექტის 73-ე გვერდი:

| | | | | |
|-----------------|-------|-------|-------|-------|
| სხვა შემოსავალი | 4,068 | 3,110 | 3,310 | 1,269 |
|-----------------|-------|-------|-------|-------|

მოგება დაბეგვრამდე, ემისიის პროსპექტის 73-ე გვერდი:

| | | | | |
|--------------------|--------|--------|---------|-------|
| მოგება დაბეგვრამდე | 13,331 | 12,140 | (3,158) | 8,166 |
|--------------------|--------|--------|---------|-------|

სულ წლის სრული შემოსავალი, ემისიის პროსპექტის 73-ე და 86-ე გვერდები:

| | | | | |
|---------------------------|--------|--------|---------|-------|
| სულ წლის სრული შემოსავალი | 13,299 | 12,404 | (3,552) | 8,328 |
|---------------------------|--------|--------|---------|-------|

ცვლილება 6: ობლიგაციის პროსპექტის 83-გვერდზე აქტივების ბრუნვის სურათის ცხრილში შეიცვალოს 2020 წლის 31 დეკემბრის "დასაკუთრება" შემდეგნაირად:

| (ლარი) | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|-------------|------------|------------|------------|------------|
| დასაკუთრება | 27,779 | 15,121 | 10,442 | 8,955 |

„დასაკუთრება“ ცვლილებამდე:

| (ლარი) | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|-------------|------------|------------|------------|------------|
| დასაკუთრება | 27,779 | 15,121 | 11,442 | 8,955 |

ცვლილება 7: ობლიგაციის პროსპექტის 89-გვერდზე 2021 წლის შემოსავლების გადანაწილების ცხრილში დაკორექტირდეს "წლის წმინდა მოგება", "წლის მთლიანი სრული შემოსავალი" და "ლიზინგის ხელშეკრულებაზე გადახდილი ავანსები შემდეგნაირად:

| (000' ლარი) | ბიზნესი | საავტომობილო | საცალო | კორპორატიული ცენტრი და სხვა ოპერაციები | სულ |
|---|---------|--------------|--------|--|--------|
| წლის წმინდა მოგება | 6,360 | 2,136 | 2,001 | 1,643 | 12,140 |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | 6,360 | 2,136 | 2,001 | 1,907 | 12,404 |
| ლიზინგის ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები | 26,489 | 59 | 2,374 | - | 28,922 |

აღნიშნული კორექტირებამდე:

| (000' ლარი) | ბიზნესი | საავტომობილო | საცალო | კორპორატიული ცენტრი და სხვა ოპერაციები | სულ |
|---|---------|--------------|--------|--|--------|
| წლის წმინდა მოგება | 6,360 | 2,136 | 2,001 | 1,907 | 12,404 |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი | 6,360 | 2,136 | 2,001 | 1,643 | 12,140 |
| ლიზინგის ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები | 26,489 | 59 | 2,374 | - | 29,922 |

ცვლილება 8:

ცვლილება 8: ობლიგაციის პროსპექტის 158-ე გვერდზე შეთანხმების წერილის გაფორმების თარიღი შეიცვალოს, როგორც "2022 წლის 17 ივნისი" ნაცვლად „2022 წლის 17 ივლისისა“.

ცვლილებების სავარაუდო ზეგავლენა არსებულ თუ პოტენციურ ინვესტორთა გადაწყვეტილებაზე:


იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ წარმოდგენილი ცვლილებები არაარსებითი ხასიათისაა და მხოლოდ ემსახურები პროსპექტში მოცემული ინფორმაციის დამატებით დაზუსტებასა და კორექტირებას, ამიტომ ემიტენტის შეფასებით, ცვლილებას არ ექნება ზეგავლენა არც არსებული და არც პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილებაზე.


დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:


ბატონი გაიოზ გოგუა - დირექტორი

ბატონი გიორგი თხელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:


დირექტორი, გაიოზ გოგუა


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი თხელიძე


განთავსების აგენტის დირექტორი, მერი ჩაჩანიძე

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:



თავფურცელი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ემისიის წინასწარი პროსპექტი



თიბისი ლიზინგი

სააქციო საზოგადოება

„თიბისი ლიზინგი“

(საიდენტიფიკაციო კოდი: 205016560)

სალიზინგო პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციები, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 100,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 300 საბაზისო პუნქტი („სპრედი“) დამატებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე და რომლებიც ვადამოსული ხდება 2026 წლის 20 მარტს („ობლიგაციები“). ობლიგაციების კუპონის განაკვეთი შესაძლოა დაკორექტირდეს საკრედიტო რეიტინგის ცვლილების შესაბამისად.

ემიტენტმა შესაძლოა ობლიგაციები გამოითხოვოს ვადაზე ადრე შემდეგი პირობების შესაბამისად: ა) ობლიგაციების გამოთხოვა შესაძლოა მოხდეს მათი გამოშვებიდან 1 წლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს გამოშვებიდან 2 წლისა, ემიტენტის მიერ შერჩეულ ნებისმიერ თარიღში ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100.5%-ად, რასაც დაემატება დარიცხული, მაგრამ გადაუხდეელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან ბ) ობლიგაციების გამოთხოვა შესაძლოა მოხდეს მათი გამოშვებიდან 2 წლის შემდეგ, ემიტენტის მიერ შერჩეულ ნებისმიერ თარიღში ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%-ად, რასაც დაემატება დარიცხული, მაგრამ გადაუხდეელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გ) „ემიტენტთან“ არადაკავშირებული, სასესხო ტრანზაქციებიდან გამომდინარე ყველა კრედიტორის მიერ მათ სასარგებლოდ არსებული უზრუნველყოფის გამოთავისუფლების შემთხვევაში (რის შედეგადაც, ასეთი კრედიტორების მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულება ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებად), „ემიტენტი“ გახდება უფლებამოსილი ობლიგაციონერებს შესთავაზოს (i) „გირავნობის ხელშეკრულებით“ ობლიგაციონერების სასარგებლოდ შექმნილი უზრუნველყოფის გამოთავისუფლება და (ii) ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთის 0.25%-ით გაზრდა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ობლიგაციონერი არ დათანხმდება „ემიტენტის“ ზემოაღნიშნულ შეთავაზებას, „ემიტენტს“ უფლება ექნება მოითხოვოს, ხოლო შესაბამისი ობლიგაციონერი ვალდებული იქნება მიყიდოს „ემიტენტს“ მის საკუთრებაში არსებული ობლიგაციები სრულად გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს დამატებული „ვადამდე გამოსყიდვის თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდეელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ობლიგაციის მფლობელები უფლებამოსილნი არიან გაასხვისონ ან გადასცენ მათ მფლობელობაში არსებული ობლიგაციები მხოლოდ მთლიანად. ვინაიდან ობლიგაციების ნაწილის გასხვისება გამოიწვევს გირავნობის ხელშეკრულებაში ყველა მხარის მიერ ხელმოწერილი დადასტურებული ცვლილების დადების და რეგისტრაციის აუცილებლობას, მსგავსი გადაცემა აკრძალულია და ობლიგაციების მფლობელს შეუძლია მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული ობლიგაციების გასხვისება სრულად.

სალიზინგო პორტფელით უზრუნველყოფილი „ობლიგაციები“ გამოშვებულ იქნება არამატერიალური, რეგისტრირებული ფორმით სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგის“ („კომპანია“, „ემიტენტი“, „თიბისი ლიზინგი“) მიერ 2023 წლის 20 მარტს („გამოშვების თარიღი“), 1,000 ლარის ბანკნოტებად, და მათი გამოსყიდვა მოხდება 2026 წლის 20 მარტს („გამოსყიდვის თარიღი“), მათი ძირი ღირებულებით. „ობლიგაციებზე“ დარიცხული პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს კვარტალურად. გამოშვების ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ და უზრუნველყოფილ ვალდებულებებს. „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქცია უნდა მოხდეს შუამავლის (ბანკის ან ბროკერის) მეშვეობით.

სალიზინგო პორტფელით უზრუნველყოფილი ობლიგაციები წარმოადგენს ემიტენტის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფილია ემიტენტის კუთვნილი სალიზინგო პორტფელით, რაც ნიშნავს უზრუნველყოფის პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს კლიენტებისგან მისაღებ თანხებს (რაც თავის თავში მოიცავს აღნიშნული თანხების მოთხოვნის უფლებას და არა უშუალოდ ლიზინგის საგანს), იმ დროისათვის ემისიის პროსპექტიდან გამომდინარე ემისიის ძირი თანხის დაუფარავი ნაწილის 110%-იანი დაფარვის კოეფიციენტით, და ემიტენტის ყველა არსებულ და სამომავლო უფლებას და მოთხოვნას ამგვარი კლიენტებისგან მისაღებ თანხებთან.

განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტი
შპს „თიბისი კაპიტალი“




ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:


ბატონი გაიოზ გოგუა - დირექტორი


ბატონი გიორგი თხელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


ჩვენ, გაიოზ გოგუა და გიორგი თხელიძე, ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე:

ხელმოწერები:


დირექტორი




სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



განთავსების აგენტი:

შპს „თიბისი კაპიტალი“

მის: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

ტელ: (+995 32) 227 27 27

ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

ვებგვერდი: www.tbccapital.ge

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი

0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 1

ტელ: (995 32) 240 6120

ფაქსი: (995 32) 240 6577

ელფოსტა: info@nbg.ge

ვებგვერდი: www.nbg.ge

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მისი მიმღების მიერ, ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დაუშვებელია წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მთლიანად ან ნაწილობრივ გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ განსაზღვრული მიზნებისა.

„კომპანია“ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ არსებულ ინფორმაციაზე. „კომპანია“ აცხადებს, რომ მან მიიღო ყველა გონივრული ზომა „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაციის სისწორის და სისრულის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მასში არ არის გამოტოვებული რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს პროსპექტის შინაარსზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გავრცელება და „ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია აკრძალული იყოს ზოგიერთ სახელმწიფოში. ის პირები, ვის მფლობელობაშიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ აღმოჩნდება, ვალდებული არიან შეატყობინონ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“ (როგორც ეს განმარტებულია „შეთავაზების შესახებ ინფორმაციაში“) ამგვარი შეზღუდვების არსებობის და მათი დაცვის შესახებ.

დაუშვებელია „ობლიგაციების“ „განთავსება“, „საჯარო შეთავაზება“ ან „რეკლამირება“ (როგორც თითოეული ტერმინი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობით) საქართველოს გარდა სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და მასში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს „ობლიგაციების“ რეკლამას, შეთავაზებას, მოწვევას ოფერტზე, გაყიდვას, გაცვლას და/ან სხვაგვარ გადაცემას საქართველოს ფარგლებს გარეთ. წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს „ობლიგაციების“ შეთავაზებას მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ არის დამტკიცებული არც ერთი მარეგულირებელი ორგანოს მიერ, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა („სებ“), რომელიც ამჟამად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოფიციალურ მარეგულირებელ ორგანოს.

შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. საჯარო შეთავაზების პრინციპების მიხედვით, შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საცალო, ასევე გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე. „ობლიგაციების“ შეთავაზება არ უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფოში. უცხოელმა რეზიდენტებმა, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ადრესატები, უნდა უზრუნველყონ, რომ ჰქონდეთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში იმგვარად, რომ არ გახდნენ რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობის სუბიექტები. ამასთან, რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი დაქვემდებარების შემთხვევაში, ადრესატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“.

ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურს შეიძინოს ან შეისყიდოს „ობლიგაციები“, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელი სამთავრობო ან სხვაგვარი თანხმობა და დაიცვას ყველა შესაბამისი ფორმალობა.

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ პირდაპირ მოცემულ ან მითითების გზით მასში ჩართულ ინფორმაციას. „ობლიგაციების“ გამოცემასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით, არც ერთ პირს არ აქვს უფლება გასცეს ისეთი ინფორმაცია ან გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც არ არის მოცემული ან ჩართული წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. „კომპანია“ არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ინფორმაციაზე, რომელიც მოცემული ან ჩართული არ არის წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიწოდება ან მის საფუძველზე „ობლიგაციების“ გაყიდვა არ გულისხმობს, რომ „ემისიის პროსპექტის“ გაცემის თარიღიდან „კომპანიის“ საქმეებში არ შესულა ცვლილებები. პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რაიმე მატერიალური ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტი შესაბამისად განახლდება.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეთავაზების მიზნებისათვის ნებისმიერ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი შეთავაზება არ არის კანონიერი ან ნებადართული, ან ნებისმიერი ისეთი პირის მიმართ, რომლის მიმართაც ამგვარი შეთავაზების გაკეთება არ არის კანონიერი ან ნებადართული; არ ხორციელდება რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც დაუშვებდა „ობლიგაციების“ შეთავაზებას ან „ემისიის პროსპექტის“ გავრცელებას იმ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი ქმედება აუცილებელია.

შეთავაზება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. იხილეთ „რისკ-ფაქტორები“. არც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და არც „კომპანიის“ ან „განთავსების აგენტი“ მიერ „ობლიგაციებთან“ მიმართებით მიწოდებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და დაუშვებელია მათი ამ კუთხით განმარტება. თითოეულმა ინვესტორმა თავად უნდა განახორციელოს პოტენციური რისკების შეფასება. „ემისიის პროსპექტი“ არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და საინვესტიციო (მათ შორის, თითოეული ინვესტორის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული) შეფასების აღწერას. წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ იდენტიფიცირებული რისკები და საინვესტიციო შეფასებები მოცემულია ზოგადი ინფორმაციის სახით. ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ საკუთარ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩეველებთან „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საინვესტიციო შეფასებებთან მიმართებით; ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად. არც „კომპანია“ და არც „განთავსების აგენტი“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას „ობლიგაციების“ რომელიმე მყიდველის ან ოფერტის მიმღების წინაშე, „ობლიგაციების“ მყიდველის ან ოფერტის მიმღების მიერ შესაბამისი საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების კანონიერებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოცემა და გავრცელება, ასევე „ობლიგაციების“ ნებისმიერი შეთავაზება ან გაყიდვა, არ წარმოადგენს „კომპანიის“ ან მისი ნებისმიერი „აღმასრულებელი დირექტორის“, თანამდებობის პირის ან დასაქმებულის მიერ, „კომპანიის“ წესდებით („წესდება“), კანონმდებლობით ან სხვა რეგულაციით მინიჭებულ რაიმე ისეთ უფლებაზე, იმუნიტეტზე, პრივილეგიაზე ან შეღავათზე უარის თქმას, რომელიც მათ უნარჩუნდებათ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ საფუძველზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ მომზადებულია ქართულ ენაზე. შესაძლებელია მოხდეს „პროსპექტის“ სხვა ენებზე თარგმნა, რა შემთხვევაშიც თარგმანებს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება კომპანიის მიერ ნებისმიერი გზით გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულის იდენტურია.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ ქართულ ლარზე და „GEL“-ზე მითითება გულისხმობს საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე მითითებას.

„განთავსების აგენტი“ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ან ჩართული ინფორმაციის სისწორეზე და პოტენციურმა ინვესტორებმა სიფრთხილით უნდა გამოიყენონ აღნიშნული ინფორმაცია.

სარჩევი

| | |
|---|-----|
| თავფურცელი | 1 |
| სარჩევი | 6 |
| I. ზოგადი მიმოხილვა | 7 |
| 1. შესავალი | 7 |
| 2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ..... | 7 |
| 3. რისკის ფაქტორები..... | 16 |
| II. რისკის ფაქტორები | 19 |
| 1. ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები | 20 |
| 2. ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები..... | 32 |
| 3. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები..... | 43 |
| III. შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება..... | 49 |
| შეთავაზების მიზეზების აღწერა | 50 |
| მიღებული სახსრების გამოყენება | 50 |
| IV. სარეგისტრაციო დოკუმენტი..... | 51 |
| 1. პასუხისმგებელი პირები..... | 51 |
| 2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ..... | 52 |
| 3. საქმიანობის აღწერა..... | 55 |
| 4. ორგანიზაციული სტრუქტურა | 69 |
| 5. საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა | 71 |
| 6. მარეგულირებელი გარემო..... | 100 |
| 7. მოგების პროგნოზი და ვარაუდები..... | 109 |
| 8. მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები | 110 |
| 9. მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა | 116 |
| 10. თანამშრომლები..... | 118 |
| 11. მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები) | 118 |
| 12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან..... | 119 |
| 13. ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია | 119 |
| 14. დამატებითი ინფორმაცია | 122 |
| 15. მატერიალური ხელშეკრულებები..... | 123 |
| V. ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა..... | 124 |
| 1. მნიშვნელოვანი ინფორმაცია..... | 124 |
| 2. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს | 125 |
| 3. საჯარო შეთავაზების პირობები | 153 |

I. ზოგადი მიმოხილვა

1. შესავალი

1.1. ზოგადი ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების თაობაზე

| | |
|--|--|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება: | ლარის უზრუნველყოფილი ობლიგაცია |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია: | სს „თიბისი ლიზინგი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205016560) მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №76მ ელ. ფოსტა: info@rhcleasing.ge ტელ.: (+995 32) 2 212 27 77 |
| განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge ტელ.: (+995 32) 227 27 33 |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ: (995 32) 240 6406 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელფოსტა: info@nbg.gov.ge ვებგვერდი: www.nbg.gov.ge |
| დამტკიცების თარიღი: | 17 მაისი, 2023 წელი |

1.2. მითითება პროსპექტის შესახებ

წინამდებარე ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს. ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან. ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტია, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ანეცტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება.

2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

2.1. ემიტენტის შესახებ მოკლე ინფორმაცია

2.1.1. ემიტენტის იურიდიული და არსებობის შემთხვევაში კომერციული დასახელება:

„კომპანის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგი“.

2.1.2. ემიტენტის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა:

| | |
|------------------------------------|---|
| იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №76მ |
| სამართლებრივი ფორმა: | სააქციო საზოგადოება |
| რეგისტრაციის ქვეყანა: | საქართველო |
| მარეგულირებელი კანონმდებლობა: | საქართველო კანონმდებლობა |

2.1.3. ემიტენტის ძირითადი საქმიანობების, ამ საქმიანობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების, გაწეული მომსახურების ან/და წარმოებული საქონლის კატეგორიების, ასევე იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, რომელზეც წარმოდგენილია ემიტენტი;

კომპანია დაარსდა 2003 წელს თბილისი ბანკის მიერ და დაარსების დღიდან ბაზრის წილის ზრდაზე და კლიენტების მაღალი ხარისხით მომსახურებაზე იყო ორიენტირებული. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით სს თბილისი ლიზინგი ემსახურება 3600-ზე მეტ აქტიურ იურიდიულ და ფიზიკურ კლიენტს მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანიის ძირითადი მიმართულება არის ფინანსური ლიზინგის ფარგლებში გაუწიოს დაფინანსება ლიზინგის მიმღებებს და იყოს დამაკავშირებელი კვანძი მომწოდებელსა და საბოლოო მომხმარებელს შორის.

ემიტენტი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, როგორც არის „აწარმოე საქართველოში“ და „სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“, რომლის საშუალებითაც ხდება ახალი საწარმოების და დანადგარების დაფინანსება ლიზინგის მიმღებისთვის ხელმისაწვდომი და იაფი რესურსის საშუალებით.


2.1.4. ემიტენტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების დასახელება, ვინ ფლობს, ან აკონტროლებს ემიტენტს პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობით

„კომპანიის“ პირდაპირი და ბენეფიციარი მფლობელები შემდეგი პირები არიან:

კომპანიის აქციონერია სს „თბილისი ბანკი“ (საიდ. კოდი: 204854595), რომელიც ფლობს „კომპანიის“ აქციათა 100%-ს. სს „თბილისი ბანკი“ არის საქართველოში მოქმედი წამყვანი კომერციული ბანკი, რომელიც იმავდროულად დაღისტულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე და აქვს BB- საკრედიტო რეიტინგი ფიტჩ რეიტინგისაგან და Ba3 Moody-სგან. კომპანიის არაპირდაპირი მფლობელების შესახებ ინფორმაცია იხილეთ: <https://www.tbcbankgroup.com/investors/shareholding-structure/>

2.1.5. თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურის აღწერა მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:



კომპანიის 100% იანი წილის მფლობელი არის სს „თიბისი ბანკი“, რომლის 99.88 % იანი წილის მფლობელი არის გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული თიბისი ბანკის ჯგუფი, ხოლო დარჩენილი 0.12%-ის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული აქციონერები არიან.

2.1.6. ემიტენტის დირექტორების დასახელება პოზიციების მითითებით;

ემიტენტის უმაღლესი მენეჯმენტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

| სახელი | თანამდებობა |
|-------------------------|---|
| ბატონი გაიოზ გოგუა | სს თიბისი ლიზინგის გენერალური დირექტორი |
| ბატონი ნუგზარ ლოლაძე | სს თიბისი ლიზინგის ფინანსური დირექტორი |
| ბატონი ზურაბ გუგუშვილი | სს თიბისი ლიზინგის კომერციული დირექტორი |
| ბატონი გიორგი მაისურაძე | სს თიბისი ლიზინგის რისკების მართვის დირექტორი |

ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭო შედგება შემდეგი წევრებისგან:

| სახელი | თანამდებობა |
|-----------------------------|---|
| ბატონი გიორგი თხელიძე | თავჯდომარე |
| ქალბატონი ნინო მასურაშვილი | თავმჯდომარის მოადგილე |
| ქალბატონი მერი ჩაჩანიძე | წევრი |
| ბატონი თორნიკე გოგიჩაიშვილი | წევრი |
| ბატონი ზურაბ ფიჩხაია | საბჭოს დამოუკიდებელი წევრი/აუდიტის კომიტეტის ხელმძღვანელი |

2.1.7. ემიტენტის აუდიტორ(ებ)ისა და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე პირების ან ექსპერტების დასახელება, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მათი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში;

2019, 2020 და 2021 წლებში ემიტენტის ფინანსური აუდიტორი იყო „PricewaterhouseCoopers“-ის წევრი შპს „ფრანსუოთერჰაუსკუპერს საქართველო“.

| სარეგისტრაციო ნომერი | საიდენტიფიკაციო ნომერი | სახელწოდება | იურიდიული მისამართი | საკონტაქტო ნომერი |
|----------------------|------------------------|-------------------------------------|--|-----------------------|
| SARAS-F-775813 | 405220611 | შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო | საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქ., N12, ბლოკი ბ, სართული 7, საოფისე ფართი N38 | +(995 32) 2 250 80 50 |

ჩამოწერილი აქტივების შესაფასებლად ემიტენტი მესამე მხარის მომსახურებას იყენებს:

| საიდენტიფიკაციო ნომერი | სახელწოდება | იურიდიული მისამართი | საკონტაქტო ნომერი |
|------------------------|------------------------|---|-------------------|
| 211325056 | შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია | ბამბის რიგი 7, 0105 თბილისი, საქართველო | +995 32 2438 99 |

2.1.8. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაგ, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი.

| შეთავაზებაში ჩართული პირი | როლი შეთავაზებაში | ინტერესის აღწერა | ინტერესთა კონფლიქტის აღწერა |
|---------------------------|--------------------|---|---|
| შპს „თიბისი კაპიტალი“ | განთავსების აგენტი | წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსება და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება. | არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან და ემიტენტთან. ამ გარემოებამ შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვეთავში 5.3.3. „ყველა ინტერესთა კონფლიქტის აღწერა“. |

2.2. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.2.1. ემიტენტის შერჩეული ისტორიული ფინანსური ინფორმაცია ბოლო 2 ფინანსური წლისთვის, ამასთან თუ რელევანტურია, შუალედური ფინანსური ინფორმაცია შესაძარისი პერიოდის ინფორმაციასთან ერთად.

შემდეგ ცხრილში მოცემულია „ემიტენტის“ შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2022, 2021, 2020 და 2019 წლების მდგომარეობით. დეტალური ფინანსური მიმოხილვისთვის იხილეთ - „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

| (000' ლარი) | 2022 | 2021 | 2020 | 2019 |
|--|--------------------|----------------|----------------|----------------|
| | არა- აუდირებული | აუდირებული | აუდირებული | აუდირებული |
| ლიზინგიდან მიღებული შემოსავალი | 59,251 | 59,539 | 48,795 | 52,295 |
| საპროცენტო ხარჯი | -23,358 | -24,786 | -25,466 | -20,680 |
| წმინდა ფინანსური შემოსავალი | 26,468 | 25,709 | 15,110 | 23,915 |
| საერთო მოგების მარჟა | 44.13% | 48.36% | 14.33% | 44.65% |
| პირდაპირი სალიზინგო ხარჯი | 9,425 | 9,044 | 8,220 | 7,700 |
| ცვეთის ხარჯი | 1,740 | 1,539 | 1,740 | 1,784 |
| სხვა შემოსავალი | 4,068 | 3,111 | 3,311 | 1,269 |
| მოგება გადასახადებამდე | 13,331 | 12,141 | -3,158 | 8,166 |
| მოგების გადასახადის შემოსავალი/(ხარჯი) | - | - | - | - |
| წმინდა მოგება | 13,331 | 12,141 | -3,158 | 8,166 |
| საოპერაციო მოგების მარჟა | 22.50% | 20.39% | -6.47% | 15.61% |
| წმინდა მოგების მარჟა | 22.50% | 20.39% | -6.47% | 15.61% |
| მიმდინარე აქტივები | 216,744 | 206,236 | 219,256 | 177,861 |
| გრძელვადიანი აქტივები | 188,432 | 164,747 | 187,216 | 164,457 |
| სულ აქტივები | 405,177 | 370,984 | 406,470 | 342,316 |
| მიმდინარე ვალდებულებები | 228,157 | 113,284 | 94,027 | 205,293 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | 115,825 | 209,803 | 276,950 | 97,980 |
| კაპიტალი | 61,195 | 47,897 | 35,492 | 39,044 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 405,177 | 370,984 | 406,470 | 342,316 |

წმინდა მოგება = წმინდა ფინანსურ შემოსავალს +/- სხვა საოპერაციო და არასაოპერაცი შემოსავლები/ხარჯები და +/- მოგების გადასახადის შემოსავალი/ხარჯები.

2.2.2. განმარტების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ მონაცემებს თან უნდა ახლდეს პროფორმა ფინანსური ინფორმაცია, დანართი 5-ის მიხედვით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად.

„კომპანის“ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის შესყიდვის ან გაერთიანების გარიგებაში, რის გამოც პროფორმა ფინანსური მონაცემების საჭიროება არ არის.

2.2.3. თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტორის დასკვნის ტიპი (უპირობო, მოდიფიცირებული, პირობითი, უარყოფითი, უარი დასკვნის დაწერაზე) და პირობითი დასკვნის შემთხვევაში მიზეზების მოკლე აღწერა;

2021 და 2020 წლების აუდიტის დასკვნები არამოდიფიცირებულია და აუდიტორის აზრით ემიტენტის ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად, ყველა არსებით ასპექტში, წარმოაჩენს სს თიბისი ლიზინგის ფინანსურ პოზიციას 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს ხსენებული თარიღისათვის დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2.2.4. მოგების პროგნოზირებული ციფრის მითითება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული სახსრების გამოყენების ნაწილში ფიგურირებს ეს ციფრი და ხდება მისი პროგნოზი ან შეფასება.

მიღებული სახსრების გამოყენების ნაწილში არ ფიგურირებს პროგნოზირებული ციფრები, შესაბამისად „კომპანია“ არ წარადგენს საპროგნოზო მონაცემებს.

2.2.5. თუ ემიტენტის საბრუნავი კაპიტალი არ არის საკმარისი მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, უნდა მოხდეს ამის მითითება და უნდა აიხსნას მიზეზები.

| (000' ლარი) | 2022 | 2021 | 2020 | 2019 |
|-------------------------|----------------|------------|------------|------------|
| | არა-აუდირებული | აუდირებული | აუდირებული | აუდირებული |
| მიმდინარე აქტივები | 216,744 | 206,236 | 219,256 | 177,861 |
| მიმდინარე ვალდებულებები | 228,157 | 113,284 | 94,027 | 205,293 |

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბრუნავი კაპიტალი შეადგენდა მინუს 11,412 ათას ლარს (31.12.2021 92,829 ათასი ლარი). მიუხედავად უარყოფითი საბრუნავი კაპიტალისა კომპანიას არ უდგას პრობლემა მისი მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის, რადგანაც მას აქვს სტრატეგია არსებული ლიმიტების ფარგლებში ქართული კომერციული ბანკებიდან აითვისოს მოკლევადიანი სესხები, დაბალი ხარჯიანობიდან გამომდინარე, და ვადის დასრულების შემდეგ საჭიროების შესაბამისად ხელახლა მოიზიდოს აღნიშნული რესურსები.

ემიტენტს ქართულ ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საკრედიტო ლიმიტებზე, რომელთა ფარგლებშიც ახდენს თანხების ათვისებას საჭიროების მიხედვით. აღნიშნული სტრატეგია კომპანიისთვის საკმაოდ ეფექტურია, ერთის მხრივ იძლევა საშუალებას დაბალ პროცენტაინი რესურსის მოძიების, ხოლო მეორეს მხრივ აძლევს მოქნილობას აითვისოს საჭირო რესურსი მხოლოდ იმ მომენტში, როცა ამის საჭიროება რეალურად გააჩნია. ასეთი ლიმიტები როგორც წესი 1 წლიანი ვადით მტკიცდება. ვადის გასვლის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ლიმიტების განახლება. ასევე, ასეთ ლიმიტებს არ გააჩნიათ აუთვისებელ თანხაზე დარიცხული საკომისიო. შესაბამისად, ემიტენტისათვის ასეთი საკრედიტო ლიმიტებზე ხელმისაწვდომობა დამატებით ხარჯებთან არ არის დაკავშირებული.

2.2.6. ბოლო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, და/ან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა, რომელიც მატერიალური იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ემიტენტის გადახდისუნარიანობის მიმართ მატერიალურ ცვლილებებს ადგილი აქ ჰქონიათ.

2.2.7. არსებობის შემთხვევაში, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მიერ ემიტენტის ან/და მისი ფასიანი ქაღალდებისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულები;

2022 წელს კომპანიამ განაახლა Fitch Ratings-ის საკრედიტო რეიტინგი BB- სტაბილური პერსპექტივით. დეტალური ინფორმაცია საკრედიტო რეიტინგის შესახებ მოცემულია 2.5. ქვეთავში „კომპანიის საკრედიტო რეიტინგი“

2.2.8. ემიტენტის ბოლო 2 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ბაზაზე წესის დანართი 9-ის შესაბამისად დათვლილი ფინანსური კოეფიციენტები. აღნიშნული და დამატებით სხვა კოეფიციენტების წარდგენა უნდა მოხდეს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ემიტენტის ბიზნეს მოდელისა

და საქმიანობის ინდუსტრიისთვის. ამასთან, ყველა კოეფიციენტისათვის მითითებული უნდა იყოს გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ძირითადი კოეფიციენტები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოყვანილი კოეფიციენტები დათვლილია 2021, 2020 და 2019 წლებისთვის აუდირებული ფინანსური ანგარიშებიდან და 2022 წლის არააუდირებული ფინანსური ანგარიშებიდან.

19-25 მაჩვენებლების კალკულაციაში გამოყენებულია „მთლიანი პორტფელი“, რომელიც არის მენეჯერული პორტფელი და მოიცავს არა მხოლოდ იმ კონტრაქტებს, რომელზეც მოხდა აქტივის მოწოდება და ტრანსფორმირდა წმინდა ინვესტიციაში ფინანსურ ლიზინგში, არამედ მოიცავს ისეთ კონტრაქტებს, რომლებზეც გაფორმდა სამხრევი ხელშეკრულება ლიზინგის გამცემს, ლიზინგის მიმღებს და მომწოდებელს შორის, მაგრამ რეპორტინგის თარიღისთვის არ მომხდარა აქტივის მოწოდება. ასეთი ტიპის ხელშეკრულებების წილი მთლიან პორტფელში 2022 წლის დეკემბრის ბოლოს მონაცემებით 13.1%-ია. აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება არა მხოლოდ კოეფიციენტების კალკულაციაშია, არამედ ასევე შიდა კომერციული მიზნებისთვის, მენეჯმენტის და თანამშრომლების შესაფასებლად და სალიზინგო კომპანიებს შორის ბაზრის წილის ანალიზისათვის.

| | 2022 | 2021 | 2020 | 2019 |
|--|-------|-------|-------|-------|
| ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები | | | | |
| (1) სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი | 4.94 | 6.26 | 10.08 | 7.0 |
| (2) პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR) | 1.57 | 1.49 | 0.88 | 1.39 |
| (3) მთლიანი ვალის კოეფიციენტი (ობლიგაციის კოვენანტი) | 0.75 | 0.81 | 0.88 | 0.80 |
| (4) მთლიანი უზრუნველყოფილი ვალის კოეფიციენტი | 0.67 | 0.72 | 0.79 | 0.71 |
| მომგებიანობის კოეფიციენტები | | | | |
| (5) უკუგება საშუალო კაპიტალზე | 32.7% | 29.1% | -8.5% | 25.6% |
| (6) უკუგება საშუალო აქტივებზე | 3.4% | 3.1% | -0.8% | 2.6% |
| (7) ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი | 6.1% | 4.3% | -1.4% | 5.7% |
| (8) საერთო მოგების მარჟა | 44.1% | 48.4% | 14.3% | 44.7% |
| (9) წმინდა ფინანსური შემოსავლის მარჟა | 44.7% | 43.2% | 31.0% | 45.7% |
| (10) წმინდა მოგების მარჟა | 22.5% | 20.4% | -6.5% | 15.6% |
| (11) საოპერაციო მოგების მარჟა | 22.5% | 20.4% | -6.5% | 15.6% |
| ლიკვიდურობის კოეფიციენტები | | | | |
| (12) ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები | 11.3% | 12.3% | 22.5% | 5.7% |

| | | | | |
|---|---------|---------|--------|--------|
| (13) ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები | 0.2 | 0.4 | 1.0 | 0.1 |
| (14) საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (Working Capital turnover) | -5.2 | 0.6 | 0.4 | (1.9) |
| საოპერაციო კოეფიციენტები | | | | |
| (15) ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი | 1558.1% | 1096.1% | 653.9% | 596.6% |
| (16) ხარჯი-შემოსავალთან | 35.3% | 39.6% | 61.4% | 43.4% |
| სხვა კოეფიციენტები | | | | |
| (17) საკრედიტო ზარალის დონე | 2.6% | 2.9% | 3.7% | 1.1% |
| (18) რისკის მართვის ხარჯი (COR) | 1.7% | 1.8% | 3.5% | 1.9% |
| (19) დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები მთლიან პორტფელთან | 0.6% | 1.0% | 1.2% | 1.4% |
| (20) ტოპ 10 მსესხებელზე გაცემული სესხები მთლიან პორტფელთან | 13.8% | 18.7% | 21.0% | 20.1% |
| (21) უმოქმედო სესხები მთლიან პორტფელთან | 3.4% | 4.1% | 1.6% | 3.2% |
| (22) Par 30 სესხები მთლიან პორტფელთან | 11.6% | 15.3% | 3.4% | 6.2% |
| (23) Par 90 სესხები მთლიან პორტფელთან | 2.3% | 4.9% | 1.1% | 2.8% |
| (24) რესტრუქტურირებული პორტფელი მთლიან პორტფელთან | 1.2% | 0.8% | 0.5% | 0.4% |
| (25) ჩამოწერილი პორტფელი მთლიან პორტფელთან | 0.2% | 0.1% | 0.3% | 0.1% |
| (26) LTV | 65.7% | 65.7% | 68.8% | 67.1% |

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილი კოეფიციენტები ეყრდნობა 2019, 2020, 2021 წლების აუდირებულ და 2022 წლის არააუდირებულ მონაცემებს. #17-26 კოეფიციენტები პირდაპირ არ ითვლება აუდირებული ფინანსური მონაცემების საფუძველზე და მნიშვნელში შეიცავს მთლიან პორტფელს.

ობლიგაციების გამოშვების შემდგომ მე-4, მე-6, მე-7, მე-13 და მე-14 კოეფიციენტებზე გამოთვლილია ობლიგაციების გამოშვების სავარაუდო ეფექტი, ხოლო დანარჩენ კოეფიციენტებზე მიმდინარე ემისიას არ ექნება მატერიალური ზეგავლენა. მაჩვენებლების ცვლილების მიზეზებთან დაკავშირებით იხილეთ თავი „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

ობლიგაციების გამოშვების ეფექტი კოეფიციენტებზე

| | |
|--|-------|
| (4) მთლიანი უზრუნველყოფილი ვალის კოეფიციენტი | 0.70 |
| (6) უკუგება საშუალო აქტივებზე | 3.26% |
| (7) ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი | 5.0% |
| (13) ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები | 0.27 |

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები

- (1) საპროცენტო ვალდებულებები („საპროცენტო ვალდებულებები“ მოიცავს: სესხებს ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან, გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებსა და სუბორდინირებულ სესხებს). და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი - მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები და ობლიგაციები გაყოფილი აქციონერთა კაპიტალზე.
- (2) პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR) - EBIT/(საპროცენტო ხარჯი (სენიორ და სუბორდინირებულ სესხებისა და ობლიგაციების საპროცენტო ხარჯი)
- (3) მთლიანი ვალის კოეფიციენტი - მიღებული საპროცენტო ვალდებულებები შეფარდებული მთლიან აქტივებთან
- (4) მთლიანი უზრუნველყოფილი ვალის კოეფიციენტი - მიღებული უზრუნველყოფილი სესხები შეფარდებული მთლიან აქტივებთან. კოეფიციენტი წარმოადგენს მიმდინარე ობლიგაციების ფინანსურ კოვენანტს.

მომგებიანობის კოეფიციენტები

- (5) უკუგება საშუალო კაპიტალზე - წმინდა მოგების ფარდობა პერიოდის საშუალო კაპიტალთან
- (6) უკუგება საშუალო აქტივებზე წმინდა მოგების ფარდობა პერიოდის საშუალო მთლიან აქტივებთან
- (7) ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი - ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი- მოგება დაბეგვრამდე შეფარდებული პერიოდის საშუალო აქციონერთა კაპიტალისა და გრძელვადიანი საპროცენტო ვალდებულებების ჯამზე.
- (8) საერთო მოგების მარჟა- წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების შემდეგ შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან
- (9) წმინდა ფინანსური შემოსავლის მარჟა- წმინდა ფინანსური შემოსავლის შეფარდება საპროცენტო შემოსავალთან
- (10) წმინდა მოგების მარჟა- წმინდა მოგება შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან
- (11) საოპერაციო მოგების მარჟა მოგება დაბეგვრამდე შეფარდებული საპროცენტო შემოსავალთან

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

- (12) ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები - ფული და ფულის ეკვივალენტებს პლუს ბანკიდან მისაღები სახსრები შეფარდებული მთლიან აქტივებთან
- (13) ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები - ფული და ფულის ეკვივალენტებს პლუს ბანკიდან მისაღები სახსრები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან
- (14) საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (Working Capital turnover)- შემოსავლები ფინანსური და საოპერაციო ლიზინგიდან შეფარდებული საბრუნავ კაპიტალთან (მოკლევადიან აქტივებს - მოკლევადიანი ვალდებულებები)

საოპერაციო კოეფიციენტები

- (15) ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი წლიური გაყიდვები გაყოფილი საშუალო წლიურ ძირითად საშუალებებზე
- (16) ხარჯი-შემოსავალთან ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯების შეფარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალთან

სხვა კოეფიციენტები

- (17) საკრედიტო ზარალის დონე - ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხი შეფარდება გროს ინვესტიციებთან ფინანსურ ლიზინგში

- (18) რისკის მართვის ხარჯი (COR) - გაუფასურების მთლიანი ხარჯი (ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხისა და სხვა ფინანსურ აქტივებში გაუფასურების ანარიცხის ჯამი) შეფარდებული საშუალო მთლიან პორტფელთან (ყოველთვიური მთლიანი პორტფელის საშუალო)
- (19) დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები მთლიან პორტფელთან - აღნიშნული კოეფიციენტი ტოლია დაკავშირებული მხარის სესხების ფარდობისა იმავე პერიოდის მთლიან სასესხო პორტფელთან
- (20) ტოპ 10 მსესხებელზე გაცემული სესხები მთლიან პორტფელთან - აღნიშნული კოეფიციენტი ტოლია პერიოდის ბოლოს ტოპ 10 მსესხებლის ბალანსის ფარდობისა მთლიან სასესხო პორტფელთან
- (21) უმოქმედო სესხები მთლიან პორტფელთან მთლიანი სესხების ნაწილს რომელთა ვადაგადაცილება მეტია 90 დღეზე პლუს არაჯანსაღი რესტრუქტურირებული სესხების ნაწილი რომელთა ვადაგადაცილება ნაკლებია 90 დღეზე შეფარდებული მთლიან პორტფელთან
- (22) Par 30 მთლიან პორტფელთან - მთლიანი სესხების ნაწილი რომელთა ვადაგადაცილება მეტია 90 დღეზე შეფარდებული მთლიან პორტფელთან
- (23) Par 90 მთლიან პორტფელთან - მთლიანი სესხების ნაწილი რომელთა ვადაგადაცილება მეტია 90 დღეზე შეფარდებული მთლიან პორტფელთან
- (24) რესტრუქტურირებული პორტფელი მთლიან პორტფელთან - არაჯანსაღი რესტრუქტურირებული პორტფელის შეფარდება საშუალო მთლიან პორტფელთან
- (25) ჩამოწერილი პორტფელი მთლიან პორტფელთან - შესაბამისი პერიოდის ჩამოწერილი სალიზინგო პორტფელის ფარდობა საშუალო მთლიან სალიზინგო პორტფელთან
- (26) LTV - ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში/დაფინანსებული აქტივების მიმდინარე საბაზრო ღირებულებასთან

3. რისკის ფაქტორები

3.1. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის:

1. 1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა
1. 2. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დამახულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.
1. 3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;
1. 4. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიას ემიტენტის ბიზნესზე
1. 5. საქართველოში არსებულმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.
1. 6. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები
 1. 6. 1. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე.
 1. 6. 2. გადახდისუნარიობის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში საკმაოდ განუვითარებელია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე.
 1. 6. 3. საქართველოს საგადასახდო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახდო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.
 1. 6. 4. შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით

1. 6. 5. ახალი „მეწარმეთა შესახებ“. კანონის შესაბამისად, ასევე მომავალმა ან მიმდინარე ცვლილებებმა კანონმდებლობაში შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე
 1. 6. 6. კორუფციასთან ბრძოლის, მათ შორის, მექრთამეობასთან ბრძოლის კანონებთან შეუსაბამობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის რეპუტაციასა და ბიზნესზე.
 1. 6. 7. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე
 1. 6. 8. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, ან მისი საქმიანობა რაიმე სახით დაკავშირებული იქნება აღნიშნული ტიპის სქემებთან, აღნიშნულს შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე.
 1. 6. 9. კომპანიის საქმიანობაზე ვრცელდება კომპლექსური და ცვალებადი კანონები თუ რეგულაციები, რომლებიც ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, მონაცემთა დაცვის და სხვა საკითხებს.
 1. 7. მარეგულირებელ გარემოსთან დაკავშირებული რისკები
 1. 7. 1. საქართველოში სალიზინგო ბაზარი ამჯერად არარეგულირებულია, ამასთან გარკვეულ ეტაპზე აღნიშნული სექტორი შეიძლება საზედამხედველო რეგულაციების საგანი გახდეს.
 1. 7. 2. ძირითადი რეგულაციები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ ნეგატიური გავლენა კომპანიის მიერ დაფინანსებულ სექტორებზე, რაც შესაბამისად აისახება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე
 1. 7. 2. 1. კომპანიის პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი მშენებლობის სექტორზე მოდის. ამ სექტორთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა სხვადასხვა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.
 1. 7. 2. 2. ახალმა რეგულაციამ, რომელიც ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერებას ეხება, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე
 1. 8. დარგი, რომელშიც კომპანია საქმიანობს, უფრო და უფრო კონკურენტული ხდება
- 3.2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის.
2. 1. საკრედიტო რისკები
 2. 1. 1. აქტივების ხარისხის მნიშვნელოვანმა გაუარესებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე.
 2. 1. 2. კომპანიის სალიზინგო აქტივები და ფინანსური უზრუნველყოფა ან გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი, ან შესაძლოა აღნიშნული აქტივების საბაზრო ღირებულება არსებითად შემცირდეს და კომპანიამ ამ ან სხვა მიზეზით სრულად ვერ მოახდინოს მათი რეალიზება.
 2. 1. 3. ფინანსური ლიზინგის აქტივების შესაძლო გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად.
 2. 1. 4. კომპანიის სადაზღვევო ანაზღაურებამ შესაძლოა სრულად არ აანაზღაუროს პოტენციური ვალდებულებები ან დანაკარგები.
 2. 1. 5. კლიენტების კონცენტრაციის რისკი
 2. 1. 6. სექტორზე დამოკიდებულების რისკი
 2. 1. 7. კლიენტის გადახდისუნარიანობის რისკი
 2. 1. 8. აქტივების ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული რისკები
 2. 2. საოპერაციო რისკები
 2. 2. 1. კომპანიის რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემების გაუმართავობის შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება ვერ მოახერხოს ყველა რისკის ეფექტური მიტიგაცია
 2. 2. 2. კომპანიის საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების სათანადო ფუნქციონირებაზე.

- 2. 2. 3. კომპანიამ შესაძლოა დროულად ვერ აღმოაჩინოს ან თავიდან ვერ აიცილოს მისი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენა
- 2. 2. 4. გამყიდველის/მომწოდებლის რისკი
- 2. 2. 5. სხვა საოპერაციო რისკები
- 2. 3. ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები
 - 2. 3. 1. კომპანიას გააჩნია დავალიანების დროულად დაფარვის უუნარობის და შესაბამისად დავალიანების შემდგომი ზრდის რისკი
 - 2. 3. 2. კომპანიის საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფინანსური სახსრების დროულად და ხელსაყრელ პირობებში მოზიდვაზე
 - 2. 3. 3. საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.
 - 2. 3. 4. კომპანიის შემოსავლები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, რამაც თავის მხრივ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.
 - 2. 3. 5. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მაკონტროლებელი აქციონერი კვლავაც გააგრძელებს კომპანიის მხარდაჭერას, ხოლო კომპანიის კონტროლის ცვლილებამ კი შეიძლება არსებითი ხასიათის უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლიზინგის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.
- 2. 4. საბაზრო რისკები
 - 2. 4. 1. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში
 - 2. 4. 2. კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში
- 2. 5. რეპუტაციული რისკები
 - 2. 5. 1. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვებს და სხვა ტიპის ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას
- 2. 6. სტრატეგიული განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები
 - 2. 6. 1. კომპანიის შემდგომი საქმიანობა და მისი სტრატეგიის წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი და საკვანძო თანამშრომლები
 - 2. 6. 2. კომპანიის სტრატეგიის და მისი საქმიანობის წარმატებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სალიზინგო აქტივების ზრდა.
 - 2. 6. 3. ემიტენტის დედა კომპანია „სს თიბისი ბანკის ჯგუფის“ აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რაც გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული.

3.3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის:

- 3. 1. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ზოგადი რისკები
 - 3. 1. 1. ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.
 - 3. 1. 2. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.
 - 3. 1. 3. „ობლიგაციების“ საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი.
 - 3. 1. 4. ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.
 - 3. 1. 5. „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.
 - 3. 1. 6. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის.
 - 3. 1. 7. „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.
 - 3. 1. 8. არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი.

3. 1. 9. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „რეგისტრატორის“ და შესაბამის შემთხვევებში - „ობლიგაციების ნომინალური მფლობელის“ პროცედურებს.
3. 1. 10. „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე ან უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულების წესზე არ იყოს მისაღები რომელიმე ინვესტორისთვის.
3. 2. უზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული რისკები
 3. 2. 1. გირავნობის რიგითობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კანონისმიერმა ან მესამე პირების მიერ გამოყენებულმა შეზღუდვებმა.
 3. 2. 2. ობლიგაციონერები შესაძლოა იძულებულნი გახდნენ რომ გირავნობის საგანი სხვა კრედიტორებს „გაუყონ“.
 3. 2. 3. გირავნობის საგანს წარმოადგენს ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება და არა ლიზინგის საგანი.
 3. 2. 4. გირავნობის საგნის ხარისხის გაუარესებისა და გაუფასურების რისკი.
 3. 2. 5. ობლიგაციონერების სასარგებლოდ დაგირავებული პორტფელი შესაძლოა არ იყოს საკმარისად იდენტიფიცირებადი.
 3. 2. 6. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და ობლიგაციების გადაცემასთან დაკავშირებული რისკები.
 3. 2. 7. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს.

II. რისკის ფაქტორები

„ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. პოტენციურმა ინვესტორებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ წინამდებარე პროსპექტი და „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სხვა საკითხებს შორის, უნდა გაანალიზონ ამგვარი ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკი, ქვემოთ მოცემული რისკ-ფაქტორების ჩათვლით. აღნიშნულმა რისკ-ფაქტორებმა, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხები და ასევე „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით დარიცხული პროცენტები და სხვა თანხები. ეს რისკები უნდა გაანალიზდეს წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემულ ყველა სხვა ინფორმაციასთან ერთად.

ამასთან, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც, „კომპანიის“ აზრით, მნიშვნელოვანია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასების მიზნით. „ობლიგაციების“ ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს ნებისმიერი ქვემოთ მოცემული რისკის გამო და პოტენციურმა ინვესტორებმა შესაძლებელია ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგონ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია. „კომპანიის“ აზრით, ქვემოთ აღწერილი რისკები წარმოადგენს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, თუმცა შესაძლებელია არსებობდეს დამატებითი რისკები და გაურკვეველი საკითხები, რომელსაც „კომპანია“ ამჟამად მიიჩნევს უმნიშვნელოდ ან არ გააჩნია მათ შესახებ ინფორმაცია, და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა ან გაურკვეველმა საკითხმა შესაძლებელია იქონიოს ქვემოთ აღწერილი რისკების მსგავსი შედეგები.

ინვესტიციის განხორციელება „ობლიგაციებში“ შეიცავს იმ რისკებს, რომელიც არ არის ტიპურად დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისთვის. შესაბამისად, პოტენციურმა ინვესტორებმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეაფასონ შესაძლო რისკები და, აღნიშნული რისკების გათვალისწინებით, თავად გადაწყვიტონ რამდენად არის მათ მიერ ინვესტიციის განხორციელება მიზანშეწონილი. განვითარებად ბაზრებში ინვესტიციის განხორციელება მიზანშეწონილია მხოლოდ გამოცდილი ინვესტორებისთვის, რომლებიც სრულად აცნობიერებენ შესაძლო რისკების მნიშვნელობას. „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, პოტენციური ინვესტორებისთვის აუცილებელია კონსულტაცია გაიარონ თავიანთ სამართლებრივ და ფინანსურ მრჩევლებთან.

ასევე, „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საკითხებთან დაკავშირებით, ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩეველებთან და ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად.

1. ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

1.1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველოა

ინვესტორებმა, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარ ბაზრებზე არსებობს უფრო მაღალი რისკები განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, მათ შორის, მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. აღნიშნული რისკები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მაღალი ცვალებადობით, ამასთან, განვითარებადი ბაზრებისთვის დამახასიათებელია შეზღუდული ლიკვიდურობა, ვიწრო საექსპორტო ბაზა, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი და ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში. ინვესტორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ იმგვარი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც აქვს საქართველოს, ხშირად იცვლება და წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია შედარებით სწრაფად გახდეს მოძველებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფცია, საქართველოს მსგავს განვითარებად ბაზრებში მაინც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მთავრობის წარმომადგენლების კორუფციას და სახელმწიფო სახსრების არამართლზომიერ გამოყენებას.

კომპანიებზე, რომლებიც საქმიანობენ ისეთ განვითარებად ბაზრებზე, როგორც საქართველოა, შესაძლებელია გავლენა იქონიოს კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების რღვევამ და დაფინანსების ხარჯების ზრდამ ან ხელმისაწვდომობის შემცირებამ, რამაც შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სირთულეები ამ კომპანიებისთვის. „კომპანია“ ვერ იწინასწარმეტყველებს იმ გავლენას, რაც გლობალური ბაზრების ცვალებადობის გაგრძელებამ ან განახლებამ შეიძლება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, თავის მხრივ, „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

გარდა ამისა, კომპანიებისთვის კრედიტის ხელმისაწვდომობა განვითარებად ბაზრებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინვესტორის ნდობის ხარისხზე მთლიანად განვითარებადი ბაზრების მიმართ. საერთაშორისო ინვესტორების რეაქციას იმ მოვლენებზე, რომლებიც ხდება ერთ განვითარებად ბაზარზე, აქვს ჯაჭვური ეფექტი და ამ შემთხვევაში მთლიანი რეგიონი ან ინვესტიციის კლასი კარგავს მიმზიდველობას ინვესტორებისთვის. ამგვარი მოვლენები მოიცავს საკრედიტო რეიტინგის შემცირებას ან სახელმწიფოს ან ცენტრალური ბანკის ჩარევას ერთ ან რამდენიმე ბაზარზე, მიუხედავად იმისა, ეს დაკავშირებულია თუ არა კონკრეტულ ქვეყანასთან ან რეგიონთან. თუ ადგილი ექნება ამგვარ „გადამდებ“ ეფექტს, შესაძლებელია საქართველოზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა სხვა ქვეყნების განვითარებად ბაზრებზე. წარსულში „გადამდებმა“ ეფექტებმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოზე, მათ შორის, რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა 1998 წელს და 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, ასევე რეგიონში განგრძობადმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და ბაზრის ცვალებადობამ. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მასზე მსგავსი მოვლენები მომავალშიც არ იქონიებს გავლენას.

ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედებას ახდენს იმ ქვეყნის ეკონომიკური გარემო, რომელშიც ის ბიზნეს საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, კომპანიის შემდგომ განვითარებაზე უდიდესი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპსა და საბაზრო პირობებს. კომპანიის შემოსავლის უდიდესი წყარო მოსახლეობაში დამატებითი ფულადი სახსრების საჭიროებითა და მოთხოვნით არის განპირობებული,

აქედან გამომდინარე კომპანიის შედეგები საკმაოდ სენსიტიურია ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან მიმართებაში. ქვეყნის, რეგიონის ან საერთაშორისო მასშტაბით ეკონომიკაში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინონ კომპანიის შედეგებზე, მის უნარზე წარმატებით დანერგოს საკუთარი სტრატეგია და მის ფინანსურსა თუ საოპერაციო შედეგებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიის საქმიანობაზე, მოქმედებს არამხოლოდ შინაგანი ფაქტორები, არამედ ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა მართვაც კომპანიას არ ექვემდებარება. მსგავსი მაჩვენებლები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ინფლაცია თუ დეფლაცია, სავალუტო კურსის რყევები, წვდომა დაფინანსებასა თუ საპროცენტო განაკვეთების დონეები. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და მოულოდნელმა ან ხშირმა ცვლილებებმა სახელმწიფოს მაკროეკონომიკასა თუ პოლიტიკაში შესაძლოა არსებითად და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია მოახერხებს აღნიშნული რისკების რეალიზების შემთხვევაში მათ წარმატებით მიტიგაციას და შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ ამ რისკების რეალიზება უარყოფით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საოპერაციო თუ ფინანსურ შედეგებზე და მის სამომავლო პერსპექტივაზე.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Positive Outlook), განახლების თარიღი: 2023 წლის 27 იანვარი;
- Moody’s – Ba2 (Negative Outlook), განახლების თარიღი: 2022 წლის 28 აპრილი;
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook), განახლების თარიღი: 2022 წლის 25 თებერვალი;

1.2. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და ამ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს. რეგიონში და თითოეულ მოსაზღვრე ქვეყანაში პოლიტიკურმა დაძაბულობამ შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, „კომპანიაზე“. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2019 წელს შეადგინა 13.4% და 11.4%, შესაბამისად. 2022 წელს კი აზერბაიჯანის და სომხეთის წილი მცირედით, შემცირდა საქართველოს მთლიან ექსპორტში და შესაბამისად შეადგინა 12.0% და 10.5%. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 2019 წელს 13.1%-ს, 2020 წელს- 13.2%-ს, ხოლო 2021 წელს - 14.4%-ს შეადგენდა. 2022 წელს რუსეთის წილი საქართველოს ექსპორტში 11.7%-ს გაუტოლდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს იმპორტიორს საქართველოსთვის, და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან იმპორტში შეადგენდა 17.0%-ს 2019 წელს, 17.5%-ს 2020 წელს, 18.1%-ს 2021 წელს და 17.6%-ს 2022 წელს. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.2%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. 2022 წელს ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 7.2%-ს და 2.0%-ს შეადგენდა. შესაბამისად რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება ექსპორტის, ტურიზმის და ფულადი გზავნილების კუთხით საკმაოდ მაღალია. მაგალითად, 2021 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონლის ღირებულება, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა რუსი ვიზიტორებისგან და რუსეთიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა ჯამში მშპ-ს 6.3% შეადგინა.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრა საყურადღებო რისკის წყაროს წარმოადგენს საქართველოსთვის. ამ ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების ეკონომიკებს, არამედ - რეგიონსა და მსოფლიოს. ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების,

ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით აზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლურმა ცენტრალურმა ბანკებმა გაზარდეს საპროცენტო განაკვეთებს, რამაც გლობალური ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. საქართველო ღია ეკონომიკაა, რომელიც ჩართულია გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია, მისი დროში გახანგრძლივება, დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაურკვევლობის დონის ზრდა გაამძაფრებს რეგიონში და მსოფლიოში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობას და თავისთავად, შექმნის პოლიტიკურ-ეკონომიკური რისკებს საქართველოსთვისაც.

გარდა მიმდინარე ომისა, რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ არაერთხელ გახდარა საქართველოს ეკონომიკისთვის და მისი ამა თუ იმ დარგისთვის გამოწვევების შემქმნელი. ამის მაგალითია 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ღვინის ემბარგოს დაწესება, რამაც საშუალოვადიან პერიოდში დიდი სირთულეები შეუქმნა ღვინის ინდუსტრიას. გარდა ამისა, 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთმა აკრძალა პირდაპირი საჰაერო ფრენები საქართველოს მიმართულებით, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზეც. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკისთვის რისკის მატარებელია, ასევე, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დამაბული პოლიტიკური ურთიერთობა. 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ამ ორ ქვეყანას შორის გამართულმა საომარმა მოქმედებებმა უარყოფითად იმოქმედა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და გააჩინა უარყოფითი მოლოდინები. დღეისთვის კონფლიქტი შეწყვეტილია. მისმა განახლებამ შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეგიონში, მათ შორის საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასა და ტურიზმის სექტორზე და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერჯის სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში;
- ცვლილება ქართველი მწარმოებლებისთვის მსოფლიო საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობაში ;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება .
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა შეზღუდულია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2022 წლის 8 თვეში, ლარის-აშშ დოლარის და ლარის-ევროს ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ (მათ შორის, გაყიდვებისა და შესყიდვების ჯამი, ეროვნული ბანკის საქმიანობის გარდა) შესაბამისად 48.3 მილიარდი აშშ დოლარი და 25.2 მილიარდი ევრო შეადგინა. საქართველოს ეროვნული

ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვმა 3.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2022 წლის 31 მაისის მდგომარეობით, რომელიც წლიურად 7.2%-ით არის შემცირებული. რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე. წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჰაერო ფრენები აკრძალვა, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემა (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 3.48 ლარს 1 აშშ დოლარზე, მიაღწია), რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნისშიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარება დაიწყო და აღიდგინა ყველა ის დანაკარგი, რომელიც თებერვალსა და მარტში მიიღო. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ადგილობრივი ვალუტის სიმყარის შენარჩუნებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკითაც შეუწყო ხელი. აგრეთვე, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქსტატის შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2018 წელს 2.6%, 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6% და 2022 წელს 9.8% იყო. მაღალი ინფლაციის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 0.5 პროცენტული ერთეულით, 11%-მდე გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის არსებული მაღალი დონე გლობალური ფენომენია და ძირითადად გამოწვეულია მიწოდების მხარის ფაქტორებით, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა დაეხმარება სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე შემცირებაში. ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კორპორაციული კლიენტების ბიზნესებზე. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე. „კომპანიას“ აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი აქვს სხვადასხვა ვალუტებში. დეტალური ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით იხილეთ თავში „სავალუტო პოზიცია“.

1.4. მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე

მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური მოვლენები და სხვა, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. ერთის მხრივ, ჩამოთვლილმა მოვლენებმა შესაძლოა დააზიანოს კომპანიის საკუთრებაში არსებული აქტივები, რითიც ემიტენტს შეუჩერდება ოპერაციების განხორციელების საშუალება. ასეთ დროს, კომპანია დაკარგავს შემოსავლებსა და მოგების გენერაციის საშუალებას.

მეორეს მხრივ, მოულოდნელმა და მასობრივმა მოვლენებმა შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის ქვეყნის მოსახლეობაზე, რომლებიც ემინენტისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ისეთი მასშტაბური და მოულოდნელი უარყოფითი მოვლენების შედეგად, მაგალითად როგორც იყო COVID-19 პანდემია, ხდება სამუშაო ადგილების დაკარგვა, ეკონომიკის დაღმასვლა, რაც აღარბეებს მოსახლეობას. საქსტატის მიხედვით, 2020 წელს, რეალური მშპ-ს კლებამ 6.2% შეადგინა. ასეთ დროს, კომპანიას შესაძლოა გაუჭირდეს პორტფელის ზრდა და არსებული გაცემული სესხების ამოღება. ორივე შემთხვევას უარყოფითი ფინანსური ეფექტი ექნება ემიტენტზე.

1.5. საქართველოში არსებულმა არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია გაიარა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაიქცა. პოლიტიკური გარემო საქართველოში მკვეთრად ცვალებადი იყო 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში. 2003 წელს საქართველოში მომხდარი მშვიდობიანი რევოლუციის შემდგომ, რომელიც ცნობილია „ვარდების რევოლუციის“ სახელით, 2004 წლის იანვრიდან 2013 წლის ნოემბრამდე საქართველოს პრეზიდენტი იყო მიხეილ სააკაშვილი. 2012 წლის ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

საქართველოს წამყვან პოლიტიკურ პარტიებს, მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის, მძაფრი კონკურენციაა. კონკურენციის რთულ პოლიტიკურ დაპისპირებაში გადასვლამ, შესაძლოა, პოლიტიკური კრიზისი გააჩინოს და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო პროცესებს საქართველოში. ნებისმიერმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შეიძლება, ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

გარდა ამისა, საქართველოში სეპარატისტული რეგიონების, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონის, არსებობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას და უსაფრთხოებას. ამან კი შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „კომპანიის“ საქმიანობას. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში რუსეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. ამ ომმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მის სექტორებს. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დამატებულმა დღესაც გრძელდება, რადგან აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კვლავ რუსეთის არმიის კონტროლქვეშაა და რუსეთის აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა.

1. 6. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები

1. 6. 1. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე.

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში, ხოლო რამდენიმე ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი (როგორცაა საგადასახადო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არბიტრაჟის შესახებ კანონი და ა.შ.) რამდენჯერმე ფუნდამენტურად შეიცვალა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებრობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ნებართვების გაუქმება.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემამ რეფორმის რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, შეიცვალა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი, საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება და მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს ლეგიტიმური კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობას, ეფექტურობასა და კვალიფიკაციასთან მიმართებით. საქართველოში დავის გადაწყვეტის

ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით (კერძოდ, ევროპა და შეერთებული შტატები), საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებიან საკანონმდებლო ხელისუფლების რეაგირების იმედად. გაურკვეველობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

1.6.2. გადახდისუუნარობის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში საკმაოდ განუვითარებელია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე.

საქართველოში საწარმოთა (გარდა კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების და სადაზღვევო კომპანიების) გადახდისუუნარობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სიახლეა, კერძოდ 2021 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ. ახალი კანონით ჩნდება კრიზისში მყოფი საწარმოების ეფექტიანი და ბიზნესის გადარჩენაზე ორიენტირებული რესტრუქტურის ახალი შესაძლებლობები.

კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის გზით, ხოლო რეაბილიტაციის მიუღწევლობის შემთხვევაში -გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით. ახალი კანონი ორიენტირებულია მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობაზე, გადახდისუუნარობის მასის შენარჩუნება -გაზრდაზე და მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარ მოპყრობაზე. კანონის შესაბამისად „ობლიგაციების“ ინვესტორები ჩაითვლებიან უზრუნველყოფილ კრედიტორებად, ყოველგვარი პრეფერენციის გარეშე და დაკმაყოფილების მხივ განთავსდებიან მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორთა რიგში.

აღსანიშნავია, რომ კანონი ეხება სუბიექტთა შეზღუდულ წრეს და თავისი სფეროდან გამორიცხავს კომერციულ ბანკებს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხსაც სპეციალური კანონმდებლობა აწესრიგებს. შესაბამისად, ზოგადად, სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების გადახდისუუნარობას აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა და მასზე არ ვრცელდება კანონი რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი.

1.6.3. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე (რომელიც 2022 წლის ბოლოს გაგრძელდა 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობასა და გაუგებრობას მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იძლევა საგადასახადო ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, გადასახადის გადამხდელების მიერ დაყენებული საგადასახადო საკითხების წინასწარ გადაწყვეტის მიზნით. „კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიის“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

1. 6. 4. შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების

ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ფინანსური სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა, „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მიიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

1.6.5. ახალი „მეწარმეთა შესახებ“. კანონის შესაბამისად, ასევე მომავალმა ან მიმდინარე ცვლილებებმა კანონმდებლობაში შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე

2021 წელს მიღებული იქნა ახალი კანონი „მეწარმეთა შესახებ“ ცვლილებები. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 1994 წელს შემუშავდა, პერიოდული განახლებების მიუხედავად კანონის წესდებების ნაწილი ზოგადი ხასიათის იყო, რის გამოც რიგი საკითხები რეგულირების ჩარჩოს მიღმა რჩებოდა. სწორედ ამიტომ, შემუშავდა ახალი კანონი, რომელიც უზრუნველყოფს კორპორატიული სამართლის პრინციპების დაცვას, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, და, შესაბამისად როგორც აქციონერთა, ისე კრედიტორთა თუ სხვა ბიზნეს-სუბიექტთა დაცვას.

ახალ კანონში „მეწარმეთა შესახებ“ შევიდა შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ემსგავსება სააქციო საზოგადოებას, რომელსაც შესაძლებლობა აქვს გამოუშვას როგორც ნომინალური ღირებულების, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები. ამრიგად, შპს ხდება გაცილებით მოქნილი და მის ხელთ იქნება კიდევ მეტი კაპიტალის მოზიდვის ინსტრუმენტების სიმრავლე.
- კანონი ადგენს ყველა ფორმის სამეწარმეო საზოგადოების ორგანოებთან დაკავშირებულ ზოგად წესებს.

- კანონი დეტალურად აწესრიგებს ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა ისეთ კორპორაციულ მოვალეობებს, როგორცაა: კეთილსინდისიერების მოვალეობა, კონკურენციის აკრძალვა, საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოვალეობა.
- კანონით დამოუკიდებლად არის მოწესრიგებული საზოგადოების რეორგანიზაციის ისეთი სახეები, როგორცაა გარდაქმნა, შერწყმა და გაყოფა.
- კანონი ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებულ დაცვას რეორგანიზაციის პროცესში მყოფი საზოგადოების კრედიტორებისთვის და ანიჭებს მათ სამეწარმეო საზოგადოების მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის გამოყენების უფლებას, თუკი რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
- კანონი ადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონული პორტალის, როგორც ერთიანი ელექტრონული სივრცის, ცნებას. ელექტრონული პორტალის მეშვეობით ხდება მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის პროცესში წარდგენილი დოკუმენტების გასაჯაროება, კანონით დაკისრებული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულება.
- მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მეწარმისათვის გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება მეწარმის იურიდიულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან, ან მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ელექტრონულად განთავსებიდან მე-15 დღეს.
- პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი/პარტნიორები. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა რაოდენობის მიუხედავად.
- კანონი განსაზღვრავს პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტებს და ვადებს. გადაწყვეტილების შეცვლების შესახებ სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს იმ მომენტიდან 1 თვის ვადაში, როდესაც შეცვლების უფლების მქონე პირმა გაიგო ან უნდა გაეგო ამ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, მაგრამ არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღების დღიდან 6 თვისა, ხოლო თუ საერთო კრება კანონის ან წესდების მოთხოვნათა უხეში დარღვევით იქნა მოწვეული ან ჩატარებული – გადაწყვეტილების მიღების დღიდან არაუგვიანეს 1 წლისა. გადაწყვეტილების ან ინფორმაციის დამალვის შემთხვევაში შეცვლების ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შეცვლების უფლების მქონე პირისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ. გადაწყვეტილების გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.
- აქციონერის ძირითადი უფლებების წრეში ექცევა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება, დღის წესრიგის გაცნობის უფლება, დივიდენდის უფლება, აქციათა თავისუფალი განკარგვის უფლება, საზოგადოებისათვის აქციათა სავალდებულო წესით მიყიდვის უფლება და სხვა.

უცნობია როგორ იმუშავენ მეწარმეთა შესახებ კანონში შესული ცვლილებები, „კომპანია“ ვალდებულია შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. სავარაუდოა, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება და შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები. კანონი 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და მის ამოქმედებამდე რეგისტრირებული ყველა საწარმო ვალდებულია კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამ პროსპექტის დამტკიცების მომენტისთვის, კომპანიას თავისი წესდება შესაბამისობაში ჰყავს მოყვანილი ახალი კანონის მოთხოვნებთან.

1. 6. 6. კორუფციასთან ბრძოლის, მათ შორის, მექრთამეობასთან ბრძოლის კანონებთან შეუსაბამობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის რეპუტაციასა და ბიზნესზე.

კომპანიას აქვს ვალდებულება აწარმოოს საქმიანობა კორუფციასა და მექრთამეობასთან ბრძოლის კანონების შესაბამისად. რეგულაციასთან შესაბამისობისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმის მიუხედავად, კომპანია მაინც დგას რისკის წინაშე, რომ რომელიმე დაინტერესებულმა მხარემ ჩაიდინოს ისეთი ქმედებები ან

დაამყაროს ისეთი ურთიერთობები, რითიც დაარღვევს ანტიკორუფციულ კანონებს ან/და დადგება აღნიშნული კანონების დარღვევის ბრალდების რისკის წინაშე. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო განვითარებადი ბაზარია და ამრიგად, კორუფციის უფრო დიდი რისკის წინაშე დგას. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2018 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, კორუფციის დონე მსოფლიოს ქვეყნებში 1-დან (ყველაზე დაბალი დონე) 180-მდე (ყველაზე მაღალი დონე) არის შეფასებული. აღნიშნულ ჩამონათვალში საქართველო 41-ე ადგილზეა. იქიდან, გამომდინარე რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, რეგულაციები შეიძლება მნიშვნელოვნად და არაპროგნოზირებადად შეიცვალოს.

1. 6. 7. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამასთან, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელია ანტიმონოპოლიური კანონის შემდგომი ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მარტში არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“).

2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს უფლებამოსილება „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმები. ანტიმონოპოლიური რეგულაციების ცვლილებამ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

1. 6. 8. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, ან მისი საქმიანობა რაიმე სახით დაკავშირებული იქნება აღნიშნული ტიპის სქემებთან, აღნიშნულს შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე.

კომპანიას დანერგილი აქვს სხვადასხვა პროცესები ფულის გათეთრებასთან და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების ან მასთან ასოცირების აღსაკვეთად. კომპანიას დანერგილი აქვს „ინგობდე შენს მომხმარებელს“ პოლიტიკა და იცავს ყველა მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნას. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ მიღებული ზომები ეფექტური იქნება და კომპანია მომავალში შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან/და რომ კომპანია არ იქნება ასოცირებული აღნიშნული ტიპის საქმიანობების დაფინანსებასთან. ამ დარღვევებს შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიას დაეკისროს შესაბამისი არსებითი მარეგულირებელი სანქციები თუ ჯარიმები, რაც თავის მხრივ ფინანსური თუ საოპერაციო ზარალის გარდა უარყოფითად აისახება კომპანიის რეპუტაციაზე.

1. 6. 9. კომპანიის საქმიანობაზე ვრცელდება კომპლექსური და ცვალებადი კანონები თუ რეგულაციები, რომლებიც ეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, მონაცემთა დაცვის და სხვა საკითხებს.

საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ განსაზღვრავს მომხმარებელთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის მესამე მხარეებისთვის გადაცემის რეგულაციებს. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან, მონაცემთა დაცვასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი კანონებისა და რეგულაციების თაობაზე. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ ყველა თანამშრომელი დაიცავს აღნიშნულ კანონებსა და რეგულაციებს. თუ მომავალში კომპანიის თანამშრომლები არ დაიცავენ აღნიშნულ რეგულაციებს, კომპანიას შეიძლება დაეკისროს მნიშვნელოვანი საურავები ან სხვა ჯარიმები დაეკისროს, რამაც შეიძლება არსებითად დააზარალოს მისი რეპუტაცია და არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა თუ ფულად ნაკადებზე.

შესაბამისი რეგულაციებისა და კანონმდებლობის თანახმად პერსონალური ინფორმაციის გადამოწმება მოითხოვს ინდივიდის წინასწარ თანხმობას, რაც კომპანიის მიერ რეგულირდება შესაბამისად გაწერილი

პოლიტიკით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში მსგავსი თანხმობის არსებობის მიუხედავად შესაძლოა ინდივიდმა კომპანიის მიერ ინფორმაციის მოძიება მაინც მიიჩნიოს უსაფუძვლოდ და კომპანიას ბრალი დასდოს რეგულაციის დარღვევაში. ამასთან არსებობს რისკი აღნიშნული თანხმობის ყველა საჭირო შემთხვევაში არარსებობისა. აღნიშნული რისკების მატერიალიზება თავის მხრივ ექვის ქვეშ აყენებს კომპანიის რეპუტაციას და მას შესაძლოა საურავები ან სხვა მნიშვნელოვანი ჯარიმები დაეკისროს. ზემოთაღნიშნულმა კი შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა თუ ფულად ნაკადებზე.

1.7. მარეგულირებელ გარემოსთან დაკავშირებული რისკები

1.7.1. საქართველოში სალიზინგო ბაზარი ამჯერად არარეგულირებულია, ამასთან გარკვეულ ეტაპზე აღნიშნული სექტორი შეიძლება საზედამხედველო რეგულაციების საგანი გახდეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სალიზინგო ბაზარი არ ექვემდებარება რეგულატორის ზედამხედველობას. ბოლო წლებში აღნიშნული ბაზრის განვითარებასთან ერთად საკმაოდ გაიზარდა კომპანიების საქმიანობის მასშტაბები და, შესაბამისად, თავად ბაზარი. თავის მხრივ ის ფაქტი, რომ სექტორი არ არის რეგულირებადი აჩენს გარკვეულ რისკებს აღნიშნული კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. კომპანიაზე არ ვრცელდება ესა თუ ის სტანდარტული მოთხოვნები, ამა თუ იმ მაჩვენებლების დაკმაყოფილების ვალდებულება და ა.შ. შესაბამისად, თავის მხრივ ისეთ კომპანიაში ინვესტიციის განხორციელება, რომლის საქმიანობაც არარეგულირებულია გარკვეულ რისკებს მოიცავს, რადგან ზედამხედველის არსებობა თავის მხრივ განაპირობებს სექტორის გარკვეულ სისტემატიზაციას და სექტორისთვის დამახასიათებელი რისკების მიტიგაციასა თუ მუდმივ მეთვალყურეობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველოს სალიზინგო ბაზარი გაიზარდა, შესაბამისად, აღნიშნული სექტორის სისტემური მნიშვნელობა იმატებს. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში სექტორი არ დაექვემდებარება ამა თუ იმ საზედამხედველო ორგანოს რეგულაციებს. აღნიშნულმა, შეიძლება თავის მხრივ წარმოშვას გარკვეული ხარჯები ან სირთულეები, კომპანიის მიერ ახალი რეგულაციების დაკმაყოფილებისა და მათთან შესაბამისობის ჭრილში. თუ კომპანია ვერ მოახერხებს დანერგულ საზედამხედველო ცვლილებებთან საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანას, აღნიშნულ დარღვევებს შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიას დაეკისროს შესაბამისი არსებითი მარეგულირებელი სანქციები თუ ჯარიმები, რაც თავის მხრივ ფინანსური თუ საოპერაციო ზარალის გარდა უარყოფითად აისახება კომპანიის რეპუტაციაზე.

1.7.2. ძირითადი რეგულაციები, რომლებმაც შესაძლოა მოახდინონ ნეგატიური გავლენა კომპანიის მიერ დაფინანსებულ სექტორებზე, რაც შესაბამისად აისახება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე

1.7.2.1. კომპანიის პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი მშენებლობის სექტორზე მოდის. ამ სექტორთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა სხვადასხვა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები „პასუხისმგებლიანი დაკრედიტების“ პროცედურების დანერგვას ისახავს მიზნად, რაც ხელს უწყობს მომხმარებელთა ინტერესთა დაცვას და კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პორტფელის ხელშეწყობას. ამის ნათელი მაგალითია 2018 წელს ძალაში შესული ცვლილებები "კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებაში", რომლებიც ავალდებულებენ ბანკებს კლიენტთა გადამხდელუნარიანობის სრულყოფილ ანალიზს. თავის მხრივ აღნიშნული რეგულაციების დანერგვამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს სამშენებლო სექტორში მოქმედი კომპანიების შემოსავლების შემცირება. ბინის შეძენის მსურველების ნაწილი შეიძლება ვერ აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით მოთხოვნილ შეზღუდვებს და, შესაბამისად, ვერ მოიპოვოს უძრავი ქონების შესასყიდად საჭირო სესხი. აღნიშნული გამოიწვევს ბაზარზე მოთხოვნის და შესაბამისი სექტორის შემოსავლების შემცირებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებები შევიდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ დადგენილებაში. ამ ცვლილებების შედეგად, როგორც ნებართვის აღების პროცედურები, ასევე მშენებლობის წარმართვის მოთხოვნები საკმაოდ გამკაცრდა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო განვითარებად ქვეყანაა და მას ევროკავშირთან გაფორმებული აქვს ასოცირების ხელშეკრულება, გამორიცხული არ არის, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული რეგულაციები კიდევ უფრო გამკაცრდეს. რეგულაციების დაცვა შეიძლება გაუჭირდეთ კომპანიის არსებულ ან პოტენციურ კლიენტებს, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება არა მხოლოდ კლიენტის, არამედ თავად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

1.7.2.2. ახალმა რეგულაციამ, რომელიც ავტომობილების სავალდებულო ტექდათვალიერებას ეხება, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე

2019 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა რეგულაცია, რომლის თანახმადაც ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის სავალდებულო გახდა ტექდათვალიერების გავლა. ავტომობილები ჯამში 12 პარამეტრზე შემოწმდება. მათ შორის ავტომობილის კომპლექტაციაზე: ცეცხლმაქრი, სააფთიაქო ყუთი და სხვა. აუცილებელ პარამეტრებს შორისაა გამართული სამუხრუჭე სისტემა, საჭის მართვის მექანიზმი, საქარე მინები, და ა.შ. 4 წლამდე ავტომობილები სავალდებულო ტექდათვალიერებას არ ექვემდებარება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო პორტფელის 26%-მდე ავტომობილების ლიზინგებია. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ ამ ავტომობილების ნაწილი ვერ შეძლებს საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ ღირებულებას. სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, აღნიშნული აქტივის რეალიზაციიდან მიღებულ თანხას შეამცირებს და გაზრდის კომპანიის მიღებულ ზარალს. არსებითმა ზარალმა კი თავის მხრივ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, მის ფინანსურ თუ საოპერაციო შედეგებზე.

1.8. დარგი, რომელშიც კომპანია საქმიანობს, უფრო და უფრო კონკურენტული ხდება

საქართველოს ლიზინგის ინდუსტრია უფრო სწრაფად ვითარდება და სულ უფრო კონკურენტული ხდება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ინდუსტრიას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და კომპანიას ბაზარზე მოწინავე პოზიციები უჭირავს, არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შეძლებს შემდგომ განვითარებას, სტრატეგიის დანერგვას ან აღნიშნული პოზიციის შენარჩუნებას გრძელვადიან პერიოდში. კომპანიის ზოგიერთ კონკურენტს ხელი მიუწვდება მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსებზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ფინანსური სახსრები არსებითად განსხვავებული იქნება კომპანიის ხელთ არსებული მმართველობითი რესურსებისგან კომპანიას შეიძლება გაუმწეოდეს საკუთარი პოზიციის დაცვა და შემდგომი გამყარება ბაზარზე. ამასთან, კონკურენტ კომპანიებს შეიძლება ჰქონდეთ მომხმარებელთა უფრო ფართო ქსელები და ურთიერთობები, ფინანსური სახსრების მოზიდვის უფრო დაბალი ფინანსური ხარჯები ან/და რისკებისადმი უფრო მაღალი ტოლერანტობა. შესაბამისად, შეიძლება აღნიშნულმა კონკურენტებმა დაამყარონ მეტი და მნიშვნელოვანი ურთიერთობები, ამასთან უფრო აქტიურად გააკეთონ ფასების შეთავაზება გასაყიდი აქტივებისათვის. გარდა ამისა, კომპანიის ზოგიერთმა კონკურენტმა შესაძლოა პერსპექტიული ლიზინგის მიმღებებს შესთავაზონ უკეთესი პირობები, ვიდრე კომპანიამ.

კომპანია უშუალო კონკურენტების გარდა კონკურენციას უწევს მსხვილ კომერციულ ბანკებსა და ფინანსური მომსახურების სხვა მიმწოდებლებს საქართველოში. აღნიშნულმა დაწესებულებებმა კომპანიის არსებულ ან პოტენციურ კლიენტებს უფრო ხელსაყრელი პირობები შეიძლება შესთავაზონ. გარდა ამისა, კონკურენტული შეთავაზების გაკეთება შეუძლიათ თავად სალიზინგო აქტივის მიმწოდებელ კომპანიებს, რაც თავის მხრივ უფრო ამძაფრებს ბაზარზე არსებულ კონკურენციას და უფრო ართულებს კომპანიისთვის მისი პოზიციების შენარჩუნებას ან შემდგომ გამყარებას.

2. ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები

2.1. საკრედიტო რისკები

2.1.1. აქტივების ხარისხის მნიშვნელოვანმა გაუარესებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე.

კომპანიის სამომავლო განვითარების სტრატეგია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი სალიზინგო პორტფელის შესაბამის ზრდაზე. აქედან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია აქტივების ზრდასთან ერთად მათი ხარისხის შენარჩუნებისა და ეფექტურად მართვის რისკი. კომპანიის სალიზინგო პორტფელის უდიდესი ფინანსური ღირებულებისგან შედგება, თუ კომპანია ვერ შეძლებს აქტივების ზრდასთან ერთად პორტფელის ხარისხის შენარჩუნებას აღნიშნულმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე და მის სამომავლო პერსპექტივაზე. კომპანიის ხარისხის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლები მოცემულია ქვევით მოყვანილ ცხრილში, სადაც მოცემულია თითოეული მაჩვენებლის შეფარდება მთლიან პორტფელთან:

| | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|--------------------|------------|------------|------------|------------|
| ვადაგადაცილებული | 19.80% | 28.80% | 11.10% | 15.60% |
| უიმედო სესხები | 3.40% | 4.50% | 1.30% | 2.80% |
| რესტრუქტურირებული | 1.20% | 0.80% | 0.50% | 0.40% |
| ჩამოწერილი სესხები | 0.20% | 0.10% | 0.30% | 0.10% |

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ დასაკუთრებული აქტივების წილი კომპანიის მთლიან აქტივებში შეადგენდა 4%-ს. იგივე მაჩვენებელი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2.7% იყო, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1.9%. (დასაკუთრებულ აქტივებში შედის ისეთი აქტივები, რომელთა დასაკუთრება მოხდა კლიენტის მხრიდან დავალიანების გადაუხდელობის გამო. აღნიშნულ შემთხვევაში, ხდება შესაბამისი დებიტორული დავალიანების ჩამოწერა, აქტივის გადაფასება და ბალანსზე აღრიცხვა). შესაბამისად, სალიზინგო პორტფელის ხარისხის გაუარესების შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს კომპანიის მიერ დასაკუთრებული აქტივების პროცენტული წილი მთლიან სალიზინგო პორტფელში. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მუდმივად აკონტროლებს სალიზინგო პორტფელის ხარისხს და მიმართავს სხვადასხვა ზომებს აღნიშნული რისკის მიტიგაციისთვის არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია მომავალშიც შეძლებს აღნიშნული რისკის ეფექტურ მიტიგაციას და რომ აღნიშნული არსებითად უარყოფითად არ აისახება კომპანიის სამომავლო გეგმებსა და მის ფინანსურ თუ საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე.

პორტფელის ხარისხის გაუარესება ნაწილობრივ დამოკიდებულია კომპანიის კონტროლს დაუქვემდებარებელ ფაქტორებზე, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებაზე ან სხვა მაკროეკონომიკური რყევებზე.

კომპანიის სალიზინგო პორტფელის ხარისხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ სფეროებში განვითარებულ მოვლენებზე, რომლებშიც მისი მომხმარებლები ეწევიან ბიზნეს საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის სალიზინგო პორტფელი საკმაოდ დივერსიფიცირებული და მრავალდარგობრივია, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნულ სფეროებში შეიძლება არსებითად უარყოფითად აისახოს კლიენტების ოპერაციებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას მოახდენს მათ მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე და კომპანიის ფინანსურ თუ საოპერაციო შედეგებზე.

2.1.2. კომპანიის სალიზინგო აქტივები და ფინანსური უზრუნველყოფა ან გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი, ან შესაძლოა აღნიშნული აქტივების საბაზრო ღირებულება არსებითად შემცირდეს და კომპანიამ ამ ან სხვა მიზეზით სრულად ვერ მოახდინოს მათი რეალიზება.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია მის ხელთ არსებულ სალიზინგო აქტივებს განიხილავს როგორც უზრუნველყოფას და მხოლოდ განსაკუთრებულად მაღალრისკიან შემთხვევებში

მოითხოვს მომხმარებლისგან დამატებით უზრუნველყოფას, რაც უმეტეს შემთხვევაში უძრავ ქონებას წარმოადგენს. სალიზინგო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტრაქტო პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია, გაყიდოს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივი. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში ამოწმებს უზრუნველყოფაში დაგირავებულ ქონებას, მისი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს კომპანიისგან დამოუკიდებელი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორებიცაა მიყენებული ზიანი, ჭარბი მიწოდება, დევალვაცია ან ბაზარზე არსებული მოთხოვნის შემცირება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი რისკი არსებობს კომპანიის გარანტორთა ფინანსური მდგომარეობის თუ გადახდისუნარიანობის მნიშვნელოვან გაუარესებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შედეგად, შეიძლება არსებითად შემცირდეს ის თანხები, რომლებიც კომპანიას უნდა ამოელო შესაბამისი გარანტიებით. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდში გარანტორთა ფინანსური მდგომარეობა მოულოდნელად არ გაუარესდება.

თუ მოხდება აღნიშნული რისკების მატერიალიზება და სალიზინგო აქტივების ფასი, ან დამატებითი ფინანსური უზრუნველყოფა თუ გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლიზინგს, არასაკმარისი აღმოჩნდება გადასახადების დროულად გადაუხდელობით გამოწვეული დანაკარგის ასანაზღაურებლად, კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვება ლიზინგის მიმღებებისგან, თავდები პირებისგან ან სხვა წყაროებისგან. აღნიშნული უფლება კონტრაქტით არის გათვალისწინებული თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია მოახერხებს ასეთი დამატებითი უზრუნველყოფის მოპოვებას.

მსგავსი მოვლენების განვითარების შემთხვევაში კომპანიას შესაძლოა მოუწიოს შესაძლო დანაკარგის რეზერვების მნიშვნელოვნად გაზრდა ან აქტივების ჩამოწერა, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის სამომავლო გეგმებზე, მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფის დასაკუთრების ან/და მისი შემდგომი რეალიზაციის პროცესი შეიძლება დროში საკმაოდ გაიწელოს აქტივის არალიკვიდურობის თუ სხვა მიზეზის გამო. ამასთან, კომპანიის ზოგიერთი სალიზინგო ხელშეკრულება არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი, ან პირიქით - ჭარბად უზრუნველყოფილია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია შესაბამისი უზრუნველყოფები.

უზრუნველყოფის ჩაშლა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ათასი ლარი | ჭარბად-უზრუნველყოფილი აქტივები | | არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები | |
|----------------------------------|--------------------------------|----------------------------------|---------------------------------------|----------------------------------|
| | აქტივების საბალანსო ღირებულება | აქტივების სამართლიანი ღირებულება | აქტივების საბალანსო ღირებულება | აქტივების სამართლიანი ღირებულება |
| სულ ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | 228,651,256 | 365,933,905 | 31,110,470 | 21,041,445 |

უზრუნველყოფის ჩაშლა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ათასი ლარი | ჭარბად-უზრუნველყოფილი აქტივები | | არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები | |
|----------------------------------|--------------------------------|----------------------------------|---------------------------------------|----------------------------------|
| | აქტივების საბალანსო ღირებულება | აქტივების სამართლიანი ღირებულება | აქტივების საბალანსო ღირებულება | აქტივების სამართლიანი ღირებულება |
| სულ ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | 217,954,796 | 357,794,199 | 63,366,425 | 51,182,245 |

უზრუნველყოფის ჩაშლა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | ჭარბად-უზრუნველყოფილი აქტივები | | არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები | |
|----------------------------------|--------------------------------|----------------------------------|---------------------------------------|----------------------------------|
| ათასი ლარი | აქტივების საბალანსო ღირებულება | აქტივების სამართლიანი ღირებულება | აქტივების საბალანსო ღირებულება | აქტივების სამართლიანი ღირებულება |
| სულ ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | 213,305,000 | 354,600,000 | 40,447,000 | 31,842,000 |

უზრუნველყოფის ჩაშლა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | ჭარბად-უზრუნველყოფილი აქტივები | | არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები | |
|----------------------------------|--------------------------------|----------------------------------|---------------------------------------|----------------------------------|
| ათასი ლარი | აქტივების საბალანსო ღირებულება | აქტივების სამართლიანი ღირებულება | აქტივების საბალანსო ღირებულება | აქტივების სამართლიანი ღირებულება |
| სულ ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | 218,649,230 | 383,358,070 | 71,096,614 | 57,456,062 |

ქვევით მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური ლიზინგის ჩაშლა აქტივების ტიპების მიხედვით საბალანსო ღირებულებებით, მაჩვენებლების კალკულაციაში გამოყენებულია „მთლიანი პორტფელი“, რომელიც არის მენეჯერული პორტფელი და მოიცავს არა მხოლოდ იმ კონტრაქტებს, რომელზეც მოხდა აქტივის მოწოდება და ტრანსფორმირდა წმინდა ინვესტიციაში ფინანსურ ლიზინგში, არამედ მოიცავს ისეთ კონტრაქტებს, რომლებზეც გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულება ლიზინგის გამცემს, ლიზინგის მიმღებს და მომწოდებელს შორის, მაგრამ რეპორტირების თარიღისთვის არ მომხდარა აქტივის მოწოდება.:

| (000' ლარი) | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|---|------------------------|------------------------|------------------------|------------------------|
| სამედიცინო ტექნიკა | 17,994,928 | 22,002,895 | 23,444,715 | 24,868,846 |
| სატვირთო მანქანები | 5,965,922 | 10,303,606 | 16,311,463 | 25,420,253 |
| საგზაო ტექნიკა | 40,771,865 | 65,025,523 | 34,908,455 | 46,364,685 |
| მსუბუქი ავტომანქანა | 67,377,365 | 60,803,795 | 73,135,088 | 79,177,441 |
| სხვა ტექნიკა | 83,041,242 | 45,609,319 | 42,267,772 | 61,221,359 |
| საბეჭდი ინვენტარი | 2,731,007 | 3,466,790 | 3,425,823 | 3,989,832 |
| სოფლის მეურნეობის ტექნიკა | 31,865,880 | 8,319,135 | 10,474,361 | 7,890,861 |
| სამრეწველო დანადგარები | 34,811,357 | 55,299,451 | 28,550,512 | 16,807,235 |
| სამშენებლო ტექნიკა | 46,234,955 | 21,945,752 | 38,356,585 | 19,195,031 |
| ავტობუსები | 344,211 | 190,281 | 309,222 | 797,689 |
| სატრანსპორტო | - | - | 1,457,214 | 2,575,824 |
| სადისტრიბუციო | - | - | 5,750 | 473,903 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 2,044,844 | 3,595,361 | 1,415,209 | 1,491,327 |
| ესთეტიკის დანადგარები | 1,322,494 | 791,246 | 173,991 | 377,080 |
| მაღალ ტექნოლოგიური ინვენტარი | 2,979,069 | 10,112,703 | 26,845,446 | 31,095,971 |
| ელექტრონული დანადგარები | 33,619 | 48,164 | 29,474 | 2,196,818 |
| | | | | |
| სულ ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში | 337,518,757 | 307,514,019 | 301,111,082 | 323,944,157 |

ზემოთაღნიშნული რისკების რეალიზების ან კომპანიის მიერ მათი ეფექტურად მიტიგაციის უუნარობის შემთხვევაში, კომპანიის საქმიანობა, მისი საოპერაციო თუ ფინანსური საქმიანობა შეიძლება არსებითად დაზარალებულს.

2.1.3. ფინანსური ლიზინგის აქტივების შესაძლო გაუფასურების ზარალის რეზერვი შეიძლება არ იყოს საკმარისი მომავალი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად.

კომპანია ანგარიშგებისთვის იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს ("ბასს") და მათ შესაბამისად ქმნის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების შესაძლო გაუფასურების ზარალის რეზერვს. 2017 წლის ბოლოდან კომპანიამ დანერგა ფასს 9. კომპანიის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება მისი შიდა რეზერვების პროცედურებისა და პოლიტიკების თანახმად, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა მომხმარებლების საქმიანობის სფეროს მახასიათებლები, მომხმარებლების გადახდისუნარიანობა, ეკონომიკური გარემო და მისი ზოგადი ტენდენციები, შესაბამისი უზრუნველყოფებისა და გარანტიების ღირებულება.

იქიდან გამომდინარე, რომ საბუღალტრო სტანდარტების თანახმად მომავალი საკრედიტო რისკების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან განსჯასა და მიახლოებას, კომპანიამ შესაძლოა სათანადოდ ვერ შეაფასოს მომავალი რისკები და, შესაბამისად, მის მიერ შეფასებული რეზერვი არ იყოს ფაქტობრივი საკრედიტო დანაკარგების დასაფარავად. ამას გარდა, კომპანიის მიერ შექმნილი რეზერვი შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს იმ შემთხვევებშიც, თუ საქართველოს ან რეგიონის ეკონომიკაში გაუთვალისწინებელი არსებითი უარყოფითი რყევები მოხდება, ან თუ სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მომხმარებლების ბიზნესზე ან ზოგადად ბაზარზე. აღნიშნული რისკების მატერიალიზების შემთხვევაში, კომპანიას შეიძლება დასჭირდეს დამატებითი რეზერვის შექმნა, რაც თავის მხრივ არსებითად უარყოფითად აისახება მის საქმიანობაზე, საოპერაციო თუ ფინანსურ შედეგებზე.

2.1.4. კომპანიის სადაზღვევო ანაზღაურებამ შესაძლოა სრულად არ აანაზღაუროს პოტენციური ვალდებულებები ან დანაკარგები.

ზოგადად კომპანია, ლიზინგის მიმღებებისგან კონტრაქტით გაწერილი პირობის თანახმად, ითხოვს, რომ მათ აუნაზღაურონ და დააზღვიონ ისეთი ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას შეიძლება წარმოექმნას სალიზინგო აქტივების გამოყენების და მათი ექსპლუატაციის, აგრეთვე ქონებისთვის მიყენებული ზიანის და დანაკარგის გამო. შესაბამისად, მომხმარებლები ვალდებულები არიან, შეიძინონ შესაბამისი დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისგან ან სხვა შემთხვევაში კომპანია დააზღვევს მათ ნაცვლად ლიზინგით გაცემულ აქტივებს, ხოლო სადაზღვევო პრემიის ანაზღაურება მომხმარებელ მოუწევს. კომპანიის პორტფელის 100% დაზღვეულია, საიდანაც უმეტესი - 98% კომპანიის მხრიდან არის დაზღვეული. კომპანია რისკების დასაზღვევად შემდეგი ტიპის დაზღვევებს იყენებს: Casco (ავტოტრანსპორტი/ავტომობილები), Cpm (სამშენებლო მანქანა-დანადგარები), Pro (უძრავი ქონება), Mb (მანქანა-დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა), EE (ელექტრონული მოწყობილობები), აღნიშნული დაზღვევის ტიპები ფარავს ისეთ რისკებს, როგორც არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, ხანძარი, აფეთქება, სტიქიური მოვლენები, მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა არ ფარავს აქტივის გაუჩინარების რისკს. სადაზღვევო პოლისის ვადა თავის მხრივ სალიზინგო კონტრაქტის იდენტური უნდა იყოს. კომპანია თავის მხრივ რისკების თავიდან ასაცილებლად კონკრეტული საფრთხის შესაბამისი მიტიგაციისთვის მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში წერს გარკვეული ტიპის შეზღუდვებს სალიზინგო აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით. კომპანია ლიზინგის საგანს აზღვევს აქტივის მოწოდებიდან, მის კლიენტთან არსებობის სრულ ეტაპზე, შესაბამისად თუ ლიზინგის ხელშეკრულება შეწყდა და მოხდა აქტივის ჩამორთმევა, რომელიც დასაკუთრებული იქნება კომპანიის მართვაში არსებულ ტერიტორიაზე, ესეთ აქტივებზე წყდება აქტივის დაზღვევა. აღნიშნული ზომების გატარების მიუხედავად არ არსებობს იმის გარანტია, რომ აღნიშნული ნაბიჯები ეფექტური აღმოჩნდება ან, რომ კომპანიას არ წარმოექმნება შემდგომი პრეტენზიები. შესაბამისად, მომხმარებლები ვალდებულები არიან, შეიძინონ შესაბამისი დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებისგან. სადაზღვევო პოლისის ვადა თავის მხრივ სალიზინგო კონტრაქტის იდენტური უნდა იყოს. კომპანია თავის

მხრივ რისკების თავიდან ასაცილებლად კონკრეტული საფრთხის შესაბამისი მიტიგაციისთვის მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში წერს გარკვეული ტიპის შეზღუდვებს სალიზინგო აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ზომების გატარების მიუხედავად არ არსებობს იმის გარანტია, რომ აღნიშნული ნაბიჯები ეფექტური აღმოჩნდება ან, რომ კომპანიას არ წარმოექმნება შემდგომი პრეტენზიები.

ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ლიზინგის მიმღებების მიერ შესყიდული დაზღვევა ან/და კომპანიის მიერ გაწეული რომელიმე პირობითი დაზღვევა ადეკვატური ან საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დაფაროს ყველა სახის პრეტენზია, რომელიც შეიძლება მომავალში კომპანიის წინაშე წარმოიქმნას. ნებისმიერ არსებით სადაზღვევო დანაკარგის აუნაზღაურებლობას ან ლიზინგის მიმღების მხრიდან მისი ვალდებულების არ აღიარებამ შეიძლება შეამციროს კომპანიის შემოსავლები, წარმოუქმნას დამატებითი ვალდებულებები და არსებითად უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მის გადახდისუნარიანობასა და სამომავლო გეგმებზე.

2. 1. 5. კლიენტების კონცენტრაციის რისკი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პორტფელის 13.8% (31/12/2021: 18.7%) ათ კლიენტზეა კონცენტრირებული. ამასთან, კომპანიამ შეიძლება გააზრებულად ან გაუაზრებლად გასცეს აქტივები ლიზინგით ერთი და იმავე აქციონერის დაქვემდებარებაში არსებული კომპანიების ჯგუფებზე, რითიც კიდევ უფრო გაზარდოს კონცენტრაცია და შესაბამისად პორტფელის რისკიც.

2. 1. 6. სექტორზე დამოკიდებულების რისკი

რისკების მიტიგაციისთვის აუცილებელია დივერსიფიცირებული სალიზინგო პორტფელის ქონა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მუდმივად ცდილობს აღნიშნული მრავალფეროვანი პორტფელის შენარჩუნებას შეიმჩნევა გარკვეული სექტორების შედარებით მაღალი კონცენტრაცია სალიზინგო პორტფელში. 2022 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით კომპანიის სალიზინგო პორტფელის 53% მოდის მშენებლობაზე, მრეწველობაზე და მომსახურებაზე.

2. 1. 7. კლიენტის გადახდისუნარიანობის რისკი

კლიენტებს ან მათ აქციონერებს შეიძლება ჰქონდეთ ცუდი საკრედიტო ისტორია ან მომავალში გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო გაუუარესდეთ აღნიშნული ისტორია. რაც თავის მხრივ მოიცავს ვადაგადაცილებულ გადასახადებსა და დაუფარავ ვალდებულებებს, რაც მათ კრედიტუნარიანობას მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებს.

2. 1. 8. აქტივების ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული რისკები

კომპანია ზოგადად აქტიურად თანამშრომლობს კვალიფიციურ და სანდო მომწოდებლებთან. მიუხედავად ამისა, პორტფელის აქტივების გარკვეული ნაწილი, მეორადი აქტივებისგან შედგება; რიგ შემთხვევებში მომხმარებელს ნაკლებად ცნობილი მწარმოებელი უფრო შეღავათიან ფასს სთავაზობს. აღნიშნულ შემთხვევებში მნიშვნელოვანია შესაბამის აქტივის სანდო და რეალური შეფასება. საოპერაციო მიზნებისთვის აქტივს აფასებს კომპანიის შემფასებელთა ჯგუფი. მიუხედავად აღნიშნული ჯგუფის კვალიფიციურობისა, არსებობს რისკი, რომ მათ მიერ დადგენილი ღირებულებები, არ ემთხვეოდეს აქტივის სამართლიან ღირებულებას. ამას გარდა, ჩამოწერილი აქტივების შეფასების მიზნით კომპანია დამოუკიდებელი შემფასებლების მომსახურებას იყენებს. ამ შემთხვევაშიც არსებობს იმის რისკი, რომ აღნიშნული შეფასება სრული სიზუსტით არ ასახავდეს აქტივების სამართლიან ღირებულებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საშემფასებლო საქმიანობა საქართველოში არ რეგულირდება, გარდა კომერციული ბანკებისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაწერილი რეგულაციისა. ეს კი თავის მხრივ დამატებით რისკს წარმოქმნის აქტივების ღირებულების სწორ და სამართლიან შეფასებასთან დაკავშირებით.

2. 2. საოპერაციო რისკები

2. 2. 1. კომპანიის რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემების გაუმართავობის შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება ვერ მოახერხოს ყველა რისკის ეფექტური მიტიგაცია

კომპანიის ბიზნესის განვითარებასთან ერთად იმატებს იმ რისკების ოდენობა და კომპლექსურობა, რომლებიც კომპანიის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. კომპანია მუდმივ რეჟიმში მუშაობს მისი რისკების მართვის სისტემის დახვეწაზე, თუმცა მაინც არსებობს იმის რისკი, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მისი ყველა არსებითი რისკის ეფექტურ მიტიგაციას. კომპანიას მკაცრად აქვს გაწერილი რისკის მართვის პოლიტიკა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება ახალი დარგის დამატებას ან ახალ მომხმარებელთან ურთიერთობის დამყარებას. მიუხედავად ამისა ახალი პროდუქტების დანერგვისა თუ ახალი მომხმარებლის შექმნის ფონზე, კომპანიამ შეიძლება ვერ მოახერხოს ყველა პოტენციური რისკის იდენტიფიცირება და შეფასება. რისკების მართვა და კონტროლი ზოგადად მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ისტორიულ გამოცდილებაზე, საბაზრო ქცევის ცნობაზე და წარსულში მომხმარებელთა მოვლენებზე. მიუხედავად წარსული გამოცდილებისა, არ არსებობს გარანტია, რომ გამართლდება კომპანიის ვარაუდები ისტორიული მონაცემების საფუძველზე.

კომპანიას გააჩნია მართვის სხვა მეთოდები, თუმცა ისინი დამოკიდებულია ბაზრებთან, მომხმარებლებთან ან სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასებაზე და ეს ინფორმაცია შესაძლოა იყოს არაზუსტი, არასრული, მოძველებული ან არასწორად შეფასებული.

კომპანიის რისკების მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკამ შესაძლოა ეფექტიანად ვერ შეამციროს ყველა ტიპის არსებითი რისკები, მათ შორის გაუთვალისწინებელი რისკები და ის რისკები, რომელთა შესახებ კომპანიას არ აქვს ინფორმაცია. კომპანიის მიერ ჩამოყალიბებული სხვადასხვა წესები და პროცედურები შეიძლება არ იყოს სრულად ეფექტიანი. კომპანიის რისკის მართვის ან შიდა კონტროლის პროცესებში ნებისმიერი სახის არსებითმა დარღვევამ ან ჯამურმა არსებითმა დარღვევამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგებზე.

2. 2. 2. კომპანიის საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების სათანადო ფუნქციონირებაზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივ განვითარებასთან ერთად იზრდება იმ რისკების კომპლექსურობაც, რომლებიც შეიძლება განაპირობებდნენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შეფერხებას და მათ დარღვევას. აღნიშნული სისტემების დარღვევის საფრთხეები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: კომპიუტერული ვირუსები, არაავტორიზებული წვდომები, სერვერის ფიზიკური დაზიანება და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობა. შეფერხებამ აღნიშნულ სისტემებში შეიძლება ხელი შეუშალოს მომხმარებლების სწრაფ მომსახურებას, სწორ ანგარიშგებას, მომხმარებლის პირადი ინფორმაციის დაცვას. ნებისმიერი მსგავსი შეფერხება უარყოფითად აისახება კომპანიის რეპუტაციაზე და იწვევს მომხმარებლის ნდობის შემცირებას კომპანიის ბიზნესის მიმართ. აღნიშნული რისკის მატერიალიზებამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა თუ ფულად ნაკადებზე.

შესაძლოა კომპანიამ ფინანსური თუ სხვა შეზღუდვების გამო ვერ შეძლოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შემდგომი განვითარება, პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და დაცვის სისტემების სრულყოფა. აღნიშნული არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა და მის ფულად ნაკადებზე.

2. 2. 3. კომპანიამ შესაძლოა დროულად ვერ აღმოაჩინოს ან თავიდან ვერ აიცილოს მისი თანამშრომლების ან მესამე პირების მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენა

კომპანიას გააჩნია რისკი მესამე მხარის ან თანამშრომლების მიერ ჩადენილ თაღლითობასთან ან სხვა არასათანადო საქციელთან დაკავშირებით. კომპანიამ შესაძლოა დროულად ვერ აღკვეთოს ან ვერ აღმოაჩინოს ეს დარღვევები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ფინანსური ზიანი კომპანიისთვის ან/და ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მისთვის არსებითი სანქციების დაკისრება. ფინანსურ ზარალთან ერთად მოსალოდნელია რეპუტაციის დაზიანება. ყოველივე აღნიშნულმა კი ერთად ან ცალ-ცალკე შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო გეგმებზე და მის საქმიანობაზე.

კომპანიას დანერგილი აქვს შესაბამისი რისკების მართვის სისტემები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები და შიდა კონტროლის პროცედურები. აღნიშნული მიზნად ისახავს, მუდმივ რეჟიმში აკონტროლოს კომპანიის ოპერაციები, უზრუნველყოს მისი შესაბამისობა მოქმედ კანონებსა თუ რეგულაციებთან. მიუხედავად ამისა, არსებობს რისკი, რომ აღნიშნული სისტემები არ აღმოჩნდეს ეფექტური ან/და საკმარისი და კომპანიამ დროულად ან საერთოდ ვერ მოახერხოს დარღვევების ან საექვო გარიგებების იდენტიფიცირება. ამასთან, შესაბამისი პრევენციული ზომების გატარების მიუხედავად მესამე მხარის ან თანამშრომლის მიერ თაღლითობის ან სხვა არასათანადო საქციელის ჩადენის შესაძლებლობა სრულად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს და გარდა არსებობს რისკი, რომ კომპანიამ ვერ მოახერხოს აღნიშნული ქმედებების პრევენცია. ამასთან, არსებობს რისკი, რომ კომპანიამ ვერ აღმოაჩინოს უკვე ჩადენილი დარღვევა. ზემოთაღნიშნული რისკების მატერიალიზებამ შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობს დარწმუნდეს კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ნამდვილობაში. არსებობს რისკი, რომ კლიენტმა გააყალბოს მისი ფინანსური უწყისები და არასწორი ინფორმაცია წარმოადგინოს მისი საქმიანობის შესახებ.

2. 2. 4. გამყიდველის/მომწოდებლის რისკი

კომპანია აქტივებს შეისყიდის მხოლოდ კარგი რეპუტაციისა და სანდო მომწოდებლებისგან. თითოეული ნასყიდობის კონტრაქტი განსხვავდება მოწოდების ვადის, მდებარეობის და გადახდის პირობების მიხედვით, თუმცა ძირითადად კომპანია ცდილობს აქტივის მოწოდებამდე მხოლოდ ნაწილი თანხა გადარიცხოს ან გახსნას აკრედიტივი. ძირითადად აკრედიტივის გამოყენება ხდება ისეთ სალიზინგო ურთიერთობებზე, სადაც უცხოური მომწოდებელია, ხოლო ადგილობრივი მომწოდებლების შემთხვევაში თანხების გადახდა ხდება ძირითადად აქტივების მოწოდების შემდეგ, მხოლოდ მსხვილ და სანდო მომწოდებლების შემთხვევაში თანხა ირიცხება ნაწილობრივ ავანსად. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ წინასწარი გადახდის მიღების შემდეგ მომწოდებელი აუცილებლად მოაწოდებს კომპანიას შესყიდულ აქტივს ან რომ მოწოდებული აქტივი დააკმაყოფილებს წინასწარ გაწერილ სპეციფიკურ პარამეტრებს. აღნიშნული რისკი მთლიანად კომპანიის რისკია, რომელიც განსაზღვრულია წინასწარ გადახდილი თანხით, თუმცა აღნიშნული ყოველი მომწოდებლებისთვის განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, არ არსებობს გარანტია, რომ წინასწარი გადახდის მიღების შემდეგ მომწოდებელი აუცილებლად მოაწოდებს კომპანიას შესყიდულ აქტივს ან რომ მოწოდებული აქტივი დააკმაყოფილებს წინასწარ გაწერილ სპეციფიკურ პარამეტრებს. აღნიშნული რისკი მთლიანად კომპანიის რისკია, რომელიც განსაზღვრულია წინასწარ გადახდილი თანხით, თუმცა აღნიშნული ყოველი მომწოდებლებისთვის განსხვავებულია. მიუხედავად კონტრაქტში გაწერილი შესაბამისი პირობებისა აღნიშნული რისკის მატერიალიზების მცირე შანსი მაინც არსებობს.

2. 2. 5. სხვა საოპერაციო რისკები

იურიდიული ან სხვა საოპერაციო რისკი - კომპანიის თანამშრომლებმა შეიძლება შეცდომა დაუშვან ხელშეკრულების შედგენისას, აქტივების დაზღვევისას, მომხმარებლისათვის აქტივის გადაცემისას ან სხვა საოპერაციო ქმედებებთან დაკავშირებით.

2. 3. ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

2. 3. 1. კომპანიას გააჩნია დავალიანების დროულად დაფარვის უუნარობის და შესაბამისად დავალიანების შემდგომი ზრდის რისკი

კომპანიის ბიზნესის შემდგომი განვითარება და მისი სტრატეგიის წარმატებული რეალიზაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი აქტივების ზრდაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ზრდა ძირითადად სესხით ფინანსდება და, შესაბამისად, კომპანიას მოუწევს დავალიანების მაჩვენებლის განგრძობითად მაღალ ნიშნულზე შენარჩუნება. 202 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის სასესხო ვალდებულებები 312 მილიონ ლარს შეადგენდა, კომპანიის პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი შესაბამისად, 1.6 იყო.

კომპანიის მიერ მსესხებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს გარკვეული ფინანსური თუ არაფინანსური მაჩვენებლები. მათი დარღვევის ან სხვა კონკრეტულ შემთხვევებში (რაც გაწერილია შესაბამის სასესხო ხელშეკრულებებში) მსესხებლები უფლებამოსილინი ხდებიან კომპანიას სასესხო ვალდებულების დაფარვა ვადაზე ადრე მოსთხოვონ. არ არსებობს გარანტია, რომ აღნიშნული რისკი არ რეალიზდება.

წინსწრებით გადახდის ვალდებულება თავის მხრივ შეამცირებს კომპანიის საბრუნავ კაპიტალს და ლიკვიდურობას, მის ფინანსურ მოქნილობას და, შესაბამისად, ნეგატიურ გავლენას მოახდენს მის საქმიანობაზე. ამ რისკის მატერიალიზების შემთხვევაში, კომპანიას დასჭირდება დამატებითი თანხების მოძიება ბანკებისგან თუ სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან. წარუმატებლობის შემთხვევაში ან დამატებითი ფინანსური სახსრების არახელსაყრელ პირობებში მოზიდვის შემთხვევაში კომპანიის საოპერაციო თუ ფინანსური შედეგები მნიშვნელოვნად დაზარალდება.

კომპანიისთვის მნიშვნელოვანი რისკია მისი აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების არსებითი შეუსაბამობა. აქედან გამომდინარე კომპანია მუდმივად და განგრძობითად აკონტროლებს აქტივებისა და ვალდებულებების დაფინანსების ვადიანობის შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნულის მიუხედავად, კომპანიამ შესაძლოა ვერ მოახერხოს დავალიანების დაფარვის ვადებისა და ვალდებულებების ეფექტურად დაბალანსება, ვერ მართოს ლიკვიდურობის რისკები და კონტრაქტში გაწერილი ვადიანობის პერიოდში ვერ დაფაროს შესაბამისი დავალიანება. აღნიშნული რისკის მატერიალიზება თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

2.3.2. კომპანიის საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფინანსური სახსრების დროულად და ხელსაყრელ პირობებში მოზიდვაზე

კომპანიის სტრატეგიის წარმატებულად დანერგვა და მისი შემდგომი ზრდა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი აქტივების ზრდაზე. აღნიშნული აქტივების ზრდა დამოკიდებულია კომპანიის მიერ ფინანსური სახსრების მოზიდვის წარმატებულობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მნიშვნელოვან სახსრებს გამოიმუშავებს სალიზინგო ოპერაციებით, ნაღდ ფულზე მოთხოვნის დაკმაყოფილება გრძელვადიან პერსპექტივაში ითხოვს საგრძნობ ლიკვიდურობას და წვდომას დივერსიფიცირებულ ფინანსურ წყაროებზე. კომპანია საქმიანობის გაფართოების დასაფინანსებლად ძირითადად საბანკო სესხებს, გამოშვებულ ობლიგაციებს, საწესდებო კაპიტალში ფულად შენატანებსა და ყოველდღიური ოპერაციებიდან მიღებულ თანხებს იყენებს. თუ კომპანია ვერ შეინარჩუნებს დაფინანსების არსებულ სქემას კომერციულად ხელსაყრელი პირობებით, მას შესაძლოა დასჭირდეს დაფინანსების მოძიება ალტერნატიული წყაროებიდან. არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია დროულად შეძლებს დაფინანსების მოძიებას ახალი წყაროებიდან ან შეძლებს მათ მოპოვებას ხელსაყრელი პირობებით. აღნიშნულმა თავის მხრივ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

2.3.3. საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.

ემიტენტს გაფორმებული აქვს სასესხო ხელშეკრულებები რამდენიმე ფინანსურ ინსტიტუტთან და მას ეკისრება გარკვეული ფინანსური კოვენანტების დაცვის ვალდებულება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის განცხადებით, მას დღემდე არ ჰქონია ფინანსური კოვენანტების დარღვევის შემთხვევა, საფინანსო რესურსის

საჭიროების ზრდის და ბაზრის რისკ ფაქტორების გაძლიერების შედეგად, „კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება და არ არსებობს იმის გარანტია, რომ მისი რომელიმე კრედიტორი არ ამოქმედებს სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

2. 3. 4. კომპანიის შემოსავლები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, რამაც თავის მხრივ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიის შემოსავლები და მის მიერ მოზიდული ფინანსური სახსრების ღირებულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე. შესაბამისად აღნიშნული განაკვეთების მნიშვნელოვანი რყევები პირდაპირ მოქმედებს კომპანიის დაფინანსების ღირებულებაზე, მის სალიზინგო შემოსავალზე და წმინდა საპროცენტო მარჟაზე. ამ ეტაპისთვის კომპანია სალიზინგო ურთიერთობის ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს ცვლად განაკვეთს, ლარში გაცემული ლიზინგის განაკვეთი მიბმულია რეფინანსირების განაკვეთზე ხოლო დოლარსა და ევროში გაცემული ლიზინგების განაკვეთები მიბმულია SOFR-სა და EURIBOR-ზე აღსანიშნავია, რომ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება კომპანიისგან დამოუკიდებელი ფაქტორებითაა ხოლმე განპირობებული, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ჩამონათვალით: საბანკო და საფინანსო სექტორების ნორმატიული კანონმდებლობა, საქართველოსა და რეგიონის ზოგადი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო. შესაბამისად, ქვეყნის, რეგიონის ან საერთაშორისო მასშტაბით ეკონომიკაში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინონ კომპანიის შედეგებზე, მის უნარზე წარმატებით დანერგოს საკუთარი სტრატეგია და მის ფინანსურსა თუ საოპერაციო შედეგებზე.

2. 3. 5. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მაკონტროლებელი აქციონერი კვლავაც გააგრძელებს კომპანიის მხარდაჭერას, ხოლო კომპანიის კონტროლის ცვლილებამ კი შეიძლება არსებითი ხასიათის უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლიზინგის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

კომპანია მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებს მისი 100%-იანი წილის მფლობელის, სს თიბისი ბანკისგან. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს თიბისი ბანკთან თანამშრომლობით, აღნიშნულს თავის მხრივ მომხმარებელთა ფართო წრე, ძლიერი მარკეტინგული და პროექტების განხილვის მნიშვნელოვანი რესურსი აქვს. კომპანიის საკრედიტო პოზიციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თიბისი ბანკი. ეს ფაქტორი ხელს უწყობს კომპანიის ფინანსური სახსრების მოზიდვის ხარჯების შემცირებას, მისი დაფინანსების არხების გაფართოებას და განამტკიცებს მის პოზიციას სხვადასხვა გარიგების დადების დროს.

თუ თიბისი ბანკის მხარდაჭერა კომპანიის მიმართ არსებითად შეიცვლება, ამან შესაძლოა მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე

2. 4. საბაზრო რისკები

2. 4. 1. კომპანიას გააჩნია რისკი აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მას გააჩნია რისკი აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში. საპროცენტო აქტივებისა ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის არსებით შეუსაბამობას შეუძლია წმინდა საპროცენტო მარჟის მნიშვნელოვანი შემცირება. რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნესსა და მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე. კომპანია მუდმივ რეჟიმში უყურებს შეუსაბამობის დონეს და მიმართავს სხვადასხვა ზომებს აღნიშნული რისკის სამართავად,

თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანიის მიერ მიღებული ზომები იქნება საკმარისი და კომპანია არ აღმოჩნდება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის შეუსაბამობის რისკის პოზიციაში.

2. 4. 2. კომპანიას გააჩნია რისკი აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მას გააჩნია რისკი აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტების ჭრილში. საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური ვალუტების არსებით შეუსაბამობას შეუძლია წმინდა საპროცენტო მარჟის მნიშვნელოვანი შემცირება. რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნესსა და მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე. კომპანია მუდმივ რეჟიმში უყურებს შეუსაბამობის დონეს და მიმართავს სხვადასხვა ზომებს აღნიშნული რისკის სამართავად, თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანიის მიერ მიღებული ზომები იქნება საკმარისი და კომპანია არ აღმოჩნდება მნიშვნელოვანი უცხოური ვალუტების შეუსაბამობის რისკის პოზიციაში.

ღია სავალუტო პოზიციასთან დაკავშირებით ინფორმაცია იხ. IV თავის „სარეგისტრაციო დოკუმენტი“ მე-5 ქვეთავში, კერძოდ : „სავალუტო რისკი“:

2. 5. რეპუტაციული რისკები

2. 5. 1. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვებს და სხვა ტიპის ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას

კომპანიის საქმიანობაზე და მის რეპუტაციაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მასზე გავრცელებული ნეგატიური საჯარო ინფორმაცია. კომპანიის ბიზნესზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვადასხვა საკონტრაქტო მოთხოვნებმა, საჩივრებმა და სასამართლო პროცესებმა. ნებისმიერმა ასეთმა სასამართლო პროცესმა, საჩივარმა, საკონტრაქტო მოთხოვნამ ან ნეგატიურმა საჯარო ინფორმაციამ შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა ან/და ფულად ნაკადებზე.

ნებისმიერი შედეგის დადგომის მიუხედავად თავად სასამართლო პროცესის წარმოება, მოპასუხეობა, საკმაოდ დიდ დროს, ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან. ამასთან თვითონ სამართალწარმოების პროცესი საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება. მენეჯმენტის ყურადღების ყოველდღიური ბიზნეს საქმიანობიდან გადართვამ ან სასამართლო წარმოების მნიშვნელოვანმა ხარჯებმა შეიძლება არსებითად უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის საქმიანობაზე ვრცელდება მარეგულირებელი საქმისწარმოებაც და კომპანია შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს მარეგულირებელ საქმისწარმოებაში მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების არასწორმა ინტერპრეტაციამ. მათ შორის იმ მარეგულირებელ საქმისწარმოებაში, რომლის მხარეც ის არ არის. ნებისმიერი ზემოთაღნიშნული რისკის მატერიალიზებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა თუ ფულად ნაკადებზე.

2. 6. სტრატეგიული განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები

2. 6. 1. კომპანიის შემდგომი საქმიანობა და მისი სტრატეგიის წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მის უნარზე, მოიზიდოს და შეინარჩუნოს უმაღლესი რგოლის მენეჯმენტი და საკვანძო თანამშრომლები

გარემო, რომელშიც კომპანია საქმიანობას ეწევა საკმაოდ კონკურენტულია. ამასთან, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის წარმატებული საქმიანობისთვის და მისი შესაბამისი მართვისთვის აუცილებელია მაღალი დონის სპეციფიკური ცოდნა და შესაბამისი გამოცდილება. კომპანიის შემდგომი წარმატება დამოკიდებულია მისი უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის გუნდის და საკვანძო თანამშრომლების

მიერ შესრულებულ სამუშაოსა და მათ მიღებულ სტრატეგიულად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. აღსანიშნავია, რომ კომპანიის უმაღლესი დონის მენეჯმენტის თითოეულ წევრს აქვს საქართველოს ფინანსურ ან ლიზინგის ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ისინი ფლობენ კომპანიის ბიზნესის ძირითადი მიმართულებების, მომხმარებლებისა და კონკურენტების, ასევე ბიზნესთან დაკავშირებული კანონების შესახებ საფუძვლიან და საკვანძო ცოდნას. აქედან, გამომდინარე კომპანიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კადრების შენარჩუნებას და მომავალში მისი გუნდის მსგავსი კადრებით შევსებას. მიუხედავად, იმისა რომ კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების მოტივირებაზე და მათ შენარჩუნებას, არ არსებობს გარანტია რომ საკვანძო თანამშრომლები შეიძლება ნებაყოფლობით არ შეწყვეტენ კომპანიაში მუშაობას ან დატოვებენ თავიანთი პოზიციებს ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც სცილდება კომპანიის კონტროლის ფარგლებს. აღნიშნულმა, შესაძლოა ზიანი მიაყენოს კომპანიის საქმიანობას და შეაფერხოს სტრატეგიის წარმატებულად განხორციელების პროცესი. კომპანიის მიერ მსგავსი საკვანძო თანამშრომლების ჩანაცვლების ძეზნის პროცესი შესაძლოა დროში გაიწელოს, რაც თავის მხრივ გააუარესებს კომპანიის ფინანსურ თუ საოპერაციო მდგომარეობას.

იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის საქმიანობის წარმატება ასევე დამოკიდებულია მის უნარზე, მოიხილოს და შეინარჩუნოს კვალიფიციური თანამშრომლები, კომპანიას შეიძლება დასჭირდეს მაღალი ანაზღაურების და სხვა სარგობების შეთავაზება საკვანძო თანამშრომლებს შესანარჩუნებლად ან მოსაზიდად. აღნიშნული სარგებელი შესაძლოა არაპროგნოზირებადი სახით ან შემოსავლის ზრდის ტემპზე უფრო ჩქარი ტემპით გაიზარდოს. აღნიშნულს თავის მხრივ შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მისი საქმიანობის შედეგებზე.

2.6.2. კომპანიის სტრატეგიის და მისი საქმიანობის წარმატებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სალიზინგო აქტივების ზრდა.

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მისი საპროცენტო შემოსავლები ფინანსური ლიზინგისა და უკულიზინგის საქმიანობიდან. 2020 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური ლიზინგის პორტფელი (დებიტორული დავალიანება) შესაბამისად 301,111 და 307,514 ათას ლარს შეადგენდა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი 337,519 ათას ლარამდე გაიზარდა. კომპანიის სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კომპანიისგან დამოუკიდებელ ფაქტორებზე, როგორებიცაა საქართველოში ან რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ან სხვა მაკროეკონომიკური ფაქტორები, მაგალითად, მშპ-ს ზრდა, ინფლაციის დონისა და საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, სალიზინგო კანონმდებლობისა თუ სამთავრობო რეგულაციების ცვლილებები, ან ბაზარზე არსებული მოთხოვნა მიწოდების მნიშვნელოვანი ცვლილებები. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ კომპანია შეძლებს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდის შენარჩუნებას მომავალში. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად განაპირობებს კომპანიის სტრატეგიის წარმატებით განხორციელების ალბათობას.

2.6.3. ემიტენტის დედა კომპანია „სს თიბისი ბანკის ჯგუფის“ აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რაც გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული.

ემიტენტის დედა კომპანია „სს თიბისი ბანკის ჯგუფის“ აქციები სავაჭროდ დაშვებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, რაც გარკვეულ შეზღუდვებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. არსებობს რისკი, რომ დედა კომპანიამ „სს თიბისი ბანკის ჯგუფმა“ ვერ მოახერხოს ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც რეპუტაციულ რისკს შეუქმნის მას და შესაძლოა უარყოფითად აისახოს ემიტენტზეც, როგორც მის შვილობილზე.

ასევე, არსებობს რისკი, რომ ჯგუფზე დაწესებულმა შეზღუდვებმა ბირჟისა თუ ინვესტორების მიერ (მაგ: დათქმები სესხებზე, სხვადასხვა პოლიტიკასთან შესაბამისობა (compliance)) გავლენა იქონიოს ემიტენტზე და მის მაჩვენებლებსა თუ გეგმებზე.

3. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

3.1. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ზოგადი რისკები

3.1.1. ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რადგან კომპანიის ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მოთხოვნები უზრუნველყოფილია პირველი რიგის გირავნობით, ახალი ემისიის ფარგლებში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებები გაუთანაბრდება „ობლიგაციების“ მფლობელთა უფლებებში მოთხოვნებთან მიმართებაში რომელიც ვერ დაიფარა ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის საშუალებით, და მთლიანი პორტფელის არაუზრუნველყოფილი ნაწილიდან ფასიანი ქაღალდების მფლობელები pari passu დაკმაყოფილდებიან. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

3.1.2. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანიამ“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

3.1.3. „ობლიგაციების“ საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი.

„ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი არ არის ფიქსირებული და ცვლადია. როგორც ობლიგაციების პირობებით არის გათვალისწინებული, საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებული იქნება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი კი, ინფლაციის დონის და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობების გათვალისწინებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს). „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს იმის რისკს, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ ღირებულებასა და გადაყიდვის ფასზე.

გარდა ზემოთხსენებულისა, „ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შემცირდეს სარეიტინგო სააგენტოს მიერ „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის ზრდის გამო. საკრედიტო რეიტინგის შემცირების მიზეზი შესაძლოა გახდეს „კომპანიის“ გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა, ბაზარზე პოზიციის დაკარგვა, „კომპანიის“ დედა კომპანიის საკრედიტო რეიტინგის შემცირება, ან სხვა ფაქტორები რამაც შესაძლოა სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით „კომპანიის“ რისკიანობის დონე გაზარდოს.

3.1.4. ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები (იხ. 2.7.1 „ვალდებულებები“) შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.

3.1.5. „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). საქართველოში ლარში დენომინირებული ობლიგაციების ინვესტორები ობლიგაციებს უმეტესად მათი მთლიანი ვადის განმავლობაში ფლობენ და შედეგად ლარის ობლიგაციებით ვაჭრობის მოცულობა დაბალია. საფონდო ბირჟის საიტზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით ბოლო ორი წლის განმავლობაში ლარის ობლიგაციისთვის სავაჭრო სესიის დროს გარიგება არ განხორციელებულა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

3. 1. 6. ობლიგაციებს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (call option), რაც გარკვეული რისკების მატარებელია ინვესტორთათვის

ობლიგაციებს აქვთ გამოსყიდვის ოფცია სხვადასხვა პირობებით, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნული ოფციის გამოყენების შემთხვევაში, ობლიგაციონერები მიიღებენ პროსპექტის პირობებით განსაზღვრულ ფასს (ფასიანი ქაღალდების მიმოხილვის 2.7.3 პუნქტი), რაც შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე ობლიგაციონერები მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში. არსებობს რისკი, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების შემთხვევაში, კომპანიამ აღნიშნული ოფცია გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციონერებს უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთების პირობებში მოუწევთ თანხების რეინვესტირება, რაც გულისხმობს, რომ ისინი ნაკლებ უკუგებას მიიღებენ თავიანთ თანხებზე, ვიდრე მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში.

ობლიგაციების გამოსყიდვის ოფციის ერთ-ერთი პირობა ასევე დამოკიდებულია ობლიგაციონერების გარდა სხვა კრედიტორებზე, რომლებიც არიან ემიტენტის სასესხო ტრანზაქციებიდან გამომდინარე კრედიტორები. კერძოდ თუ „ემიტენტთან“ არადაკავშირებული, სასესხო ტრანზაქციებიდან გამომდინარე ყველა კრედიტორის მიერ მოხდება მათ სასარგებლოდ არსებული უზრუნველყოფის გამოთავისუფლება, რის შედეგადაც, ასეთი კრედიტორების მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულება ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებად, ემიტენტმა შესაძლოა გამოიყენოს გამოსყიდვის ოფცია, როგორც წარმოდგენილია ფასიანი ქაღალდების მიმოხილვის 2.7.3 პუნქტში.

3. 1. 7. „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.

„კომპანია“ „ობლიგაციების“ ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში („ინვესტორის ვალუტა“). აღნიშნული რისკები მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს (ლარის გაუფასურების ან „ინვესტორის ვალუტის“ რევალვაციის ჩათვლით) და რისკს, რომ „ინვესტორის ვალუტაზე“ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები. „ინვესტორის ვალუტის“ ლართან მიმართებით ღირებულების ზრდა შეამცირებს: (i) „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ სარგებელს

„ობლიგაციებზე“; (ii) „ობლიგაციებზე“ გადასახდელ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ ძირ თანხას; და (iii) „ობლიგაციების“ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ საბაზრო ღირებულებას. მთავრობებმა და სავალუტო ორგანოებმა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში) შეიძლება დააწესონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები, რომლებმაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს გამოსაყენებელ გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

3. 1. 8. არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი.

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენს „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციების“ კლასიფიკაცია კაპიტალის ადეკვატურობის მარეგულირებელი ნორმების ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა რეგულირდება საინვესტიციო კანონმდებლობით ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციებით, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალო ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

3. 1. 9. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „რეგისტრატორის“ და შესაბამის შემთხვევებში - „ობლიგაციების ნომინალური მფლობელის“ პროცედურებს.

„კომპანია“ „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. „ობლიგაციების“ მფლობელი ვალდებულია დაეყრდნოს „რეგისტრატორის“, „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

3. 1. 10. „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე ან უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულების წესზე არ იყოს მისაღები რომელიმე მფლობელისთვის.

„ობლიგაციების“ პირობები შეიცავს დათქმას „ობლიგაციების“ მფლობელთა კრების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების განხილვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე. აღნიშნული პირობები განსაზღვრულ უმრავლესობას უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს და მიიღოს გადაწყვეტილება „ობლიგაციების“ პირობების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ უმცირესობაში აღმოჩენილი მფლობელები ვალდებული იქნებიან დაეთანხმონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. აღნიშნული რისკი ეხება აღსრულების წესსაც, რაც გულისხმობს, რომ თუ „ობლიგაციების“ რომელიმე მფლობელი არ ეთანხმება კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აღსრულების წესის თაობაზე, იგი მაინც ვალდებული იქნება დაემორჩილოს კრების გადაწყვეტილებას და ამონაგები სახსრები შესაბამისი წესით მიიღოს.

3. 2. უზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული რისკები

3. 2. 1. გირავნობის რეგისტრაციაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კანონისმიერმა ან მესამე პირების მიერ გამოყენებულმა შეზღუდვებმა.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ობლიგაციონერი დარეგისტრირდება პირველი რიგის მოგირავნედ, ზოგიერთ შემთხვევაში მათ უფლებებზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დადებულმა კანონისმიერმა შეზღუდვებმა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლების თანახმად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ობლიგაციონერი სეზ-ის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ან სეზ-ის მიერ აღიარებულ იურისდიქციაში (რომლებიც ძირითადად მოიცავს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს) ლიცენზირებული უცხოური კომერციული ბანკია, შემოსავლების სამსახურის ინტერესი უპირატესია და უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები ნებისმიერი თანხა მიემართება პირველ რიგში კანონისმიერი ვალდებულებების დაკმაყოფილების მიზნით იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაბამისი ქონება დაგირავებული იყო ობლიგაციონერების სასარგებლოდ.

თუ ობლიგაციონერი სეზ-ის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ან სეზ-ის მიერ აღიარებულ იურისდიქციაში ლიცენზირებული უცხოური კომერციული ბანკია, შემოსავლების სამსახურის ან სხვა მესამე პირების მიერ გამოყენებულმა სასარჩელო ან აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციონერების ინტერესებზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ობლიგაციონერების უფლებები უპირატესი რჩება და რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა პირველ რიგში ობლიგაციონერების ინტერესების დასაკმაყოფილებლად უნდა იყოს მიმართული, მსგავსი სააღსრულებო წარმოება შესაძლოა ჩაითვალოს „დარღვევის შემთხვევად“ და გამოიწვიოს ობლიგაციებთან დაკავშირებული ვალდებულებების აქსელერაცია.

3. 2. 2. ობლიგაციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება პროპორციულობის პრინციპის დაცვით

სამეწარმეო იურიდიული პირების გადახდისუუნარობა რეგულირდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ. საქართველოს კანონით. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს, ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ემიტენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება გირავნობის საგნიდან აღნიშნული კანონის 105-ე მუხლით გათვალისწინებული წესით პროპორციულობის პრინციპის დაცვით

3. 2. 3. გირავნობის საგანს წარმოადგენს ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება და არა ლიზინგის მატერიალური საგანი.

„ობლიგაციების“ უზრუნველსაყოფად დაგირავებულ ქონებას წარმოადგენს ემიტენტის სალიზინგო პორტფელი, რაც თავის თავში მოიაზრებს ემიტენტის მოთხოვნის უფლებების და არა უშუალოდ ლიზინგის მატერიალური საგნის დაგირავებას. შესაბამისად, დეფოლტის შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მფლობელებს წვდომა ექნებათ ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულად მოთხოვნებთან, ხოლო ლიზინგის საგანი დარჩება ისევ ემიტენტის საკუთრებასა და მართვაში. აქედან გამომდინარე, „ობლიგაციების“ მფლობელები გარკვეულწილად დამოკიდებულები რჩებიან ემიტენტის მიერ ლიზინგის საგნის მართვის კეთილსინდისიერებასა და შედეგად, სალიზინგო პორტფელის ფორმირებაზე. ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს „ობლიგაციების“ მფლობელების ინტერესებზე, განსაკუთრებით ემიტენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ობლიგაციების მფლობელები მოახერხებენ აღსრულების პროცედურების დაწყებას და თავად მართავენ მოთხოვნის უფლებებს აღსრულების პროცესში, შესაძლოა მათ ვერ მოახერხონ კონსოლიდაცია ან ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრებები გირავნობის საგნის მართვასთან

დაკავშირებით. სალიზინგო პორტფელის მართვა მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნას, რისი არარსებობის ან ობლიგაციონერთა შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელები სრულად ვერ ისარგებლებენ გირავნობის საგნის ღირებულებით.

3. 2. 4. გირავნობის საგნის ხარისხის გაუარესებისა და გაუფასურების რისკი.

გირავნობის საგანს წარმოადგენს ემიტენტის სალიზინგო პორტფელი. გირავნობის საგნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შესაბამისი მოთხოვნები მუდმივად რევილირებადია და ექვემდებარება ჩანაცვლებას. წინამდებარე ემისიის პროსპექტის თარიღისთვის, ემიტენტს აქვს სხვა უზრუნველყოფილი ვალდებულებები, რომლებიც ასევე სალიზინგო პორტფელით არის უზრუნველყოფილი. იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურდება ან იმატებს ობლიგაციონერების სასარგებლოდ დაგირავებული პორტფელის რისკიანობა, შესაძლოა ემიტენტს არ აღმოაჩნდეს მოთხოვნების ჩანაცვლების რესურსი, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ობლიგაციონერთა უფლებებსა და, სააღსრულებო წარმოების დაწყების შემთხვევაში, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, ობლიგაციონერებს არ გააჩნიათ ბერკეტი გადაამოწმონ დაგირავებული მოთხოვნების ხარისხი ან გამიჯნონ ერთმანეთისგან ჯანსაღი და არაჯანსაღი რესტრუქტურული კონტრაქტები.

3. 2. 5. ობლიგაციონერების სასარგებლოდ დაგირავებული პორტფელი შესაძლოა არ იყოს საკმარისად იდენტიფიცირებადი.

გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, სალიზინგო პორტფელის დაგირავება ხდება მისი ზოგადი აღწერის თანახმად. რაც შეეხება შესაბამის პორტფელში შემავალ კონკრეტულ მოთხოვნებს, ისინი არ რეგისტრირდება გირავნობის ხელშეკრულებასთან ერთად. ამის ნაცვლად, ხდება დაგირავებულ მოთხოვნებზე ინფორმაციის მიწოდება ობლიგაციონერებისთვის კვარტალური რეპორტების საფუძველზე. აღნიშნული ანგარიშები არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და მათი კომუნიცირება ხდება მხოლოდ ობლიგაციონერებისათვის. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გირავნობის საგნების სიის შედგენა ხდება ემიტენტის მიერ და ინვესტორი ვალდებულია დაეყრდნოს ემიტენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეს, ვინაიდან გირავნობის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის მესამე პირების ან სხვა საშუალებით გადამოწმების მექანიზმი არ არსებობს. ამ თვალსაზრისით შესაძლოა ინვესტორებს უზრუნველყოფის საგანთან დაკავშირებით ქონდეთ გარკვეული დისკომფორტი, რადგან მათ შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეაფასონ და გამოიკვლიონ სალიზინგო პორტფელთან დაკავშირებული ინფორმაცია: ლიზინგის ხელშეკრულებები, მოთხოვნის თანხები და სხვ. რომელიც მათი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა. მსგავსი მექანიზმი აქვს დამკვიდრებული კომპანიას სხვა კრედიტორებთან დადებული გირავნობის ხელშეკრულებების საფუძველზე, სადაც ასევე დაგირავებულია სალიზინგო პორტფელი. შესაბამისად, ვინაიდან, მოთხოვნის უფლების ჩანაცვლება რეალურად გულისხმობს ჩანაცვლებას ემიტენტის შიდა ჩანაწერებში, არსებობს რისკი, რომ მოხდეს დაგირავებულ მოთხოვნათა დუბლირება სხვადასხვა კრედიტორებისათვის წარდგენილ ანგარიშებში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გირავნობის საგნის გაუფასურება და უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ასევე დაგირავებული მოთხოვნებიდან რომელიმე მათგანის გადევლოტების შემთხვევაში კომპანია იმავდროულად ახდენს მოთხოვნის ჩანაცვლებას ჯანსაღი მოთხოვნით, თუმცა ამის შესახებ არ აქვთ ინფორმაცია ობლიგაციონერებს კვარტალური რეპორტის მიღების თარიღამდე, რომლის შუალედშიც შესაძლოა დაგირავებული მოთხოვნის მოცულობა არ შეესაბამებოდეს ობლიგაციონერის მოთხოვნის მოცულობას.

3.2.6. ობლიგაციების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და ობლიგაციების გადაცემასთან დაკავშირებული რისკები

ობლიგაციები უზრუნველყოფილია ემიტენტის სალიზინგო პორტფელით. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით, მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია ამ პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამის მიუხედავად, უზრუნველყოფების გაფორმება და ობლიგაციების

გადაცემა შესაძლოა შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტორების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

3.2.7. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს.

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის („აშშ-ის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) ან რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლებათ ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის და რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებში, რომლებიც არ ექვემდებარება აღნიშნულ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

III. შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება

განთავსების აგენტის შესახებ ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თიბისი კაპიტალი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961
იურიდიული მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11, თბილისი, საქართველო
ფაქტობრივი მისამართი: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო
რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო
მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა
ტელ: (+995 32) 227 27 27
ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

განთავსების აგენტთან ხელშეკრულების ძირითადი პირობები (Firm Commitment, Best Effort, Standby Commitments, Other); თუ სრულად ან საერთოდ არ ხდება ემისიის შექმნა, დარჩენილი ნაწილის რაოდენობა/წილი;

შპს „თიბისი კაპიტალი“ („განთავსების აგენტი“), მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანის“ რამდენიმე დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არა-გარანტირებული საფუძველით, საუკეთესო ძალისხმევით გამოყენებით.

ყველა იმ ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ შეთავაზებას; მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის.

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია შპს „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ემიტენტთან აფილირებული პირია. ასევე, განთავსების აგენტი იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტიც. იმავდროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემდგომი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი და ემიტენტთან და განთავსების აგენტთან აფილირებული პირია. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდგომი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) მიუხედავად იმისა, რომ შპს „თიბისი კაპიტალი“ და სს „თიბისი ლიზინგი“ წარმოადგენენ ერთმანეთთან აფილირებულ პირებს, მათი მენეჯმენტი შედგება განსხვავებული პირებისაგან და კომპანიებს ერთმანეთის საოპერაციო საქმიანობაზე არანაირი გავლენა არ გააჩნიათ. ასევე, კონკრეტული შეთავაზების მიზნებისთვის, შპს „თიბისი კაპიტალი“ სს „თიბისი ლიზინგს“ მიუდგება როგორც რიგით ემიტენტს ფასიანი ქაღალდების დისტრიბუციისა და განთავსების პროცესში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი (მერი ჩაჩანიძე) განთავსების აგენტის ერთ-ერთი მმართველი დირექტორია. აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი.

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ შპს „თიბისი კაპიტალს“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას საერთო მენეჯმენტი მართავს, სს „თიბისი ბანკს“ არ აქვს განთავსების აგენტის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ბერკეტები და ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და თიბისი ბანკს შორის მხოლოდ თეორიულია.

განთავსების აგენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ სს „თიბისი ბანკს“ მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისეობაზე;

(გ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა განთავსების აგენტთან და „ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით; და

(დ) როგორც „ემიტენტს“ და „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული ხელშეკრულებები, ასევე წინამდებარე ემისიის „პროსპექტი“ ითვალისწინებს გადახდისა და კალკულაციის აგენტის შეცვლის შესაძლებლობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს არსებითი ინტერესთა კონფლიქტი კომპანიასა და „თიბისი ბანკს“ შორის, ვინაიდან „თიბისი ბანკი“ წარმოადგენს კომპანიის 100%-იან მესაკუთრეს და მომსახურე ბანკს. შესაბამისად, მას შესაძლოა ობლიგაციებისაგან დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ინტერესი ჰქონდეს ემისიის მიმართ. ამან კი, ერთის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ ბანკმა რისკი მთლიანად კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციაზე გადაიტანოს, ხოლო მეორეს მხრივ, გავლენა იქონიოს ბანკის, როგორც ობლიგაციების ერთ-ერთი მფლობელის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

შეთავაზების მიზეზების აღწერა

ემიტენტი აქტიურად იყენებს ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდულ სახსრებს საკუთარი საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

კომპანიას მოზიდული აქვს თანხები როგორც ქართული კომერციული ბანკებიდან, ასევე საერთაშორისო ფონდებიდან, რაც ეხმარება დაწიოს მოზიდული სახსრების საშუალო შეწონილი ღირებულება, უკეთ მართოს ლიკვიდობა და სავალუტო რისკები.

კომპანიამ ობლიგაციების პირველი ემისია 2014 წელს განახორციელა, 2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ამას მოყვა 3 მილიონ აშშ დოლარიანი ემისია 2016 წელს და 2 ცალი 5-5 მილიონ აშშ დოლარიანი ემისია 2018 წლის განმავლობაში. დამატებით, კომპანიამ განათავსა საჯარო ფასიანი ქაღალდები 58,400,000 ლარის ოდენობით 2020 წელს. ასევე კომპანიამ 2022 წლის დეკემბერში და 2023 წლის იანვარში მოახდინა სუბორდინირებული ობლიგაციების გამოშვება 6.05 მლნ აშშ დოლარის და 6.545 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად. ობლიგაციები ვადამოსული ხდება 2028 წელს. ობლიგაციები გამოშვებულია კერძო განთავსების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მიმდინარე ემისიით კომპანია სრულად მოახდენს არსებული ლარის ობლიგაციების რეფინანსირებას და დარჩენილ თანხას მიმართავს სალიზინგო პორტფელის გასაზრდელად.

მიღებული სახსრების გამოყენება

მიღებული სახსრების სავარაუდო მოცულობა შეადგენს 100,000,000 ლარს, საიდანაც სრულად მოხდება არსებული ლარის ობლიგაციების რეფინანსირება, რომლებიც ვადამოსული ხდება 2023 წლის 20 მარტს (ISIN: GE27006039007) და დარჩენილი ნაწილი მოხმარდება სალიზინგო პორტფელის ზრდას.

IV. სარეგისტრაციო დოკუმენტი

1. პასუხისმგებელი პირები

1.1. ყველა იმ პირის დასახელება, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული დოკუმენტის ან მისი რომელიმე ნაწილის შინაარსზე დაკავებული თანამდებობის მითითებით;

დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:


ბატონი გაიოზ გოგუა - დირექტორი


ბატონი გიორგი თხელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

1.2. დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გაკეთებული განაცხადი იმის შესახებ, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე. არსებობის შემთხვევაში, იგივე განაცხადი უნდა გაკეთდეს ცალკეულ ნაწილებზე პასუხისმგებელი პირების მიერაც.

ჩვენ, გაიოზ გოგუა და გიორგი თხელიძე, ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე:

ხელმოწერები:


დირექტორი


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

1.3. ემიტენტის აუდიტორის დასახელება და მისამართი წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისთვის; ამასთან, თუ წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე მოხდა აუდიტორის შეცვლა, უნდა აღიწეროს მიზეზები;

2019,2020 და 2021 წლებში ემიტენტის ფინანსური აუდიტორი იყო „PricewaterhouseCoopers“-ის წევრი შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“

| სარეგისტრაციო ნომერი | საიდენტიფიკაციო ნომერი | სახელწოდება | იურიდიული მისამართი | საკონტაქტო ნომერი |
|----------------------|------------------------|---------------------------------------|--|------------------------|
| SARAS-F-775813 | 405220611 | შპს ფრაის-უოთერჰაუს-კუპერს საქართველო | საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქ., N12, ბლოკი ბ, სართული 7, საოფისე ფართი N38 | + (995 32) 2 250 80 50 |

როდესაც რეგისტრაციის დოკუმენტში გამოყენებულია ნებისმიერი მესამე პირის ან ექსპერტის დასკვნა, უნდა მიეთითოს მისი სახელი, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მისი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში.

1.4.

ამ დოკუმენტში გამოყენებულია Fitch Rating Inc.-ის საკრედიტო შეფასება, რომელიც განახლდა 2022 წლის 5 ივლისს BB- სტაბილური პერსპექტივით. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ 2.5 ქვეთავში.

1.5. როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, უნდა მიეთითოს წყარო და გაკეთდეს დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ასევე, უნდა მოხდეს განცხადება, რომ რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.

„ემისიის პროსპექტის“ სხვადასხვა ნაწილებში მოცემული სტატისტიკური მონაცემები, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოპოვებულ იქნა „სებ“-დან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან („ფინანსთა სამინისტრო“) სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან („საქსტატი“). აღნიშნული წყაროების მიერ დაცული სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ლარში (საქართველოს ეროვნული ვალუტა) ან აშშ დოლარში. ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოცემულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში, კონვერტირებულია ლარში, „ემისიის პროსპექტში“ მითითებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. მსგავსი სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვა წყაროებიდან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული წყაროს მიერ გამოყენებული მეთოდები, დაშვებები და მიღებული შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მართალია, ყველა ზომა მიღებულ იქნა იმისათვის, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ყოფილიყო ყველაზე სანდო და თანმიმდევრული მონაცემები, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავსი მონაცემები შედგენილ იქნა და მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

„კომპანიის“ მიერ „სებ“-დან, „ფინანსთა სამინისტროდან“, „საქსტატიდან“ და სხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია ზუსტად იქნა ასახული „ემისიის პროსპექტში“ და „კომპანია“ და „განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ აცხადებენ, რომ, მათი ინფორმაციით და ამგვარი წყაროების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ემისიის პროსპექტში“ არ იქნა გამოტოვებული ისეთი ფაქტები, რაც გამოიწვევდა ასახული ინფორმაციის უზუსტობას ან უსწორობას. „ემისიის პროსპექტში“ მესამე პირის ინფორმაციის გამოყენებისას, ამგვარი ინფორმაციის წყარო იდენტიფიცირებულ იქნა.

2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

2.1. ემიტენტის იურიდიული და კომერციული დასახელება, ცვლილების შემთხვევაში ძველი სახელწოდება;

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის სს „თიბისი ლიზინგი“

2.2. ემიტენტის სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის ქვეყანა, კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც აწარმოებს საქმიანობას, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ვებ-გვერდის მისამართი;

სს „თიბისი ლიზინგი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205016560).

რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N76მ

ელ. ფოსტა: info@tbclearing.ge

ტელ.: (+995 32) 212 27 77

ვებ-გვერდი: www.tbclearing.ge

2.3. კომპანია 2003 წელს დაარსდა „თიბისი ბანკის“ მიერ, რითაც თიბისი ჯგუფის მიერ მოხდა სესხებისგან განსხვავებული დაფინანსების წყაროს შეთავაზება მომხმარებლისათვის. კომპანია წლიდან წლამდე ვითარდებოდა და 2010 წლიდან სალიზინგო ბაზრის ლიდერი გახდა და მას შემდეგ ინარჩუნებს უპირობო ლიდერობას.

ამჟამად კომპანიაში დასაქმებულია 126 ადამიანი, ამბიციური გეგმებიდან გამომდინარე თანამშრომლების რაოდენობა მომავალი წლისთვის გაიზრდება რომელთა დიდი ნაწილი კლიენტებს მოემსახურება სათაო ოფისიდან, ნაწილი სერვის ცენტრებიდან რომლებიც მდებარეობს თბილისსა და ბათუმში, ხოლო თანამშრომლების გარკვეული ნაწილი განაწილებულია ავტო სადილეროებსა და თიბისი ბანკის ფილიალებში. ემიტენტის ძირითადი მომხმარებლები მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საცალო მომხმარებლები არიან, აგრეთვე კომპანია ემსახურება კორპორატიული დიდი ზომის კლიენტებს.

მნიშვნელოვანი თარიღები:

- თიბისი ლიზინგმა შეძლო გამხდარიყო ბაზრის ლიდერი და 2013 წელს კომპანიამ პირველად გადაასწრო პორტფელის მოცულობით საკუთარ კონკურენტს.
- 2014 წელს კომპანიამ პირველად დააფიქსირა წმინდა მოგება და მას შემდეგ მოახერხა კაპიტალი 1100%-ით გაეზარდა
- 2016 წელს კომპანია შედის რითეილის ბაზარზე და იკავებს მნიშვნელოვან პოზიციას, როგორც ახალი ისე მეორადი ავტომობილების მიმართულებით
- 2017 წელს კომპანიამ ჩაუშვა ახალი საოპერაციო პროგრამა, რომელის განვითარებაშიც თავად მიიღო მონაწილეობა
- 2018-19 წლებში კომპანია აქტიურად იწყებს DFI თან პარტნიორობას და აფორმებს ხელშეკრულებებს FMO, Proparco, EBRD და ა.შ.
- 2019 წელს პირველად სალიზინგო ბაზრის არსებობის ისტორიაში კომპანიის აქტივების ზომამ გადააჭარბა 300მლნ ლარს.
- 2020 წელს კომპანიამ გამოუშვა პირველად არასაბაკო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ყველაზე დიდი მოცულობის ლარის საჯარო ბონდი
- 2020წელს კომპანიამ აიღო ყველაზე მაღალი საკრედიტო რეიტინგი, ანალოგიურად არასაბაკო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის.
- ზედიზედ ორჯერ 2020-21 წლებში კომპანიამ აიღო წლის საუკეთესო ანგარიშგების და გამჭვირვალობის ჯილდო (BARTA).
- 2022 წელს კომპანიამ პირველად შესთავაზა ბაზარს უპრეცედენტო პროდუქტი, უძრავი ქონების ლიზინგი

2.4. იმ მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა, რამაც მატერიალური გავლენა შეიძლება მოახდინოს ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე.

„კომპანიის“ მენეჯმენტის შეფასებით, მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

2.5. კომპანიის საკრედიტო რეიტინგი;

2020 წელს ემიტენტის Fitch Ratings-ის საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენდა BB- ნეგატიური პერსპექტივით.

2021 წელს რეიტინგი ორჯერ განახლდა და 2021 წლის ბოლოს შეიცვალა BB- სტაბილური პერსპექტივით.

2022 წელს კომპანიამ განახლა Fitch Ratings-ის საკრედიტო რეიტინგი BB- სტაბილური პერსპექტივით.

ემიტენტისათვის ზემოთხსენებული საკრედიტო რეიტინგის მინიჭების მიზეზებად ფიტჩის მიერ რამდენიმე ძირითადი მიზეზი დასახელდა:

- **მხარდაჭერა ძლიერი მშობლისაგან** - მნიშვნელოვანია, რომ სს თიბისი ბანკი არის ემიტენტის 100%-იანი წილის მფლობელი, რაც საშუალებას აძლევს მას სრულად გააკეთოს კომპანიის ინტეგრაცია საკუთარ ეკოსისტემაში, ეფექტურად მართოს ინვესტირებული კაპიტალი და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს დამატებითი სახსრების ინექცია.
- **მხარდაჭერა განპირობებული რეპუტაციული რისკებით** - TBCL-ის უცხოური კრედიტორები ძირითადად იგივე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები (IFI) ინვესტორები არიან, საიდანაც თიბისი ბანკი იღებს სახსრებს საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად. Fitch-ს მიაჩნია, რომ თიბისი ბანკის მხარდაჭერა მათ შორის განპირობებულია რეპუტაციული რისკებით მის ძირითად კრედიტორებთან.
- **მზარდი როლი ჯგუფში** - ემიტენტი მოღვაწეობს მხოლოდ საქართველოს ბაზარზე და წარმოადგენს თავისი დარგის ლიდერს. კომპანია აკრედიტებს როგორც კორპორატიული ზომის, ასევე საშუალო, მცირე და მიკრო ბიზნესებს ფიზიკურ პირებთან ერთად.
- **ინტეგრაცია მშობელთან** - სს თიბისი ბანკის 100%-იანი მესაკუთრეობა ნიშნავს, რომ ემიტენტის სტრატეგია კარგად არის შეთანხმებული მშობლის სტრატეგიასთან და რისკის პროფილთან, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას დამოუკიდებელი მენეჯმენტი ჰყავს, რომელიც თვითონ იღებს საოპერაციო გადაწყვეტილებებს.
- **კაპიტალისა და დაფინანსების მხარდაჭერა** - სს თიბისი ბანკი კომპანიას უწყევს დახმარებას როგორც კაპიტალის, ასევე სხვა დაფინანსების სახით (სუბორდინირებული სესხი), რათა დაეხმაროს კომპანიას ზრდაში და საშუალება მისცეს მას მოიზიდოს დამატებითი დაფინანსება სესხებისა და ობლიგაციების მეშვეობით და შეასრულოს არსებული კოვენანტები. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის დეკემბერში მშობელმა ემიტენტის კაპიტალი 6 მილიონი ლარით გაზარდა, 2020 წლის განმავლობაში კი დამატებით 2.5 მილიონი ლარით გაზარდაზე მიიღო გადაწყვეტილება.
- **შედარებით სუსტი დამოუკიდებელი პროფილი** - ემიტენტის დამოუკიდებელი კრედიტამტანიანობას ზღუდავს მონოპროფილური ბიზნესი, აქტივების შედარებით სუსტი ხარისხი და რისკის შედარებით მაღალი აპეტიტი, განსაკუთრებით საკრედიტო და სავალუტო რისკების ნაწილში. თუმცა, პოზიტიურია ფაქტი, რომ ემიტენტის მომგებიანობა მშობლის მიერ დადგენილ სამიზნე მომგებიანობაზე მაღალია, რაც ხაზს უსვამს კომპანიის დადებით კონტრიბუციას მშობლის შედეგებზე.
- **უზრუნველყოფილი ვალის გათანაბრება IDR-ით** - მიუხედავად ობლიგაციების უზრუნველყოფილი ხასიათისა და ხელშეკრულებით სუბორდინირებული სესხის ბუფერისა TBCL-ის სენიორ უზრუნველყოფილი სესხის რეიტინგი გათანაბრებულია კომპანიის გრძელვადიან IDR-თან. ეს ასახავს გაურკვეველობას აქტივების ადდგენის შესახებ სცენარში, როდესაც თიბისი და თიბისი ბანკი დეფოლტის მდგომარეობაში იქნებიან. ამ შესაძლო სცენარს სავარაუდოდ თან ახლავს მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური სტრესი საქართველოში.

რეიტინგის სენსიტიურობა:

- **მშობელი კომპანიის რეიტინგი** - თიბისი ლიზინგის სტაბილური პერსპექტივა ასახავს თიბისი ბანკის მდგომარეობას და თიბისი ბანკის რეიტინგში ცვლილებები შესაძლოა აისახოს თიბისი ლიზინგის რეიტინგში
- **მხარდაჭერა** - თიბისი ბანკის მხარდაჭერის მატერიალურმა შესუსტებამ შეიძლება გამოიწვიოს მშობლისგან განსხვავებული რეიტინგი. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მშობელი კომპანიის სუსტი ფინანსური პერფორმანსით, დამატებითი მარეგულირებელი შეზღუდვების უფრო დიდი რისკი ან TBCL-ის სტრატეგიული მნიშვნელობის შემცირება.
- **ფასიანი ქაღალდების შედარებით რეიტინგი** - TBCL-ის გრძელვადიანი IDR-ში ცვლილებები აისახება კომპანიის სენიორ უზრუნველყოფილი ობლიგაციების რეიტინგში. ობლიგაციების შესაძლო ტრანსფორმაცია არაუზრუნველყოფად ობლიგაციად არ გამოიწვევს გამოშვების რეიტინგის დაქვეითება, იმ პირობით, რომ ამას თან ახლავს მსგავსი კონვერტაცია TBCL-ის სხვა დაფინანსების საშუალებებიდან

საკრედიტო რეიტინგის რეპორტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე - <https://www.tbclearing.ge/assets/investors/reports/Fitch%20Rating%20Report%20-%20July%202022.pdf>.

2.6. ინფორმაცია ემიტენტის სასესხო და დაფინანსების სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ ბოლო ფინანსური წლის მანძილზე; ამასთან, მისი საქმიანობის მომავალი პერიოდების სავარაუდო დაფინანსების წყაროების აღწერა.

კომპანიის დავალიანების სტრუქტურა საანალიზო პერიოდის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

| (000' ლარი) | 2022 | 2021 | 2020 | 2019 |
|---|----------------|----------------|----------------|----------------|
| სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან | 211,481 | 207,635 | 264,246 | 242,196 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 58,580 | 58,342 | 58,114 | - |
| სუბორდინირებული სესხი | 32,357 | 33,691 | 35,412 | 31,227 |
| სულ პროცენტური ვალდებულებები | 302,418 | 299,668 | 357,771 | 273,422 |

3. საქმიანობის აღწერა

3.1. ძირითადი საქმიანობა

3.1.1. ემიტენტის საქმიანობის ტიპიდან და ბიზნეს-ოპერაციებიდან გამომდინარე, მის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორების, ასევე, ფინანსურ მონაცემებში მოყვანილი ყოველი წლისთვის წარმოდებული პროდუქტების და/ან გაწეული მომსახურების ძირითადი კატეგორიების მოკლე აღწერა.

სს „თიბისი ლიზინგი“ მომხმარებელს სთავაზობს როგორც ფინანსური, ასევე საოპერაციო ლიზინგით მომსახურებას. კომპანიას აქვს სხვადასხვა დასახელების პროდუქტები, რომელიც მორგებულია როგორც იურდიულ, ასევე ფიზიკურ პირებზე. იურდიულ პირებში კომპანიის პორტფელი გადანაწილებულია კორპორატიულ დიდი ზომის კლიენტებზე, მცირე და საშუალო ბიზნესზე და ასევე მიკრო ბიზნესის წარმომადგენლებზე მთელი საქართველოს მასშტაბით, რომელთა მომსახურება ხდება სათაო ოფისიდან რომელიც მდებარეობს თბილისში. ფიზიკური პირებისთვის შექმნილი არის სპეციალური სერვის ცენტრები საქართველოს რამდენიმე ქალაქში, კერძოდ: თბილისსა და ი, რუსთავი, ბათუმში, და ქუთაისი, სადაც ხდება როგორც ახალი კლიენტების მოზიდვა/მოძიება, ასევე არსებული მომხმარებლების დაკმაყოფილება.

კომპანიის ძირითად კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს:

- ლიზინგის სტრუქტურულიდან გამომდინარე, ყოველგვარი დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე, მხოლოდ თანამონაწილეობის საფუძველზე, აქტივის მიზნობრივი დაფინანსება,
- მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული და საერთაშორისო პრაქტიკასთან ადაპტირებული სწრაფი და მოქნილი ბიზნეს პროცესები,
- მოძრავი აქტივების მართვისა და ფინანსირების სფეროში ჩამოყალიბებული ექსპერტიზა,
- თიბისი ბანკის ეკოსისტემაში ინტეგრაცია და მისი არხების საშუალებით მომსახურების გაყიდვის შესაძლებლობა;
- ლიზინგის, როგორც აქტივის საუკეთესო და ხელმისაწვდომი ალტერნატიული ფინანსირების საშუალების ლოიალური მომხმარებლების ბაზა, რომელიც ყოველ წლიურად იზრდება,
- დივერსიფიცირებული ფინანსური რესურსები, რომლებიც ცვალებად გარემოში ადაპტირების საშუალებას აძლევს კომპანიას;

კომპანიის დახმარებით მომხმარებლებს შეუძლია მეორადი იმპორტირებული და ადგილობრივი მსუბუქი მანქანების შეძენა ან დაფინანსების აღება. კომპანია აქტიურად განაგრძობს მომხმარებლებისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზებას. 2021 წელს სალიზინგო ბაზარზე კომპანიამ პირველად წარადგინა კომერციული უძრავი ქონების ლიზინგი.

| პროდუქტი | სალიზინგო თანხა | თანადაფინანსება | ლიზინგის ვადა | ნომინალური % |
|---|-----------------|-----------------|---------------|---|
| ფინანსური ლიზინგი | მინ 1000 აშშდ | მინ 10% | 60 თვე | ლარი - მინ - 16 / მაქს - 26 აშშდ - მინ - 10 / მაქს - 18 ევრო - მინ - 8 / მაქს - 16 |
| ავტოლიზინგი ცენტრებიდან (იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის) | მინ 2000 აშშდ | მინ 10% | 60 თვე | ლარი - მინ - 15 / მაქს - 23 აშშდ - მინ - 10 / მაქს - 18 ევრო - მინ - 9 / მაქს - 16 |
| ავტოლიზინგი მეორად მანქანებზე (იურიდიული და პრემიუმ ფიზიკური პირებისთვის) | მინ 5000 აშშდ | მინ 20% | 60 თვე | ლარი - მინ - 18 / მაქს - 28 აშშდ - მინ - 12 / მაქს - 20 ევრო - მინ - 11 / მაქს - 18 |
| ფიზიკური პირების დაფინანსება მეორად ადგილობრივ მანქანებზე | მინ 1000 ლარი | მინ 5% | 60 თვე | ლარი - მინ - 20 / მაქს - 35 |
| ფიზიკური პირების დაფინანსება მეორად იმპორტირებულ მანქანებზე | მინ 1000 ლარი | მინ 5% | 60 თვე | ლარი - მინ - 20 / მაქს - 35 |
| საოპერაციო ლიზინგი | მინ 10000 აშშდ | მინ 0% | 60 თვე | ლარი - მინ - 17 აშშდ - მინ - 11 ევრო - მინ - 9 |

3.1.2. არსებობის შემთხვევაში, ახალი პროდუქტის ან მომსახურების მითითება და განვითარების სტადიის აღწერა;

2022 წელს კომპანიმ ბაზარზე წარადგინა ახალი პროდუქტი კომერციული უძრავი ქონების ლიზინგი, რის ფარგლებშიც კომპანია აფინანსებს კომერციულ, საწარმოო და საოფისე ფართებს როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისთვის. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ თავიანთი იჯარა ჩაანავლონ კომერციული უძრავი ქონების ლიზინგით და გამოსიციდონ ქონება ვადის ბოლოს ნარჩენი ღირებულების გათვალისწინებით. ამ ეტაპზე არ იგეგმება სრულად ახალი პროდუქტების დანერგვა, თუმცა აღსანიშნავია რომ ემიტენტი მუდმივად ცდილობს არსებული პროდუქტების განვითარებას და ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას.

3.1.3. არსებობის შემთხვევაში, ბიზნესის სეზონურობის აღწერა.

სალიზინგო ბიზნესისთვის სეზონურობა გარკვეულწილად დამახასიათებელია და ძირითადად თანხვედრაშია მისი მთავარი სექტორების ბიზნეს სეზონურობასთან: მშენებლობა, წარმოება, საცალო მიმართულება. აქედან გამომდინარე, წლის დასაწყისში და ზაფხულის თვეებში შეინიშნება მცირე პასიურობა წლის სხვა თვეებთან შედარებით.

3.2. გასაღების ბაზრები (ძირითადი ბაზრები)


3.2.1. იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, სადაც ემიტენტი ოპერირებს საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ახორციელებს ექსპორტს, მიღებული შემოსავლების ჩაშლა გეოგრაფიული მდებარეობის მითითებით, პროსპექტში წარმოდგენილი თითოეული ფინანსური წლისთვის.

საქართველოში პირველი სალიზინგო კომპანია 2001 წელს დაარსდა, „თბილუნვიერსალბანკის“ მიერ, და იქიდან მოყოლებული სექტორი მუდმივად ვითარდება. ამჟამად ბაზარზე სამი ძირითადი მოთმამეა, გარდა თიბისი ლიზინგისა. ესენი არიან სს „საქართველოს ბანკის“, სს „ბაზის ბანკის“ და სს „კრისტალის“ შვილობილი კომპანიები.


2022 წლის 31 დეკემბერს სალიზინგო სექტორის მთლიანმა პორტფელმა 414,922 ათასი ლარი შეადგინა რაც 2007 წლის მონაცემებთან შედარებით თითქმის 11-ჯერ მეტია. 2008-2009 წლებში საქართველო-რუსეთს შორის არსებულმა კონფლიქტმა და ეკონომიკურმა კრიზისმა სექტორზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია, რის შედეგადაც პორტფელი თითქმის განახევრდა 2009: წელს 28,882 ათასი ლარი, ხოლო 2010 წელს 26,219 ათასი ლარი შეადგინა 2011 წელს კანონმდებლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები (მიიღეს ახალი სალიზინგო რეგულაციები და ცვლილებები შევიდა საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსებში) რამაც ხელი შეუწყო სექტორის ზრდას, ამის შედეგად 2012 წელს სექტორის ჯამური პორტფელი 2-ჯერ გაიზარდა და 54,428 ათას ლარს მიაღწია. მომდევნო წლებში სასაქონლო ფასების კრიზისმა და ლარის გაუფასურებამ სექტორის ზრდის ტემპი შეანელა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მიუხედავად რეგიონში განვითარებული უარყოფითი მოვლენებისა, საქართველოს ეკონომიკამ სტაბილურობა შეინარჩუნა. 2017 წელს საქართველოს სალიზინგო სექტორი წინა წლის მონაცემებს 56%-ით აღემატებოდა, 2018 წელს სექტორის ზრდამ 54% შეადგინა, ხოლო 2019 წელს მდგომარეობით 36%-ი, წინა წლის ბოლოსთან შედარებით. 2020 და 2021 წელს სალიზინგო ბაზრის მცირე კლება შეინიშნება (შესაბამისად 12% და 6%). რაც პანდემიური და პოსტპანდემიური პერიოდით იყო განპირობებული. 2022 წელს კი წინაწელთან შედარებით 3% ზრდა დაფიქსირდა.

მიუხედავად იმისა, რომ სექტორი 2012 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვნად იზრდებოდა, სალიზინგო სექტორის ჯამური პორტფელის წილი მშპ-სთან მიმართებით კვლავ დაბალია. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის მონაცემების თანახმად სალიზინგო სექტორის ჯამური პორტფელის წილი მშპ-სთან მიმართებით 0.6%-ს შეადგენდა და უკანასკნელი წლების განმავლობაში სექტორის ზრდასთან ერთად გაიზარდა. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0.9% შეადგინა (2021 წელს 1%), აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ დაბალია სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით, მაგალითად, White Clarke Group-ის მიხედვით უნგრეთში აღნიშნული წილი 2017 წელს 2.01% იყო, პოლონეთში კი 3.64%, ბულგარეთში 2.05%, ლატვიაში კი 3.3%. საქართველოში სალიზინგო სექტორის მცირე ზომის გათვალისწინებით, სექტორის ზრდის მყარი პოტენციალი არსებობს.

სალიზინგო პორტფელი, საქართველო



წყარო: კომპანიის მონაცემები



წყარო: White Clarke Group Global Leasing Report 2022¹

ლიზინგს გარკვეული უპირატესობები აქვს საბანკო სესხებთან შედარებით, კერძოდ: 1) ლიზინგის დროს, როგორც წესი, არ ხდება დამატებითი უზრუნველყოფის მოთხოვნა; 3) სალიზინგო კომპანიებს მომწოდებლებთან ხანგრძლივი ურთიერთობიდან გამომდინარე საშუალება აქვთ ისარგებლონ შეღავათიანი პირობებით და შედეგად, ლიზინგის მიმღებსაც შესთავაზონ უფრო ხელსაყრელი პირობები. ამასთანავე, გამყიდველის რისკი მთლიანად გადადის ლიზინგის გამცემზე.

¹ რეპორტში გამოყენებული მონაცემები 2020 წლის შედეგებით არის დათვლილი


2011 წელს საქართველოს სალიზინგო სექტორმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი კანონმდებლობა კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) პრინციპების მიხედვით. ამის საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსში რამდენიმე ცვლილება შევიდა, რამაც გაამარტივა ლიზინგის სექტორში საგადასახადო ადმინისტრირება და შეამცირა სალიზინგო კომპანიების საგადასახადო ტვირთი. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებელი გახდა უიმედო ლიზინგებისათვის რეზერვის შექმნა და გაცემული ლიზინგის ღირებულების 80%-ის ჩამოწერა, თუ ვადაგადაცილება 60 დღეს აღემატება, რამაც შეამცირა მოგებაზე ეფექტური გადასახადი. ასევე, 2011 წლამდე სალიზინგო კომპანიებს სხვა სექტორის კომპანიებისგან განსხვავებით არ შეეძლოთ 100%-იანი ამორტიზაციის გამოყენება. განახლებული საგადასახადო კოდექსი ლიზინგის გამცემისთვის იძლევა სალიზინგო აქტივებზე ქონების ეფექტური გადასახადების გაანგარიშების საშუალებას უიმედო ლიზინგების გათვალისწინებით. ამასთან, დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა ლიზინგის გადახდის პროპორციულად ხდება (ლიზინგის გრაფიკის მიხედვით), რაც დამატებით სარგებელს წარმოადგენს.

საქართველოში დოლარიზაციის მაღალი დონის არსებობის გამო, ეროვნული ბანკის მიერ დაწყებული ლარიზაციის პროგრამის ფარგლებში 2017 წლიდან ფინანსურ ინსტიტუტებს აკრძალათ 100,000 ლარამდე სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემა, 2019 წლიდან კი ეს ზღვარი 200,000-მდე გაიზარდა. 2018 წლის მეორე ნახევრიდან ლარიზაციის პროგრამა ლიზინგის სექტორსაც შეეხო, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ლიზინგის გამცემის მიერ ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ინდ. მეწარმისაგან) მისაღები თანხა არ შეიძლება იყოს რაიმე ფორმით უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული, თუ ლიზინგის დაფინანსების თანხა არ აღემატება 100,000 ლარს (აღნიშნული ზღვარი 2019 წლიდან 200,000 ლარამდე გაიზარდა). 2019 წლიდან ასევე, ფიზიკურ პირებზე (მათ შორის ინდ. მეწარმეებზე) გაცემული ლიზინგისთვის, დაწესდა წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 50%-იანი ზედა ზღვარი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სალიზინგო სექტორში საცალო პორტფელის წილი დაბალია, ახალი რეგულაციების ფონზე საცალო პორტფელის ზრდის შემცირებაა მოსალოდნელი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, გატარებული სტრუქტურული რეფორმების შედეგად, ქვეყანაში შემცირდა კორუფცია, გაუმჯობესდა საჯარო მომსახურება და გამარტივდა საგადასახადო და საბაჟო პროცედურები. ამ ცვლილებებმა ხელი შეუწყო ქვეყანაში ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნებას, მიუხედავად იმ ეკონომიკური შოკებისა, რომლებიც ქვეყანამ და რეგიონმა გამოიარა. მსოფლიო ბანკის 2019 წლის ანგარიშის - "Ease of Doing Business" - მიხედვით საქართველო მე-7 ადგილს იკავებს 191 ქვეყანას შორის. ამასთანავე, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch-მა 2023 წელს საქართველოს საკრედიტო რეიტინგი BB სტაბილური პერსპექტივიდან BB პოზიტიურ პერსპექტივით გააუმჯობესა აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები, მოგების გადასახადის რეფორმა (ე.წ. ესტონური მოდელი) და დღგ-ს ავტომატური უკან დაბრუნების რეფორმა, რამაც გააუმჯობესა ქართული კომპანიების ფინანსური მდგომარეობა და შექმნა კორპორატიული სექტორის ზრდის საფუძველი.


უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში იზრდება საქართველოში მოქმედი აქტიური ბიზნესების რაოდენობა, რამაც 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 229,527 შეადგინა.

აქტიური ბიზნესების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 1 იანვარი 2023



წყარო: საქსტატი

აქტიური ბიზნესების რაოდენობა




წყარო: საქსტატი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სალიზინგო სექტორი შედარებით მცირე მოცულობისაა, სექტორის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით კომპანიის ხედვა ოპტიმისტურია. აღსანიშნავია, რომ ლიზინგით დაფინანსებაზე მოთხოვნას ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესები ქმნიან, რადგან ლიზინგი მათ საბრუნავი კაპიტალის შემცირების გარეშე, აქტივების ფლობის საშუალებას აძლევს. მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 2021 წელს 14.7 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 8.6%-იან ზრდას წარმოადგენს. 2016-2021 წლებში CAGR მაჩვენებელი 7.0%-ს უტოლდებოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ მთავრობა ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებას, 2017 წელს ე.წ. ესტონური მოდელის შემოღება, დადებითი გავლენა იქონია საქართველოში ოპერირებად კომპანიებზე. 2017 წელს, ქართული კომპანიების მიერ ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები წლიურად 19.7%-ით გაიზარდა და 5.6 მილიარდ ლარს მიაღწია, რომლის 39.2% მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ იყო განხორციელებული. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ზრდის ძირითადი ნაწილი


განპირობებული იყო მსხვილი კომპანიების მხრიდან გაზრდილი ინვესტიციებით, მცირე და საშუალო ბიზნესების მხრიდან ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები მხოლოდ 0.3%-ით გაიზარდა. ეს სტატისტიკა 2018 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები 18.0%-ით გაიზარდა და 2.6 მილიარდ ლარს მიაღწია, მაშინ, როცა მთლიანი ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (მსხვილი კომპანიების ჩათვლით) 11.1%-ით შემცირდა. 2021 წელს მთლიანი ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში 25.6%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მსხვილი ბიზნესების ზრდა 38.4%-ს წარმოადგენდა, მაშინ როდესაც საშუალო და მცირე ბიზნესების ინვესტიციები მხოლოდ 13.2%-ით გაიზარდა. მცირე და საშუალო ბიზნესების ძირითად საშუალებებში ინვესტიციების CAGR მაჩვენებელი 2016-2021 წლებში შეადგენდა 2.4%-ს.

მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი

მცირე და საშუალო ბიზნესების ინვესტიციები ძირითად საშუალებებში, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი

საზოგადოებაში სალიზინგო პროდუქტებსა და ლიზინგის უპირატესობაზე არასაკმარისი ინფორმაციის არსებობის გამო, ლიზინგზე მოთხოვნა ჯერ კიდევ დაბალია.

გაზრდილი რეგულაციების მიუხედავად (ლარიზაცია და საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვრის დაწესება) სექტორს ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს სალიზინგო პროდუქტებზე ცნობადობის ამაღლებისა და კომპანიებში გაზრდილი მომგებიანობის საფუძველზე. შესაბამისად, კომპანიის მოლოდინია რომ სალიზინგო სექტორი გააგრძელებს სწრაფ ზრდას საშუალოვადიან პერიოდში.

3.3. ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ თავი 2 „ინფორმაცია ემიტენტის შესახებ“

3.4. სამომავლო სტრატეგია და მიზნები:

3.4.1. ემიტენტის ბიზნესის სტრატეგიისა და მიზნების აღწერა, მათ შორის ფინანსური და არაფინანსური. ამასთან, კომპანიის სამომავლო გეგმების აღწერა;

სს თიბისი ლიზინგის მიზანია მდგრადი განვითარებისა და შედეგზე ორიენტირებული პასუხისმგებლობიანი ქმედებების საშუალებით შექმნას მომხმარებლისათვის ფასეული მომსახურებების ეკოსისტემა და ამის შედეგად გაზარდოს კომპანიის ღირებულება გრძელვადიან პერსპექტივაში. კომპანიის სურვილია, ინოვაციური გადაწყვეტების გზით მომხმარებლებს მიაწოდოს ხელმისაწვდომი, მოქნილი და მაღალი ხარისხის სალიზინგო მომსახურება და ამასთანავე თანამშრომლებს შესთავაზოს უსაფრთხო, მიმზიდველი და პერსონალურ განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო.

კომპანია გეგმავს სრულად გააციფრულოს საკუთარი ბიზნეს პროცესები, რის შედეგადაც მოხდება კომპანიისა და მომხმარებლების დროისა და საოპერაციო რესურსების მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია. ასევე, აპირებს განავითაროს ონლაინ პორტალი მომხმარებლებისთვის, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს კომპანიის მიერ შეთავაზებულ მომსახურებებზე წვდომას და გაზრდის მომხმარებლების კმაყოფილებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროცესების ოპტიმიზაცია და ონლაინ პორტალის განვითარება.

კომპანიის ძირითადი მიმართულება იურიდიული პირებისათვის ფინანსური და საოპერაციო ლიზინგის მომსახურების მიწოდებაა და პორტფელის 99%-მდე აღნიშნულ მიმართულებაზე მოდის, რომელიც თავის მხრივ სექტორების მიხედვით საკმაოდ დივერსიფიცირებულია ძირითადად მშენებლობის, მომსახურების, მედიცინის, წარმოების და სხვა მიმართულებებით.

საცალო მომხმარებლების ლიზინგით დაფინანსება ძირითადად ახალი და მეორადი მსუბუქი ავტომანქანების მიმართულებით მიმდინარეობს, რომლის სალიზინგო აქტივი სტაბილური ღირებულებისა და განვითარებული მეორადი ბაზარის გამო დაბალრისკიან და ლიკვიდურ უზრუნველყოფად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ კომპანია აქტიურად მონაწილეობს აწარმოე საქართველოსა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სახელმწიფო პროგრამებში და მის ფარგლებში აფინანსებს წარმოების, მომსახურებისა და აგრო სექტორის კომპანიებს, რომლებიც თავის მხრივ კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაცემული ლიზინგები, მთლიანი პორტფელის 14% შეადგენს.

ახალი მსუბუქი ავტომანქანების ლიზინგით დაფინანსება კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს და ამჟამად ბაზრის ლიდერია ამ მიმართულებით, რომლის განვითარებასაც საცალო და კორპორატიული მომხმარებლებისთვის სამომავლოთაც გეგმავს.

სალიზინგო აქტივის მომწოდებელთან და საბოლოო ლიზინგის მომხმარებელთან კავშირიდან გამომდინარე, კომპანია ლიზინგის სტრატეგიულ მიმართულებად მიიჩნევს ენერგოეფექტური აქტივებისა და სექტორების ლიზინგით დაფინანსებას, რომელიც გარემოში CO2 გამონაბოლქვის შემცირებას და ენერჯის მოხმარების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად და ამ მიმართულებით ყოველწლიურად ზრდის პორტფელის კონცენტრაციას და აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო დამფინანსებლებთან და დონორებთან.

ემიტენტის ფინანსური მიზანი არის 2025 წლამდე სალიზინგო პორტფელის გაორმაგება.

3.4.2. არსებობის შემთხვევაში, კომპანიის მიერ ბიზნესების შესყიდვებისა და შერწყმების შესახებ ინფორმაცია;

ბოლო სამი წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია „კომპანიის“ მიერ სხვა ბიზნესების შესყიდვას ან შერწყმას.

3.4.3. არსებობის შემთხვევაში, კომპანიის ან მისი შვილობილების გადახდისუუნარობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევების აღწერა;

ემიტენტს არ ჰყავს, და არც წარსულში ჰყოლია, შვილობილი კომპანიები, შესაბამისად ადგილი არ ჰქონია შვილობილების გადახდისუუნარობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევების.

ადგილი ასევე არ ჰქონია ემიტენტის გადახდისუუნარობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევებს.

3.5. ემიტენტის ბიზნესის რესურსები და პროცესები

3.5.1. თუ ემიტენტის ბიზნესის სპეციფიკისა და მომგებიანობისთვის მნიშვნელოვანია, ინფორმაცია ძირითადი პატენტების, ლიცენზიების, კომერციული ან ფინანსური კონტრაქტების ან წარმოების ახალი პროცესების შესახებ;

ემიტენტის საქმიანობა არ საჭიროებს სპეციალური ლიცენზიის ან პატენტის ქონას.

3.5.2. ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაცია, მისი ტიპების, წყაროების, ფასების ცვალებადობის/სტაბილურობის მითითებით.

ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ მუხლი 2.6 ინფორმაცია ემიტენტის სასესხო და დაფინანსების სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ ბოლო ფინანსური წლის მანძილზე; ამასთან, მისი საქმიანობის მომავალი პერიოდების სავარაუდო დაფინანსების წყაროების აღწერა

3.5.3. არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული ან მომავალში გამოსაყენებელი ტექნოლოგიების აღწერა;

კომპანია ყოველდღიური საქმიანობისთვის იყენებს საოპერაციო სისტემას, რომლის განახლება და პროდუქტებზე მორგება მუდმივად ხორციელდება, რაც ერთის მხრივ ზრდის თანამშრომლების ეფექტურობას და მეორეს მხრივ სძენს კომპანიას უპირატესობას ბაზარზე. სამომავლოდ იგეგმება ონლაინ პლატფორმის შექმნა, რომელიც კომპანიას დაეხმარება უფრო სწრაფად და მარტივად მიაწოდოს პროდუქტი მომხმარებელს.

3.5.4. ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურების აღწერა:

სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა

კომპანია განსაზღვრავს დაფინანსებად აქტივებს აქტივის ტიპის, წლოვანების, ტექნიკური მდგომარეობის ან/და სხვა შესაძლო მნიშვნელოვანი კრიტერიუმების მიხედვით.

ლიზინგის დაფინანსებამდე ხდება ყველა აქტივის მონიტორინგი ადგილზე ვიზიტით (საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე არსებობის შემთხვევაში) და შეფასება - საბაზრო ღირებულების დადგენა, რისი გათვალისწინებითაც ხდება დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. შეფასება ხდება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (IVS) ლიცენზირებული შემფასებლების მიერ მონიტორინგის დასკვნის საფუძველზე და იწერება შეფასების აქტი.

დაფინანსებულ აქტივს უტარდება გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება კომპანიის შიდა პროცედურით აქტივის ტიპის მიხედვით განსაზღვრული პერიოდულობით - 6 ან 12 თვეში ერთხელ, რის შემდეგაც ხდება აქტივის გადაფასებაც.

აქტივის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება კომპანიის საოპერაციო სისტემაში და თან ერთვის განხორციელებული მონიტორინგის ფოტოსურათები, მონიტორინგის და შეფასების დასკვნები.

ყველა აქტივი იზღვევა აქტივის ტიპის მიხედვით განსაზღვრული დაფარული რისკების შესაბამისად კომპანიის, ან გამონაკლის შემთხვევებში - ლიზინგის მიმღების მიერ.

ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები თავსდება თიბისი ლიზინგის სადგომზე, უტარდება ტექნიკური ინსპექტირება/მონიტორინგი, დგინდება საბაზრო ღირებულება და მზადდება სარეალიზაციოდ.

ლიზინგის პოლიტიკა და პროცედურები

კომპანიას საკრედიტო პოლიტიკის ჭრილში შემუშავებული აქვს ლიზინგის გაცემამდე და გაცემის შემდეგ საჭირო განსახორციელებელი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს საკრედიტო და აქტივის რისკების წინასწარ განსაზღვრას და მათ მინიმუმამდე დაყვანას, ფინანსურ ბაზარზე სხვადასხვა აპრობირებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით.

პროექტის დამტკიცების და გაცემის პროცედურა ზოგად ჭრილში წარმოდგენილია შემდეგი დიაგრამის სახით, პროდუქტების მიხედვით კი პროცედურები ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისგან დასაფინანსებელი თანხის და პროდუქტის სპეციფიკაციიდან გამომდინარე:

1. პოტენციურ კლიენტთან ინტერესის საწყისი განხილვა შეხვედრის ან განაცხადის მეშვეობით;
2. საჭირო ინფორმაციის მოთხოვნა, შეგროვება და შეთავაზების გაკეთება (ინფორმაცია შერჩეულ აქტივზე დეტალური ტექნიკური მახასიათებლებით და მომწოდებლის ინვოისით; პროდუქტის მიხედვით მოსათხოვნი ფინანსური და იურიდიული დოკუმენტაცია);
3. აქტივის შეფასება;
4. სალიზინგო პროექტის მომზადება - თუ შეფასება დამაკმაყოფილებელია;
5. საკრედიტო კომიტეტის მიერ პროექტის განხილვა (> \$1.5 მლნ დაფინანსების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება თიბისი ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე);
6. ლიზინგის გაცემა დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, იურიდიული დოკუმენტაციის მომზადება, გადამოწმება და საბოლოო ხელშეკრულებების ხელმოწერა, კომპანიის, ლიზინგის მიმღების და მომწოდებლის მხრიდან;
7. კლიენტის მხრიდან თანამონაწილეობის თანხის შემოტანა;
8. აქტივის მოწოდება და ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემა;
9. ნასყიდობის თანხის გადარიცხვა (ავანსის შემთხვევაში - სახელშეკრულებო ქონების მოწოდებამდე, აკრედიტივის, იპოთეკის ან სხვა უზრუნველყოფის საფუძველზე).

პროექტის ფინანსური მონიტორინგის პროცედურა

ფინანსური მონიტორინგის წარმოება სავალდებულოა შემდეგი ტიპის კლიენტებზე:

- ლიზინგის მიმღები, რომლის მიმდინარე ჯამური ვალდებულება აღემატება „თიბისი ლიზინგის“ კაპიტალის 5%-ს - სავალდებულოა 6 თვეში ერთხელ;
- ლიზინგის მიმღები, რომლის ჯამური ვალდებულება აღემატება 300.000 აშშ დოლარს - სავალდებულოა 12 თვეში ერთხელ;
- ლიზინგის მიმღები, რომლის დაფინანსებას განხორციელდა Start-Up პროექტის ფარგლებში - ბიზნეს საქმიანობის დაწყებიდან 6 თვეში ან/და ინდივიდუალურად კომიტეტზე დამტკიცებული მოთხოვნის შესაბამისად;
- ლიზინგის მიმღები, რომელსაც გაუკეთდა რესტრუქტურირაცია და მიენიჭა ცუდი რესტრუქტურირაცია / NPL კატეგორია - სავალდებულოა 3 თვეში ერთხელ ან/და უფრო ხშირად ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით. ცუდი რესტრუქტურირაციის სტატუსი კლიენტს ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, მას გაუკეთდა გრაფიკის ცვლილება და მოხდა ყოველთვიური შენატანის კორექტირება. იმის განსასაზღვრად ეკუთვნის თუ არა კლიენტს რესტრუქტურირაცია, საკრედიტო რისკების განყოფილება უყურებს მის ფინანსურ მდგომარეობას, აფასებს რამდენად ემსახურება კლიენტის ფინანსები ყოველთვიურ შენატანს და ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, მოახდინოს თუ არა ლიზინგის რესტრუქტურირაცია. საკრედიტო კომიტეტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ფინანსური მონიტორინგი კონკრეტულ კლიენტზე ან ისეთ ინდუსტრიაში შემავალ ყველა კომპანიაზე, სადაც გაზრდილია რისკის დონე.

ვადაგადაცილებული პორტფელის მართვის პროცედურა

ვადაგადაცილებული პორტფელის მართვის პროცედურა განსაზღვრავს პრობლემური გადახდების მართვას და ადგენს განსახორციელებელ ქმედებებს, რათა ადრეულ ეტაპზე მოხდეს პოტენციურ პრობლემურ კლიენტებთან შესაბამისი რეაგირება.

პორტფელის მართვა ხორციელდება საკრედიტო და პრობლემური განყოფილებების მიერ:

| ქმედება | დღეები |
|--|---------------------------------------|
| მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდება ლიზინგის საზღაურის გადახდის შესახებ | გადახდამდე 3 დღით ადრე და 1 დღით ადრე |
| ლიზინგის მენეჯერი. სექტორ ჰედი და დეპარტამენტის უფროსი (საჭიროების შემთხვევაში კომერციული დირექტორი) ემუშავება ლიზინგის მიმღებს მიმდინარე დავალიანების გასასწორებლად | 1-30 დღე |
| პრობლემური ლიზინგის პორტფელის მენეჯერი ყოველდღიურ რეჟიმში ემუშავება კლიენტს დავალიანების გასასწორებლად | 30-90 დღე |
| ლიზინგის შეწყვეტის კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე | 90+ დღე |
| ხელშეკრულების ავტომატური შეწყვეტა | 180+ დღე |

*შენიშვნა - კლიენტებს, რომელთაც უფიქსირდებათ 45-90 დღემდე ვადაგადაცილება და აღენიშნებათ გაუარესებული ფინანსური მდგომარეობა, პრობლემური განყოფილების რეაბილიტაციის ჯგუფი ემუშავება შესაძლო რესტრუქტურირაციაზე, დაფინანსებული აქტივის ტიპის და კლიენტის ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე.

** შენიშვნა - ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს 90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილების შემთხვევაშიც, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს შეწყვეტების კომიტეტი.

რეზერვირების პროცედურა

2018 წლის 1 იანვრიდან, საერთაშორისო ფინანსური რეპორტირების ახალი სტანდარტის IFRS 9 შესაბამისად კომპანიამ შეცვალა დარეზერვების მეთოდოლოგია და პროცედურა.

IFRS 9 გაუფასურების ჩარჩო მოიცავს სავარაუდო საკრედიტო ზარალის შეფასებისას სამომავლო დაშვებებსა და ტენდენციებზე დაფუძნებულ კალკულაციის, მათ შორის მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებას.

თიბისი ლიზინგი პორტფელის გაუფასურების ჩარჩოში საკრედიტო რისკის მაჩვენებლების შეფასებისას ითვალისწინებს მაკროეკონომიკურ ფაქტორებს სხვადასხვა სცენარების ანალიზის გზით. სცენარები შერჩეულია სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის გარკვეულ სამომავლო დროის მონაკვეთში მოლოდინის გათვალისწინებით და განსაზღვრულია როგორც საბაზისო (baseline) - ყველაზე მეტად სავარაუდო, ოპტიმისტური (upside) - სავარაუდოზე უკეთესი და პესიმისტური (downside) - სავარაუდოზე უარესი.

კომპანია გაუფასურების ჩარჩოში მაკროეკონომიკური ფაქტორების ანალიზს იყენებს სავარაუდო საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით; სავარაუდო საკრედიტო ზარალის პარამეტრებს ანალიზს უკეთებს ცალკეული სცენარის მიხედვით და დანაკარგების რეზერვის კალკულაციაში იყენებს საბოლოო სავარაუდო საკრედიტო ზარალის შეფასებას, რომელიც წარმოადგენს ცალკეული სცენარების მიხედვით შეწონილ ოდენობას, ინდივიდუალური სცენარის ალბათობების მიხედვით.

თიბისი ლიზინგი იყენებს კოლექტიურ და ინდივიდუალურ მიდგომას პორტფელის გაუფასურების კალკულაციაში. ინდივიდუალური მიდგომა შეიძლება გამოყენებული იყოს როდესაც ცალკეული კლიენტის ჯამური ვალდებულება კომპანიის მიმართ აღემატება საანგარიშო თარიღში კომპანიის კაპიტალის 5%-ს. თუ კომპანია დაადგენს რომ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ლიზინგის მიმღების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არ არსებობს, იყენებს კოლექტიურ მიდგომას.

კოლექტიური მიდგომისას, სავარაუდო საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ხდება ლიზინგის მიმღების ჭრილში ნაშთის ეტაპების მიხედვით კლასიფიკაცია:

- ეტაპი 1 - ავტომატურად ენიჭება ყველა ახალ პროექტს და არ იცვლება, თუ არ განიცდის საკრედიტო რისკის ზრდას. აღნიშნული ეტაპი აერთიანებს ლიზინგის ხელშეკრულებებს 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით.
- ეტაპი 2 - ამ ეტაპზე პროექტი გადადის მაშინ, როდესაც არ მომხდარა გაუფასურება, მაგრამ აღინიშნება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. აღნიშნული ეტაპი აერთიანებს ლიზინგის ხელშეკრულებებს 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებით და ასევე კონტრაქტებს, რომლებიც 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებიდან ამოვარდნის შემდეგ არ ყოფილან 90 დღიან ვადაგადაცილებაში, მიყოლებით 12 თვის მანძილზე.
- ეტაპი 3 - როდესაც პროექტი დეფოლტდება. აღნიშნული ეტაპი აერთიანებს ლიზინგის ხელშეკრულებებს 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით, რესტრუქტურულიზებულ კონტრაქტებს და ასევე კონტრაქტებს, რომლებიც 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებიდან ამოვარდნის შემდეგ არ ყოფილან 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების გარეშე, მიყოლებით 6 თვის მანძილზე.

1 ეტაპში მოხვედრილი პროექტებისთვის სავარაუდო საკრედიტო ზარალი წარმოადგენს პროექტის მთლიანი სასიცოცხლო ხანგრძლივობის სავარაუდო საკრედიტო ზარალის იმ წილს, რომელიც შეიძლება დადგეს საანგარიშო პერიოდის პროექტის შემდეგი ერთი წლის განმავლობაში გადეფოლტების შემთხვევაში. 2 და 3 ეტაპში მოხვედრილი პროექტებისთვის კი - სავარაუდო საკრედიტო ზარალი ითვლება პროექტის მთლიანი სასიცოცხლო ვადის ყველა პერიოდში დეფოლტის დადგომის შემთხვევის გათვალისწინებით. კომპანია აუფასურებს ნაშთს ლიზინგის მიმღების ჭრილში, როდესაც დალიზინგებული აქტივების შეფასებული ღირებულება ნაკლებია ლიზინგის მიმღების ჯამურ ვალდებულებაზე, კლიენტის მომავალში გადეფოლტების ალბათობის გათვალისწინებით. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი აფასებს იმის ალბათობას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაფარვას. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი დროზეა დამოკიდებულია (ანუ აქვს კონკრეტული ვადიანობის სტრუქტურა) და ვრცელდება ყველა მოქმედ (არადეფოლტირებულ) ხელშეკრულებაზე.

პროცესის მართვა ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ

ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, იწყება აქტივის დასაკუთრების და შემდგომი მართვის პროცესი.

პრობლემური განყოფილება მუშაობს კლიენტთან აქტივების დასაკუთრების საკითხზე:

- დასაკუთრების შემთხვევაში, შეწყვეტილი ლიზინგის საგანები თავსდება თიბისი ლიზინგის სადგომზე, უტარდება ტექნიკური ინსპექტირება, ფასდება და იწყება რეალიზაციის პროცესი.
- თუ ვერ ხერხდება შეწყვეტილი კლიენტისგან ქონების დაბრუნება პრობლემური განყოფილების მიერ, კლიენტი გადაეცემათ იურისტებს:
 - იურისტები მიმართავენ სასამართლოს სახელშეკრულებო ქონების აღსრულებით დაბრუნების ნებართვისთვის;
 - საქმე გადაეცემა ეროვნული აღსრულების ბიუროს ან კერძო აღმასრულებელს:
 - აღმასრულებელი ახერხებს ქონების დაბრუნებას;
 - აღმასრულებელი ვერ ახერხებს ქონების დაბრუნებას, შესაბამისად კომპანიას სასამართლოში შეაქვს სარჩელი ზიანის ანაზღაურებაზე;
 - კომპანია სასამართლოს ან/და მორიგების გზით ახერხებს ზიანის სრულ ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, ან აღიარებს ზარალს.

3.5.5. მარკეტინგული პროგრამის აღწერა;

თიბისი ლიზინგი, როგორც ქვეყანაში ლიდერი სალიზინგო კომპანია, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს და პასუხისმგებლობით ეკიდება ამ სფეროს ცნობადობის გაზრდასა და მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას. ბოლო წლებში უფრო მეტი ძალისხმევით და სხვადასხვა არხების გამოყენებით, სარეკლამო და საგანმანათლებლო აქტივობებით, ცდილობს მეტად პოპულარული გახადოს პროდუქტი, რაც პროპორციულად ლიზინგზე მოთხოვნის ზრდას გამოიწვევს. კომპანია გამოჩნდა სხვადასხვა ბიზნეს გადაცემებში და წარმოაჩინა ლიზინგის როგორც პროდუქტის უპირატესობა, ასევე მისი ხელმისაწვდომობა. მოხდა რამდენიმე ბიზნეს ღონისძიების სპონსორობა და ამავე ღონისძიებებზე თიბისი ლიზინგის ბრენდის წარმოჩენა. კომპანია გააქტიურდა ციფრული მარკეტინგის მიმართულებით და აქტიურად თანამშრომლობს ქართულ პოპულარულ საიტებთან.

3.5.6. ძირითადი მომხმარებლებისა და მომწოდებლების აღწერა მათი წილების მითითებით (შემოსავლის/შესყიდვების 10%-ის ტოლი ან მეტი);


შემოსავლების მხრივ ემიტენტი საკმაოდ დივერსიფიცირებულია და მისი შემოსავლების 10% ზე მეტი არ მოდის არცერთ კონკრეტულ კლიენტზე. მომწოდებლების ნაწილში უნდა აღინიშნოს „თეგეტა ჯგუფი“, რომელიც ყველაზე მსხვილი პარტნიორია და რამდენიმე მიმართულებით ეთანამშრომლება თიბისი ლიზინგს: სამშენებლო და საგზაო ტექნიკა, მსუბუქი და მაღალი განმავლობის მანქანები. 2022 წლის განმავლობაში გაცემული ლიზინგებიდან 11% მოდის თეგეტაზე. რაც შეეხება ფინანსური რესურსის მომწოდებლებს კომპანია ამ კუთით საკმაოდ დივერსიფიცირებულია და 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საპროცენტო ვალდებულებების 10%-ზე მეტი არცერთ ცალკეულ კრედიტორს არ უჭირავს.

3.6. ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა, ასევე ამ პოზიციის საფუძველის აღწერა.

დღესდღეობით, საქართველოს სალიზინგო ბაზარზე საბანკო საკუთრებაში არსებული სალიზინგო კომპანიები დომინირებენ, კერძოდ: თი ბი სი ლიზინგი და საქართველოს სალიზინგო კომპანია, რომლებიც შესაბამისად, თიბისი ბანკისა და საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანიები არიან. სალიზინგო კომპანია ზემოთ აღნიშნული ორი მოთამაშის გარდა საქართველოს ბაზარზე სს „ბაზის ბანკის“ მფლობელობაში მყოფი „ბი ეიჩ ელ ლიზინგი“ ოპერირებს, თუმცა ამ ეტაპისთვის მათი პორტფელის მოცულობა ძალიან მცირე სამ

ძირითად მოთამაშესთან შედარებით და ასევე აღსანიშნავია სს „მიკროსაფინანსო კრისტალის“ მიერ დაფუძნებული სალიზინგო კომპანია, რომელიც 2020 წლიდან აქტიურად ჩაერთვება სალიზინგო ბაზარზე.


აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სალიზინგო ბაზარზე თი-ბი-სი ლიზინგი გამორჩეულად ლიდერობდა, 2021 წლის მონაცემებით, სალიზინგო ბაზრის 76% სწორედ თი-ბი-სი ლიზინგს ეკუთვნის, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კომპანიას ისევ ლიდერი პოზიცია უჭირავს 82% იანი წილით. 2022 წლის განმავლობაში თიბისი ლიზინგის პორტფელი გაიზარდა 36 მილიონი ლარით (13% იანი ზრდა), ხოლო მთავარი კონკურენტი საქართველოს სალიზინგო კომპანიის პორტფელი ამავე პერიოდში შეადგინა 47 მილიონი ლარი (-40% იანი კლება).



წყარო: კომპანიის მონაცემები

საქართველოს სალიზინგო პორტფელი კონცენტრირდება ძირითადად შემდეგ სექტორებში: მშენებლობა, მრეწველობა და მომსახურება. აღნიშნულ სექტორებზე მოდის მთლიანი პორტფელის 53.9%. აღსანიშნავია რომ 2017 წლის მეორე ნახევრიდან სალიზინგო კომპანიები, კერძოდ თიბისი ლიზინგმა და საქართველოს სალიზინგო კომპანიამ აქტიურად დაიწყეს მუშაობა სავალო მიმართულებით და ამ კუთხით შეიქმნა ახალი პროდუქტები მეორადი ლოკალური და იმპორტირებული მანქანების დასაფინანსებლად, რომლებიც განკუთვნილი იყო ფიზიკური პირების ბაზარზე მნიშვნელოვანი წილის დასაკავებლად.

საქართველოს სალიზინგო პორტფელის კონცენტრაცია სექტორების მიხედვით, 2022 წლის მონაცემებით.



წყარო: კომპანიის მონაცემები

3.7. ინვესტიციები

3.7.1. ემიტენტის მიერ განხორციელებული მატერიალური ინვესტიციების აღწერა (თანხების მითითებით) თითოეული იმ პერიოდისთვის, რომელიც პროსპექტში წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებშია მითითებული;

კომპანიის ძირითადი საქმიანობა სალიზინგო პორტფელის მართვაა და ის სხვა ტიპის არანაირ საინვესტიციო საქმიანობას არ ეწევა. ფიქსირებული აქტივები მისი მთლიანი აქტივების ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენს, შესაბამისად კომპანიის არც-ერთი ფიქსირებული აქტივების მუხლი არ არის მატერიალური მის მთლიან აქტივებთან მიმართებაში.

3.7.2. ემიტენტის მიერ განხორციელებული იმ მატერიალური ინვესტიციების აღწერა, რომლებიც მიმდინარეობს პროცესშია, მათი გეოგრაფიული მდებარეობისა (ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ) და დაფინანსების სტრუქტურის (შიდა თუ მოზიდული სახსრებით) მიხედვით;

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიას მიმდინარეობის პროცესში მატერიალური ინვესტიციები არ აქვს.

3.7.3. ინფორმაცია, ისეთი კომპანიების შესახებ, მათი წილების მითითებით, რომლებშიც ემიტენტი ფლობს წილს და რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და/ან მოგება-ზარალის შეფასებაზე (იგულისხმება შვილობილების გარდა არსებული წილების ფლობა).

ემიტენტს არ ჰყავს ასოცირებული კომპანიები.

4. ორგანიზაციული სტრუქტურა

4.1 თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურისა და საქმიანობის მიმოხილვა, მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით; სიცხადისა და აღქმადობისთვის უმჯობესია ორგანიზაციული სტრუქტურის დიაგრამის გამოყენება;


სს თიბისი ლიზინგი არის სს თიბისი ბანკის შვილობილი, რომელიც თავისთავად TBC Bank Group PLC ჰოლდინგში არის გაერთიანებული, რომელიც თავის მხრივ დალისტულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, პრემიუმ სეგმენტში.

თიბისი ბანკის ჯგუფი არის ერთ-ერთი წამყვანი ბანკი საქართველოში, რომლის საქმიანობა რამოდენიმე მიმართულებას მოიცავს: საბანკო მიმართულება, რომელიც ემსახურება საცალო, მცირე, საშუალო და მიკრო და კორპორატიულ მომხმარებლებს. სამივე მიმართულებით კომპანიას უჭირავს წამყვანი პოზიცია ბაზარზე. დამატებითი ფინანსური სერვისების მიმართულება, რომელიც მოიცავს სადაზღვეო, გადახდების სისტემისა და ლიზინგის მიმართულებებს.

შვილობილ კომპანიებთან ერთად თიბისი ბანკის გუფში დასაქმებულია თითქმის 10,000-მდე ადამიანი. ბანკი, ძირითადად, საქართველოში აწარმოებს საქმიანობას, თუმცა, მზარდი ქსელი შექმნა რეგიონში მისი შვილობილი კომპანიების მეშვეობით: თიბისი კრედიტი - აზერბაიჯანში, თიბისი ინვესტი - ისრაელში, თიბისი UZ - უზბეკეთში და ა.შ.

თიბისი ბანკის ჯგუფის აქციონერთა შორისაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), Deutsche Investitions- und Entwicklungsgesellschaft (DEG) და Nederlandse Financierings-Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V. (FMO). სხვა საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორები, როგორებიცაა J.P. Morgan Chase Bank, N.A., London Branch („JPMorgan“) და Ashmore Cayman SPC No. 2 Ltd. („Ashmore“).

ემიტენტის ჯგუფის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:



დამატებითი ინფორმაცია მთლიანი TBC Bank Group PLC ჯგუფში შემავალი შვილობილების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში:

წილი

ქვეყანა

დაარსების წელი

შვილობილი

31.12.2022

| | | | |
|----------------------------------|---------------|-------------------|-------------|
| JSC TBC Bank | 99.9% | საქართველო | 1992 |
| United Financial Corporation JSC | 99.5% | საქართველო | 1997 |
| TBC Capital LLC | 100.0% | საქართველო | 1999 |
| TBC Leasing JSC | 100.0% | საქართველო | 2003 |
| TBC Kredit LLC | 100.0% | აზერბაიჯანი | 1999 |
| TBC Pay LLC | 100.0% | საქართველო | 2009 |
| Index LLC | 100.0% | საქართველო | 2011 |
| TBC Invest LLC | 100.0% | ისრაელი | 2011 |
| TBC Asset management LLC | 100.0% | საქართველო | 2021 |
| JSC TBC Insurance | 100.0% | საქართველო | 2014 |
| Redmed LLC | 100.0% | საქართველო | 2019 |
| T NET LLC | 100.0% | საქართველო | 2019 |
| Online Tickets LLC | 100.0% | საქართველო | 2015 |
| TKT UZ | 100.0% | უზბეკეთი | 2019 |
| Artarea.ge LLC | 100.0% | საქართველო | 2021 |
| Marjanishvili 7 LLC | 100.0% | საქართველო | 2020 |
| Space JSC | 100.0% | საქართველო | 2021 |
| Space International JSC | 100.0% | საქართველო | 2021 |
| TBC Group Support LLC | 100.0% | საქართველო | 2020 |
| Inspired LLC | 51.0% | უზბეკეთი | 2011 |
| TBC Bank JSC UZ | 60.2% | უზბეკეთი | 2020 |
| TBC Fin Service LLC | 100.0% | უზბეკეთი | 2019 |

4.2 ემიტენტის შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი, მათი სახელების, დაარსებისა და საქმიანობის ქვეყნის, მათში წილობრივი ფლობისა და ხმის უფლების მითითებით. ასევე, თუ ემიტენტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ჯგუფში შემავალ რომელიმე წევრზე, ამ დამოკიდებულების აღწერა.

ემიტენტი არ ფლობს შვილობილ კომპანიას.

5. საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

ქვევით მოყვანილ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური უწყისები, ხოლო მათი დეტალური ანალიზი და განმარტებები შემდგომ ნაწილშია ნაჩვენები :

საბალანსო უწყისი:

| (000' ლარი) | 31.12.2022 არა აუდირებული | 31.12.2021 აუდირებული | 31.12.2020 აუდირებული | 31.12.2019 აუდირებული |
|---------------------------------------|------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| აქტივები | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 45,923 | 16,765 | 69,974 | 19,357 |

| | | | | |
|--|------------------|------------------|------------------|------------------|
| ბანკებიდან მისაღები თანხები | - | 29,016 | 21,383 | - |
| გადახდილი ავანსები | 4,148 | 2,732 | 3,089 | 3,552 |
| საგადასახადო აქტივები, წმინდა | 6,255 | 6,825 | 2,795 | 2,974 |
| ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები | 28,496 | 28,922 | 10,281 | 30,779 |
| წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | 282,277 | 246,443 | 270,834 | 257,031 |
| ძირითადი საშუალებები | 3,412 | 4,194 | 6,670 | 8,253 |
| არამატერიალური აქტივები | 2,819 | 2,510 | 2,381 | 1,725 |
| საინვესტიციო ქონება | 2,407 | 2,385 | 2,359 | 2,210 |
| ლიზინგისთვის შეძენილი აქტივები | 1,049 | - | - | - |
| შეწყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივები | 17,700 | 9,924 | 7,583 | 6,129 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 210 | 56 | 1,791 | - |
| სხვა ფინანსური აქტივები | 10,471 | 21,089 | 7,166 | 10,111 |
| სხვა აქტივები | 10 | 123 | 165 | 197 |
| სულ აქტივები | 405,177 | 370,984 | 406,471 | 342,318 |
| ვალდებულებები | | | | |
| სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან | (211,481) | (207,635) | (264,246) | (242,196) |
| კლიენტებისგან მიღებული ავანსები | (17,771) | (16,918) | (8,623) | (18,836) |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | (58,580) | (58,342) | (58,114) | - |
| საგადასახადო ვალდებულებები. საშემოსავლო გადასახადის გარდა | - | - | - | - |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | - | - | - | (734) |
| სუბორდინირებული სესხი | (32,357) | (33,691) | (35,412) | (31,227) |
| სხვა ვალდებულებები | (23,792) | (6,501) | (4,583) | (10,280) |
| სულ ვალდებულებები | (343,981) | (323,087) | (370,978) | (303,273) |
| კაპიტალი | | | | |
| სააქციო კაპიტალი | (3,659) | (3,659) | (3,659) | (3,659) |
| დამატებით სააქციო კაპიტალის გადახდილი წილი | (7,550) | (7,550) | (7,550) | (7,550) |
| გაუნაწილებელი მოგება | (36,655) | (24,516) | (27,674) | (19,508) |
| წმინდა მოგება | (13,331) | (12,140) | 3,158 | (8,166) |
| ფულადი ნაკადის ჰეჯირების რეზერვი | - | (32) | 232 | (162) |
| სულ კაპიტალი | (61,195) | (47,897) | (35,493) | (39,045) |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | (405,177) | (370,984) | (406,471) | (342,318) |

მოგება-ზარალის უწყისი:

| (000' ლარი) | 2022 არა აუდირებული | 2021 აუდირებული | 2020 აუდირებული | 2019 აუდირებული |
|----------------------------------|---------------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან | 57,762 | 57,095 | 45,578 | 49,174 |
| შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან | 1,489 | 2,444 | 3,218 | 3,122 |
| საპროცენტო ხარჯი | (23,358) | (24,786) | (25,466) | (20,680) |
| პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები | (9,425) | (9,044) | (8,220) | (7,701) |

| | | | | |
|---|---------------|---------------|----------------|---------------|
| წმინდა ფინანსური შემოსავალი | 26,468 | 25,709 | 15,110 | 23,915 |
| ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხი | (321) | 3,084 | (8,117) | (563) |
| ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ დარჩენილი წმინდა ფინანსური შემოსავალი | 26,146 | 28,793 | 6,993 | 23,352 |
| სხვა ფინანსურ აქტივებში გაუფასურების ანარიცხი | (4,754) | (8,514) | (2,768) | (4,957) |
| (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან | 21 | 26 | 149 | 91 |
| (შემოსულობა)/ზარალი დასაკუთრებული აქტივების გაყიდვა რელიზინგიდან | (209) | (82) | 702 | (169) |
| შემოსულობა დაბრუნებული აქტივების თავდაპირველ აღიარებაზე | 626 | 99 | 48 | 437 |
| დაბრუნებული აქტივების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე | (1,559) | (264) | (187) | (163) |
| ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა შემოსულობებიდან | (1,198) | (2,769) | 6,077 | (2,867) |
| სავალუტო კურსის კონვერტაციის შემოსულობები შემცირებული ზარალით | (465) | 1,915 | (8,205) | 1,544 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები | (9,345) | (10,174) | (9,277) | (10,371) |
| სხვა შემოსავალი | 4,068 | 3,110 | 3,310 | 1,269 |
| მოგება დაბეგვრამდე | 13,331 | 12,140 | (3,158) | 8,166 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | - | - | - | - |
| წმინდა მოგება | 13,331 | 12,140 | (3,158) | 8,166 |
| სულ წლის სრული შემოსავალი | 13,299 | 12,404 | (3,552) | 8,328 |

ფულის მოძრაობის უწყისი:

| ფულადი მოძრაობის უწყისი | 12/31/2022 | 12/31/2021 | 12/31/2020 | 12/31/2019 |
|---|----------------|------------|------------|------------|
| (000' ლარი) | არა აუდირებული | აუდირებული | აუდირებული | აუდირებული |
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | | | | |
| ფულადი სახსრები ლიზინგის მიმღებებისგან | 175,178 | 187,563 | 176,007 | 206,675 |
| ფულადი სახსრები ლიზინგის მიმღებებისგან ლიზინგის დაწყებამდე | 15,137 | 11,979 | 10,086 | 13,050 |
| დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | 12,789 | 7,818 | 5,708 | 9,549 |
| შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები | 6,089 | 1621 | 2732 | 1,431 |
| მიმდინარე ანგარიშებიდან მიღებული პროცენტი | 1,468 | 1,983 | 2,087 | 291 |
| ანაზრებიდან მიღებული პროცენტი | 80 | 652 | 344 | - |
| ფულადი ნაკადების შემოძინება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან | - | - | 3,574 | - |

| | | | | |
|---|-----------|-----------|-----------|-----------|
| ფინანსური ლიზინგის მიზნებისთვის აქტივების შესასყიდად გადახდილი ფულადი სახსრები | (173,796) | (156,963) | (132,511) | (211,274) |
| პირდაპირი სალიზინგო დანახარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები | (11,246) | (8,076) | (8,946) | (5,669) |
| თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები | (4,898) | (4,040) | (3,769) | (3,465) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები | (4,303) | (2,827) | (2,344) | (3,373) |
| ფულადი ნაკადების გადინება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან | 11,282 | (1,162) | - | (1,912) |
| საოპერაციო ლიზინგის მიზნებისთვის აქტივების შესასყიდად გადახდილი ფულადი სახსრები | - | - | (119) | (605) |
| ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები | 27,779 | 38,548 | 52,849 | 4,697 |
| ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების გადახდილი პროცენტი | (10,979) | (14,203) | (15,657) | (16,821) |
| გამოცემულ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტი | (8,172) | (7,032) | (5,261) | (428) |
| სუბორდინირებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი | (2,821) | (3,189) | (3,042) | (2,683) |
| გადახდილი გადასახადები | (18,666) | (14,517) | (6,827) | (10,124) |
| საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები | (12,859) | (393) | 22,062 | (25,360) |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული პროცენტი | (1,390) | | | |
| პირითადი საშუალებების შესყიდვა | (29) | (164) | (200) | (520) |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა | (333) | (462) | (674) | (680) |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები | (1,752) | (626) | (874) | (1,200) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | | | | |
| ბანკებისგან და ფინანსური ორგანიზაციებისგან მიღებული სესხები | 116,208 | 63,120 | 192,057 | 177,879 |
| მიღებული სუბორდინირებული სესხები | 16,186 | | | |
| გადაფარული სუბორდინირებული სესხები | (13,577) | | | |
| შემოსულობები ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან | - | - | - | 6,000 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | - | - | 57,796 | - |
| ანაზრებიდან მიღებული ფულადი სახსრები (მოთხოვნები ბანკების მიმართ) | 28,353 | 40,538 | 10,000 | - |
| ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების დაფარვა | (86,385) | (102,103) | (203,291) | (147,531) |
| ანაზრებზე გადახდილი ფულადი სახსრები (მოთხოვნები ბანკების მიმართ) | (14,716) | (51,341) | (31,439) | - |

| | | | | |
|--|---------|----------|--------|---------|
| ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა | (370) | (467) | (563) | (598) |
| სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა | - | - | - | (8,606) |
| საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები | 45,700 | (50,253) | 24,560 | 27,144 |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და ფულადი სახსრების ექვივალენტებზე | (1,930) | (1,937) | 4,869 | 134 |
| ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება) | 29,158 | (53,209) | 50,617 | 719 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში | 16,765 | 69,974 | 19,357 | 18,639 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს | 45,923 | 16,765 | 69,974 | 19,357 |

კაპიტალის მოძრაობის უწყისი:

| (000' ლარი) | სააქციო კაპიტალი | დამატებით სააქციო კაპიტალის გადახდილი წილი | ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|-------------------------------------|------------------|--|------------------------------------|----------------------|---------------|
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს | 3,659 | 7,550 | 162 | 27,673 | 39,044 |
| წლის შემოსულობა | - | - | - | (3,158) | (3,158) |
| სხვა სრული შემოსულობა | - | - | (394) | - | (394) |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს | 3,659 | 7,550 | (232) | 24,515 | 35,492 |
| წლის შემოსულობა | - | - | - | 12,141 | 12,141 |
| სხვა სრული შემოსულობა | - | - | 264 | - | 264 |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს | 3,659 | 7,550 | 32 | 36,655 | 47,897 |
| წლის შემოსულობა | - | - | - | 13,331 | 13,331 |
| სხვა სრული შემოსულობა | - | - | (32) | - | (32) |
| ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს | 3,659 | 7,550 | - | 49,986 | 61,195 |

5.1 საბალანსო უწყისის განხილვა-ანალიზი:

ქვევით მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აქტივებისა და ვალდებულებების გადანაწილება ვადიანობის მიხედვით:

| (000' ლარი) | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|---|------------|------------|------------|------------|
| მოკლევადიანი აქტივები | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 45,923 | 16,765 | 69,974 | 19,357 |
| ბანკებიდან მისაღები თანხები | - | 29,016 | 21,383 | - |
| გადახდილი ავანსები | 4,148 | 2,732 | 3,089 | 3,552 |
| საგადასახადო აქტივები, წმინდა | 6,255 | 6,825 | 2,795 | 2,974 |
| ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები | 28,496 | 28,922 | 10,281 | 30,779 |
| წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | 104,086 | 91,688 | 96,293 | 105,515 |
| შეწყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივები | 17,700 | 9,924 | 7,583 | 6,129 |

| | | | | |
|---|----------------|----------------|----------------|----------------|
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 210 | 56 | 1,791 | - |
| სხვა ფინანსური აქტივები | 9,916 | 20,185 | 5,902 | 9,358 |
| სხვა აქტივები | 10 | 123 | 165 | 197 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 216,744 | 206,236 | 219,256 | 177,861 |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | |
| წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | 178,191 | 154,755 | 174,541 | 151,516 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 555 | 904 | 1,264 | 753 |
| ძირითადი საშუალებები | 3,412 | 4,194 | 6,670 | 8,253 |
| არამატერიალური აქტივები | 2,819 | 2,510 | 2,381 | 1,725 |
| საინვესტიციო ქონება | 2,407 | 2,385 | 2,359 | 2,210 |
| ლიზინგისთვის შემენილი აქტივები | 1,049 | - | - | - |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | 188,432 | 164,747 | 187,216 | 164,457 |
| სულ აქტივები | 405,177 | 370,984 | 406,471 | 342,318 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | | |
| სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან | 112,009 | 73,866 | 80,359 | 175,340 |
| კლიენტებისგან მიღებული ავანსები | 17,771 | 16,918 | 8,623 | 18,836 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 58,580 | 199 | 167 | - |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | - | - | - | 734 |
| სუბორდინირებული სესხი | 16,005 | 15,801 | 295 | 102 |
| სხვა ვალდებულებები | 23,792 | 6,501 | 4,583 | 10,280 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 228,157 | 113,284 | 94,027 | 205,292 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | | |
| სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან | 99,473 | 133,769 | 183,886 | 66,856 |
| კლიენტებისგან მიღებული ავანსები | - | - | - | - |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | - | 58,143 | 57,947 | - |
| სუბორდინირებული სესხი | 16,352 | 17,891 | 35,117 | 31,124 |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები | 115,825 | 209,803 | 276,950 | 97,980 |
| სულ ვალდებულებები | 343,982 | 323,087 | 370,978 | 303,272 |

კომპანიის საბრუნავი კაპიტალი: 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბრუნავი კაპიტალი შეადგენდა მინუს 11,412 ათას ლარს (31.12.2021: 92,829 ათასი ლარი). კომპანიის უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი დიდწილად გამოწვეულია მიმდინარე ობლიგაციების ვადის გასვლით 2023 წლის 20 მარტს. არსებული საჯარო შეთავაზება მოიაზრებს ამ ობლიგაციის რეფინანსირებას, რაც დადებითს გახდის საბრუნავ კაპიტალს და გააუმჯობესებს ლიკვიდურობის პოზიციას. მიუხედავად უარყოფითი საბრუნავი კაპიტალისა კომპანიას არ უდგას პრობლემა მისი მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის, რადგანაც მას აქვს სტრატეგია არსებული ლიმიტების ფარგლებში ქართული კომერციული ბანკებიდან აითვისოს მოკლე ვადიანი სესხები, დაბალი ხარჯიანობიდან გამომდინარე, და ვადის დასრულების შემდეგ გაახანგრძლივოს ისინი. აღნიშნული სტრატეგია კომპანიისთვის საკმაოდ ეფექტურია, ერთის მხრივ იძლევა საშუალებას დაბალ პროცენტის რესურსის მოძიების, ხოლო მეორეს მხრივ აძლევს მოქნილობას აითვისოს საჭირო რესურსი მხოლოდ იმ მომენტში, როცა ამის საჭიროება რეალურად გააჩნია.

ემიტენტს ქართულ ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული აქვს საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებები, რომელთა ფარგლებშიც ახდენს თანხების ათვისებას საჭიროების მიხედვით. ასეთი ლიმიტები როგორც წესი

1 წლიანი ვადით მტკიცდება. ვადის გასვლის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ხაზების განახლება. ასევე, ასეთი ლიმიტებს არ გააჩნიათ აუთენტიფიკაციის თანხაზე დარიცხული საკომისიო. შესაბამისად, ემიტენტისათვის ასეთი საკრედიტო ხაზების ხელმისაწვდომობა დამატებით ხარჯებთან არ არის დაკავშირებული.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები/ბანკებიდან მისაღები თანხები: კომპანიის ფულადი სახსრები ძირითადად „თიბისი ბანკის“ ანგარიშებზე არის განთავსებული, თუმცა ის აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში არსებულ ყველა კომერციულ ბანკთან. განსაკუთრებით ბოლო წლებში, მას შემდეგ რაც აქტიურად მოხდა სასესხო რესურსებზე თანამშრომლობა სხვა მოქმედ კომერციულ ბანკებთან, მათთან არსებულ ანგარიშებზეც ფულის მოძრაობა საკმაოდ გაიზარდა.

კომპანია თანხის აკუმულირებას ახდენს როგორც ეროვნულ ვალუტაში, ასევე აშშ დოლარსა და ევროში. ფულადი სახსრების ჩაშლა ვალუტების მიხედვით მოცემულია ქვედა ცხრილში 2019-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| (000' ლარი) | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | სხვა | სულ |
|-------------|--------|------------|--------|------|---------------|
| 31.12.2022 | 21,528 | 21,447 | 2,943 | 5 | 45,923 |
| 31.12.2021 | 9,749 | 965 | 6,045 | 6 | 16,765 |
| 31.12.2020 | 48,094 | 466 | 21,373 | 41 | 69,974 |
| 31.12.2019 | 17,856 | 762 | 700 | 39 | 19,357 |

2020 წელთან შედარებით ფულადი სახსრების ბალანსი შემცირებულია და დაბრუნებულია ნორმალურ დონეზე, რომელიც საკმარისია კომპანიის სრულყოფილი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის. 2020 წლის ბოლოს ბალანსი შედარებით გაზრდილი იყო, პანდემიიდან გამომდინარე ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნებისთვის.

ბანკებიდან მისაღები თანხები: 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიმართ მოთხოვნები მოიცავდა სს „თიბისი ბანკის“ ანგარიშებზე განთავსებულ 5,000 ათას ლარს (2020 წ.: 16,383 ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 19,996 ათასი ლარის მოთხოვნები ბანკების მიმართ დაგირავდა ბანკებისგან და ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ბანკების მიმართ არ იყო დაგირავებული უზრუნველყოფის სახით.

ინფორმაცია ბანკებიდან მისაღები თანხების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში:

| | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|--|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ბანკებში განთავსებული თანხები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე მეტია | - | 29,016 | 21,383 | - |
| ბანკებიდან მისაღები თანხები: | - | 29,016 | 21,383 | - |

საგადასახადო აქტივები, წმინდა: წმინდა საგადასახადო აქტივები 2022 წელს შემცირდა, 2021 წელთან შედარებით 8.3%-ით და 6.3 მლნ ლარი შეადგინა.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (სავალუტო ფორვარდები და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები): როგორც წესი, კომპანია წარმოებული სავალუტო ინსტრუმენტებით ვაჭრობას ბირჟის გარე ბაზარზე პროფესიონალ კონტრაქტებთან სტანდარტიზებული სახელშეკრულებო პირობებით. წარმოებულ ინსტრუმენტებს აქვს პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) ან არახელსაყრელი (ვალდებულებები) პირობები ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსების ან სხვა ცვლადი მაჩვენებლების მერყეობის გამო, მათი ვადების გათვალისწინებით. ცხრილში წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის მისაღები ან გადასახდელი ვალუტების სამართლიანი ღირებულებები სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებების თანახმად, მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები და კომპანიის მიერ გაფორმებული საკომპენსაციო სესხები. ცხრილში მოცემულია მთლიანი პოზიციები კონტრაქტის პოზიციების (და გადახდების) გაქვითვამდე და მოიცავს ხელშეკრულებებს შესაბამისი საანგარიშგებო თარიღის შემდგომი ანგარიშსწორების თარიღებით. ხელშეკრულებები მოკლევადიანი ხასიათისაა.

| | 31 დეკემბერი 2022 | | 31 დეკემბერი 2021 | | 31 დეკემბერი 2020 | |
|-------------------------------|---|--|---|--|---|--|
| | ხელშეკრულებების დადებით სამართლიანი ღირებულებით | ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით | ხელშეკრულებების დადებით სამართლიანი ღირებულებით | ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით | ხელშეკრულებების დადებით სამართლიანი ღირებულებით | ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით |
| აშშ დოლარი გადასახდელი (-) | | (4 185) | (8 364) | - | (26 880) | - |
| აშშ დოლარი მისაღები (+) | 25 825 | | - | 9 293 | - | 1 638 |
| ლარი გადასახდელი (-) | | (6 533) | | (9 295) | (11 374) | (1 648) |
| ლარი მისაღები (+) | 20 163 | | 11 926 | | 17 189 | |
| ევრო გადასახდელი (-) | | (37 079) | (3 504) | | - | |
| ევრო მისაღები (+) | 2 019 | | | | 22 866 | |
| სამართლიანი ღირებულება | 48 007 | (47 797) | 58 | (2) | (1 801) | (10) |
| წმინდა სამართლიანი ღირებულება | | | 56 | | 1 791 | |

სხვა ფინანსური აქტივები: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ფინანსური აქტივები მთლიანი აქტივების 0.3%-ს წარმოადგენს. დეტალური ინფორმაცია სხვა ფინანსური აქტივების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში:

| სხვა ფინანსური აქტივები: | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|
| მთლიანი მოთხოვნები შეწყვეტილი ლიზინგიდან | 35 398 | 42 723 | 19 121 | 17 868 |
| გამოკლებული: სასაკრედიტო ზარალი შეწყვეტილი ლიზინგიდან მოთხოვნებისთვის | (29 474) | (24 380) | (14 616) | (11 908) |
| შეწყვეტილი ლიზინგიდან ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, სულ | 5 925 | 18 343 | 4 505 | 5 960 |
| სხვა მთლიანი მოთხოვნები | 4 967 | 3 075 | 3 576 | 6 107 |
| გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა მოთხოვნებისთვის | (1 997) | (1 889) | (2 346) | (3 051) |
| ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, სულ | 2 969 | 1 186 | 1 230 | 3 057 |
| ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხები | 3 349 | 3 548 | 4 412 | 3 311 |
| გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი ლიზინგის მიმღებებზე გაცემული სესხებისთვის | (1 772) | (1 988) | (2 981) | -2 217 |
| ლიზინგის მიმღებებზე გაცემული, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების საბალანსო ღირებულება | 1 577 | 1 560 | 1 431 | 1 094 |
| სხვა ფინანსური აქტივები, სულ | 10 471 | 21 089 | 7 166 | 10 111 |

ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები: პროექტის დაფინანსების სტრუქტურულიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები როდესაც კომპანია ახდენს ავანსის გადახდას მომწოდებლებისათვის სალიზინგო ურთიერთობის ფარგლებში. სწორედ ამ დროს აქტივის საბოლოო მოწოდებამდე ზემოთ ნახსენები მუხლის ქვევით აკუმულირდება მოუწოდებელ ლიზინგებზე გადახდილი ავანსები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსები 28 მილიონ ლარს გადასცდა და მთლიანი აქტივების 7% შეადგინა.

წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში: წლიდან წლამდე აღნიშნული აქტივის ტიპი საგრძნობლად იზრდება და მთლიანი აქტივებიდან ყველაზე დიდი წილი სწორედ ამ აქტივის ტიპზე მოდის. 2021 წელი პანდემიის შემდგომი გართულებების და გამოწვევების წელი იყო, პორტფელი 24,391 ათასი ლარით შემცირდა, თუმცა, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით წმინდა ინვესტიციებმა 282,277 ათასი ლარი შეადგინა, 35,834 ათასი ლარით მეტი ვიდრე 2021 წლის ბოლოს (15%-იანი ზრდა).

ქვედა ცხრილში მოცემულია წმინდა ინვესტიციების რეკონსილაცია საანგარიშო პერიოდზე და ასევე მათი გადანაწილება საკონტრაქტო გადახდების მიხედვით:

| (000' ლარი) | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|--|----------------|----------------|----------------|----------------|
| მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | 389,160 | 322,311 | 353,425 | 341,474 |
| გამომუშავებელი ფინანსური შემოსავალი | -99,437 | -68,558 | -72,104 | -81,712 |
| ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | 289,723 | 253,752 | 281,321 | 259,762 |
| გაუფასურების ანარიცხი | -7,446 | -7,309 | -10,487 | -2,731 |
| სულ წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში | 282,277 | 246,443 | 270,834 | 257,031 |

გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი: წარმოადგენს სხვაობას მთლიან სალიზინგო ინვესტიციასა და წმინდა სალიზინგო ინვესტიციას შორის. კომპანიის გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი 2021 წელს 4.9%-ით შემცირდა და 68,559 ათასი ლარი გახდა, ხოლო 2022 წელს წინა წელთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა და 99,437 ათასი ლარი შეადგინა (45.0%-იანი ზრდა).

| (000' ლარი) | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|---|----------------|----------------|----------------|----------------|
| 1 წლის ვადაში გადასახდელი თანხები | 106,808 | 94,408 | 100,021 | 106,636 |
| 1-დან 5 წლამდე ვადაში გადასახდელი თანხები | 182,914 | 159,345 | 181,300 | 153,126 |
| სულ მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში | 289,723 | 253,752 | 281,321 | 259,762 |

კომპანია ლიზინგს გასცემს როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად პორტუგელის გადანაწილება ვალუტების ჭრილში მუდმივად ცვალებადი და დამოკიდებულია ბაზრის მოთხოვნებზე, საანგარიშო პერიოდებზე პორტუგელის გადანაწილება ვალუტების ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება:

| (000' ლარი) | 31.12.2022 | 31.12.2021 | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|--|----------------|----------------|----------------|----------------|
| ლარი | 103,052 | 105,153 | 111,647 | 122,453 |
| აშშ დოლარი | 100,281 | 80,958 | 101,071 | 89,550 |
| ევრო | 78,944 | 60,333 | 58,116 | 45,028 |
| სულ წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში | 282,277 | 246,443 | 270,834 | 257,031 |

კომპანიის სავალუტო პოზიციაზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია ჯერ 2017 წლიდან შემოტანილმა შეზღუდვამ 100 000 ლარამდე სესხების გაცემაზე ეროვნულ ვალუტაში და უკვე 2017 წლიდან ლარის წილის ზრდის ტენდენცია წამოვიდა პორტუგელში, ხოლო 2019 წლის დამატებითმა 200 000 ლარიანმა შეზღუდვამ სრულად შეცვალა პორტუგელის კონცენტრაცია და 2022წლის დეკემბრის მდგომარეობით პორტუგელის 37% დენომინირებულია ლარში.

თუ შევხედავთ ქვევით მოცემულ ცხრილს გამოჩნდება, რომ 2019 წლის ჩათვლით საპროცენტო განაკვეთები მერყეობდა 10-20%-მდე დიაპაზონში, თუმცა აღნიშნულმა დიაპაზონმა წლიდან წლამდე დაიწყო ცვლილება და 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით საგრძობლად შეიცვალა და პორტუგელის უკვე 25% ზე მეტი დაფინანსებულია 20%-ზე მეტ საპროცენტო განაკვეთში:

| | 0% - 10% | 10%-15% | 15% - 20% | 20% და ზემოთ | საშუალო შეწონილი % |
|------------|----------|---------|-----------|--------------|--------------------|
| 31.12.2019 | 18.93% | 44.59% | 29.42% | 7.06% | 21.35% |
| 31.12.2020 | 13.73% | 48.51% | 26.13% | 11.64% | 19.88% |
| 31.12.2021 | 18.52% | 39.40% | 19.15% | 22.92% | 19.65% |
| 31.12.2022 | 16.55% | 44.95% | 12.69% | 25.81% | 19.37% |

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლიენტი პორტუგელის საშუალო შეწონილ პროცენტს ინარჩუნებს ერთ დონეზე 19-21%-ის ფარგლებში, რაც მაღალი კონკურენციიდან გამომდინარე საფინანსო სექტორში არის საშუალოზე მაღალი. შეწონილ საპროცენტო განაკვეთზე ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს პორტუგელის კონცენტრაცია ვალუტების ჭრილში, ევროში დაფინანსებულ პორტუგელზე ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შედარებით დაბალია, რაც კარგად ჩანს ქვევით მოყვანილ ცხრილში:

| | ლარი | აშშ დოლარი | ევრო | საშუალო შეწონილი % |
2021 და 2022 წლების განმავლობაში და მთლიანად კომპანიის არსებობის მანძილზე რომელიმე კოვენანტის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

5.1.1 წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა იყოს 90 დღეზე უფრო ადრინდელი. გარდა ამისა ეს მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო 2 აუდირებული წლისთვისაც. იმ შემთხვევაში, თუ პროსპექტის შედგენის თარიღამდე 90 დღის მანძილზე ემიტენტის კაპიტალიზაციისა და დავალიანების პოზიციაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, უნდა მოხდეს დეტალების აღწერა და ცვლილებების ჩვენება;

კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა და კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციის მიზნით, თიბისი ბანკმა კომპანიის კაპიტალი 8.5 მილიონი ლარით გაზარდა, რომლიდანაც პირველი 6 მილიონი ლარის კომპანიაში შეტანა 2019 წლის დეკემბრის თვეში მოხდა, ხოლო დარჩენილი 2.5 მილიონი ლარის კაპიტალში შეტანა ჯერ არ მომხდარა.

90 დღის მანძილზე ემიტენტის კაპიტალიზაციისა და დავალიანების პოზიციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

5.1.2 თუ ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ვერ აკმაყოფილებს სასესხო კონტრაქტის პირობებს, არღვევს კოვენანტებს უნდა მოხდეს ამ ფაქტის გამჟღავნება, ასევე მიეთითოს ინფორმაცია ამ კონტრაქტის დეტალების და პრობლემის გადაჭრის გზის შესახებ (რესტრუქტურისაცია);

ემიტენტს არ ჰყავს შვილობილი კომპანია, ხოლო თავად მისი არსებობის განმავლობაში რაიმე კოვენანტი არ დაურღვევია.

5.1.3 მითითება იმის შესახებ, მოხდა თუ არა ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობა;

ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობას ადგილი არ ჰქონია.

5.2 ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა

„კომპანია“ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში რეგულარულად იყენებს სასესხო პროდუქტებს საბრუნავი კაპიტალის, ძირითადი საშუალებების და სხვა მიზნების დასაფინანსებლად. დაფინანსების დამატებითი საჭიროებების გაჩენის შემთხვევაში, „კომპანია“ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მიმართავს ფინანსურ ინსტიტუტებს დაფინანსების მოსაძიებლად. „კომპანიას“ არ ჰქონია შემთხვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ინსტიტუტებისგან ვერ მოეზიდა დამატებითი სახსრები.

5.3 ემიტენტის ფულადი ნაკადების ოდენობისა და წყაროების აღწერა საფინანსო, საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან გამომდინარე

კომპანიის ფულის მოძრაობის უწყისი საქმიანობების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

| (000' ლარი) | 31.12.2022 არა აუდირებული | 31.12.2021 აუდირებული | 31.12.2020 აუდირებული | 31.12.2019 აუდირებული |
|--|---------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები | (12,859) | -393 | 22,062 | -25,360 |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები | -1,752 | -626 | -874 | -1,200 |
| საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები | 45,700 | -50,253 | 24,560 | 27,144 |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და ფულადი სახსრების ექვივალენტებზე | -1,930 | -1,937 | 4,869 | 134 |
| ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება) | 29,158 | -53,209 | 50,617 | 719 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში | 16,765 | 69,974 | 19,357 | 18,639 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს | 45,923 | 16,765 | 69,974 | 19,357 |

კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, რომ ის დანაკლისი რომელიც მას აქვს საოპერაციო საქმიანობიდან მზარდი პორტფელის მოცემულობაში, მუდმივად ფინანსდებოდეს საფინანსო საქმიანობიდან, რასაც ემიტენტი წლების განმავლობაში ეფექტურად უმკლავდება.

მოცემულ პერიოდებს შორის ფულადი ნაკადების ცვლილება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო ჭრილში გამოწვეულია კომპანიის სალიზინგო პორტფელის სწრაფად მზარდი ტრენდით, რაც მუდმივად მოითხოვს დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ძირითადად საოპერაციო და საფინანსო ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

2020 წლის ბოლოს არსებული ფულადი სახსრების უჩვეულოდ მაღალი ოდენობა გამოწვეული იყო კომპანიის მიერ დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული სახსრების ათვისებით. აღნიშნული სახსრები მიიმართა პორტფელის ზრდისა და სხვა საოპერაციო მიმართულებებით, რამაც ნაღდი ფულის ბალანსი ეტაპობრივად შეამცირა შედარებით ოპტიმალურ ოდენობამდე.

5.4 ინფორმაცია 3.7.2. პუნქტში განხილული სამომავლო ინვესტიციებისთვის საჭირო სავარაუდო რესურსების შესახებ.

კომპანია არ გეგმავს მატერიალური ინვესტიციების განხორციელებას, შესაბამისად არსებული მცირე საინვესტიციო პროგრამის დაფინანსებას დამატებით ამ მიზნობრიობით მოზიდული რესურსების გარეშე მოახერხებს.

6. მარეგულირებელი გარემო

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში სალიზინგო საქმიანობა არ საჭიროებს სპეციალურ ლიცენზიას, ნებართვას ან მსგავს ავტორიზაციას, რაც ნიშნავს რომ ლიზინგი (როგორც ფინანსური, ისე ჩვეულებრივი) დერეგულირებული კომერციული საქმიანობაა. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია დაიწყოს სალიზინგო მომსახურების შეთავაზება მომხმარებელთა შეუზღუდავი წრისთვის ისე, რომ არ დაექვემდებარება რომელიმე ცენტრალიზებული მარეგულირებელი ორგანოს ზედამხედველობას. აქედან გამომდინარე, მას არ აქვს კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები, ანგარიშგების ვალდებულება და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, და თუ იმასაც დავუმატებთ რომ დროდადრო უმჯობესდება ლიზინგით გაცემული აქტივების საგადასახადო რეჟიმი, საქართველოში საკმაოდ კარგი მარეგულირებელი გარემოა სალიზინგო საქმიანობის განხორციელებისათვის, რაც მომხიზვლელი უნდა იყოს შესაბამისი მოთამაშეებისათვის.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სალიზინგო კომპანიები (ანუ საწარმოები, რომლებიც თავიანთი შემოსავლის მინიმუმ 70%-ს აგენერირებენ სალიზინგო საქმიანობიდან), ექვემდებარებიან უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საწინააღმდეგო მოთხოვნებს და წარმოადგენენ კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშვალდებულ პირებს (რომლებსაც ევალებათ მათი მომხმარებლების ჩართულობით დადებული ტრანზაქციების მონიტორინგი და რეპორტირება, ასევე სხვა მექანიზმების დანერგვა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის თავიდან არიდების მიზნით) და შესაბამისად, სათანადო ანგარიშებს წარადგენენ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამთავრობო სტრუქტურას, რომელიც ევალება ანგარიშვალდებულ პირების ზედამხედველობა.

მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელმაც დაარეგულირა სალიზინგო საქმიანობა იყო 1997 წლის 26 ივნისის მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი („სამოქალაქო კოდექსი“). მოგვიანებით, 2002 წელს ცვლილებები შევიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და შეიქმნა სპეციალური, გამარტივებული წარმოება ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის მფლობელობაში დაბრუნების მიზნით, რაც წარმოადგენდა ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ლიზინგის გამცემების საჭიროებაზე პასუხს. დაახლოებით იმავე დროს მიღებული იქნა კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ. აღნიშნული ორი საკანონმდებლო აქტი, საქართველოს საგადასახადო კოდექსთან ერთად, წარმოადგენდა სალიზინგო სფეროს მარეგულირებელ ძირითად აქტებს 2011 წლამდე.

სპეციალური გამარტივებული სამართალწარმოების შემოტანა ითვლებოდა გარდამტეხად სალიზინგო კომპანიებისთვის, ვინაიდან აღნიშნულმა პროცედურამ მათ საშუალება მისცა სწრაფად დაებრუნებინათ ლიზინგის საგანი მფლობელობაში (მანამდე უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა საჭიროებდა ჯერ სალიზინგო ურთიერთობიდან გამომდინარე დავის დასრულებას, რაც უაღრესად ართულებდა ლიზინგის გამცემებისთვის ქონების დაბრუნებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ლიზინგის მიმღები არღვევდა ნაკისრ ვალდებულებებს). ამის მიუხედავად, ჯამში, სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელი გარემო კვლავ ვერ უძლებდა კრიტიკას. აღნიშნული განპირობებული იყო ძირითადად ნაკლოვანი და დისკრიმინაციული საგადასახადო რეჟიმით და ასევე, რეგულაციებში არსებული შეუსაბამობებით. კომერციული ბანკებისგან განსხვავებით, სალიზინგო კომპანიებს არ შეეძლოთ უიმედო ვალების ჩამოწერა, 100% ამორტიზირების წესი არ ეხებოდა სალიზინგო კომპანიებს და მოგების გამოთვლის პრინციპები არ იყო ცხადი.

2011 წელს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ კანონი, შეცვალა საგადასახადო კოდექსი და არსებითად შეიცვალა სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. ცვლილებები ძირითადად ეფუძნებოდა „კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის“ (UNIDROIT) მიერ შექმნილ ლიზინგის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. UNIDROIT წარმოადგენს

დამოუკიდებელ სამთავრობათაშორისო პლატფორმას, რომლის სათავე ოფისი არის რომში და რომლის ფუნქციაცაა კომერციული სამართლის სხვადასხვა ასპექტების ჰარმონიზება ქვეყნების მასშტაბით. ახალმა კანონმდებლობამ (1) შეცვალა ლიზინგის ცნება და მარეგულირებელი წესები სამოქალაქო კოდექსში და ისინი დაუახლოვა საერთაშორისო სტანდარტებს; (2) შექმნა საგადასახადო შეღავათები სალიზინგო კომპანიებისათვის და ასევე, გაამარტივა საგადასახადო ფორმალობები ლიზინგის მიმღებებისთვის და (3) გარკვეული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შეცვლის შედეგად, ეფექტურად შეამცირა საგადასახადო ტვირთი როგორც ლიზინგის გამცემების, ასევე ლიზინგის მიღებებისთვის.

სამოქალაქო კოდექსი ამჟამად კონკრეტულად შეიცავს მითითებას ლიზინგის საგნის შესყიდვის ოფციაზე, რომელიც არ არსებობდა 2011 წლამდე. ამასთან, შემოტანილი იქნა უკულიზინგის ცნება, რამაც შექმნა ლიზინგის მიმღებისთვის ფინანსების მოძიების დამატებითი და კომერციული ბანკის სესხის ალტერნატიული მექანიზმი. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, შეიზღუდა ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობა ლიზინგის მიმღებისთვის. ამ უკანასკნელს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეზღუდება ლიზინგის საგნით სარგებლობის უფლება. რაც შეეხება ლიზინგის გამცემს, მას შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ლიზინგის მიმღების ნებისმიერი არსებითი დარღვევის შემთხვევაში.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ ლიზინგის მარეგულირებელი გარემო დინამიურია და მუდმივად ვითარდება. ბოლო პერიოდის მანძილზე საქართველოს მთავრობა მუშაობს ლიზინგის შესახებ ახალი სპეციალური კანონის შემუშავებაზე. მათ შორის, განიხილება სალიზინგო საქმიანობის საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ გადატანა და კაპიტალის ადეკვატურობის გარკვეული მოთხოვნების შემოღება. თუმცა, ეს ინიციატივები ჯერ მხოლოდ მოსაზრების დონეზეა. ემიტენტი შემღებებისდაგვარად ჩართულია ამ პროცესში და მუდმივად მუშაობს სალიზინგო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწის მიზნით.

სალიზინგო საქმიანობის მარეგულირებელი გარემოს ძირითადი მახასიათებლები

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სალიზინგო საქმიანობა და სალიზინგო კომპანიები არ ექვემდებარება სავალდებულო წესით ლიცენზირებას ან რეგისტრაციას. სალიზინგო ინდუსტრიას არ ჰყავს კონკრეტული რეგულატორი და სალიზინგო კომპანიებს არ ეხება კაპიტალის ადეკვატურობის ან მსგავსი მოთხოვნები. თუმცა, ისინი წარმოადგენენ ანგარიშვალდებულ პირებს ფულის გათეთრების აღკვეთის მიზნით, ექვემდებარებიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობას და ვალდებულები არიან ანგარიშგება განახორციელონ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წინაშე. არ არსებობს ასევე რაიმე სახის სამართლებრივი ან რეგულატორული ბარიერი სალიზინგო სფეროში ინვესტირებისათვის. საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ლიზინგის გამცემის ან მიმღების მიერ ლიზინგის საგნის თანადაფინანსების მოთხოვნებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ბოლოდროინდელი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს ნეგატიურ დამოკიდებულებას შეუსაბამოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთების მიმართ. რამდენიმე საქმეში, ამგვარი მაღალი საპროცენტო განაკვეთი ჩაითვალა „ამორალურად“ და შესაბამისად, გაუქმდა სასამართლოს მიერ. ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასამართლოს უფლება ცალმხრივად და მხარის შუამდგომლობის გარეშე შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრაქტიკა ეხება სესხებს და არა სალიზინგო ვალდებულებას, სამართლებრივი ურთიერთობის მსგავსების გამო, სავარაუდოა, რომ იგივე მიდგომები გავრცელდება სალიზინგო ურთიერთობაზეც.

გარდა ამისა, 2018 წლის დეკემბერში ცვლილება შევიდა სამოქალაქო კოდექსში, რომელმაც იმავე კოდექსის 625-ე მუხლის (ეხება სასესხო ურთიერთობას და არეგულირებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, წინსწრების საკომისიოს და ა.შ.) ზოგიერთი დებულება გაავრცელა სალიზინგო ურთიერთობაზეც. კერძოდ, თუ ლიზინგის გამცემი მეწარმეა, ლიზინგის გაცემისას ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნარჩენი ვალდებულების 0.27 პროცენტს თითოეული დღისთვის, ხოლო წინსწრების საკომისიო - ძირითადი თანხის 2%-ს.

სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს სალიზინგო საქმიანობის სამართლებრივი მხარის ძირითად ასპექტებს, როგორცაა მხარეთა ვალდებულებები, ზიანის ანაზღაურება, სალიზინგო ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები და ა.შ. სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სალიზინგო ურთიერთობის ძირითადი მახასიათებლებია: ლიზინგის გამცემი ლიზინგის მიმღებს ქონებას გადასცემს შეთანხმებული ვადით შესყიდვის უფლებით ან ამ უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით, იმ პირობით, რომ ა) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება; და ბ) ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია. როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსი იცნობს უკულიზინგის ცნებას, როცა ლიზინგით გასაცემი ქონებას იძენს ლიზინგის მიმღებისგან და შემდეგში ლიზინგით გასცემს ქონების წინა მესაკუთრეზე. აღნიშნული მექანიზმი ლიზინგის მიმღებისთვის წარმოადგენს ქონებით დაფინანსების მოძიების საბანკო ან სხვაგვარი სესხის ალტერნატიულ მექანიზმს. საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის, ლიზინგს ექვემდებარება მხოლოდ ის აქტივები, რომელსაც ცვეთა ერიცხება და სალიზინგო კომპანიად განისაზღვრება საწარმო, რომელიც ფინანსური წლის მანძილზე ჯამური შემოსავლის 70%-ს აგენერირებს სალიზინგო საქმიანობიდან.

სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს გარკვეულ მოთხოვნებს და შეზღუდვებს სალიზინგო ხელშეკრულების შეცვლას ან შეწყვეტასთან მიმართებით. ლიზინგის გამცემი ვალდებულია მოთხოვნისთანავე დაუთმოს ლიზინგის მიმღებს თავისი უფლებები, რომლებიც უკავშირდება მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნას. მიმწოდებელთან დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, რომლებიც გავლენას ახდენს ლიზინგის მიმღების უფლებებზე, დასაშვებია მხოლოდ ლიზინგის მიმღების თანხმობით, ხოლო ლიზინგის მიმღებს არ აქვს უფლება, შეთანხმდეს მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შეცვლაზე, შეწყვეტაზე ან მოშლაზე ლიზინგის გამცემის თანხმობის გარეშე. ლიზინგის გამცემს შეუძლია მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება, თუ ლიზინგის მიმღები არსებითად არღვევს თავის ვალდებულებებს, ხოლო ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულების მოშლა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ვეღარ ახორციელებს მფლობელობას ლიზინგის საგანზე.

იმის გამო, რომ ლიზინგის გამცემი რჩება ლიზინგის საგნის მესაკუთრედ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სალიზინგო საზღაური სრულად იქნა გადახდილი ლიზინგის მიმღების მიერ), ლიზინგის შეწყვეტის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი არ არის ვალდებული ლიზინგის მიმღებს დაუბრუნოს ქონების გაუმჯობესება. აღნიშნული პრაქტიკა განსხვავდება სტანდარტული უზრუნველყოფის დონისძიებისგან, როდესაც კრედიტორი ვალდებულია უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს დაუბრუნოს ნებისმიერი ნამეტი თანხა ნარჩენ ვალდებულებასა და ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას შორის.

რაც შეეხება აღსრულებას, სალიზინგო კომპანიები სარგებლობენ აღსრულების სპეციალური გამარტივებული და დაჩქარებული წესით. ამ მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს სპეციალურ თავს. მოკლედ რომ შევაჯამოთ, დაჩქარებული პროცედურა საშუალებას აძლევს ლიზინგის გამცემს შეიტანოს განცხადება ლიზინგის საგნის დაბრუნების მოთხოვნით, რის შედეგადაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მაქსიმუმ 3 დღის ვადაში. ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე ბრძანება გამოიცემა ზეპირი მოსმენის გარეშე და არ ითვალისწინებს ლიზინგის მიმღების წინასწარ შეტყობინების ვალდებულებას. ამასთან, ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე ბრძანება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას და მას ხელს ვერ უშლის ბრძანების გასაჩივრება. კიდევ უფრო გამარტივებული მექანიზმი შემოიღო სამოქალაქო კოდექსმა 2017 წლიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „მომსახურების სააგენტო“ უფლებამოსილია გასცეს სალიზინგო მოწმობა ლიზინგის გამცემის სახელზე იმ შემთხვევაში, თუ სალიზინგო ხელშეკრულება დარეგისტრირდება მომსახურების სააგენტოში და ლიზინგის მიმღები უარს ამბობს ლიზინგის საგნის დაბრუნებაზე. სალიზინგო მოწმობა ექვემდებარება პირდაპირ (სასამართლო პროცედურების გავლის გარეშე) და დაუყოვნებლივ აღსრულებას და მას ვერ აჩერებს სალიზინგო მოწმობის გასაჩივრება.

ფულის გათეთრების აღკვეთა და მონიტორინგის ვალდებულება

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 2019 წლის 30 ოქტომბერს. აღნიშნულმა კანონმა ჩაანაცვლა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მოქმედებდა 2003 წლიდან. ახალი საკანონმდებლო აქტის მიზანი იყო საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება როგორც ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან, ასევე „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე“ ევროკავშირის (2015/849) დირექტივასთან.

ახალი კანონის თანახმად, სალიზინგო კომპანიები წარმოადგენენ ანგარიშვალდებულ პირებს, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან კანონის მოთხოვნები და მონიტორინგი გაუწიონ მათი კლიენტების გარიგებებს. იგი განსაზღვრავს ანგარიშვალდებულ პირების მიერ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების და მართვის ვალდებულებას. ფინანსური ინკლუზიურობის ხელშეწყობის მიზნით ითვალისწინებს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების დაბალი რისკის არსებობის შემთხვევაში, კანონის ცალკეული მოთხოვნების შესრულებისგან ანგარიშვალდებულ პირების გათავისუფლების შესაძლებლობას

კანონმა ასევე შემოიღო პრევენციული ღონისძიებების გატარების ვალდებულება. კერძოდ, კლიენტების და მათი ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია და ვინაობის გადამოწმება; საქმიანი ურთიერთობის მიზნის და განზრახული ხასიათის დადგენა; მიმდინარე საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგი. ერთ-ერთი მთავარი სიახლე უკავშირდება პრევენციული ღონისძიებების გატარების საფუძვლებს. აღნიშნული ღონისძიებები მანამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში ტარდებოდა, თუ ანგარიშვალდებულ პირთან დადებული გარიგება აღემატებოდა გარკვეულ თანხას, ხოლო კანონმა შემოგვთავაზა საქმიანი ურთიერთობის გამიჯვნა ერთჯერადი გარიგებისგან. კერძოდ, საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობის ფარგლებში დადებული ან შესრულებული გარიგებების თუ ოპერაციების თანხის ოდენობის მიუხედავად.

კანონი ასევე ითვალისწინებს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მაღალი ან დაბალი რისკის არსებობისას, კლიენტების მიმართ შესაბამისი გაძლიერებული ან გამარტივებული პრევენციული ღონისძიებების გამოყენების საკითხებს.

სალიზინგო კომპანიები ექვემდებარებიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ზედამხედველობას და ასევე ვალდებულები არიან ანგარიშები წარუდგინონ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. შესაბამისად, გარდა ზემოაღნიშნული კანონისა, სალიზინგო კომპანიებს არეგულირებს „სალიზინგო კომპანიების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის N2 ბრძანება, რომელიც მიღებულია 2013 წლის 5 სექტემბერს („მონიტორინგის ბრძანება“).

სალიზინგო კომპანიები ვალდებულები არიან მონიტორინგი გაუწიონ გარიგებებს, რომელთა ღირებულება 30,000 ლარს აღემატება ან რომლებიც კვალიფიცირდება როგორც „საეჭვო გარიგება“. გარდა ამისა, მონიტორინგს ექვემდებარება ნებისმიერი სახის გარიგება (მიუხედავად თანხის ოდენობისა), თუ არსებობს ვარაუდი, რომ მისი მონაწილე პირი დაკავშირებულია ან შესაძლოა დაკავშირებული იყოს ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშეწყობ პირებთან ან/და გარიგებაში მონაწილე ფულადი სახსრები, მიუხედავად იმისა, კანონიერი თუ უკანონო გზით იქნა იგი მოპოვებული, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ან გამოყენებულ იქნეს ტერორიზმისთვის, ტერორისტული აქტისთვის ან ტერორისტების ან ტერორისტული ორგანიზაციის ან ტერორიზმის დამფინანსებლების მიერ. აღსანიშნავია, რომ რეპორტინგს ექვემდებარება საეჭვო გარიგების განხორციელების მცდელობაც.

სალიზინგო კომპანიებს ასევე ევალებათ კლიენტების იდენტიფიკაცია. პრაქტიკაში ეს ნიშნავს კლიენტის ფიზიკურ იდენტიფიკაცია გარიგების რომელიმე სტადიაზე არის აუცილებელი. ამასთან, სავალდებულოა კორპორატიული კლიენტების ბენეფიციარების იდენტიფიცირებაც, ისევე როგორც მათი საქმიანობის და

კორპორაციული სტრუქტურის შესწავლა. აღსანიშნავია, რომ სალიზინგო კომპანიები ვალდებულები არიან კლიენტის იდენტიფიცირება მოახდინონ არა მხოლოდ გარიგები დადების ეტაპზე, არამედ მათ ეკისრებათ ინფორმაციის პერიოდულად განახლების ვალდებულებაც.

დაბოლოს, თუ სამინისტრო აღმოაჩენს მონიტორინგის ბრძანების რამე დარღვევას, იგი ვალდებულია შეატყობინოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და გამოიყენოს შესაბამისი სანქციები. მონიტორინგის სამსახური ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში თავისი ანალიზის შედეგებს უგზავნის საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შემოსავლების სამსახურს ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციის სააგენტო, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („კონკურენციის შესახებ კანონი“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „ბაზარზე არსებულ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის უკეთესი პოზიციის დასაკავებლად არსებული კონკურენცია“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღვეველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს უფლება მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში სხვადასხვა სანქციების მეშვეობით, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, „ემიტენტი“ ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია

დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებული არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ, ხოლო სისტემა ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან და სავალდებულოა დასაქმებულებისათვის 40 წელს ქვემოთ, რაც ნიშნავდა რომ ისინი ავტომატურად ერთიანდებიან და წარმოადგენენ სისტემის მონაწილეებს, ხოლო 40 წელს ზემოთ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოსულიყვნენ საპენსიო სისტემიდან. იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული წარმოადგენს საპენსიო სისტემის მონაწილეს, დამსაქმებელი ვალდებულია მათი დარიცხული ხელფასის 2% გადაიხადოს საპენსიო ფონდში, ხოლო თავად დასაქმებულები და სახელმწიფო ამატებს 2-2%-ს. აღსანიშნავია, რომ თუ დასაქმებულის წლიური დარიცხული ხელფასი 24,000 ლარს აღემატება, მაშინ სახელმწიფო იხდის 2%-ს, ხოლო 1%-ს იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულის წლიური დარიცხული ხელფასი 24,000-დან 60,000 ლარამდე მერყეობს. თუ წლიური ხელფასი 60,000 ლარს აღემატება, მაშინ სახელმწიფო აღარ მონაწილეობს ასეთი დასაქმებულის პენსიის ფორმირებაში.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. „კომპანიას“ წარმოეშობა მთელი რიგი ვალდებულებები აღნიშნული საკანონმდებლო აქტიდან გამომდინარე. მათ შორის, თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს იმავე კანონის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებული არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

ლიკვიდაციის წესები

„მეწარმეთა შესახებ“ განახლებულ კანონში მოცემულია სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პროცესი, რომელიც სამი სტადიისგან შედგება:

საზოგადოების დაშლა

საზოგადოების დაშლის საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორთა გადაწყვეტილება; პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა; იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; წესდებით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

სიახლეს წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი საფუძველის არსებობა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს. მნიშვნელოვან საფუძველად მიიჩნევა თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვედარ ასრულებს და შეუძლებელი ხდება სამეწარმეო საზოგადოების მიზნის მიღწევა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია სხვა პარტნიორების ინტერესიც საზოგადოების არსებობის გაგრძელების თაობაზე. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და სამეწარმეო საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება არ დაწყებულა.

საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი და ინიშნება შესაბამისი ლიკვიდატორი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოებას უნარჩუნდება იურიდიული პირის სტატუსი, მაგრამ თავის საფირმო სახელწოდებას აუცილებლად უნდა დაურთოს დამატება „ლიკვიდაციის პროცესში“.

კანონის მოთხოვნაა, რომ ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ან თავიანთ ვებგვერდზე გამოაქვეყნონ განცხადება და დაუყოვნებლივ შეატყობინონ კრედიტორებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ და მოიწვიონ ისინი თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საზოგადოება თავის ქონებას ანაწილებს პარტნიორებზე წილების პროპორციულად. ამისთვის დაწესებულია კონკრეტული ვადა იმისდა მიხედვით თუ რა საფუძველით ხდება საზოგადოების დაშლა.

რეგისტრაციის გაუქმება

საზოგადოების ქონების სრულად განაწილების შემდეგ ლიკვიდაციის პროცესი სრულდება. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით, რის საფუძველზეც მარეგისტრირებელი ორგანო გააუქმებს სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციას.

ახალი კანონით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ საზოგადოებას დარჩა გარკვეული ქონება ან საჭიროა დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ასეთ დროს სასამართლო ნიშნავს იგივე ან ახალ ლიკვიდატორს, რომ ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდეს.

გადახდისუუნარობა

საქართველოში საწარმოთა (გარდა კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების და სადაზღვევო კომპანიების) გადახდისუუნარობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სიახლეა, კერძოდ 2021 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ. ახალი კანონით ჩნდება კრიზისში მყოფი საწარმოების ეფექტიანი და ბიზნესის გადარჩენაზე ორიენტირებული რესტრუქტურისაციის ახალი შესაძლებლობები.

კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის გზით, ხოლო რეაბილიტაციის მიუღწევლობის შემთხვევაში - გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით. ახალი კანონი ორიენტირებულია მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობაზე, გადახდისუუნარობის მასის შენარჩუნება - გაზრდაზე და მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარ მოპყრობაზე. კანონის შესაბამისად „ობლიგაციების“ ინვესტორები ჩაითვლებიან არაუზრუნველყოფილ კრედიტორებად, ყოველგვარი პრეფერენციის გარეშე და დაკმაყოფილების მხრივ განთავსდებიან მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორთა რიგში.

აღსანიშნავია, რომ კანონი ეხება სუბიექტთა შეზღუდულ წრეს და თავისი სფეროდან გამორიცხავს კომერციულ ბანკებს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხსაც სპეციალური კანონმდებლობა აწესრიგებს. შესაბამისად, ზოგადად, სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების უმეტესობის გადახდისუუნარობას აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა და მასზე არ ვრცელდება კანონი რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონი.

თუმცა, არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ვაკუუმი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გადახდისუუნარობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ პროცესს არ აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა. თუმცა, არსებობს სასამართლო პრაქტიკა, როდესაც სასამართლომ უარი თქვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნარობის პროცედურის გახსნაზე იმ მოტივით, რომ იგი სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული რეგულირებული სუბიექტია და შესაბამისად, ჩაითვალა, რომ მასზე არ უნდა გავრცელდებოდა ჩვეულებრივი სამეწარმეო სუბიექტებისთვის შექმნილი წესები.

ანგარიშვალდებული საწარმოს სტატუსთან დაკავშირებული მოთხოვნები

ემისიის შედეგად, კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და შესაბამისად, მასზე სრულად გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით მსგავსი სუბიექტებისთვის განსაზღვრული მოთხოვნები.

ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა სასესხო ფასიანი ქაღალდები ან რომლის სასესხო ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოების და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარ-წლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას

„ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროოს:

1. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
2. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმო აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და შეზღუდვებს ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

6.1 პროდუქციის წარმოების, გაყიდვებისა და მარაგების, დანახარჯებისა და გასაყიდი ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი და უახლესი ტენდენციები ფინანსური წლის ბოლოდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე;

კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში მომხმარებლებს შესთავაზა ადგილობრივ ვალუტაში ცვალებად და ფიქსირებულ-განაკვეთიანი ლიზინგი. ხელშეკრულებები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით ინდექსირდება საქართველოს ეროვნული ბანკის ე.წ. მონეტარული პოლიტიკის საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან. ლიზინგები ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით კომპანიის მიერ შექმნილი ცვალებადგანაკვეთიან სასესხო ვალდებულებებს შეესაბამება, მის მიერ მოზიდული ცვალებადგანაკვეთიანი ინვესტიციებით, რომლებიც ფინანსდება სალიზინგო ხელშეკრულებებით ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთებით. შედეგად მიღწეულ იქნა სამართლიანი თანაფარდობა - ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იცვლება დაფინანსების ხარჯების შესაბამისად, ხოლო სალიზინგო გადასახადები საბაზრო განაკვეთის შემცირების შესაბამისად უმცირდებათ მომხმარებლებს, ამ მიდგომის 2022 წლის განმავლობაში ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების მზარდმა ტენდენციამ გავლენა იქონია ლიზინგის პროდუქტების ფასწარმოწმნაზე. 2022 წლიდან ლიზინგები როგორც ეროვნულ ვალუტაში უკვე უცხოურ ვალუტაშიც გაიცემა ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ინდექსირდება დოლარის შემთხვევაში SOFR განაკვეთზე ხოლო ევროს შემთხვევაში EURIBOR-ის განაკვეთზე.

6.2 არსებობის შემთხვევაში, ბოლო აუდირებული ანგარიშგებების თარიღიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე ემიტენტის/მისი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში და პერსპექტივებში გამოვლენილი მატერიალური უარყოფითი ცვლილებების აღწერა;

მატერიალურ უარყოფით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

6.3 ინფორმაცია უკვე ცნობილი ტენდენციების, გაურკვევლობების, მოთხოვნების ან მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ემიტენტის საქმიანობაზე სულ მცირე მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში.

მიმდინარედ არ არის რაიმე უკვე ცნობილი ტენდენცია ან მოვლენა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის საქმიანობაზე.

7. მოგების პროგნოზი და ვარაუდები

7.1 თუ ემიტენტი აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების მაჩვენებლებს, ეს მაჩვენებელი უნდა ჩართოს რეგისტრაციის დოკუმენტში. ის უნდა იყოს გარკვეული და არაორაზროვანი და უნდა მოიცავდეს იმ ძირითად დაშვებებს, რომელიც ემიტენტმა გამოიყენა მოგების პროგნოზირებისთვის.

- ა) ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს დაშვებები და ფაქტორები, რომლებზეც კომპანიის მენეჯმენტს, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ და ფაქტორები, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელნი არიან მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისგან.
- ბ) დაშვებები უნდა იყოს ინვესტორთათვის გასაგები, დასაბუთებული, კონკრეტული და ზუსტი.
- გ) ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმ განუსაზღვრელ მოვლენებზე, რომლებმაც შესაძლოა მატერიალური გავლენა მოახდინონ პროგნოზირებულ შედეგზე;

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

7.2 მითითება, რომ:

- ა) მოგების პროგნოზირებისთვის გამოყენებული აღრიცხვის მეთოდები შეესაბამება ემიტენტის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკასა და აღწერილ დაშვებებს;
- ბ) მოგების საპროგნოზო მაჩვენებლები მომზადებულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებთან შესადარისობის პრინციპით.

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

8 მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები

8.1 ქვემოთ ჩამოთვლილი პირების სახელები, იურიდიული მისამართები და ფუნქციები:

ა) მმართველი ორგანო;

„ემიტენტის“ მმართველი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ოთხი წევრისგან. ესენია:

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თხელიძე (პ/ნ 01005001579)
თავმჯდომარის მოადგილე: ნინო მაისურაშვილი (პ/ნ 01008017186)
წევრი: მერი ჩაჩანიძე (პ/ნ 11001007323)
წევრი: თორნიკე გოგიჩაიშვილი (პ/ნ 01010005109)
დამოუკიდებელი წევრი: ზურაბ ფიჩხაია (პ/ნ 01004009017)

„ემიტენტის“ აღმასრულებელი დირექტორია გაიოზ გოგუა (პ/ნ 01001032462).

ბ) 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორები/აქციონერები;

„ემიტენტის“ ერთადერთი აქციონერია სს „თიბისი ბანკი“.

გ) ინფორმაცია ზემოთჩამოთვლილ პირებს შორის ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით;

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ერთმანეთთან რაიმე სახის ნათესაური კავშირი არ გააჩნიათ.

8.2 პუნქტში ჩამოთვლილი პირების შესაბამისი გამოცდილებისა შესახებ ინფორმაცია და შემდეგი მონაცემები:

8.3

ა) ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე;

სამეთვალყურეო საბჭო

გიორგი თხელიძე: გიორგი თავის ამჟამინდელ თანამდებობაზე ბანკში 2016 წლის ნოემბერში დაინიშნა, ხელმძღვანელობს კორპორატიულ და საინვესტიციო საბანკო ბიზნესს. გიორგი ასევე პასუხისმგებელია ბანკის WM-ზე (wealth management) და სალიზინგო ბიზნესებზე 2021 წლის იანვრიდან. გიორგი პირველად შეუერთდა TBC-ს 2014 წელს, როგორც აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და მთავარი რისკ ოფიცერი. გიორგის აქვს 20 წელზე მეტი გამოცდილება გლობალურ ფინანსურ სერვისებში. TBC-ში გაწევრიანებამდე მუშაობდა Barclays Investment Bank-ში, სადაც ეკავა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფში (FIG), EMEA.

მანამდე ის იყო ასოცირებული დირექტორი Barclays Bank Debt Finance and Restructuring გუნდებში. ლონდონის Barclays-ში კარიერის განმავლობაში გიორგი მუშაობდა და ახორციელებდა მრავალრიცხოვან M&A, სავალო და კაპიტალის ბაზრებზე გარიგებებს ევროპულ ფინანსურ ინსტიტუტებთან. საქართველოში ადრინდელ კარიერაში გიორგი

მუშაობდა საქართველოს წამყვან სადაზღვევო კომპანია ალდაგის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე და მანამდე ამავე კომპანიაში თანდათან უფრო მაღალი თანამდებობები ეკავა.

გიორგი არის სტენფორდის აღმასრულებელი პროგრამის (SEP) კურსდამთავრებული, აქვს MBA ლონდონის ბიზნეს სკოლაში და სამართლის მაგისტრის ხარისხი (LLM) საერთაშორისო კომერციულ სამართალში ნოტინჰემის უნივერსიტეტიდან.

წინო მასურაშვილი: წინო 2020 წელს დაინიშნა სს თიბისი ბანკის რისკების მთავარ ოფიცრად. მანამდე წინოს წამყვანი პოზიციები ეკავა ბანკში მის შემდგომ რაც ის გუნდს 2000 წელს შეუერთდა. 2006 წელს წინო სს თიბისი ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ დაინიშნა და სხვადასხვა დროს ის საცალო და MSME ბიზნესს ხელმძღვანელობდა. წინო ასევე მუშაობს ბანკის ძირითადი შვილობილი კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოებში, მათ შორის TBC Uzbekistan, TBC Leasing და Space International, TBC-ის ციფრული საბანკო პლატფორმა.

წინოს აქვს 25 წელზე მეტი ხნის გამოცდილება ფინანსური მომსახურებისა და საბანკო სფეროში საქართველოში. ადრეულ კარიერაში წინო იკავებდა სხვადასხვა ხელმძღვანელ და მენეჯერულ პოზიციებს სს TbilCom Bank-ში და Barents Group-ში. წინო ფლობს თბილისის მენეჯმენტის ევროპული სკოლის MBA-ს.

მერი ჩაჩანიძე: მერი ჩაჩანიძეს აქვს 18 წელზე მეტი გამოცდილება საბანკო და ინვესტიციების სფეროში. ის 2017 წელს შეუერთდა თიბისი ბანკს კორპორატიული და საინვესტიციო ბანკის დირექტორის მოადგილედ. იგი მართავს ბანკის მსხვილ კორპორატიულ კლიენტებს. 2020 წელს ქალბატონი მერი ჩაჩანიძე გახდა თიბისი კაპიტალის (თიბისი ბანკის შვილობილი საინვესტიციო ბანკინგის) მმართველი დირექტორი, ხოლო 2021 წლიდან არის თიბისი ბანკის საინვესტიციო ბანკინგისა და WM-ის ხელმძღვანელი.

TBC-ში გაწევრიანებამდე მერი იკავებდა სხვადასხვა პოზიციებს ინვესტიციების ანალიტიკოსიდან მთავარ ინვესტიციების ოფიცრამდე SEAF-ში (გლობალური საინვესტიციო კომპანია, რომლის სათაო ოფისი ვაშინგტონშია), რომელიც აკონტროლებდა საინვესტიციო ტრანზაქციებს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

მერი არის ჰარვარდის ბიზნეს სკოლის აღმასრულებელი პროგრამის (AMP) კურსდამთავრებული, არის CFA ჩარტერის მფლობელი და აქვს MBA და BBA მენეჯმენტის ევროპული სკოლისგან.

ზურაბ ფიჩხაია: ზურაბი არის თიბისი ლიზინგის დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი საქართველოში. ზურაბი ასრულებდა თიბისი ბანკის რისკების მართვის დირექტორის მოადგილის მოვალეობას და ხელმძღვანელობდა საწარმოთა რისკების მართვასა და სტრატეგიულ პროექტებს. ბატონი ზურაბ ფიჩხაია ასევე მუშაობდა თიბისი ბანკის ფინანსური დირექტორის მოადგილედ, რომელიც ზედამხედველობდა ბანკის ფინანსური რისკების მართვას, მომგებიანობის ანალიზს და ანგარიშგების ფუნქციებს. მანამდე მისი კარიერის განმავლობაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საკრედიტო, underwriting-ის და შიდა აუდიტის მიმართულებით ვითიბი ბანკი საქართველოში, ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალ ჯგუფში და პრივატბანკ საქართველოში.

ბატონ ფიჩხაიას აქვს ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში და მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (MBA) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

გარდა ამისა, მას აქვს MBA ხარისხი ფინანსების სპეციალობით პენსილვანიის უნივერსიტეტის უორტონის ბიზნეს სკოლაში.

| პირი | თანამდებობა | კომპანიები | ფინანსური დანაშაული ^[2] | გაკოტრება / ლიკვიდაცია ^[3] |
|------------------|---|--|------------------------------------|---------------------------------------|
| ზურაბ ფიჩხაია | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და/ან თავმჯდომარე | 1. სს „ეგრისის განვითარების კონსორციუმი“ 2. თიბისი ლიზინგი 3. შპს „ემკეისი“ | არა | არა |
| | დირექტორი | 1. სს ლისი ლეიქ დეველოპმენტი 2. შპს ანაკლიის განვითარების კონსორციუმი 3. სს შოპშოპი | არა | არა |
| გიორგი თხელიძე | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი | 1. სს თიბისი დაზღვევა 2. სს საქართველოს საფონდო ბირჟა 3. სს თიბისი ლიზინგი 4. შპს თიბისი კაპიტალ ესეთ მენეჯმენტ | არა | არა |
| | დირექტორის მოადგილე | 1. სს თიბისი ბანკი | არა | არა |
| ნინო მასურაშვილი | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი | 1. სს თიბისი ბანკი (უზ) 2. სს თიბისი ლიზინგი 3. შპს თიბისი ფეი 4. სს სფეის ინტერნეიშენალი 5. სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო | არა | არა |
| | დირექტორის მოადგილე, საცალო, მცირე და საშუალო ბიზნესის დირექტორი; საცალო საბანკო ბიზნესის დირექტორი | 1. სს თიბისი ბანკი | არა | არა |
| | რისკების დეპარტამენტის თავმჯდომარე | 1. სს თიბისი ბანკი (უზ) | არა | არა |
| მერი ჩაჩანიძე | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი | 1. სს თიბისი ლიზინგი 2. სს საქართველოს საფონდო ბირჟა 3. შპს თიბისი კაპიტალ ესეთ მენეჯმენტ | არა | არა |
| | დირექტორი | 1. სს თიბისი კაპიტალი | არა | არა |
| | დაგროვილი ქონების მართვის და საინვესტიციო საბანკო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსი | სს თიბისი ბანკი | არა | არა |

| | | | | |
|----------------------|----------------------------|--|-----|-----|
| თორნიკე გოგიჩაიშვილი | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი | 1. სს თიბისი დაზღვევა 2. შპს თიბისი ფეი 3. სს თიბისი ლიზინგი 4. სს გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია | არა | არა |
| | დირექტორის მოადგილე | სს თიბისი ბანკი | არა | არა |

თორნიკე გოგიჩაიშვილი: თორნიკეს აქვს ფინანსური მომსახურებისა და ოპერაციების მართვის 20 წელზე მეტი გამოცდილება საქართველოსა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. თიბისიში მუშაობამდე მუშაობდა საქართველოს ბანკის ჯგუფში აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ და საოპერაციო დირექტორის თანამდებობაზე, მანამდე კი ამავე ინსტიტუტში სხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე. 2008-2010 წლებში თორნიკე ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა BG Bank Ukraine-ში (საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია). კარიერის დასაწყისში თორნიკე იკავებდა საქართველოში სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას, მუშაობდა UEDC PA-ს ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე და ეკავა სხვადასხვა მენეჯერული პოზიციები BCI Insurance-ში.

კომპანიის მენეჯმენტი

| პირი | თანამდებობა | კომპანიები | ფინანსური დანაშაული | გაკოტრება / ლიკვიდაცია |
|------------------|----------------------------------|---|---------------------|------------------------|
| გაიოზ გოგუა | სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს სალიზინგო ასოციაცია | არა | არა |
| ნუგზარ ლოლაძე | - | - | - | - |
| გიორგი მაისურაძე | - | - | - | - |
| ზურაბ გუგუშვილი | კომერციული დირექტორი | სადაზღვევო კომპანია უნისონი (2018-2020 წ) | არა | არა |
| | თანადამფუძნებელი | განაგე (2021 წ - დღემდე) | არა | არა |

გაიოზ გოგუა: გაიოზ (გაგა) გოგუა 2017 წლიდან არის თიბისი ლიზინგის აღმასრულებელი დირექტორი, მან თიბისი ბანკში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისას დააგროვა საბანკო სექტორში მუშაობის 18 წლიანი გამოცდილება. გაგამ კარიერა TBC-ის გუნდში 2001 წელს დაიწყო, როდესაც საკრედიტო ოფიცრად მუშაობდა. 2003-2004 წლებში ეკავა საკრედიტო დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობა, ხოლო შემდგომ წლებში მუშაობდა თიბისი ბანკის სხვადასხვა ფილიალების დირექტორად თბილისში და რეგიონებში. 2005-2008 წლებში გაგა დაინიშნა თიბისი მარკეტინგის კომიტეტის წევრად. 2008 წლიდან 2016 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა ფილიალის რეგიონალურ დირექტორად, შემდეგ კი 2017 წელს დაინიშნა რეგიონული მართვის ხელმძღვანელად. გაგამ დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ფლობს ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხს ფიზიკაში, ასევე ბაკალავრის ხარისხს მენეჯმენტში TACIS Tbilisi-ში და მაგისტრის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირებაში თავისუფალი უნივერსიტეტიდან.

აღმასრულებელი დირექტორი გაგა გოგუა პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტზე და პასუხისმგებელია სტრატეგიისა და საერთო კომერციული მიზნების შეთავაზებაზე, შემუშავებაზე და განხორციელებაზე თავმჯდომარესთან და საბჭოსთან მჭიდრო კონსულტაციით.

ნუგზარ ლოლაძე: ნუგზარ ლოლაძე 2014 წელს შეუერთდა თიბისი ლიზინგის გუნდს ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე. პარალელურად, 2017-2018 წლებში იყო კომპანიის რისკების მართვის ხელმძღვანელი. თიბისი ლიზინგში მოსვლამდე, 2008 წელს დაიწყო მუშაობა აუდიტორულ კომპანია EY-ში, აუდიტის მიმართულებით, ხოლო უფროსი აუდიტორის თანამდებობაზე დაწინაურებამდე ამ მიმართულებით სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. 2012 წელს გადავიდა იმავე კომპანიაში, როგორც დსთ-ს ქვეყნებში ტრანზაქციების საკონსულტაციო განყოფილების ხელმძღვანელი. ამ პოზიციებზე მუშაობისას ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა შემდეგი მსხვილი კომპანიების პროექტებში: BTA Georgia, VTB Georgia, SOCAR Energy Georgia, TAV Urban Georgia, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ბანკი, GRDC, Heidelberg Cement, KazTransGas, V-Tell და სხვები. ნუგზარს აქვს ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში კავკასიის ბიზნეს სკოლაში.

ბატონი ნუგზარ ლოლაძე არის ფინანსური დირექტორი და ხელმძღვანელობს კომპანიის ფინანსურ და ოპერაციულ განყოფილებებს. ის აკონტროლებს ხაზინის ყოველდღიურ ოპერაციებს, დაფინანსებას, ბიუჯეტირებას, ანგარიშგებას, IT, PMO და შესყიდვების გუნდებს. ფინანსური დირექტორი პასუხისმგებელია და უშუალოდ არის ჩართული შიდა კონტროლის სისტემების დანერგვასა და დანერგვაში, უზრუნველყოფს პროცესებისა და ტრანზაქციების გამჭვირვალედ გამჟღავნებას, კომპანიის სტრატეგიული და ფინანსური მიზნების მიღწევას.

ზურაბ გუგუშვილი: ზურაბ გუგუშვილი სს თიბისი ლიზინგის კომერციულ დირექტორად 2021 წლის მარტში დაინიშნა. თიბისი ლიზინგის მუშაობამდე 2018 წელს ზურაბს სადაზღვევო კომპანია უნისონის კომერციული დირექტორის თანამდებობა ეკავა. სადაზღვევო ინდუსტრიაში მოსვლამდე ზურაბი 12 წლის განმავლობაში იყო თიბისი ჯგუფის გუნდის წევრი და 2006 წლიდან იკავებდა სხვადასხვა თანამდებობებს. 2008 წლიდან ზურაბის საქმიანობა ექსპერტთა ზედამხედველობის ნაცვლად იურიდიული პირების სერვისებით შეიცვალა. TBC-ში ყოფნის ბოლო 9 წლის განმავლობაში ზურაბ გუგუშვილი ხელმძღვანელობდა კორპორატიული სექტორის ძირითად მიმართულებებს. მისი ძირითადი აქცენტი იყო საცალო ვაჭრობა და ავტო ინდუსტრია, თუმცა პერიოდულად აკონტროლებდა განათლებას, სტუმარმასპინძლობას, კომერციულ უძრავ ქონებას და სხვა სექტორებს. 2016 წლიდან ჯგუფის ზრდასთან ერთად ზურაბი დაინიშნა სექტორის უფროსად და კორპორატიული ბიზნესის დაახლოებით 20% მის ხელმძღვანელობას ექვემდებარება.

ზურაბ გუგუშვილი არის მთავარი კომერციული დირექტორი და მართავს შემოსავლის მომტან ერთეულებს. ახალი მომხმარებლების მოზიდვა და არსებულის შენარჩუნება CCO-ს მთავარი მიზანია. ახალი პროდუქტების დანერგვისა და არსებულის განვითარების გზით, ზურას მთავარი მიზანია შექმნას ჯანსაღი გრძელვადიანი იჯარის პორტფელი.

გიორგი მაისურაძე: გიორგი მაისურაძე თიბისი ლიზინგის გუნდს 2018 წელს შეუერთდა, როგორც რისკების მართვის დირექტორი. გიორგი მაისურაძის მთლიანი კარიერის ისტორია ფინანსურ სექტორში 19 წელია, აქედან თითქმის ნახევარი ის რისკების მართვის სფეროში მუშაობდა. მან კარიერა Baker Tilly-ში დაიწყო, აუდიტის მენეჯერის თანამდებობაზე. შემდეგ მან მიიღო გამოცდილება საქართველოში მოქმედ სხვადასხვა

ბანკში: თიბისი ბანკში, საქართველოს ბანკში, ბანკ რესპუბლიკაში, პროკრედიტ ბანკში, პრივატ ბანკში და ბაზის ბანკში. 2010-2014 წლებში გიორგი მუშაობდა ეროვნულ ბანკში საკრედიტო რისკის მართვისა და საბანკო ზედამხედველობის სამმართველოებში წამყვან სპეციალისტად, შემდეგ კი საკრედიტო რისკების მართვის მთავარ სპეციალისტად; 2015-2018 წლებში „ბაზის ბანკში“ წამყვან ხელმძღვანელ პოზიციებს იკავებდა. გიორგი იყო საკრედიტო რისკების მენეჯერი, რისკებისა და პორტფელის ანალიზის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, შემდეგ კი ამავე დეპარტამენტის უფროსი. მან განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე მიიღო - ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი მაკროეკონომიკაში.

ბ) არსებობის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის მანძილზე გამოვლენილი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტების შესახებ ინფორმაცია;

ამგვარ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

გ) არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე იმ კომპანიების გაკოტრების, ლიკვიდაციის შესახებ, რომელშიც ამ პირებს ეკავათ ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობები;

ასეთს ადგილი არ ჰქონია.

8.4 ინტერესთა კონფლიქტი

8.4.1 8.3 პუნქტში ჩამოთვლილი პირების კერძო და ემიტენტთან დაკავშირებულ მოვალეობებს/პასუხისმგებლობებს შორის არსებული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, ან იმის მითითება, რომ მსგავს კონფლიქტს ადგილი არ აქვს;

ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, იმავდროულად, წარმოადგენენ მისი ერთადერთი აქციონერის - სს „თიბისი ბანკის“ მენეჯერებს, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი თხელიძე წარმოადგენს სს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილეს, კორპორატიული და საინვესტიციო ბანკინგის მიმართულებით, რომლის მმართველობის სფერო მოიცავს განთავსების/კალკულაციის და გადახდის აგენტის შპს თიბისი კაპიტალის (ს/კ 204929961) საქმიანობის ზედამხედველობას; ასევე ერთ-ერთი წევრი, მერი ჩაჩანიძე იმავდროულად განთავსების აგენტის შპს თიბისი კაპიტალის (ს/კ 204929961) აღმასრულებელი დირექტორია; ხოლო ერთ-ერთი წევრი ნინო მასურაშვილი წარმოადგენს სს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილეს, რისკების მართვის დირექტორს ეს, ერთის მხრივ, წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს ემიტენტსა და მის აქციონერს, ხოლო მეორეს მხრივ, ემიტენტსა და განთავსების აგენტს შორის. როგორც განთავსების აგენტი, ასევე ემიტენტი და მისი აქციონერი ცდილობენ დანერგონ პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მინიმიზაციას (მაგალითად, აქციონერს არ ჰქონდეს წვდომა კომპანიის მიმდინარე საქმიანობაზე, არსებობს კომპეტენციების დაყოფა ბანკის კორპორაციულ სექტორსა და განთავსების აგენტის საინვესტიციო დეპარტამენტს შორის). თუმცა, ცხადია, არ არსებობს გარანტია, რომ არსებული ინტერესთა კონფლიქტი გავლენას არ იქონიებს შესაბამისი სუბიექტების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

8.4.2 8.3 პუნქტში ჩამოთვლილ პირებსა და ძირითად აქციონერებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის ნებისმიერი შეთანხმების აღწერა, რომლის შემდეგაც 8.3 პუნქტში მითითებული ნებისმიერი პირი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წევრად;

ასეთ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია.

8.4.3 8.3 პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიმართ არსებული შეზღუდვის დეტალები ემიტენტის ფასიან ქალაქებში მათი წილების გასხვისებასთან დაკავშირებით;

თავისი საქმიანობის ფარგლებში ემიტენტს დადებული აქვს ფინანსური სახსრების მოძიებაზე ხელშეკრულებები. რამდენიმე სასესხო კონტრაქტი შეიცავს ემიტენტის მაკონტროლებელი პირის ცვლილების შეზღუდვას შესაბამისი კრედიტორის თანხმობის მოპოვების გარეშე.

8.4.4 ამ პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების ჯამური ოდენობა და ე.წ. დამატებითი ბენეფიტები.

მენეჯმენტის ანაზღაურება და მისი წილი ჯამურ თანამშრომელთა დანახარჯებში მოცემულია ქვედა ცხრილში.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ნულოვანი კომპენსაცია აქვთ.

| (000' ლარი) | მენეჯმენტის კომპენსაცია | წილი თანამშრომელთა დანახარჯებში |
|-------------|-------------------------|---------------------------------|
| 2022 | 1,055 | 19.56% |
| 2021 | 898 | 16.36% |
| 2020 | 798 | 15.97% |
| 2019 | 886 | 17.50% |

9 მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა

9.1 დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმდინარე კონტრაქტის ვადის ამოწურვის თარიღი და კომპანიაში მუშაობის პერიოდი. მათი ძირითადი საქმიანობის აღწერა;

გაიოზ გოგუა, დირექტორი - 2017 წლის 02 ოქტომბრიდან; მერი ჩაჩანიძე - სამეთვალყურეოს წევრი - 2019 წლის 09 სექტემბრიდან; გიორგი თხელიძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - 2021 წლის 15 იანვრიდან, ნინო მასურაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 2020 წლის 03 აგვისტოდან, თორნიკე გოგიაშვილი . სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, 2021 წლის 15 იანვრიდან, ზურაბ ფიჩხაია - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, 2021 წლის 18 ოქტომბრიდან, ვადიანი სასამსახურო ხელშეკრულება გაფორმებულია მხოლოდ საბჭოს დამოუკიდებელ წევრთან ზურაბ ფიჩხაიასთან. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება ერთი წლით. ხელშეკრულების მოქმედების ყოველი ვადის ავტომატური გაგრძელების შესაძლებლობით მხარეთა სურვილის არსებობის შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს იმას, რომ კომპანიის მმართველობითი სტრუქტურა იძლეოდეს ადეკვატური ზედამხედველობის და ანგარიშვალდებულების, ასევე მოვალეობების მკაფიო განაწილების საშუალებას. მმართველობის ყველა დონის ჩართვა რისკის მართვაში, უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნა და სხვადასხვა მიმართულებებს შორის ეფექტური კომუნიკაცია ხელს უწყობს დასახული სტრატეგიების გამჭვირვალობას და მათ მიღწევას, და ასევე რისკის დასაშვებ დონესთან, რისკის ბიუჯეტთან და რისკის მართვასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებას. კომპანიის ცენტრალიზებული რისკის მართვის (საწარმოს რისკის მართვა) განყოფილება უზრუნველყოფს მთელ კომპანიაში რისკის სტრატეგიების და რისკის დასაშვები დონის ეფექტურ შემუშავებას, გავრცელებას და განხორციელებას.

დირექტორთა საბჭო („დირექტორატი“) კომპანიის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანოა და ერთობლივად აგებს პასუხს კომპანიის მიზნების, კულტურის, ღირებულებების გავრცელებაზე, წარმატების გრძელვადიან სტრატეგიაზე და აქციონერისთვის მდგრადი ღირებულებების შექმნაზე კომპანიის კურსის განსაზღვრით და მისი მეთვალყურეობით. დირექტორთა საბჭო წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ ერთი წევრით. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორს, რომელიც არის კომპანიის იურიდიული და სრულუფლებიანი წარმომადგენელი მესამე მხარეებთან. კომპანიას ჰყავს დირექტორის მოადგილეები, რომლებიც დირექტორთა საბჭოს წევრები არიან.

გარდა ამისა, კომპანიის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც სრულად არის პასუხისმგებელი კომპანიის სტრატეგიული მართვისთვის სათანადო გარემოს შექმნაზე და მიზნებთან შესაბამისობის მეთვალყურეობაზე, ხოლო დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობაა კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების მართვა და ზედამხედველობა

9.2 ინფორმაცია ემიტენტის აუდიტისა და ანაზღაურების კომიტეტების შესახებ, რომელიც მოიცავს კომიტეტის წევრების სახელებსა და კომიტეტის საქმიანობის აღწერას;

კომპანიაში არ არის შექმნილი ანაზღაურების კომიტეტი. რაც შეეხება აუდიტის კომიტეტს, იგი შეიქმნა 2020 წლის 4 მარტს. აუდიტის კომიტეტის წევრები არიან ზურაბ ფიჩხაია, გიორგი თხელიძე და ნინო მასურაშვილი, ხოლო აუდიტის საქმიანობას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელმძღვანელობს ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - ბატონი ზურაბ ფიჩხაია.

აუდიტის კომიტეტი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს ქვეკომიტეტს, რომელმაც უნდა გააკონტროლოს საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. ამასთან, აუდიტის კომიტეტი რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს და აცნობებს მისი საქმიანობის შედეგებსა თუ საქმიანობისას გამოვლენილი დაბრკოლებების თაობაზე.

9.3 კომპანიაში არსებული კორპორაციული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა და პროსპექტის რელევანტურ ნაწილებზე მითითება.

კომპანიაში დამკვიდრებულია კორპორაციული მართვის სამდონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა კომპანიის საერთო კრება, კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს კომპანიის დირექტორი, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულ კონტროლს.

ამასთან, კომპანიის წესდებაში მკაცრად გამიჯნულია კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები და თუ საერთო კრება მხოლოდ პრინციპულ საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებას (როგორცაა კომპანიის წესდების შეცვლა, დივიდენდების განაწილება, გადაწყვეტილების მიღება კომპანიის რეორგანიზაციის თაობაზე და ა.შ.), სამეთვალყურეო საბჭო გაცილებით მჭიდროდ ზედამხედველობს მენეჯმენტის საქმიანობას და მთელი რიგი ტრანზაქციები/ქმედებები საჭიროებს მის თანხმობას (მაგალითად, როგორცაა ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, სხვა საწარმოში წილის შექმნა და გასხვისება, საზოგადოების მიერ სესხის აღებასთან და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გარიგებების ერთობლიობის დამტკიცება, დირექტორის უფლებამოსილების ფარგლების დადგენა და ა.შ.).

„ობლიგაციების“ ემისიის შედეგად კომპანია გახდება ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე გავრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N172/04 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის იანვრიდან. ემიტენტებმა უნდა წარადგინონ მმართველობის კოდექსის შესაბამისად მომზადებული წლიური ანგარიშგებები 2023 წლის საანგარიშო წლისთვის. მმართველობის კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“. აღნიშნული მიმართულია კორპორატიული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართო გამოყენების წახალისებაზე. კერძოდ, კოდექსის თანახმად, თითოეული საწარმოს მმართველობის პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს საქმიანობის პროფილს, მასშტაბს, კომპლექსურობას და უნდა გააჩნდეს საამისოდ გათვალისწინებული შიდა პოლიტიკის დოკუმენტები; თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს; საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან, საიდანაც მინიმუმ 2 წევრი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით განსაზღვრული დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს და ა.შ.

10 თანამშრომლები

ამჟამად კომპანიაში დასაქმებულია 126 თანამშრომელი, საიდანაც 91 ოპერირებს სათაო ოფისიდან , ხოლო დანარჩენი გადანაწილებულია კომპანიის სერვის ცენტრებში (თბილისი, ბათუმი), სადგომებზე (თბილისი, ბათუმი) და თიბისი ბანკის ფილიალებში.

ქვედა ცხრილში მოცემულია კადრების დინამიკა წლების მიხედვით:

| | 2022 | 2021 | 2020 | 2019 |
|---------------------------------|------|------|------|------|
| თანამშრომელთა რაოდენობა | 126 | 124 | 121 | 124 |
| თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა | 127 | 122 | 126 | 118 |

11 მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები)

11.1 ემიტენტის მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები

კომპანიის 100 % იანი წილის მფლობელი არის სს „თიბისი ბანკი“, რომელმაც 2019 წლის მაისში მოახდინა დარჩენილი 0.36% წილის გამოსყიდვა და სს „თიბისი ლიზინგის“ 100 % იანი მფლობელი გახდა. სს „თიბისი ბანკის“ 99.88% იანი წილის მფლობელი არის გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული თიბისი ბანკის ჯგუფი (TBC Bank Group PLC), ხოლო დარჩენილი 0.12%-ის მფლობელი ფიზიკური და იურიდიული აქციონერები არიან.

არაპირდაპირი გზით, ემიტენტის 5%-ზე მეტი წილის მქონე აქციონერები შემდეგი ფიზიკური და იურიდიული პირები არიან:

| | აქციონერების წილები 28.02.2023-ის მდგომარეობით | აქციების რაოდენობა | ვებ გვერდი |
|-----------------------------------|--|--------------------|---|
| მამუკა ხაზარაძე | 10.0% | 5,460,231 | - |
| ბადრი ჯაფარიძე | 6.1% | 3,308,616 | - |
| Dunross&Co | 6.6% | 3,598,963 | https://dunross.cy/ |
| Alldan Gray Investment Management | 5.6% | 3,076,733 | https://www.allangray.co.za/ |

11.2 იმ ფაქტის დაკონკრეტება, აქვთ თუ არა განსხვავებული ხმის უფლებები 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს (პარტნიორებს);

„კომპანიის“ აქციონერებს თანაბარი ხმის უფლებები აქვთ.

11.3 ემიტენტისთვის ცნობილი ნებისმიერი გარიგების აღწერა, რომელიც უკავშირდება ემიტენტის კონტროლის სტრუქტურაში სამომავლო ცვლილებებს.

„ემიტენტისთვის“ „პროსპექტის“ წარდგენის მომენტში მსგავსი გარიგებები ცნობილი არ იყო.

12 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

12.1 წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებში მითითებულ პერიოდებსა და პროსპექტის შედგენის თარიღამდე პერიოდის მანძილზე ემიტენტსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული შემდეგი დეტალები:

ემიტენტს ყველაზე მსხვილი ტრანზაქციები დაკავშირებული მხარეებიდან აქვს მშობელ კომპანიასთან სს „თიბისი ბანკთან“, რომლისგანაც იღებს სრულ საბანკო მომსახურებას. აღნიშნული ტრანზაქციები სრულდება საბაზრო ფასით და ინტერესთა კონფლიქტი არ იკვეთება. სხვა ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ცხრილებში:

| (000' ლარი) | 31/12/2022 | | | | 31/12/2021 | | | | 31/12/2020 | | | |
|--|------------------|--|-------------------------------|--------|------------------|--|-------------------------------|--------|------------------|--|-------------------------------|--------|
| | მშობელი კომპანია | საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | სხვა დაკავშირებული საწარმოები | სულ | მშობელი კომპანია | საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | სხვა დაკავშირებული საწარმოები | სულ | მშობელი კომპანია | საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | სხვა დაკავშირებული საწარმოები | სულ |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 36,788 | | | 36,788 | 9,736 | - | - | 9,736 | 23,700 | - | - | 23,700 |
| ბანკებიდან მისაღები თანხები | | | | - | 5,000 | | | 5,000 | 16,383 | - | - | 16,383 |
| წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში | | | | - | | | 789 | 789 | - | - | 164 | 164 |
| სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან (სახელმწიფო საპროცენტო განაკვეთი: 7.5%-13.5%) | 17,006 | | | 17,006 | 11,250 | | | 11,250 | 14,899 | - | - | 14,899 |
| სუბორდინირებული სესხები | 2,486 | 4 | | 2,490 | 2,449 | 71 | | 2,520 | 2,448 | 135 | - | 2,584 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | | | | - | 6 | | | 6 | 1,760 | - | - | 1,760 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 0 | 3,261 | 18 | 3,278 | 111 | 342 | | 454 | - | 368 | - | 368 |
| გადახდილი ავანსები | | | | - | | 2,504 | | 2,504 | - | 2,629 | - | 2,629 |
| სხვა ვალდებულებები | 17 | 32 | | 49 | - | 59 | | 59 | 54 | - | - | 54 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 20,080 | | | 20,080 | 20,074 | 276 | | 20,350 | 20,063 | 455 | - | 20,518 |

| (000' ლარი) | 31/12/2022 | | | | 31/12/2021 | | | | 31/12/2020 | | | |
|--|------------------|--|-------------------------------|-------|------------------|--|-------------------------------|-------|------------------|--|-------------------------------|-------|
| | მშობელი კომპანია | საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | სხვა დაკავშირებული საწარმოები | სულ | მშობელი კომპანია | საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | სხვა დაკავშირებული საწარმოები | სულ | მშობელი კომპანია | საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | სხვა დაკავშირებული საწარმოები | სულ |
| შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან | 1,594 | | | 1,594 | - | | | - | - | - | - | - |
| შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან | | | | - | 1,480 | | | 1,480 | 1,519 | - | - | 1,519 |
| ფინანსური შემოსავალი | | | | - | | | 121 | 121 | - | - | - | - |
| სხვა შემოსავალი | | | | - | 1,260 | 40 | | 1,300 | 1,921 | 54 | - | 1,975 |
| საპროცენტო ხარჯი | 3,450 | 67 | | 3,517 | 3,762 | 259 | | 4,021 | 5,409 | 191 | - | 5,600 |
| საბანკო და სხვა მომსახურების ხარჯები | 84 | 36 | | 120 | | | | - | | | | - |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული სარგებელი | | | | - | (348) | | | (348) | 2,009 | - | - | 2,009 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 1,242 | 3,632 | 4 | 4,877 | 86 | 34 | | 125 | 66 | 111 | 10 | 188 |

13 ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია

13.1 წლიური ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები უკანასკნელი 2 წლისთვის.

თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის.

„პროსპექტუსთან“ ერთად თანდართულია ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებული 2021, 2020 და 2019წლების აუდირებული ფინანსური ანგარიშგება.

13.2 ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო თარიღის შეცვლის შემთხვევა

თუ ემიტენტმა შეიცვალა სააღრიცხვო თარიღი, წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებები უნდა ფარავდეს სულ მცირე 24 თვეს.

თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის.

„ემიტენტს“ არ შეუცვლია სააღრიცხვო თარიღი.

13.3 სააღრიცხვო სტანდარტი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს/IFRS) შესაბამისად.

13.4 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თუ ემიტენტი ამზადებს ორივეს - საკუთარ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ან ორივე მათგანი.

წარმოდგენილია ემიტენტის საკუთარი მონაცემები, რადგან არ გააჩნია შვილობილი კომპანიები, რომელთა ფინანსური შედეგების კონსოლიდაციასაც მოახდენდა საკუთარ შედეგებთან.

13.5 წარდგენილი ფინანსური ინფორმაციით დაფარული პერიოდი

ბოლო ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო თარიღი არ უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილზე უფრო ადრინდელი:

ა) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 18 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს აუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას.

ბ) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 16 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს არააუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას;

„პროსპექტში“ წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

13.6 შუალედური და სხვა ფინანსური ინფორმაცია

13.6.1 თუ ემიტენტის მიერ ხდება კვარტალური ან ნახევარ-წლიური ანგარიშგების გამოქვეყნება ბოლო აუდირებული ანგარიშგების თარიღის შემდეგ, ისინი უნდა შედიოდეს სარეგისტრაციო დოკუმენტში. თუ კვარტალური ან ნახევარ-წლიური ფინანსური ინფორმაცია აუდირებულია, უნდა მოხდეს მისი თან დართვა. თუკი არა არის აუდირებული - მითითებულ უნდა იქნას ამის შესახებ;

„ემიტენტი“ აქვეყნებს ნახევარწლიურ არა-აუდირებულ ანგარიშგებებს ვებგვერდზე [www. reportal.ge](http://www.reportal.ge).

13.6.2 თუ პროსპექტის შედგენის თარიღამდე ბოლო აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდეგ 9 თვე ან მეტია გასული, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასაც, რომელიც შესაძლოა არ იყოს აუდირებული (ეს ფაქტი უნდა მიეთითოს) და ასევე უნდა მოიცავდეს მიმდინარე ფინანსური წლის სულ მცირე პირველი 6 თვის მონაცემებს.

შუალედური ფინანსური ანგარიშგებები (ამ შემთხვევაში 2022 წლის სრული არააუდირებული მონაცემები) უნდა მოიცავდეს წინა წლის შესაბამისი პერიოდის შესადარის მონაცემებს და შედგენილი უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

„პროსპექტი“ მოიცავს სრული 2021, 2020 და 2019 წლის აუდირებულ და 2022 წლის არააუდირებულ მონაცემებს.

13.7 წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი²

„კომპანიის“ 2021, 2020 და 2019 წლების ფინანსური ანგარიშგებები აუდირებულია და აუდიტორმა არამოდიფიცირებული დასკვნა გამოთქვა.

13.8 პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია

ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში (მაგ: შერწყმა, შესყიდვა), ტრანზაქციის ეფექტის აღწერა ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე ფინანსურ შედეგზე იმ დაშვებით რომ ის მოხდა ანგარიშგების საწყისი ან საბოლოო თარიღისთვის.

„კომპანიას“ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის შესყიდვის ან გაერთიანების გარიგებაში, რის გამოც პრო-ფორმა ფინანსური მონაცემების საჭიროება არ არის.

13.9 დივიდენდების პოლიტიკა

დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე.

13.10 სასამართლო პროცესები

ინფორმაცია ნებისმიერი სასამართლო (მათ შორის სავარაუდო სასამართლო დავების შესახებ, რომელსაც ემიტენტი ელის) პროცესის შესახებ სულ მცირე უკანასკნელი 12 თვის მანძილზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ან უკვე მოახდინა ემიტენტის ან ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა თუ მომგებიანობაზე, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში - შესაბამისი განაცხადი.

„კომპანია“ ამჟამად აწარმოებს დაახლოებით 110 სასამართლო დავას, რომელთა უმეტესი ნაწილი წარმოადგენს ჩვეულებრივი სალიზინგო ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ დავას. მათი ჯამური ღირებულება არ აღემატება 1.9 მილიონ აშშ დოლარს და უმეტეს შემთხვევაში მოსარჩელეს თავად კომპანია წარმოადგენს და ითხოვს სალიზინგო საზღაურს. დავები როგორც შინაარსობრივად, ასევე თანხობრივი მოცულობით უმნიშვნელოა და გავლენას ვერ მოახდენს ემიტენტის ან ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და მომგებიანობაზე.

13.11. ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა. ბოლო ფინანსური პერიოდის შემდეგ, რომლისთვისაც წარდგენილია აუდირებული ანგარიშგება ან შუალედური

² წლიური ფინანსური ანგარიშგებები შემოწმებულ უნდა იქნას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ის მომზადებული უნდა იყოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. თუ აუდიტის დასკვნა პირობითია, მოდიფიცირებული, უარყოფითი, უარი დასკვნაზე ან მოიცავს მნიშვნელოვანი გარემოების ხაზგასმას (emphasis of matter), უნდა მოხდეს ამგვარი უარის ან პირობების დეტალების და მათი მიზეზების ჩართვა პროსპექტის აღნიშნულ ნაწილში;ამასთან, არსებობის შემთხვევაში, ამავე ნაწილში უნდა მოხდეს მითითება, თუ პროსპექტში წარმოდგენილი რა ინფორმაციის დადასტურება მოხდა აუდიტის მიერ, გარდა აუდირებული ფინანსური ანგარიშგებისა;

არაუდირებელი ინფორმაცია, ემიტენტის ან მისი ჯგუფის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა, ან ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში - ამგვარი განაცხადი.

ემიტენტის ბოლო ფინანსური პერიოდი შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

14 დამატებითი ინფორმაცია

14.1 კაპიტალი

14.1.1 პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია პროსპექტში წარმოდგენილი უახლესი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის:

განცხადებული კაპიტალის ჯამური ოდენობა; ამასთან, აქციის თითოეული კლასისთვის:

ა) გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობა; 3,909,000 ლარი

ბ) გამოშვებული და ბოლომდე ანაზღაურებული ან გამოშვებული და ნაწილობრივ ანაზღაურებული აქციების რაოდენობა; 3,909,000 ლარი

გ) აქციების ნომინალური ღირებულება; 1,000 ლარი

დ) მათთან დაკავშირებული უფლებების, შეზღუდვების აღწერა.

ჩვეულებრივი აქციები წარმოადგენენ ხმის უფლების მქონე რეგისტრირებულ აქციებს. ყოველი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. კომპანია ახდენს ყოველი აქციონერის რეგისტრაციას საზოგადოების აქციათა რეესტრში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია საწესდებო კაპიტალის გაზრდის, ან ისეთი ახალი აქციების ან ფასიანი ქაღალდების გამოშვების შემთხვევაში, რომელიც იძლევა კომპანიის საწესდებო კაპიტალის შეძენის უფლებას (ოფციას, გარანტიას ან სხვას) კონვერტაციის, გაცვლის ან სხვა გზით, კომპანიის აქციონერებს ენიჭებათ უპირატესი შესყიდვის უფლება კომპანიაში მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად იმავე წესითა და პირობებით, როგორც აღნიშნული აქციების თუ მათი ექვივალენტური ფასიანი ქაღალდების შეთავაზება განხორციელდება ნებისმიერი სხვა შემსყიდველისთვის. კომპანია წერილობით აცნობებს თითოეულ აქციონერს საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან ახალი აქციების ან/და ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ და აქციონერებს უფლება ექნებათ შეიძინონ შემოთავაზებული აქციები ან/და ფასიანი ქაღალდები შეტყობინების მიღებიდან სულ მცირე ერთი თვის განმავლობაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი 3,659 ათას ლარს შეადგენს ავტორიზებული, გამოცემული და გადახდილი აქციების ოდენობა იყო 3,659 ჩვეულებრივი აქცია, ნომინალური ღირებულებით 1000 ლარი თითოეულ აქციაზე. თითოეულ აქციას ერთი ხმის უფლება შეესაბამება. 2020 დან 2022 წლის 31 დეკემბრის განმავლობაში სააქციო კაპიტალის ცვლილება არ განხორციელებულა.

14.1.2 იმ წილების რაოდენობა, საბალანსო ღირებულება და ნომინალი, რომლებსაც თავად ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ფლობს;

ემიტენტისთვის არ არის რელევანტური.

14.1.3 ინფორმაცია აქციონერების უფლებებთან დაკავშირებით, ასევე განცხადებულ მაგრამ ჯერ არ გამოშვებულ კაპიტალთან ან კაპიტალის სამომავლო გაზრდასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ.

ემიტენტის ერთადერთი აქციონერი სს თიბისი ბანკია.

ემიტენტს გააჩნია განცხადებული, მაგრამ ჯერ არ გამოშვებული კაპიტალი 250 ცალი ჩვეულებრივი ხმის უფლების მქონე აქციის სახით. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება განისაზღვრება 1,000 ლარით, შესყიდვის ფასი კი განისაზღვრება შესყიდვის დროს.

აღნიშნული ვალდებულება კაპიტელის დამატებით ზრდასთან დაკავშირებით აქციონერს აღებული აქვს შესაბამისი კორპორაციული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

15 მატერიალური ხელშეკრულებები

15.1 პროსპექტის შედგენამდე 2 წლის განმავლობაში დადებული თითოეული კონტრაქტის პირობების მიმოხილვა, რომელიც უკავშირდება არსებით (მატერიალურ) ფაქტს და რომლის მხარეცაა ემიტენტი ან მისი ჯგუფის ნებისმიერი წევრი;

ნებისმიერი სხვა კონტრაქტის მოკლე შინაარსი (რომელიც არ არის ჩვეულებრივი ბიზნეს-ოპერაციების შედეგი), რომლითაც ემიტენტის ან მისი ჯგუფის ნებისმიერ წევრს ნაკისრი აქვს გარკვეული ვალდებულება ან მინიჭებული აქვს უფლება, რომელიც მატერიალურია პროსპექტის მომზადების თარიღისთვის./მატერიალურია ემიტენტისთვის ობლიგაციებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

თავისი საქმიანობის ფარგლებში, ემიტენტი რეგულარულად დებს სასესხო ხელშეკრულებებს სხვადასხვა დამფინანსებლებთან, რომელთა დეტალური სიაც ზემოთ არის მოცემული. სხვა სახის მატერიალური ხელშეკრულებები ემიტენტს ბოლო ორი წლის მანძილზე არ დაუდია. სასესხო ხელშეკრულებები სტანდარტული სახისაა და ეფუძნება შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტის შაბლონებს. ხელშეკრულებები შეიცავს დეტალურ პირობებს სესხის პირობების, საპროცენტო სარგებლის დარიცხვისა და დაანგარიშების, გადახდის თაობაზე. როგორც წესი, სესხის მიზნობრიობა სალიზინგო პორტფელის გაზრდაა და უზრუნველყოფილია შესაბამისი პორტფელის გირავნობით. სასესხო ხელშეკრულებები არ შეიცავს შეზღუდვას დამატებითი სახსრების მოზიდვის თაობაზე და ლევერიჯს მხოლოდ ფინანსური კოეფიციენტებით არეგულირებს (მაგალითად, Symbiotics-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ემიტენტის ფინანსური ლევერიჯი არ უნდა აღემატებოდეს 9-ს).

16. გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი

გამოყენებული ანგარიშები:

- 2022 წლის 12 თვის არააუდირებული ფინანსური ანგარიშგება
- 2021, 2020 და 2019 წლების აუდირებული ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა; (ხელმისაწვდომია tbclearing.ge-ზე და reportal.ge-ზე)
- Fitch-ის საკრედიტო ანგარიში სს „თიბისი ლიზინგისთვის“ BB- რეიტინგის მინიჭების შესახებ; (ხელმისაწვდომია fitchratings.com-ზე) (<https://www.fitchratings.com/research/non-bank-financial-institutions/fitch-affirms-tbc-leasing-at-bb-outlook-stable-05-07-2022>)
- საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები; (ხელმისაწვდომია nbg.ge-ზე)
- საქსტატის სტატისტიკური მონაცემები; (ხელმისაწვდომია geostat.ge-ზე)
- საქართველოს საფონდო ბირჟის სტატისტიკური მონაცემები; (ხელმისაწვდომია gse.ge-ზე)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის ანალიტიკური მონაცემები (www.mof.ge)
- ემიტენტის წესდება (NAPR ნომერი: B21102804)
- გირავნობის ხელშეკრულება
- გადახდისა და კალკულაციის აგენტის ხელშეკრულება

თითოეული „რეგისტრირებული მფლობელი“ უფლებამოსილია გაეცნოს გირავნობის ხელშეკრულებას და „განთავსების აგენტისგან“ მოითხოვოს აღნიშნული ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით მისთვის მიწოდება, ასეთი მოთხოვნის დაყენებიდან 10 (ათი) „სამუშაო დღის“ ვადაში.

„კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულება - თითოეული „რეგისტრირებული მფლობელი“ უფლებამოსილია (i) გაეცნოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „ემიტენტის“ ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მითითებულ მისამართზე, ან (ii) „ემიტენტისგან“ ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისგან“ მოითხოვოს აღნიშნული ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით მისთვის მიწოდება, ასეთი მოთხოვნის დაყენებიდან 10 (ათი) „სამუშაო დღის“ ვადაში.

V. ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

1. მნიშვნელოვანი ინფორმაცია

1.1. განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ, რაც გულისხმობს ემიტენტის მიერ გაკეთებულ დათქმას იმის თაობაზე, რომ საბრუნავი კაპიტალი საკმარისია ემიტენტის მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად ერთი წლის მანძილზე ან, თუ არ არის საკმარისი, როგორ აპირებს საჭირო დამატებითი საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფას.

| (000' ლარი) | 2022 | 2021 | 2020 | 2019 |
|-------------------------|----------------|------------|------------|------------|
| | არა-აუდირებული | აუდირებული | აუდირებული | აუდირებული |
| მიმდინარე აქტივები | 216,744 | 206,236 | 219,254 | 177,859 |
| მიმდინარე ვალდებულებები | 228,157 | 113,284 | 94,027 | 205,293 |

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბრუნავი კაპიტალი შეადგენდა მინუს 11,412 ათას ლარს (31.12.2021 92,829 ათასი ლარი). მიუხედავად უარყოფითი საბრუნავი კაპიტალისა კომპანიას არ უდგას პრობლემა მისი მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის, რადგანაც მას აქვს სტრატეგია არსებული ლიმიტების ფარგლებში ქართული კომერციული ბანკებიდან აითვისოს მოკლევადიანი სესხები, დაბალი ხარჯიანობიდან გამომდინარე, და ვადის დასრულების შემდეგ საჭიროების შესაბამისად ხელახლა მოიზიდოს აღნიშნული რესურსები.

ემიტენტს ქართულ ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული აქვს საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებები, რომელთა ფარგლებშიც ახდენს თანხების ათვისებას საჭიროების მიხედვით. აღნიშნული სტრატეგია კომპანიისთვის საკმაოდ ეფექტურია, ერთის მხრივ იძლევა საშუალებას დაბალ პროცენტის რესურსის მოძიების, ხოლო მეორეს მხრივ აძლევს მოქნილობას აითვისოს საჭირო რესურსი მხოლოდ იმ მომენტში, როცა ამის საჭიროება რეალურად გააჩნია. ასეთი ლიმიტები როგორც წესს 1 წლიანი ვადით ვადის გასვლის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ხაზების განახლება. ასევე, ასეთ ლიმიტებს არ გააჩნიათ აუთვისებელ თანხაზე დარიცხული საკომისიო. შესაბამისად, ემიტენტისათვის ასეთი საკრედიტო ხაზების ხელმისაწვდომობა დამატებით ხარჯებთან არ არის დაკავშირებული.

1.2. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი.

| შეთავაზებაში ჩართული პირი | როლი შეთავაზებაში | ინტერესის აღწერა | ინტერესთა კონფლიქტის აღწერა |
|---------------------------|--------------------|---|--|
| შპს „თიბისი კაპიტალი“ | განთავსების აგენტი | წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე | არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც |

| | | | |
|--|--|--|---|
| | | <p>იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსება და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება.</p> | <p>აფილირებულია განთავსების აგენტთან და ემიტენტთან. ამ გარემოებამ შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის.</p> |
|--|--|--|---|

2. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს

2.1. შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი;

ობლიგაციები წარმოადგენს უზრუნველყოფილ სავალო ფასიან ქაღალდებს. უზრუნველყოფაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ იხილეთ 2.7.2 ქვეთავი „უზრუნველყოფა“ (გვ.110)

2.2. კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება;

ობლიგაციების გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3. ინფორმაცია რეგისტრატორის შესახებ:

სს „კავკასრეესტრი“, მისამართი: მოსაშვილის 11, მეორე სართული.თბილისი 0162

2.4. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი:

„ობლიგაციები“ გაცემულია არამატერიალური რეგისტრაციას დაქვემდებარებული ფორმით, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება, მათი გამოშვების თარიღისათვის - 2023 წლის 20 მარტისთვის („გამოშვების თარიღი“), შეადგენს 1,000 ლარს.

2.5. შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების მთლიანი ოდენობა; თუ ოდენობა ფიქსირებული არ არის, მისი მაქსიმალური ოდენობის (თუ შესაძლებელია) მითითება. ასევე, იმ პირობის აღწერა და იმ თარიღის მითითება, როდესაც მოხდება საბოლოო ოდენობის გასაჯაროება:

„ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 100,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 300 საბაზისო პუნქტი (სპრედი) დამატებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთზე და რომლებიც ვადამოსული ხდება 2026 წლის 20 მარტს. („ობლიგაციები“), გამოშვებულია სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგის“ („კომპანია“ ან „ემიტენტი“) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2023 წლის 15 მარტს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს 2023 წლის 15 მარტის „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიასა“ და შპს „თიბისი კაპიტალს“ - როგორც „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ - შორის („გადახდისა და კალკულაციის აგენტი“). „რეგისტრირებული მფლობელები“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) უფლებამოსილნი არიან გაცნონ/შეისწავლონ „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ასლი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მითითებულ მისამართზე. შესაბამისად, „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ პირობები გავრცელდება „რეგისტრირებულ მფლობელებზე“ და ექნება სავალდებულო ძალა მათთვის.

2.6. გადახდისუუნარობის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში:

ემიტენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება უზრუნველყოფილ ვალდებულებად, განთავსდება პირველ რიგში და რადგან კომპანიის ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მოთხოვნები უზრუნველყოფილია პირველი რიგის გირავნობის, იმ მოთხოვნებთან მიმართებაში რომელიც ვერ დაიფარა ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის საშუალებით, მთლიანი პორტფელის არაუზრუნველყოფილი ნაწილიდან ფასიანი ქაღალდების მფლობელები pari passu დაკმაყოფილდებიან. რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 105-ე მუხლის შესაბამისად პირველი რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს უზრუნველყოფილი ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზით რეალიზაციის მოთხოვნით. გაკოტრების მმართველი უზრუნველყოფს აღნიშნული ქონების რეალიზაციას პირველი რიგის მოგირავნის მოთხოვნის შესაბამისად. საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში რეალიზაციით ამონაგები თანხით დაკმაყოფილება უზრუნველყოფის რეგისტრაციის რიგითობის შესაბამისად განხორციელდება.

2.7. იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა:

2.7.1. ვალდებულებები

(ა) **უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა:** მანამ სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ არის გადაუხდელი, „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“, რაიმე „დავალიანების“ უზრუნველყოფის მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა წარმოშვან ან არ უნდა დაუშვან ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალების“ (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ არსებულ ან შემდგომში შექმნილ აქტივებზე, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებებისა“.

(ბ) **საქმიანობის გაგრძელება, ავტორიზაციების შენარჩუნება და იურიდიული ნამდვილობა:**

„ემიტენტმა“ და მისმა თითოეულმა „მნიშვნელოვანმა შვილობილმა კომპანიამ“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი აუცილებელი ქმედება, რაც აუცილებელია მისი კორპორაციული არსებობისა და საქმიანობის გასაგრძელებლად და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების გამოსაყენებლად, მათ შორის, მოიპოვოს ამისათვის საჭირო ყველა თანხმობა, ლიცენზია, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია ყველა ავტორიზაციის, ნებართვის, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდიული ძალის შესანარჩუნებლად და მიიღოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს „ობლიგაციების“ კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(გ) **შერწყმა:** „ემიტენტმა“, „ობლიგაციების მფლობელების“ წინასწარი თანხმობის გარეშე, არ უნდა:

(x) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით) ან (y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შერწყას რამდენიმე კომპანია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

(i) ზემოთ (x) ან (y) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე;

- A. წარმოქმნილი ან დარჩენილი პირი ან მიმღები („უფლებამონაცვლე პირი“) იქნება „ემიტენტი“, ან ასეთი „უფლებამონაცვლე პირი“, თუ ის არ არის „ემიტენტი“, სრულად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ უფლებებსა და ვალდებულებებს; და
- B. „ემიტენტთან“ შერწყმული ან გაერთიანებული პირის ჯამური ვალდებულებები არ აღემატება ემიტენტის აქტივების 25%-ს.
- (ii) აღნიშნულიდან გამომდინარე არ დადგება და არ გაგრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“.
- (დ) **განკარგვები:** თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „პირობებით“, „პირობა 2.7.1. (გ)“-ის (შერწყმა) დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“, ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში, თავიანთ შემოსავლებს ან აქტივებს მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაყიდვან, გადასცემენ, გასცემენ იჯარით ან სხვაგვარად არ განკარგავენ ნებისმიერ „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“ ან „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანიისა“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორციელდება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 10%-ზე ნაკლების განკარგვა, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ემიტენტის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობაში შემავალ სალიზინგო ტრანზაქციებზე, რაც ნიშნავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც (ა) თავისი შინაარსით და ბუნებით შეესაბამება „ემიტენტის“ მიერ წარსულში განხორციელებულ საქმიანობას და წარმოადგენს მისი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ოპერაციების სახეობას; ან (ბ) ზოგადად წარმოადგენს ლიზინგის საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებულ ან დამხმარე საქმიანობას და ასეთად მიიჩნევა საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის საფუძველზე და/ან ხორციელდება ბაზარზე არსებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო მოთამაშეების მიერ; ან გ) არ საჭიროებს მმართველი ორგანოების, დირექტორთა და/ან სამეთვალყურეო საბჭოს და სხვა უფლებამოსილი ორგანოს დამატებით ავტორიზაციას.

წინამდებარე „პირობა 2.7.1. (დ)“ არ გამოიყენება (i) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, რომელიც ხორციელდება „ემიტენტსა“ და მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას შორის, თუ „ემიტენტი“ წარმოადგენს ამგვარი შვილობილი კომპანიის მაჟორიტარ პარტნიორს/აქციონერს, (ii) აქტივების ან ქონების (ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) ნებისმიერ გაყიდვასთან, იჯარით გაცემასთან, გადაცემასთან ან სხვაგვარ განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფის საშუალებას“; (iii) ინვენტარიდან აქტივების იჯარით ან ლიზინგით გაცემასთან, გაყიდვასთან ან განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში, ან (iv) ნებისმიერ ისეთი არსებულ ან სამომავლო აქტივებთან ან შემოსავლებთან ან მათ ნაწილთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ან ფულადი დავალიანების, აქტივებით უზრუნველყოფილი ფინანსირების ან მსგავსი ფინანსირების საგანს, და როცა ყველა გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს მხოლოდ ამგვარი აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ფინანსირების საგანს, ყველა იმ აქტივების ან შემოსავლების ღირებულებასთან ერთად, რომელიც „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებების“ განმარტების შესაბამისად წარმოადგენს ნებადართულ „უზრუნველყოფის საშუალებას“, დროის არც ერთ მონაკვეთში არ აღემატება „ემიტენტის“ აქტივების 25%-ს, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით.

(ე) **გადასახადების და სხვა მოთხოვნების დაფარვა:** „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ დადგენილ ვადაში გადაიხდიან ნებისმიერ „გადასახადს“, რომელიც დარიცხულია „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიზნებისათვის „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ არ არიან ვალდებული გადაიხადონ ნებისმიერი ამგვარი „გადასახადი“ ან მსგავსი მოთხოვნები (ა) თუ მათი ოდენობა, გამოყენებადობა ან ნამდვილობა კეთილსინდისიერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და რომლის დასაფარად შექმნილია შესაბამისი რეზერვები „IFRS“-ის შესაბამისად, ან (ბ) რომლის ოდენობა, ყველა სხვა ამგვარ „გადასახადთან“ ან მსგავს მოთხოვნასთან ერთად, საერთო ჯამში არ აღემატება მთლიანი აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (დაანგარიშებული „IFRS“-ის შესაბამისად).

(ვ) **დავალიანებები:**

- i „ემიტენტი“ არ შექმნის ან იკისრებს რაიმე ვალდებულებას, თუ:
 - ა. ამგვარი ვალდებულება გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას; ან
 - ბ. „გამოსყიდვის თარიღამდე“, ნებისმიერი 31 დეკემბრისთვის დასრულებული აუდირებული და 30 ივნისისთვის დასრულებული არა-აუდირებული კალენდარული წლისთვის „ემიტენტის“ „ფინანსური ვალდებულებების“ ოდენობა (მას შემდეგ, რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ ვალდებულებებს) აჭარბებს „ემიტენტის“ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის კონსოლიდირებული აქტივების 91 (ოთხმოცდათერთმეტი) პროცენტს. აღნიშნული მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ფასიანი ქაღალდის ვადის მანძილზე ნებისმიერი თარიღისთვის, ხოლო კალკულაცია განხორციელდეს წელიწადში ორჯერ 31 დეკემბრისთვის და 30 ივნისისთვის.
- ii. ზემოთაღნიშნული შეზღუდვა არ ეხება „ემიტენტსა“ და „ჯგუფის“ წევრ კომპანიებს შორის ან „ჯგუფის“ წევრ კომპანიებს შორის არსებულ ვალდებულებებს და „ემიტენტის“ ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ დავალიანებებს.
- iii. „ფინანსური ვალდებულებები“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე): (ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანებას; (ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან/და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;³

(ზ) **აკრძალული გადახდები:**

ემიტენტმა (და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილმა კომპანიებმა“) არ უნდა შეიძინოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გამოისყიდოს ან სხვაგვარად მოახდინოს საკუთარი სააქციო კაპიტალის ან აქციების შეძენა ან სუბორდინირებული სესხის ან ობლიგაციების ვადაზე ადრე დაფარვა (გარდა „ჯგუფის“ შიდა სესხის გადახდისა, რომელიც გაცემულია ემიტენტის ან მისი სხვა „შვილობილი კომპანიის“ მიერ). „ემიტენტმა“ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ობლიგაციების ვადის ბოლომდე შეინარჩუნებს ობლიგაციების ემისიის მომენტისთვის არსებულ სუბორდინირებული სესხების ან ობლიგაციების ბალანსს. ნებისმიერი ამგვარი ქმედება მიიჩნევა „აკრძალულ გადახდებად“. ამასთან, ზემოაღნიშნული ქმედებები და ტრანზაქციები ჩაითვლება „აკრძალულ გადახდად“ თუ:

- (i) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის დამდგარია და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“;

³ ყველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, „ფინანსური ვალდებულებები“ არ მოიცავს საბანკო გარანტიებს.

(ii) ამგვარი „აკრძალული გადახდის“ და 2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ განხორციელებულ ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი აღემატება შემდეგი ორი კომპონენტის ჯამს:

(ა) ემიტენტის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 100 პროცენტს (რომელიც გამოითვლება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით“) იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2024 წლის 31 დეკემბერს და სრულდება უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს; და

(ბ) ემიტენტის მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ აქციების გამოშვებიდან ან რელიზაციიდან და ამავე პერიოდში ემიტენტის ნებისმიერი „ვალდებულების“ კაპიტალში კონვერტაციიდან ან აქციებში გაცვლიდან მიღებული წმინდა შემოსავლების 100 პროცენტს.

(თ) **ფინანსური ინფორმაცია:**

i „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 15 მაისისა (ან სებ-ის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში), „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ და შემოწმებული კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების ასლებს ამ ფინანსური წლისათვის, აღნიშნულთან დაკავშირებით „აუდიტორების“ შესაბამის დასკვნასთან ერთად.

ii „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში, „ობლიგაციების მფლობელებს“ მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს ექვსი თვის „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ შეუმოწმებელ (არააუდიტირებული) კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლებს.

iii თუ „ობლიგაციების მფლობელები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით), ინდივიდუალურად ან ჯამურად, გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 25%-ს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციების მფლობელებს“ უფლება აქვთ მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ნავარაუდევ „დეფოლტის შემთხვევასთან“. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად, გონივრულ ვადაში მიაწოდოს იმ „ობლიგაციების მფლობელებს“ და „ნომინალურ მფლობელებს“, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი წერილობით მოთხოვნა. ამგვარი წერილობითი მოთხოვნა შეიძლება მოცემული იყოს ერთი და იმავე ფორმის ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელის“ და/ან „ნომინალური მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით. ამგვარი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ მორიგი გადაწყვეტილების ფორმით.

(ი) **დაზღვევის შენარჩუნება:** „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“ თავიანთ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება უნდა დააზღვიონ იმ მზღვეველებთან, რომლებსაც „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას. ამასთან, თითოეულ შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს ქონების შექმნიდან გონივრულ ვადაში.

- (კ) **კონტროლის ცვლილება:** „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არ განხორციელდება „კონტროლის ცვლილება“. ამ მუხლის მიზნებისათვის, „კონტროლის ცვლილება“ განხორციელდება, თუ პარტნიორები, რომლებიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის ფლობენ წილებს „კომპანიის“ კაპიტალში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის ფლობას ან სხვაგვარად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კონტროლს. წინამდებარე „პირობის“ მიზნებისათვის, ჩაითვლება, რომ არსებული პარტნიორები „აკონტროლებენ“ „ემიტენტს“, თუ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კაპიტალის ფლობის, ხმის უფლების ქონის, ხელშეკრულების ან ტრასტის მეშვეობით ან სხვაგვარად) არსებულ პარტნიორებს აქვთ უფლებამოსილება დანიშნონ და/ან გაათავისუფლონ „ემიტენტის“ დირექტორთა საბჭოს ან სხვა მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა ან სხვაგვარად აკონტროლებენ ან უფლება აქვთ აკონტროლონ „ემიტენტის“ საქმეები და პოლიტიკა.
- (ლ) **გამოსაყენებელი კანონმდებლობის დაცვა:** „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ ნებისმიერ დროს ყველა ღონეს მიმართავენ, რათა სრულად დაიცვან გამოსაყენებელი კანონმდებლობის ყველა დებულება, მათ შორის, სამთავრობო ორგანოების დირექტივები და რეგულაციები, რომლის დარღვევამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებს.
- (მ) **საქმიანობის ცვლილება:** „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვლება „ჯგუფის“ (ერთობლივად აღებული) იმ საქმიანობის ძირითადი ხასიათი, რომელსაც იგი ახორციელებს „გამოშვების თარიღისათვის“.
- (ნ) **რეიტინგის შენარჩუნება:** ამ „ობლიგაციების“ არსებობის განმავლობაში „ემიტენტს“ ექნება საკრედიტო რეიტინგი და განაახლებს მას შესაბამისი სიხშირით სემ-ის მიერ აღიარებული მინიმუმ ერთი საკრედიტო რეიტინგის სააგენტოსგან მაინც.
- (ო) **საკრედიტო რეიტინგის ცვლილება:** იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციების მოქმედების განმავლობაში კომპანიის საკრედიტო რეიტინგი შეიცვლება, მოხდება ობლიგაციების კუპონის კორექტირება ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| საკრედიტო რეიტინგი | კუპონი |
|--|--|
| BB | 275 საბაზისო პუნქტი („სპრედი“) დამატებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე |
| BB- | 300 საბაზისო პუნქტი („სპრედი“) დამატებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე |
| B+ | 325 საბაზისო პუნქტი („სპრედი“) დამატებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე |
| B და უფრო დაბალი საკრედიტო რეიტინგის პირობებში | 350 საბაზისო პუნქტი („სპრედი“) დამატებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე |

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევაში თუ ემიტენტს მინიჭებული ექნება საკრედიტო რეიტინგი რამდენიმე სააგენტოსაგან, კუპონის დადგენის მიზნებისათვის უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს რეიტინგს, ასევე იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რეიტინგი შეიცვლება ქვეყნის რეიტინგის ცვლილების გამო და აღნიშნული მიზეზი გამჟღავნებული იქნება რეიტინგის დასკვნაში, არ მოხდება საბაზისო განაკვეთის ცვლილება.

2.7.2. უზრუნველყოფა

(ა) გირავნობის არსი

„ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 110% (ას ათი პროცენტი) უზრუნველყოფილია „ემიტენტის“ მთლიანი სალიზინგო პორტფელის იდენტური ღირებულების მქონე პორტფელის ნაწილით, როგორც განსაზღვრულია „პირობების“ შესაბამისად და „გირავნობის ხელშეკრულებით“.

„გირავნობის ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, „ემიტენტი“ პირველი რიგის გირავნობის უფლებით ტვირთავს თავისი სალიზინგო პორტფელის იმ ნაწილს, რომლის ღირებულება ტოლია „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 110%-სა (ას ათი პროცენტი). პირველი რიგის გირავნობა თავისთავში გულისხმობს „ობლიგაციონერების“ უფლებას, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკავიფილონ მოთხოვნა ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომისას. აღსრულების შემთხვევაში, ქონების რეალიზაციით მიღებულ თანხა განაწილდება „ობლიგაციონერებს“ შორის „ემიტენტის“ მიმართ თითოეული მათგანის მოთხოვნის პროპორციულად.

გირავნობის საგანი გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად ნიშნავს კლიენტებისგან სალიზინგო პორტფელიდან გამომდინარე მისაღები თანხების მოთხოვნის უფლებას და არა უშუალოდ ლიზინგის საგანს, გირავნობის საგნების იდეტიფიცირება ხდება პერიოდულად განახლებადი სიით, რომელსაც ემიტენტი გაუზიარებს ყოველკვარტალურად (ყოველი კალენდარული წლის იანვარში, აპრილში, ივლისსა და ოქტომბერში) ინვესტორებს გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმით და შინაარსით. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ გირავნობის საგნების სიის შედგენა ხდება ემიტენტის მიერ და ინვესტორი ვალდებულია დაეყრდნოს ემიტენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეს, ვინაიდან გირავნობის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის მესამე პირების ან სხვა საშუალებით გადამოწმების მექანიზმი არ არსებობს. ამ თვალსაზრისით შესაძლოა ინვესტორებს უზრუნველყოფის საგანთან დაკავშირებით ქონდეთ გარკვეული დისკომფორტი, რადგან მათ შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეაფასონ და გამოიკვირონ სალიზინგო პორტფელთან დაკავშირებული ინფორმაცია: ლიზინგის ხელშეკრულებები, მოთხოვნის თანხები და სხვ. რომელიც მათი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა.

(ბ) „გირავნობის ხელშეკრულების“ დადება, გირავნობის რეგისტრაცია

„გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ დაუკავშირდებიან ყველა „ობლიგაციონერს“ და უზრუნველყოფენ „პირობების“ 2.7.2 პუნქტით განსაზღვრული „გირავნობის ხელშეკრულების“ დადებას.

„გირავნობის ხელშეკრულებას“ ხელი მოეწერება ერთდროულად „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ დღეს, რომელიც უნდა იყოს „გამოშვების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ ვადაში. ისინი დამოწმდება სანოტარო წესით (სადაც ნოტარიუსი დაამოწმებს მხოლოდ ხელმოწერთა ვინაობას). „გირავნობის ხელშეკრულება“ ასევე დარეგისტრირდება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში „საჯარო რეესტრი“).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია უზრუნველყოს, თავად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით გამოცხადდეს ნოტარიუსის წინაშე „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ დღეს და ხელი მოაწეროს „გირავნობის ხელშეკრულებას“.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს სათანადო წესით გაცემული და დამოწმებული უფლების დამდგენი დოკუმენტის (ამონაწერი, წესდება და ა.შ.) მეშვეობით ან/და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით („**მინდობილობა**“), რომლის სანოტარო აქტივ ადასტურებს არა მხოლოდ „მინდობილობის“ გამცემის ვინაობას, არამედ „ობლიგაციონერების“ სანაცვლოდ ხელის მოწერის უფლებამოსილებას. თუკი „მინდობილობა“ გაცემულია საზღვარგარეთ, ის ან უნდა იყოს აპოსტილით

დამოწმებული (თუ აღნიშნული ქვეყანა წარმოადგენს „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის კონვენციის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოს) ან ლეგალიზებული იქ მდებარე საქართველოს საკონსულოს მიერ. დოკუმენტების ორიგინალი ვერსიები მიეწოდება „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტს“ და აღნიშნული დოკუმენტების სათანადო წესით წარდგენა წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციების“ „ობლიგაციონერზე“ განთავსების წინაპირობას.

უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ფორმალობა და გირავნობის რეგისტრაცია უნდა დასრულდეს „გამოშვების თარიღიდან“ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღისა“.

ზემოაღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში, „ობლიგაციონერებს“ პირდაპირ შეუძლიათ დაუკავშირდნენ „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“.

2.7.3. გამოსიდა და ყიდა

(ა) „ობლიგაციების“ გამოსიდა განხორციელდება ძირითადი თანხის ღირებულებით „გამოსიდას თარიღზე“, დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით, თუ მათი შესიდა ან გაუქმება არ განხორციელდა უფრო ადრე. „ობლიგაციების“ გამოსიდა დაუშვებელია „გამოსიდას თარიღამდე“, გარდა ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეისყიდოს „ობლიგაციები“ ღია ბაზარზე ან სხვაგვარად, ნებისმიერ ფასად. „კომპანია“ მიერ შესყიდული „ობლიგაციები“ შესაძლებელია გაუქმდეს.

(ბ) „ემიტენტთან“ არადაკავშირებული, სასესხო ტრანზაქციებიდან გამომდინარე ყველა კრედიტორის მიერ მათ სასარგებლოდ არსებული უზრუნველყოფის გამოთავისუფლების შემთხვევაში (რის შემდეგაც ასეთი კრედიტორების მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულება ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებად), „ემიტენტი“ გახდება უფლებამოსილი ობლიგაციონერებს შესთავაზოს (i) „გირავნობის ხელშეკრულებით“ ობლიგაციონერების სასარგებლოდ შექმნილი უზრუნველყოფის გამოთავისუფლება და (ii) ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთის 0.25%-ით გაზრდა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ობლიგაციონერი არ დათანხმდება „ემიტენტის“ ზემოაღნიშნულ შეთავაზებას, „ემიტენტს“ უფლება ექნება მოითხოვოს, ხოლო შესაბამისი ობლიგაციონერი ვალდებული იქნება მიჰყიდოს „ემიტენტს“ მის საკუთრებაში არსებული ობლიგაციები სრულად გამოსიდას ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს დამატებული „ვადამდე გამოსიდას თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

(გ) „ემიტენტს“ არ ექნება ობლიგაციების გამოსიდას უფლება ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 1 (ერთი) წლის მანძილზე. გამოშვების თარიღიდან 1 (ერთ) წლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს გამოშვების თარიღიდან 2 (ორი) წლის ვადაში „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოსიდას ობლიგაციები გამოსიდას ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 100.5%-ს დამატებული „ვადამდე გამოსიდას თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოშვების თარიღიდან 2 (ორი) წლის შემდეგ „ემიტენტს“ გამოსიდა შეეძლება გამოსიდას ფასად, რომელიც შეადგენს ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%-ს დამატებული „ვადამდე გამოსიდას თარიღზე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოსიდას შემთხვევაში, ობლიგაციების გამოსიდა მოხდება სრულად, რადგან ნაწილობრივი გამოსიდა/გასხვისება არ არის ნებადართული.

2.7.4. დაბეგრა

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ

უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციის“ მფლობელი უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავათით და მიიღოს თანხა სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

2.7.5. დეფოლტის შემთხვევა

თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მითითებული შემთხვევა (თითოეული „დეფოლტის შემთხვევა“):

(ა) გადახდის ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ განახორციელებს ძირითადი თანხისა და პროცენტის ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით, გადახდის დღეს და ამგვარი თარიღიდან 5 დღის განმავლობაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ ასრულებს/არღვევს ნებისმიერ სხვა ვალდებულებას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, მათ შორის, წინამდებარე ემისიის პროსპექტის გათვალისწინებულ ფინანსურ შეზღუდვებსა და დათქმებს, და დარღვევის გამოსწორება შეუძლებელია ან თუ შესაძლებელია, დარღვევა არ გამოსწორდება „ემიტენტისთვის“ გაგზავნილი შეტყობინებიდან 30 დღეში; ან

(გ) ჯვარედინი დეფოლტი (Cross-Default):

(i) სესხად აღებული ან მოძიებული ფულადი სახსრებისთვის ან მათ მიმართ ნებისმიერი სხვა მოქმედი ან სამომავლო „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ „დავალიანება“ გადასახდელი ხდება (ან შესაძლებელია გახდეს განცხადებული) მისი გადახდის მითითებულ ვადაზე ადრე ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევის შედეგად (შესაბამისი დეფინიციის შესაბამისად), ან

(ii) ნებისმიერი ასეთი დავალიანება არ იქნა გადახდილი დროულად ან, კონკრეტულ შემთხვევაში, საამისოდ დაწესებული დამატებითი ვადის მანძილზე; ან

(iii) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს მის მიერ მოქმედი ან სამომავლო „დავალიანებისგან“ გამომდინარე გადასახდელი ნებისმიერი გადასახდელი თანხის დროულად დაფარვას, იმ პირობით, რომ (ა) შესაბამისი „დავალიანების“ ჯამური ოდენობა, რომელსაც შეესაბამება წინამდებარე 2.7.4(გ) პირობით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე შემთხვევა უტოლდება ან აღემატება 1,500,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტ ოდენობას ნებისმიერ სხვა ვალუტაში და (ii) რომელსაც „ემიტენტი“ ან „არსებითი შვილობილი კომპანია“, კეთილსინდისიერი და საამისოდ გონივრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, არ აღიარებს გადასახდელ ვალდებულებად; ან

(დ) გადახდისუნარიობა:

„ემიტენტი“ არის (ან შესაძლებელია ჩაითვალოს ასეთად კანონის ან სასამართლოს მიერ, ამისათვის კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების საფუძველზე) გადახდისუნარო ან გაკოტრებული ან ვალაუვალი, შეაჩერებს, შეწყვეტს ან შესაძლებელია შეწყვიტოს მისი ვალების სრულად ან დიდი ნაწილის გადახდა, შესთავაზებს ან გააფორმებს რესტრუქტურისაციის (რომელიც განპირობებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით), ვადის გაგრძელების ან სხვა მსგავსი სახის შეთანხმებას, რომელიც ეხება ვალების (სრულად ან მნიშვნელოვანი ნაწილის) გადახდის ვადის შეცვლას/გაგრძელებას, ან შესთავაზებს ან გააფორმებს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას ან სხვა მსგავს შეთანხმებას მისი კრედიტორების სასარგებლოდ (რომელიც განპირობებულია კომპანიის

ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით); გამოცხადდება ან შეთანხმდება მორატორიუმი, რომელიც შეეხება „ემიტენტის“ ვალდებულებებს მთლიანად ან ნაწილობრივ; ან

(ე) დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან სასამართლო წარმოებები:

„ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ ფულადი თანხის ან სხვა ვალდებულების დაკისრების თაობაზე სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სამართლებრივი აღმასრულებელი ორგანოების იმ დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებების, განჩინებების და ბრძანებების საერთო ოდენობა აღემატება „ჯგუფის“ საერთო აქტივების 5%-ს (ხუთი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად), ან ნებისმიერი ასეთი დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების შედეგად (ა) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ მართვა მთლიანად ან ნაწილობრივ შეიცვალა ან „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივ შემცირდა, (ბ) განხორციელდა „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის (რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება მთლიანი შემოსავლების ან აქტივების საბალანსო ღირებულების 20 პროცენტს) კონფისკაცია ან დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება; ან

(ვ) აღსრულება:

„ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ განხორციელდება ნებისმიერი სახის აღსრულების პროცედურა, ან აღმასრულებელი (კრედიტორი) მოიპოვებს მფლობელობას ან გაყიდის „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ ქონებაზე/ქონებას, შემოსავალზე/შემოსავალს ან აქტივებზე/აქტივებს მთლიანად ან მის არსებით ნაწილზე/ნაწილს (რომელიც შეადგენს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 5%-ს ან მეტს); ან

(ზ) ნებართვები და თანხმობები:

არ განახორციელოს რაიმე ქმედება ან არ დაარღვიოს რაიმე პირობა (ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, დასტურის, უფლებამოსილების, განაცხადის წარდგენის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა უფლებამოსილების მოპოვების ან განხორციელების ჩათვლით), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა მიღებულ იქნას, განხორციელდეს ან შესრულდეს, რათა (i) „ემიტენტს“ შეეძლოს კანონიერად დადოს შეთანხმებები, განახორციელოს მისი არსებითი უფლებები და შეასრულოს და შეესაბამოს საკუთარ გადახდის ვალდებულებებს „ობლიგაციების“ შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები 2.7.1 პირობის (ვალდებულებები) შესაბამისად და მისი „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებები, (ii) უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მზოჭავი და შესაძლებელი იყოს მათი აღსრულება და (iii) უზრუნველყოს, რომ „ობლიგაციების“ „ემისიის პროსპექტი“ საქართველოს სასამართლოში წარდგენადი ნამდვილი დოკუმენტია; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა:

„ობლიგაციების“ ან „ემისიის პროსპექტის“ ნამდვილობას სადაოდ ხდის „ემიტენტი“ ან „ემიტენტი“ უარყოფს „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ საკუთარ ვალდებულებას ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ ერთი ან რამდენიმე საკუთარი ვალდებულების შესრულება ან მასთან შესაბამისობა უკანონო ან გახდება კანონსაწინააღმდეგო ან ნებისმიერი ასეთი ვალდებულება გახდება აღუსრულებელი, კანონსაწინააღმდეგო ან ადარ იქნება ნამდვილი და მზოჭავი.

„ემიტენტი“ ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ, როგორც კი შეიტყობს, შეატყობინოს „ობლიგაციის მფლობელებს“ ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ წარმოშობის შესახებ.

2.7.6. ობლიგაციების მფლობელების კრება

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ ადგენს წესებს „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის, ჩატარების და გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

(ა) ობლიგაციების მფლობელების კრება:

- (i) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც გავლენა აქვთ „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებზე, მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი სახის ცვლილების მიზნით, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე დამსწრე ხმების არანაკლებ 75%-იანი უმრავლესობით („განსაკუთრებული გადაწყვეტილება“).
- (ii) „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ გამოტანილი ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „განსაკუთრებულ გადაწყვეტილებად“, მიიღება სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“) და მხოლოდ მაშინ არის მართებული და შესასრულებლად სავალდებულო, თუ მიღებულია „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ სახით.
- (iii) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე განიხილება მხოლოდ ის საკითხები, რაც წინამდებარე „პირობების“ 2.7.6.გ.(i) პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულია „ემიტენტის“ მიერ დადგენილი დღის წესრიგით.

(ბ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის უფლებამოსილება:

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრების ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ „ემიტენტს“. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“, ასევე „ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით“ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
- (ii) ამასთან, აღნიშნული არ ცვლის ან აუქმებს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 25%-ის მფლობელ(ებ)ის უფლებას მოიწვიოს „ობლიგაციების მფლობელების“ კრება და დააყენოს „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების და „ემიტენტის“ წინააღმდეგ სააღსრულებო პროცედურის დაწყების საკითხი.

(გ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევა:

- (i) „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების მფლობელებს“ „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების მოწვევის თაობაზე უნდა ეცნობოთ სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე (შეტყობინების გაგზავნის დღისა და კრების ჩატარების დღის გამოკლებით) წინამდებარე „პირობების“ 2.7.7. პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად. ამგვარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების თარიღი, დრო, ადგილი და მისაღები გადაწყვეტილებების დღის წესრიგი (ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების მიერ განსახილველი საკითხების დღის წესრიგის ცვლილება შეუძლია მხოლოდ „ემიტენტს“). შეტყობინება ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას შესაბამისი ვადების შესახებ და ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დანიშნონ „ობლიგაციების მფლობელებმა“ წარმომადგენლები.
- (ii) კრების ჩატარება შესაძლებელია როგორც ფიზიკურად ასევე დისტანციურად (ელექტრონული საშუალებით). „ემიტენტს“ უფლება აქვს გამოიყენოს კრების დისტანციური (ელექტრონული

საშუალებით) ჩატარების შესაძლებლობა, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია „ემიტენტის“ საერთო კრების მიერ და დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:

- a. ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ არის დამოკიდებული „ობლიგაციების მფლობელის“ ან მისი „წარმომადგენლის“ მოქალაქეობაზე ან ბინადრობის ადგილზე;
- b. „ობლიგაციების მფლობელისთვის“ ან ხმის უფლების გამოყენებაზე/განკარგვაზე „წარმომადგენლისთვის“ ინფორმაციის დროულად და ეფექტურად მიწოდებისთვის დანერგილია იდენტიფიცირების შესაბამისი ზომები; და

(iii) „ემიტენტთან“ შესაბამისი კომუნიკაციის საფუძველზე, „ობლიგაციების მფლობელებს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ ინფორმაციის წერილობით მიწოდება.

(დ) ობლიგაციების მფლობელის მიერ წარმომადგენლის დანიშვნა:

- (i) „ობლიგაციების მფლობელი“ უფლებამოსილია შესაბამის კრებამდე სულ მცირე 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე „ემიტენტს“ მიაწოდოს ქართულენოვანი წერილობითი დოკუმენტი (ან, სხვა ენაზე შედგენის შემთხვევაში, ორენოვანი დოკუმენტი, საიდანაც ერთ-ერთი ენა უნდა იყოს ქართული) („**მინდობილობა**“), რომელიც ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერილია „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ და დამოწმებულია ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, დასმულია ასეთი იურიდიული პირის ბეჭედი და ხელმოწერილია მისი უფლებამოსილი დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, და ამ დოკუმენტის საფუძველზე დანიშნოს წარმომადგენელი („**წარმომადგენელი**“), რომელიც იმოქმედებს „ობლიგაციების მფლობელის“ სახელით „ობლიგაციების მფლობელების“ ნებისმიერ კრებასთან („**განმეორებითი კრების**“ ჩათვლით) დაკავშირებით.
- (ii) ზედა პუნქტის შესაბამისად დანიშნული ნებისმიერი „წარმომადგენელი“, მათი დანიშვნის მოქმედების ვადის განმავლობაში, „ობლიგაციების მფლობელთა“ კრების ან „განმეორებითი კრების“ მიზნებისთვის, ჩაითვლება იმ „ობლიგაციების“ მფლობელად, რომელთა მიმართაც მისი დანიშვნა განხორციელდა.
- (iii) ნებისმიერი ხმა, რომელიც მიცემულია „წარმომადგენლის“ მიერ შესაბამისი „მინდობილობის“ პირობების შესაბამისად, ითვლება ნამდვილად, იმ პირობით, რომ შესაბამისი კრების ჩატარების დრომდე სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე არ მომხდარა „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა „მინდობილობის“ გამოხმობის, გაუქმების ან/და ცვლილების თაობაზე.

(ე) ობლიგაციების მფლობელების კრების თავმჯდომარე:

- (i) „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით ნიშნავს „ემიტენტი“. თუკი „ემიტენტი“ არ დანიშნავს კრების თავმჯდომარეს ან დანიშნული თავმჯდომარე არ გამოცხადდება კრებაზე მისი დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, მაშინ მოწვეულ უნდა იქნას „განმეორებითი კრება“.
- (ii) სავალდებულო არ არის, რომ „განმეორებითი კრების“ თავმჯდომარე იყოს ის პირი, რომელიც თავმჯდომარეობდა თავდაპირველ კრებას.

(ვ) ობლიგაციების მფლობელების კრებაზე დასწრება:

- (i) კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება აქვთ:
 - a. „ობლიგაციების მფლობელებსა“ და მათ „წარმომადგენლებს“;
 - b. თავმჯდომარეს; და
 - c. „ემიტენტს“, ისევე როგორც მის ფინანსურ, სამართლებრივ ან სხვა მრჩეველებს;

(ii) სხვა პირებს არ აქვთ კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება.

(ზ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის კვორუმი:

- (i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების კვორუმს წარმოადგენს (i) ორი ან მეტი პირი, რომლებიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან (ii) ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ დროს, ორი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელი“, მიუხედავად „ობლიგაციების“ იმ ძირი ოდენობისა, რომელსაც ისინი ფლობენ ან წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი კრების საქმიანობა მოიცავს შემდეგი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ შესახებ წინადადებების განხილვას:
- a. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას;
 - b. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას;
 - c. „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას;
 - d. „ობლიგაციების“ „ემიტენტის“ აქციებში ან სხვა ფასიან ქაღალდებში კონვერტაციას;
 - e. „ობლიგაციების“ შესაბამისი გადახდის ვალუტის ცვლილებას (გარდა მარეგულირებელი კანონმდებლობით გამოწვეული ცვლილებისა); ან
 - f. წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას;

ასეთ შემთხვევებში, მსგავსი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმის აუცილებელი ოდენობა იქნება ორი ან მეტი პირი, რომელიც განსახილველ დროს ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან განმეორებით კრებაზე - არანაკლებ ერთ მესამედს.

- (ii) **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება:** „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი ასეთი „განმეორებითი კრების“ მიმართ შემთხვევაში - ორ ან მეტ პირს, რომელიც ესწრება ან წარმოადგენს „ობლიგაციების მფლობელებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

(თ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილება უნარიანობა და გადადება:

- (i) არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ უნდა გადაწყდეს კრებაზე, თუ ამგვარი საკითხის განხილვისას კრებაზე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი კვორუმი. თუ კვორუმი არ შედგა კრების დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, ამგვარი კრება უნდა გადაიდოს და განმეორებით ჩატარდეს თავდაპირველი კრების თარიღიდან არ უადრეს მე-7 და არა უგვიანეს 30-ე კალენდარული დღისა. თუ ამგვარ „განმეორებით კრებაზე“ კვორუმი არ შედგება კრების დაწყების დროიდან 30 (ოცდაათი) წუთის განმავლობაში, კრება დათხოვილ უნდა იქნას.
- (ii) „განმეორებითი კრების“ დროსა და ადგილს განსაზღვრავს „ემიტენტი“. განმეორებით კრებაზე დასაშვებია მხოლოდ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა გადაწყვეტა დასაშვები იყო თავდაპირველ კრებაზე.
- (iii) „განმეორებითი კრების“ შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს იმ ფორმით, რომლითაც გაკეთდა თავდაპირველი კრების შესახებ შეტყობინება.

(ი) ხმის მიცემა:

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრების წინაშე დასმული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავმჯდომარე, „ემიტენტი“ ან ერთი ან მეტი პირი, რომლებიც ჯამში წარმოადგენენ „ობლიგაციების“ 10%-ს, მოითხოვს (ხელის აწევის პროცედურის დაწყებამდე ან ხელის აწევის პროცედურის შედეგების გამოცხადებამდე) ფარული კენჭისყრის ჩატარებას. ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოცხადდება თავმჯდომარის მიერ.
- (ii) თუ ფარული კენჭისყრა იქნა მოთხოვნილი, თავმჯდომარის განცხადება იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება იქნა ან არ იქნა მიღებული, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ან არმიღების საკმარის მტკიცებულებას, გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობის მტკიცებულების გარეშე.
- (iii) თუ ფარული კენჭისყრა იქნა მოთხოვნილი, გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ამ ფორმით და ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს იმ მომენტშივე ან განმეორებით კრებაზე, როგორც ამას თავმჯდომარე გადაწყვეტს. ფარული კენჭისყრის შედეგი უნდა ჩაითვალოს იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იგი იქნა მოთხოვნილი, და იმ თარიღის გადაწყვეტილებად, როცა იგი იქნა მიღებული. ფარული კენჭისყრის ჩატარების მოთხოვნა ხელს არ უშლის კრებას გადაწყვეტოს სხვა საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც ფარული კენჭისყრა არ არის მოთხოვნილი.
- (iv) ფარული კენჭისყრა, რომელიც მოთხოვნილია თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხთან დაკავშირებით, უნდა ჩატარდეს იმავე მომენტში.
- (v) ხელის აწევით გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულ პირს, რომელიც ესწრება კრებას და არის „ობლიგაციის მფლობელი“ ან მისი „წარმომადგენელი“, აქვს ერთი ხმა იმ „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის ყოველი 1,000 (ათასი) ლარისთვის, რომელსაც იგი წარმოადგენს ან რომლის მიმართაც იგი არის დანიშნული „წარმომადგენლად“. პირს, რომელსაც აქვს ერთზე მეტი ხმის უფლება, არ არის ვალდებული გამოიყენოს ყველა ხმა ან გამოიყენოს ყველა მათგანი ერთნაირად.

(კ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილება:

- (i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** განსახილველი დროისთვის გამოშვებული „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით.
- (ii) **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება:** განსახილველი დროისთვის „ობლიგაციების“ 51%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით.
- (iii) „ობლიგაციების მფლობელები“ ვალდებული არ არიან იღებენ, რომ არაგონივრულად ან/და შესაბამისი დასაბუთების გარეშე არ დააბრკოლონ ან უარი უთხრან „ემიტენტს“ კრებაზე ინიცირებულ საკითხებთან მიმართებით.

(ლ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილების ძალაში შესვლა:

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, იგი არის „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ თუ არა, აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა ყველა „ობლიგაციების მფლობელისთვის“, მიუხედავად იმისა, ისინი ესწრებოდნენ თუ არა კრებას.

(ii) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე და ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ.

(მ) კრების ოქმები:

ოქმები უნდა შედგეს თითოეულ კრებაზე, ყველა გადაწყვეტილებასა და პროცედურასთან დაკავშირებით, და ხელმოწერილი უნდა იქნას იმავე კრების თავმჯდომარის მიერ. ამგვარი ოქმი წარმოადგენს მასში განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტის საკმარის მტკიცებულებას. სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ყველა კრება, რომლისთვისაც შედგა და ხელი მოწერა ოქმს, ითვლება სათანადო წესით მოწვეულად და ჩატარებულად, და ყველა მასზე მიღებული გადაწყვეტილება და განხორციელებული პროცედურა მიიჩნევა სათანადო წესით მიღებულად და განხორციელებულად.

(ნ) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება

ნებისმიერი „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“, რომელსაც ობლიგაციონერები მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყების მიზნით, მიღებული უნდა იქნას ზემოთ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს (ა) გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ სააღსრულებო წარმოებას მიმართავენ „ობლიგაციონერები“ და რა თანმიმდევრობით; (ბ) მითითებას შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირებას, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირების მიზნით.

(ო) „ობლიგაციების“ გამოსყიდვის ოფცია „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიუღებლობის შემთხვევაში

იმ შემთხვევაში თუკი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის მოწვეულ „ობლიგაციების მფლობელთა“ კრებაზე ვერ მოხდა „კომპანიისთვის“ სასურველი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღება და „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ სასარგებლოდ ხმა მისცა კრებაზე დამსწრე ხმების 60%-მან მეტმა, „კომპანიას“ ექნება უფლება (მაგრამ არა ვალდებულება) გამოისყიდოს იმ „ობლიგაციების მფლობელთა“ წილი „ობლიგაციაში“, რომლებმაც კრებაზე უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს. ასეთი „ინვესტორები“ ვალდებულები იქნებიან გამოსასყიდი „ობლიგაციები“ მიყიდონ „ემიტენტს“ „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების 102%-ად დარიცხულ კუპონთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). „კომპანია“ დამატებით აუნაზღაურებს „ინვესტორს“ სავალუტო კურსის რისკის ჰეჯირების გაუქმების ღირებულებას.

2.7.7. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციების მფლობელების“ მიმართ უნდა გაიგზავნოს „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ნომინალური მფლობელი“ „ობლიგაციების“ მფლობელს წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებს.

„ობლიგაციების მფლობელებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ნომინალურ მფლობელს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ნომინალური მფლობელი“ „ობლიგაციების“ მფლობელს წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებს.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მატერიალური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ნომინალურ მფლობელს“ ინფორმაციას „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის შესახებ.

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (<https://reportal.ge/>; <https://gse.ge/>; სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის წესის (181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება, როგორც შეიძლება შეიცვალოს და განსაზღვრული იქნება შესაბამისი პერიოდისთვის:

- ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ;
- გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;
- ე) „ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:

- ე.1) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: <https://reportal.ge/>;
- ე.2) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რამდენადაც აღნიშნული შესაძლებელია: საჯარო რეესტრის პორტალის მეშვეობით;
- ე.3) სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია ან კანონმდებლობით გამჭვირვალობის ფარგლებში მოთხოვნილი მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ან საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი.

2.7.8. შემდგომი ემისიები

„კომპანია“ უფლებამოსილია „რეგისტრირებულ მფლობელებთან“ შეთანხმების გარეშე და იმ პირობით, რომ დაცული იქნება წინამდებარე ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები, დათქმები და კოვენანტები, დროდადრო გამოუშვას სხვა ფასიანი ქაღალდები იმავე ან განსხვავებული პირობებით, როგორც ამას „კომპანია“ განსაზღვრავს, გამოშვების მომენტისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

2.7.9. გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია

საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური იურისდიქცია „ემისიის პროსპექტსა“ და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით წარმოშობილ დავაზე (მათ შორის, ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც უკავშირდება „ემისიის პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გაცემას, ნამდვილობას, არსებობას, შეწყვეტას ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო

ვალდებულებას). „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე „ობლიგაციების მფლობელების“ სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად.

2.7.10. განმარტებები

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„**განმეორებითი კრება**“ ნიშნავს „ობლიგაციების მფლობელების“ კრებას, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, რომელზეც საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო კვორუმი არ შედგა.

„**აფილირებული პირი**“ ნებისმიერ მითითებულ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს (ა) ნებისმიერ სხვა „პირს“ რომელიც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მართავს ამგვარ მითითებულ „პირს“, ან რომელსაც მართავს ამგვარი მითითებული „პირი“, ან რომელიც იმყოფება ამგვარი მითითებული „პირის“, პირდაპირი ან არაპირდაპირი, საერთო მმართველობის ქვეშ (ბ) ნებისმიერი სხვა „პირი“, რომელიც წარმოადგენს ამგვარი მითითებული „პირის“, მისი „შვილობილი კომპანიის“ ან „(ა)“ ქვეპუნქტში მითითებული ნებისმიერი სხვა „პირის“ დირექტორს ან ხელმძღვანელს;

„**ობლიგაციის მფლობელი**“ ან „**ინვესტორი**“ ნიშნავს „ობლიგაციების“ რეგისტრირებულ მესაკუთრეს („რეგისტრირებული მესაკუთრე“) („ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის“ განსაზღვრების შესაბამისად);

„**სამუშაო დღე**“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც თბილისში არსებული კომერციული ბანკები ახორციელებენ გადარიცხვებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (უცხო ვალუტაში გაცვლის ჩათვლით);

„**სამართლიანი საბაზრო ღირებულება**“ ნიშნავს ტრანზაქციის იმგვარ ღირებულებას, რომელიც მიიღება ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველს (გაყიდვაზე არასათანადო წნეხის და ძალდატანების გარეშე) და ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (ყიდვაზე არასათანადო წნეხის და ძალდატანების გარეშე) შორის განხორციელებულ დამოუკიდებელ მონაწილეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციაში. „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილი არიან დაეყრდნონ ტრანზაქციის „სამართლიანი საბაზრო ღირებულების“ „დამოუკიდებელი შემფასებლის“ ანგარიშს, ყოველგვარი დამატებითი კვლევის და მტკიცებულების გარეშე;

„**ჯგუფი**“ ნიშნავს „ემიტენტს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“, რომლებიც, დრო და დრო, განიხილებიან ერთობლიობაში;

„**კონტროლი**“, წინამდებარე განსაზღვრების შესაბამისად, ნიშნავს კაპიტალის ფლობის მეშვეობით, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვაგვარად „ემიტენტის“ ხელმძღვანელობის და პოლიტიკის წარმართვის უფლებამოსილებას;

„**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები**“ (IFRS) ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და IASB-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოცემულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოცემული ცვლილებებით);

„IFRS ფინანსური პერიოდი“ ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც „ემიტენტმა“ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები IFRS-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს ან გადახედეს „აუდიტორებმა“;

„დავალიანება“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე):

(ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანება;

(ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით ან/და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;

(გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას საკრედიტო წერილებთან ან სხვა მსგავს დოკუმენტებთან დაკავშირებით (მათ შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებების ჩათვლით), გარდა ნებისმიერი საკრედიტო წერილების, გარანტიების ან სხვა მსგავსი დოკუმენტებისა, რომელიც გამოიცა მისი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;

(დ) ამგვარი „პირის“ მიერ ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული ან გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდის ყველა ვალდებულება;

(ე) ყველა სხვა „პირის“ მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც უზრუნველყოფილია „უზრუნველყოფის საშუალებით“, რომელიც ამგვარმა „პირმა“ უზრუნველყო საკუთარი ნებისმიერი აქტივის (რომლის ღირებულებაც, წინამდებარე მიზნებისთვის, განისაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ანგარიშის შესაბამის ღირებულებაზე მითითებით შესაბამის უკანასკნელ წლიურ ფინანსურ ანგარიშთან (IFRS-ის შესაბამისად დათვლილი) მიმართებით) მიმართ, მიუხედავად იმისა, ცნობს თუ არა ამგვარ დავალიანებას აღნიშნული „პირი“;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანება, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ, იმ ოდენობით, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ;

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან შესაბამისად მოძიებული ნებისმიერი თანხა, რომელიც აშკარად ექვემდებარება დაბრუნებას;

(თ) წმინდა ვალდებულებები ნებისმიერი ვალუტის ან საპროცენტო განაკვეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად; და

(ი) ნებისმიერი სხვა ტრანზაქციიდან გამომდინარე მოზიდული ნებისმიერი თანხა (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით ან ნასყიდობის ხელშეკრულება), რომელსაც სესხის ტოლფასი ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი გააჩნია,

და ნებისმიერ თარიღზე ნებისმიერი „პირის“ დავალიანების ოდენობა იქნება ამგვარ თარიღზე ყველა, ზემოთ აღწერილი, უპირობო ვალდებულებების გადასახდელი ნაშთი, ხოლო ყველა, ზემოთ აღწერილ, პირობით ვალდებულებასთან მიმართებით, მაქსიმალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობოდა ვალდებულების საფუძვლად არსებული პირობის დადგომისას;

„დამოუკიდებელი შემფასებელი“ ნიშნავს „ემიტენტის“ მიერ შერჩეულ და „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ დამტკიცებულ სააუდიტო ფირმას ან დასადგენ საკითხში კვალიფიციურ დამოუკიდებელ (მესამე პირი) ექსპერტს, იმ პირობით, რომ ამგვარი შეფასების განმარტაციული ფირმა ან დამოუკიდებელი ექსპერტი არ წარმოადგენს „ემიტენტთან“ „აფილირებულ პირს“;

„არსებითი შვილობილი კომპანია“ ნიშნავს „ემიტენტის“ ნებისმიერ შვილობილ კომპანიას;

(ა) რომელიც, უკანასკნელი “IFRS ფინანსური პერიოდისთვის, აღრიცხავდა „კომპანიის“ კონსოლიდირებული შემოსავლის 5 პროცენტზე მეტს, ან რომელიც, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს, იყო „კომპანიის“ კონსოლიდირებული შემოსავლის 5 პროცენტზე მეტის მფლობელი, რომელიც განისაზღვრება “ემიტენტის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშზე მითითებით, რომელიც მომზადდა IFRS-ის შესაბამისად უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ მიმართ; ან

(ბ) რომელსაც გადაეცემა არსებითად “ემიტენტის“ „შვილობილი კომპანიის“ ყველა აქტივები და ვალდებულებები, რომელიც უშუალოდ ამგვარ გადაცემამდე წარმოადგენდა „არსებით შვილობილ კომპანიას“ (ამგვარი ტრანზაქციის თარიღის მიხედვით).

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს (“ფასიანი ქაღალდის ნომინალური მფლობელი”), „ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობის“ განსაზღვრების შესაბამისად;

„ნებადართული უზრუნველყოფა“ განიმარტება, როგორც:

(ა) იმ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფა, რომელიც დადებულია „გამოშვების თარიღამდე“;

(ბ) ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიერ „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი 100% მფლობელობაში არსებული „შვილობილი კომპანიის“ სასარგებლოდ მინიჭებული უზრუნველყოფა;

(გ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც უზრუნველყოფს „პირის“ დავალიანებას და არსებობს იმ პერიოდისთვის, როდესაც ამგვარი „პირი“ შეერწყმება ან გაერთიანდება „ემიტენტთან“ ან მის „შვილობილ კომპანიასთან“ ან გახდება „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანია“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის, გაერთიანების ან შემთხვევის მიზნებისთვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ ნებისმიერ აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, რომელიც ეკუთვნის შექმნილ „პირს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“ (ასეთის არსებობისას));

(დ) „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ შესყიდულ ან შესასყიდ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ არ შექმნილა ამგვარი შესყიდვის მიზნებისთვის და არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა აქტივებზე ან ქონებაზე (გარდა ამგვარი შესყიდული აქტივებიდან ან ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე);

(ე) შემდგომში „კომპანიის“ ნებისმიერი წევრის მიერ შესყიდული ნებისმიერი ქონების მიმართ ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის უზრუნველსაყოფად ან მხოლოდ ამგვარი ქონების შესყიდვის ფასის და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციული ხარჯების დაფინანსების მიზნებისთვის აღებული „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი შესაბამისი „დავალიანების“ მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება ამგვარი ქონების შესყიდვის ფასს, ტრანზაქციულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ამგვარი შესყიდვის დაფინანსების შედეგად აღებულ „დავალიანებას“;

(ვ) ნებისმიერი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის ან ურთიერთგაქვითვის შესახებ შეთანხმება, რომელიც „კომპანიის“ ნებისმიერმა წევრმა დადო საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შემოსავლის და გასავლის ბალანსის ურთიერთკომპენსაციის მიზნებისთვის;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებას“ დაქვემდებარებული აქტივების ან შემოსავლის საერთო ღირებულება, რომელიც ემატება

იმგვარი აქტივებისა და შემოსავლის საერთო ოდენობას, რომელიც ექვემდებარება ნებისმიერ მისაღების უზრუნველყოფას, აქტივებით დაზღვეულ დაფინანსებას ან მსგავსი დაფინანსების სტრუქტურას, არ აღემატება ნებისმიერ ასეთ დროს „ემიტენტის“ აქტივების 10 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

(თ) ნებისმიერი არსებული ან სამომავლო აქტივების ან შემოსავლების ან მათი ნებისმიერი ნაწილის შესაბამისი „უზრუნველყოფის საშუალება“ იქმნება ნებისმიერი „რეპო“ ტრანზაქციის შესაბამისად;

(ი) ნებისმიერი ხელშეკრულების (ან სხვა მარეგულირებელი პირობების) შესაბამისად წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტული ან ჩვეულებითია საპროცენტო განაკვეთის და უცხო ვალუტის კურსის დაზღვევის ოპერაციების შესაბამის ბაზარზე;

(კ) კანონის მოქმედების საფუძველზე და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში (როგორც ლიზინგების გაცემის, ასევე შესაბამისი საფინანსო რესურსის მოძიების ფარგლებში) წარმოშობილი ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალების“ ჩათვლით; ; და

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა)-დან (ი)-ს ჩათვლით პუნქტებით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალების“ მიერ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ საერთო ოდენობის ძირი თანხა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება „კომპანიის“ კონსოლიდირებული აქტივების 10 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

„პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან ნებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

„პირობები“ ნიშნავს ამ „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების პირობებს“.

„რეპო“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას ან საპირისპირო ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან გაქირავების ხელშეკრულებას ან ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ნებისმიერი აღნიშნულის მსგავსი ეფექტის და მიზნების მქონე ხელშეკრულებას;

„ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა“ ნიშნავს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცვლილებებით;

„უზრუნველყოფის საშუალება“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, ყადაღას, შეზღუდვას, ვალდებულებას ან ფასიანი ქაღალდის პროცენტს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი კანონმდებლობით აღნიშნულის ნებისმიერი ანალოგიას);

„შვილობილი კომპანია“ „ნებისმიერი „პირთან“ („პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს მოცემულ დროს, ნებისმიერ სხვა „პირს“ („მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი“ ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50 პროცენტზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი“;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, დანაკისრს, ვალდებულებას, ბაჟს ან სხვა საკომისიოს ან მსგავს გამოქვითვას, წარმოშობის (დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების და შესაბამისი დამატებების ჩათვლით), განსაზღვრის და დაკისრების საფუძვლის და ფორმის მიუხედავად.

„პროსპექტი“ თუ ემისიის პროსპექტის ტექსტი სხვაგვარად არ მიუთითებს, მითითება „წინამდებარე პროსპექტზე“ გულისხმობს მითითებას სებ-ის მიერ სათანადო წესით დამტკიცებულ ემისიის პროსპექტზე.

„რეგისტრირებული მფლობელი“ ნიშნავს „ობლიგაციის მფლობელს“ ან „ნომინალურ მფლობელს“, რომლის სახელზეც რეესტრში რეგისტრირებულია „ობლიგაცია“, როგორც ეს განსაზღვრულია მე-4 პუნქტში.

„ობლიგაციების ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს, თუ ეს „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, შპს „თიბისი კაპიტალს“, რომელიც „ობლიგაციების“ მფლობელის მიერ უფლებამოსილია ფლობდეს „ობლიგაციებს“ ნომინალურად.

- 2.8. ა) ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და გადასახდელ პროცენტთან დაკავშირებული პირობები:
- თარიღი, საიდანაც პროცენტი ხდება გადასახდელი და გადახდის დადგენილი ვადები;
 - გადასახდელ პროცენტზე და ძირზე მოთხოვნის დაფიქსირების დროის ლიმიტები;
- ბ) თუ განაკვეთი არ არის ფიქსირებული, უნდა მიეთითოს ცვლადი, რაზეც არის მიბმული პროცენტი, ასევე პროცენტის ფიქსირებული ნაწილი, გაანგარიშების მეთოდი და პერიოდულობა:
- მითითება, თუ სად შეიძლება ცვლადი კომპონენტის ფასის ისტორიის მოძიება ელექტრონულად;
 - ნებისმიერი მოვლენის აღწერა, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ცვალებად პროცენტზე.

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

„ობლიგაციებს“ პროცენტი დაერიცხება 2023 წლის 20 მარტიდან 2026 წლის 20 მარტამდე (ბოლო თარიღის გამოკლებით), რომელიც გადახდილ უნდა იქნას კვარტალურად - თითოეული წლის 20 ივნისს, 20 სექტემბერს, 20 დეკემბერს და 20 მარტს. წინამდებარე 2.8 პუნქტში მოცემული პროცენტის გადახდის თითოეული თარიღი შემდგომში მოიხსენება როგორც „პროცენტის გადახდის თარიღი“, ხოლო 2026 წლის 20 მარტი - როგორც „გამოსყიდვის თარიღი“.

ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, გარემოებების შესაბამისად, „რეგისტრირებულ მფლობელთა“ სიის მიხედვით, რომელიც რეგისტრირებულია სს „კავკასრეესტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211369115) („რეესტრატორი“) „ობლიგაციების“ მფლობელთა რეესტრში („რეესტრი“) ან „ნომინალური მფლობელის“ (აღრიცხვის ადმინისტრატორი) მიერ წარმოებულ ჩანაწერებში, სამი (3) სამუშაო დღის განმავლობაში „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე სამუშაო დღის დასრულებამდე („სააღრიცხვო თარიღი“), გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს საქართველოში, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პირველივე „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის, „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა „ობლიგაციების“ მფლობელის ანგარიშზე.

(ბ) პროცენტის დარიცხვა

პროცენტის დაანგარიშება მოხდება შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების შესაბამისად, შემდეგი წესის საფუძველზე: 30/360 ISMA, ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევრობონდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC)“ = მრიცხველი / 360 მრიცხველის ფორმულა:

1. თუ $D1=31$, მაშინ $D1=30$

2. თუ $D_2=31$, მაშინ $D_2=30$
3. თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება
4. მრიცხველი = $(D_2-D_1)+30*(M_2-M_1)+360*(Y_2-Y_1)$,
სადაც „D“ ნიშნავს დღეს, „M“ - თვეს და „Y“ - წელს.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთი ცვლადია და დამოკიდებულია 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე არსებულ საპროცენტო განაკვეთზე (რომელიც განთავსებულია შესაბამის ბმულზე: <https://nbg.gov.ge/monetary-policy/tibr>), შესაბამის განაკვეთს, თითოეული „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ განსაზღვრავს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე. პროცენტის დარიცხვა და გადახდა ხდება „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“ არსებული მონაცემების საფუძველზე. „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთად აიღებს „პროცენტის განსაზღვრის თარიღისთვის“ გამოქვეყნებულ უკანასკნელ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს, „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ (თითოეული კვარტლისთვის), აღნიშნული პერიოდის პირველ „სამუშაო დღემდე“ ორი „სამუშაო დღით“ ადრე არსებულ „სამუშაო დღეს“.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღარ მოხდება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ ყველა შემდგომი საპროცენტო პერიოდისთვის სარგებლის საპროცენტო განაკვეთს ერთჯერადად განსაზღვრავს შემდეგი ორი კომპონენტის დაჯამებით: (i) „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღიდან“ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე პერიოდში „ემიტენტის“ მიერ სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოყენებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი; და (ii) 400 საბაზისო პუნქტი. ზემოთ მითითებული წესით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღდგება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ თითოეული შემდგომი საპროცენტო პერიოდისათვის ობლიგაციების სარგებლის საპროცენტო განაკვეთს კვლავ განსაზღვრავს 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე არსებული წესით.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „ანგარიშსწორების თარიღიდან“ (წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როცა „ობლიგაციის“ თითოეული მფლობელი ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ გადაიწევეს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე მეტი. რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული) „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე ნაკლები, თუ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღი“ დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„ობლიგაციებზე“ პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირითადი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისთვის“

გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „რეგისტრირებული მფლობელებისათვის“ გაგზავნამდე.

„პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს 90-დღიან პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, პირველი პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, და ასევე ბოლო პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ბოლოს წინა დღეს და სრულდება „გამოსყიდვის თარიღზე“ (ამ თარიღის გამოკლებით).

2.9. დაფარვის ვადა; სესხის ამორტიზაციის პირობები და დაფარვის პროცედურები;

ობლიგაციები დაფარულ უნდა იქნას 2026 წლის 20 მარტს, ერთიანი გადახდის სახით.

(ა) „ობლიგაციების“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

(i) „ობლიგაციების“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს იმ „ობლიგაციების მფლობელებისა“ და „ნომინალური მფლობელებისთვის“, რომლებიც „რეესტრში“ აღრიცხულნი არიან ამგვარი გადახდის თარიღამდე 3 „სამუშაო დღით“ ადრე, სამუშაო დღის დასასრულს (18:00) („სააღრიცხვო თარიღი“). გადახდები უნდა განხორციელდეს ქართულ ლარში („GEL“) იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც „რეესტრში“ აღრიცხულია „სააღრიცხვო თარიღისათვის“. „რეესტრში“ აღრიცხულმა „ობლიგაციების მფლობელებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ „რეესტრს“ ჰქონდეს განახლებული, სრული და სწორი ინფორმაცია მათი იმ საბანკო ანგარიშების რეკვიზიტების შესახებ, სადაც უნდა განხორციელდეს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული გადახდები. „ემიტენტი“, „რეესტრატორი“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არ არიან პასუხისმგებელნი ვადამოსული თანხის გადაუხდელობაზე, თუ „ობლიგაციების მფლობელმა“ ან „ნომინალურმა მფლობელმა“ არ მიაწოდა „რეესტრატორს“ თავისი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელიც „ემიტენტმა“ ან „რეესტრატორმა“ მოითხოვა გადახდების განხორციელების მიზნით, ან არ განაახლა ამგვარი რეკვიზიტები „სააღრიცხვო თარიღისათვის“.

(ii) საბანკო ტრანზაქციის (გადარიცხვის) ნებისმიერი საკომისიო შესაძლებელია დაქვითულ იქნას გადასახდელი თანხიდან. თუ „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ნომინალური მფლობელის“ წინა პარაგრაფში მითითებული საბანკო ანგარიში არის სხვა ნებისმიერ ვალუტაში გარდა ქართული ლარისა, მაშინ „ობლიგაციების მფლობელისათვის“ ან „ნომინალური მფლობელისათვის“ გადახდის განხორციელება დასაშვებია ვალუტის კონვერტირების საფასურის გამოკლებით.

(iii) თუ გადახდის დღეს გადახდილი ნებისმიერი ძირი თანხა ან პროცენტი არის ამ თარიღისათვის ვადამოსულ თანხაზე ნაკლები, მაშინ „ემიტენტმა“ ყველა „ობლიგაციების მფლობელს“ პროპორციულად უნდა გადაუხადოს ის თანხები, რომლებიც ხელმისაწვდომია ამგვარი თარიღისათვის. აღნიშნული არ ზღუდავს „ობლიგაციების მფლობელების“ უფლებას სრულად მიიღონ ვადამოსული ძირი თანხა და პროცენტი წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად.

(iv) „ემიტენტის“ და/ან „რეესტრატორის“ მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია აიკრძალოს ან შეიზღუდოს „ობლიგაციების“ გადაცემა იმ პერიოდის განმავლობაში,

რომელიც იწყება „საადრიცხვო თარიღზე“ და სრულდება იმ დღეს, როცა შესაბამისი გადახდა ხდება ვადამოსული.

(ბ) **აგენტების დანიშვნა:** „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ და მათი შესაბამისი ოფისები ჩამოთვლილია „შეთავაზების მიმოხილვა“-ში და ასევე წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ბოლოში. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „რეგისტრატორი“ მოქმედებენ როგორც მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტები და, წინამდებარე „ემისიის პროსპექტისა“ და შეთავაზების მიზნებისათვის, არ იღებენ რაიმე ვალდებულებას რომელიმე „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ნომინალური მფლობელის“ წინაშე და არ წამოადგენენ მათ აგენტებს ან მინდობილ პირებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს, „ობლიგაციების მფლობელების“ თანხმობით, შეცვალოს ან გააუქმოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“, „განთავსების აგენტის“ ან „რეგისტრატორის“ დანიშვნა და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ ან „რეგისტრატორი“, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰყავდეს (i) „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, და (ii) „რეგისტრატორი“, დადასტურებული „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ.

(გ) **კალკულაცია და გადახდა:** „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი ნებისმიერი თანხა (მათ შორის, პროცენტი) უნდა დაანგარიშდეს და გადახდილ იქნას „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ, წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული ვადამოსული თანხები, გარდა აშკარა შეცდომისა, არის სავალდებულო „ემიტენტისთვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტმა“ თანხები უნდა დაიანგარიშოს შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 10 (ათი) „სამუშაო დღით“ ადრე და შეატყობინოს „ემიტენტს“. შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე, „ემიტენტმა“ შესაბამისი თანხები უნდა განათავსოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ გახსნილ საკუთარ საბანკო ანგარიშზე და მისცეს ამ უკანასკნელს მითითება აღნიშნული თანხების გადარიცხვის თაობაზე. თუ „ემიტენტის“ ანგარიშზე არის საკმარისი თანხა, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ვალდებულია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ვადამოსული გადახდები განხორციელოს „ემიტენტის“ შესაბამისი მითითებების გარეშე. თუ შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე „ემიტენტის“ ანგარიშზე არსებული თანხა საკმარისი არ არის, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ემიტენტს“, ხოლო თუ გადახდის თარიღზე თანხა არ არის საკმარისი, შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნოს „ობლიგაციების მფლობელებსაც“.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად და შესაბამისი პროცედურის გამორიცხვის გარეშე, „განთავსების აგენტის“ და „ემიტენტის“ ერთობლივი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლოა შეთავაზება განხორციელდეს საქართველოს ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ კალკულაციის და გადახდის პროცესზე გავრცელდება ცენტრალური დეპოზიტარის შესაბამისი წესები.

(დ) **საგადასახადო კანონმდებლობას დაქვემდებარებული გადახდები:** ყველა გადახდა, ნებისმიერ შემთხვევაში, ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო ან სხვა კანონმდებლობას, რეგულაციებს და დირექტივებს.

(ე) **გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:** „ობლიგაციების მფლობელებს“ არ ექნებათ უფლება მიიღონ რაიმე პროცენტი, პირგასამტეხლო ან სხვა თანხა „ობლიგაციასთან“ დაკავშირებული ვადამოსული თანხის დაგვიანებით მიღებისთვის, თუ გადახდის დღე არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო „სამუშაო დღეს“.

2.10. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა წარმომადგენლის მითითება; ამ წარმომადგენლობის პირობებისა და იმ ვებ-გვერდის მითითება, სადაც ინვესტორები შეძლებენ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების განცობას:

ტრანზაქციის სტრუქტურა არ ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების მფლობელების წარმომადგენლის ინსტიტუტს.

2.11. ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული უფლებების აღწერა, მათ შორის ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვებისა და ამ უფლებების განხორციელების პროცედურის აღწერა.

იგივე, რაც 2.7 პუნქტში.

2.12. ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება:

ობლიგაციების ემისია ავტორიზებულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს 2023 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით.

2.13. ფასიანი ქაღალდების გამოშვების თარიღი:

2023 წლის 20 მარტი.

2.14. ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვის აღწერა:

„ობლიგაციის“ მფლობელები უფლებამოსილნი არიან თავისუფლად გაასხვისონ ან გადასცენ მათ მფლობელობაში არსებული ობლიგაციები მთლიანად. ვინაიდან ობლიგაციების ნაწილის გასხვისება გამოიწვევს „გირავნობის ხელშეკრულებაში“ ყველა მხარის მიერ ხელმოწერილი დადასტურებული ცვლილების დადების და რეგისტრაციის აუცილებლობას, მსგავსი გადაცემა აკრძალულია და ობლიგაციების მფლობელს შეუძლია მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული ობლიგაციების გასხვისება სრულად.

ვინაიდან „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხდება საკუთრების უფლების „რეესტრში“ რეგისტრაციის ან „ნომინალური მფლობელის“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი) ჩანაწერებში ცვლილების შეტანის შედეგად, „კომპანია“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტმა“ მხოლოდ „რეგისტრირებული მფლობელები“ უნდა ჩათვალონ ნამდვილ მესაკუთრეებად გადახდისა და სხვა მიზნებისათვის (საკუთრების უფლების შესახებ ნებისმიერი შეტყობინების მიუხედავად), მიუხედავად იმისა, „ობლიგაცია“ ან, პროცენტის გადახდის შემთხვევაში, ამგვარი გადახდა იქნება თუ არა ვადაგადაცილებული, და ამგვარი „რეგისტრირებული მფლობელისათვის“ განხორციელებული ყველა გადახდა ჩაითვლება ნამდვილად და საკმარისად „კომპანიის“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ ამგვარ „ობლიგაციასთან“ მიმართებით ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად, გადახდილი თანხ(ებ)ის ფარგლებში.

„ობლიგაციების“ მფლობელები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა, თუ (ა) ისინი ამის შესახებ სათანადო წესით შეატყობინებენ „რეგისტრატორს“ ან „ობლიგაციების“ „ნომინალურ მფლობელს“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი); და (ბ) გადაცემის შედეგად, შეიცვლება მოგირავნის თაობაზე შესაბამისი ჩანაწერი „საჯარო რეესტრში“. „ობლიგაციების“ გადაცემის შედეგად, გადამცემი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს მიმღებს იმის თაობაზე, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ და „ფინანსური წარმომადგენლობის ხელშეკრულების“ პირობები ობლიგაციების პირობების განუყოფელი ნაწილია. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება გადამცემს, „ემიტენტისა“ ან „ობლიგაციების“ „ნომინალური მფლობელისათვის“ რეგრესის წესით მიმართვის გარეშე.

„ობლიგაციების“ განკარგვა დასაშვებია საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობის (მათ შორის, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის) შესაბამისად. „ობლიგაციების“ განკარგვა და მათზე საკუთრების უფლების გადაცემა ნამდვილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების ცვლილება დარეგისტრირდება შესაბამის „რეესტრში“, ისევე როგორც „საჯარო რეესტრში“.

ობლიგაციებთან მიმართებით მოქმედებს ე.წ. დახურული პერიოდები - არც ერთ „რეესტრირებულ მფლობელს“ არ აქვს უფლება მოითხოვოს „ობლიგაციების“ გადაცემის რეგისტრაცია იმ პერიოდში, რომელიც იწყება „სააღრიცხვო თარიღის“ სამუშაო დღის დასასრულის შემდეგ და სრულდება „პროცენტის გადახდის დღეს“ (ამ თარიღის ჩათვლით). წინამდებარე მუხლის დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს თანხების განაწილება არასწორი მიმღებებისთვის. ასეთ შემთხვევაში „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

2.15. საკონტროლო პაკეტის შექმნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების მოკლე აღწერა, ასევე, არსებობის შემთხვევაში, აქციონერების უფლებებისა და მოვალეობების აღწერა საკონტროლო პაკეტის სავალდებულო შექმნის, მცირე აქციონერების უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

არ არის რელევანტური.

2.16. მითითება, ჰქონდა თუ არა ადგილი მიმდინარე და ბოლო ფინანსური წლის განმავლობაში მესამე მხარის მიერ ემიტენტის საჯარო აქციების საკონტროლო პაკეტის შექმნას. უნდა მიეთითოს ტრანზაქციის ფასი, პირობები და ტრანზაქციის შედეგი.

ასეთ ტრანზაქციას ადგილი არ ჰქონია.

2.17. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შესახებ. ინფორმაცია ობლიგაციების საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით:

„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში

წინამდებარე თავი შეჯამებას უკეთებს ქართულ საგადასახადო სისტემას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელთათვის. წინამდებარე შეჯამება ეფუძნება „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონების, რეგულაციების და გადაწყვეტილებების გაგებას და ექვემდებარება საგადასახადო სამართლის ინტერპრეტაციების და პრაქტიკის ცვლილებებს, მათ შორის, ცვლილებებს, ინტერპრეტაციებს და განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უკუძალა. ქვემოთ აღნიშნული გარკვეული განცხადებები „ობლიგაციების“ მფლობელების შესაძლო საგადასახადო რეგულირებასთან დაკავშირებით ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული.

წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახადო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის, განსაკუთრებით იმ „ობლიგაციების“ მფლობელთათვის, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. რეკომენდებულია „ობლიგაციების“ მფლობელებმა კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შექმნის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. როგორც საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროები, საქართველოს საგადასახადო სამართალი და პრაქტიკა არ არის ისე მკაფიო და ნათელი, როგორც სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში. შესაბამისად, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები, როგორც კანონში, ასევე მის ამჟამინდელ ინტერპრეტაციაში., ა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ გადასახდელი თანხები დაექვემდებაროს საგადასახადო დაბეგვრას ან ამჟამად არსებული საგადასახადო განაკვეთები გაიზარდოს, რაც შეუძლებელია ნავარაუდები იქნას წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“

თარიღისათვის. „ობლიგაციების“ თითოეულმა პოტენციურმა შემძენმა უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო პრობლემატიკა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც გავრცელდება მის მიერ „ობლიგაციების“ შეძენაზე, ფლობასა და გაყიდვაზე.

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირები, არარეზიდენტი საწარმოები და რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაციები) გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით. გადახდის წყაროსთან დაბეგრული პროცენტი მიმღები ფიზიკური პირის მიერ არ უნდა იქნას ჩართული მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივი დაწესებულებები შემოსავალში რთავენ ობლიგაციის ფლობისგან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ობლიგაციებიდან მისაღები პროცენტი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და ამგვარი პროცენტი არ უნდა იქნას ჩართული ობლიგაციების მფლობელების საქართველოში დასადეკლარირებელ შემოსავალში (როგორც ფიზიკური, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების შემთხვევაში), თუ ობლიგაციები იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით არის გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე („აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“)⁴.

არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული შემოსავალი არ უნდა მიეკუთვნებოდეს საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას. ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული გათავისუფლება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე.

რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მისაღები/მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება. თუ პროცენტის მიმღები გადასულია მოგების გადასახადის ახალ, ე.წ. „ესტონურ მოდელზე“, ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, ისევე როგორც სხვა სტანდარტული შემოსავალი გათვალისწინებულ უნდა იქნას გასაწილებელი მოგების გაანგარიშებაში და მოგების დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, უნდა დაბეგროს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ პროცენტის მიმღები ჯერ არ გადასულია ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე (ფინანსური ინტიტუტები), დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას მან ობლიგაციიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი უნდა ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

„ობლიგაციების“ იმ მფლობელებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ზონებად აღიარებულ და შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, იბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ორმაგი დაბეგვრის თაობაზე საქართველოს და იმ ქვეყანას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის „ობლიგაციების“ მფლობელი, რის საფუძველზეც ობლიგაციის მფლობელმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით (გათავისუფლდეს გადახდის წყაროსთან დაბეგვრისგან).

⁴ გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N33/04 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 2018 წლის 20 თებერვალს, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (ს/კ: 211382145; სალიცენზიო ნომერი: №9001, თარიღი: 14.01.2000) ის ნაწილი, რომელიც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ „ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ წესის“ შესაბამისად განსაზღვრულია „A“ და „B“ კატეგორიის სალისტინგო სეგმენტად (კატეგორიად), აღიარებულ იქნა ორგანიზებულ ბაზრად 2018 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, საქართველოს საფონდო ბირჟას განესაზღვრა ვადა ორგანიზებულ ბაზრად აღიარებისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც საქართველოს საფონდო ბირჟამ დააკმაყოფილა და გაუგრძელდა ორგანიზებულ ბაზრად აღიარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის 21 სექტემბრის N 2-19/3269 წერილით. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საფონდო ბირჟა ნებისმიერ მომენტში ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, არსებობს იმის რისკი, რომ ბირჟამ დაკარგოს აღნიშნული სტატუსი, რასაც შედეგად მოჰყვება ინვესტორების მიერ შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაკარგვა.

„ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების ან საშემოსავლო გადასახადი არ იქნება გადასახდელი „ობლიგაციების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, თუ მასზე გავრცელდება „ალიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“.

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ალიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ალიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი საწარმო (რის საფუძველზეც გამყიდველმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით და გათავისუფლდეს გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოში).

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ალიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ალიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებულნი არიან შემოსავალში ჩართონ „ობლიგაციების“ გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომლის დაანგარიშება ხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტ იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოეშვას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „ალიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებული არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „ობლიგაციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციის“ მფლობელების მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვისას მიღებული ძირი თანხა არ ითვლება დასაბეგრ შემოსავლად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოში, იმ პირობით, რომ გამოსასყიდი ფასი არ აღემატება „ობლიგაციის“ თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი „ობლიგაციების“ გაყიდვას განიხილავს იმგვარ ფინანსურ ოპერაციად, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

სხვა საკითხები

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საგადასახადო ორგანოს ამლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

2.18. არსებობის შემთხვევაში ემიტენტის ან მისი სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგები.

„ემიტენტს“ საკრედიტო რეიტინგი არის BB-/სტაბილური პერსპექტივით Fitch Ratings-ისგან.

ემიტენტი დამატებით გეგმავს ემისიის ფარგლებში გამოსაშვები ფასიანი ქაღალდის რეიტინგის აღებას, რაც ემისიის პროსპექტის დამტკიცების შემდეგ მოხდება.

3. საჯარო შეთავაზების პირობები

3.1. შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

3.1.1. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება;

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებულ პირობებს.

3.1.2. ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობა;

შეთავაზებული „ობლიგაციების“ ჯამური ოდენობა იქნება 100,000,000 ლარი.

3.1.3. პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა.

შეთავაზება განხორციელდება ამ პროსპექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შეთავაზება დაიწყება პროსპექტის დამტკიცების შემდეგ და დასრულება ქვემოთ ჩამოთვლილი სამი შემთხვევიდან პირველივეს დადგომის შემთხვევაში:

- ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლისას;
- ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსებისას;
- გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტისას.

შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

(ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესი

„განთავსების აგენტი“ განახორციელებს „ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით, „ემიტენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებისადმი“ ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, „განთავსების აგენტს“ და/ან მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული წინასწარი „ემისიის პროსპექტი“ გაუზიარონ პოტენციურ „კვალიფიციურ ინვესტორებს“.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ მათი ინტერესი „ობლიგაციების“ შესყიდვისადმი გამოხატონ „განთავსების აგენტისთვის“ განაცხადის/შეტყობინების მიწოდების გზით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის ან „განთავსების აგენტის“ მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღი განისაზღვრება ემიტენტის და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით, რომელიც არ უნდა იყოს შესაბამისი განაცხადის/შეტყობინების მიწოდებიდან 4 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ ამგვარი საბოლოო თარიღი არ არის „სამუშაო დღე“, წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდება პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში. ამგვარი საბოლოო საპროცენტო განაკვეთი აისახება საბოლოო „ემისიის პროსპექტში“.

თუ პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, ისინი გამოხატავენ ინტერესს შეიძინონ წინასწარი ან საბოლოო „პროსპექტით“ შეთავაზებულზე მეტი ოდენობის „ობლიგაციები“, ამგვარი მოთხოვნა დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, ინვესტორების მიერ წარდგენილ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამგვარ პოტენციურ ინვესტორს უფლება აქვს უარი თქვას ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. „განთავსების აგენტს“ ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონულად ან სხვა ფორმით დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს იმ „სამუშაო დღის“ 14:00 საათისა (თბილისის დროით), რომელიც მოსდევს იმ დღეს, როცა ინვესტორს ეცნობა მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ რაოდენობასთან მიმართებით) თაობაზე. ამგვარი გადაწყვეტილების „განთავსების აგენტისათვის“ შეუტყობინებლობა უფლებას აძლევს „განთავსების აგენტს“, თავისი შეხედულებისამებრ, განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ რაოდენობასთან მიმართებით) ან უარი თქვას განაცხადზე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა.

ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის („შემსყიდველი ინვესტორები“).

„შემსყიდველმა ინვესტორებმა“ „ობლიგაციების“ შესაბამისი რაოდენობის შესასყიდად საჭირო თანხები სრულად უნდა განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ არა უგვიანეს 2 „სამუშაო დღისა“. „შემსყიდველმა ინვესტორებმა“ ამგვარი საბროკერო ანგარიშები უნდა გახსნან „განთავსების აგენტთან“. „ემიტენტი“ შესყიდული „ობლიგაციების“ მიწოდებას განახორციელებს „გამოშვების დღეს“ იმავე საბროკერო ანგარიშზე. საგამონაკლისო შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მისცეს უფლება „შემსყიდველ ინვესტორს“, რათა მან „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები განათავსოს „განთავსების აგენტთან“ გახსნილ „ემიტენტის“ ნომინალურ ანგარიშზე („განთავსების აგენტთან“ გახსნილი „შემსყიდველი ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშის ნაცვლად). ამ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ „შემსყიდველი ინვესტორის“ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუკი პირველადი განთავსების პერიოდში ინვესტორი „ობლიგაციებს“ შეიძენს მათი გამოშვების თარიღის შემდეგ, იგი ვალდებული იქნება ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად გადაიხადოს მათი შეძენის თარიღისთვის დარიცხული კუპონიც.

გამონაკლისის სახით, „ემიტენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“ ემიტენტის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში უფლებამოსილია პოტენციური ინვესტორებისთვის (მათ შორის და არა მხოლოდ, „შემსყიდველი ინვესტორებისთვის“) დაადგინოს გარკვეული შეღავათები ვადებთან ან პირობებთან დაკავშირებით.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილნი არიან ფლობდნენ „ობლიგაციებს“ ჩანაწერის ფორმით „რეგისტრატორთან“ ან სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციები“ გადატანილი იქნება სხვა „ნომინალურ მფლობელთან“, „ობლიგაციების მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი „ნომინალური მფლობელი“ „გადახდის და კალკულაციის აგენტს“ მოთხოვნისთანავე უმოკლეს ვადებში მიაწვდის ინფორმაციის „ობლიგაციების“ ბენეფიციარების და მათი საგადასახადო სტატუსის შესახებ.

დაბოლოს, ზემოაღნიშნულის მიუხედავად და შესაბამისი პროცედურის გამორიცხვის გარეშე, „განთავსების აგენტის“ და „ემიტენტის“ ერთობლივი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლოა შეთავაზება განხორციელდეს საქართველოს ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესზე გავრცელდება ცენტრალური დეპოზიტარის შესაბამისი წესები.

(ბ) ცვლილებების განხორციელება შეთავაზების მიმდინარეობისას

თუ შეთავაზების პროცესში (დროის მონაკვეთი შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვების თარიღამდე“) „ემიტენტი“ გადაწყვეტს შეცვალოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით (ცვლილებები დაექვემდებარება ეროვნული ბანკის მიერ თავიდან დამტკიცებას, რაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მოხდება მათი დამტკიცება), მაგალითად, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი, საპროცენტო განაკვეთი, შეთავაზების პერიოდი და ა.შ., „ემიტენტმა“ ინვესტორებს უნდა

განუსაზღვროს სულ მცირე 5 დღის ვადა მათი მოთხოვნის გაუქმებისათვის. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, „ემიტენტს“ უფლება აქვს გააგრძელოს შეთავაზება შეცვლილი პირობებით.

თუ ინფორმაცია რომელიმე მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით შეიცვლება, ინვესტორებს, რომლებმაც შეისყიდეს „ობლიგაციები“, უფლება აქვთ გააუქმონ ამგვარი ნასყიდობა და მოითხოვონ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ გამოსყიდვა მათი ძირითადი თანხისა და ნებისმიერი დარიცხული პროცენტის სანაცვლოდ. ინვესტორები („ობლიგაციების მფლობელები“), რომლებიც არ გააუქმებენ „ობლიგაციების“ შესყიდვას, დაექვემდებარებიან შეთავაზების შეცვლილ პირობებს.

თუ შეთავაზების პროცესში შეიცვლება რაიმე არაარსებითი ინფორმაცია, „ემიტენტმა“, შესაბამისი ცვლილების „ემისიის პროსპექტში“ შეტანამდე, უნდა შეატყობინოს „ობლიგაციის მფლობელებს“ და მიაწოდოს მათ დოკუმენტი, რომელიც ასახავს ამგვარ შეცვლილ ინფორმაციას.

იგივე წესი გავრცელდება „გირავნობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში, ე.ი. თუ „ემიტენტი“ გადაწყვეტს შეცვალოს უზრუნველყოფის არსებითი დეტალები როგორცაა გირავნობის საგანი, მისი შეფასება და ა.შ. შეთავაზების დაწყებიდან ინ მომენტამდე, როდესაც „ობლიგაციების“ მფლობელები გახდებიან პირველი რიგის მოგირავნეები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(გ) გირავნობის უფლების რეგისტრაცია

„გამომგების თარიღიდან“ 1 (ერთი) თვის ვადაში „ემიტენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“ დაუკავშირდება „ობლიგაციების“ ყველა მფლობელს და დააორგანიზებს ამ პირობებში მითითებული გირავნობის რეგისტრაციას. გირავნობა წარმოიშობა, ერთის მხრივ, „ემიტენტსა“ და მეორეს მხრივ, „ობლიგაციების“ ყველა მფლობელს შორის ხელმოწერილი პირველი რიგის გირავნობის ხელშეკრულების „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის შედეგად („გირავნობის ხელშეკრულება“).

ვინაიდან „გირავნობის ხელშეკრულება“ სავალდებულო წესით რეგისტრაციას ექვემდებარება, „ობლიგაციების“ მფლობელები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათი წარმომადგენლების ხელმისაწვდომობა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იქნებიან და შეძლებენ ხელშეკრულების ხელმოწერას ნოტარიუსის თანდასწრებით. უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს სათანადო წესით გაცემული და შინაარსობრივად ნოტარიზებული მინდობილობით. ე.ი. ნოტარიუსი უნდა ადასტურებდეს არა მხოლოდ მინდობილობის გამცემის ვინაობას, ასევე მის უფლებამოსილებასაც იმოქმედოს „ობლიგაციების“ მფლობელის სახელით. თუ მინდობილობა გაცემულია საქართველოს ფარგლებს გარეთ, მინდობილობა ასევე უნდა დამოწმდეს აპოსტილით (თუ შესაბამისი ქვეყანა ჰააგის კონვენციის მხარეა, რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას) ან მოხდეს მისი ლეგალიზება საქართველოს საკონსულოს გავლით. დოკუმენტების ორიგინალები უნდა მიეწოდოს „ემიტენტს“ და/ან „განთავსების აგენტს“.

„გირავნობის ხელშეკრულების“ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა ფორმალობა და პროცედურა უნდა დასრულდეს „გამომგების თარიღიდან“ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. „ემიტენტი“ უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული ვადის გაგრძელება თუ პროცედურები არ დასრულდა რომელიმე „ობლიგაციონერის“ ბრალით.

3.1.4. მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც;

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ ან მათი ნაწილის გასხვისება ან განთავსება ვერ მოხდა შესაბამის მფლობელებზე, „ობლიგაციები“ ჯერ დაუბრუნდება „კომპანიას“ და შემდეგ კი გაუქმდება.

3.1.5. განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა:

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა:

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდები და ვადები გაწერილია 3.1.3 (ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის პუნქტში.

3.1.6. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ:

ინვესტორებს არ აქვთ „განთავსების აგენტისთვის“ გაგზავნილი ოფიციალური განაცხადის გაუქმების უფლება.

3.1.7. შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება:

შეთავაზების შედეგები გასაჯაროვდება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენიდან 1 (ერთ) კვირის ვადაში „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მეშვეობით.

3.1.8. პროცედურები უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების, ამ უფლების შესაძლო ცვლილების და ამ უფლების არ გამოყენების შემთხვევაში:

ობლიგაციებთან მიმართებით არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება.

3.2. განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა

3.2.1. პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.

ობლიგაციების ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეთავაზება იგეგმება ძირითადად გამოცდილი ინვესტორებისათვის.

3.2.2. ფასიანი ქაღალდის შექმნაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი, ამასთან იმის მითითება, შესაძლებელია თუ არა ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დაწყება ასეთი შეტყობინების გაგზავნამდე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების ვაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის.

ვაჭრობის დაწყება დაუშვებელია ამგვარი შეტყობინების მიღებამდე.

3.2.3. რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, მითითება აპირებენ თუ არა ემიტენტის მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები) მონაწილეობა მიიღონ შეთავაზებაში და შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, ან არსებობს თუ არა პირი, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 პროცენტზე მეტი.

„ემიტენტისთვის“ ასეთი ინფორმაცია უცნობია.

3.3. ფასის დადგენა

3.3.1. ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით:

ობლიგაციების განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ განფასებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო ფასი განსხვავებული იქნება აღნიშნული გაცხადებული ფასისაგან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შეძენაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან სულ მცირე 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

პირველადი განთავსებისას ინვესტორს არ ეკისრება ტრანზაქციის ხარჯი.

3.3.2. შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა;

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და „ემიტენტი“ არ განიხილავს სხვაგვარ განფასებას.

3.4. განთავსება

3.4.1. შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და ობლიგაციონერების წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია;

შეთავაზებაში არ ყოფილა ჩართული იურიდიული პირი.

3.4.2. ანგარიშსწორების აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია:

შპს „თიბისი კაპიტალი“

მის: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

3.4.3. განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით. თუ არ ხდება სრული შეთავაზების ანდერაიტინგი, ხელშეკრულებით დაფარული ნაწილის მითითება;

განთავსების აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961)

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7

ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

ტელ.: (+995 32) 227 27 33

„ობლიგაციების“ განთავსება ხდება შპს „თიბისი კაპიტალს“ და სს „თიბისი ლიზინგს“ შორის 2022 წლის 17 ივლისს გაფორმებული შეთანხმების წერილის საფუძველზე. „ობლიგაციების“ სრულად განთავსების შედეგად სს „თიბისი ლიზინგს“ მიერ მიღებული წმინდა სახსრები (განთავსების საკომისიოს გათვალისწინებით) იქნება არანაკლებ 98,000,000 ლარი.

3.4.4. მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად.

განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება „ობლიგაციების“ განთავსებასთან ერთად, თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის გაგრძელება.

„ემიტენტი“

სს „თიბისი ლიზინგი“

საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N76მ

„განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტი“

შპს „თიბისი კაპიტალი“

მარჯანიშვილის ქუჩა 7

თბილისი 0102, საქართველო

რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი“

ვაჟა-ფშაველას 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული,

თბილისი 0186, საქართველო